



მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law

№ 3
2022

მართლმსაჯულება და კანონი
№ 3²²

Justice and Law Legal Journal
#3(75) 2022

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა
ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and
the Association of Judges of Georgia

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია



აგრძელდება აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა,
გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,
საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და
საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერაშვილი
ჯონი ხეტურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უაპ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

5	ირმა გელაშვილი რეპროდუქციული დონაციის სამართლებრივი ასპექტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა
	LEGAL ASPECTS OF REPRODUCTIVE DONATION AND THE CASE-LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS IRMA GELASHVILI

27	დავით დოლიძე კორპორაციული მდგრადობა და ევროკავშირში მისი რეგულირების ზოგადი ანალიზი
	CORPORATE SUSTAINABILITY AND GENERAL ANALYSIS OF ITS REGULATION IN THE EU DAVID DOLIDZE

49	ქეთევან ქოჩაშვილი აბსოლუტურ სიკეთეთა ბრალული ხელყოფის უფლებრივი შედეგები
	LEGAL CONSEQUENCES OF CULPABLE VIOLATION OF ABSOLUTE GOODS KETEVAN KOCHASHVILI

81	მარინე მარინაშვილი საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი
	RULES FOR ELECTION OF PRESIDENT OF GEORGIA MARINE MARINASHVILI

97	ეკა გოგიჩაიშვილი მომავალზე ორიენტირებული ციფრული მართლმსაჯულება და COVID-19 როგორც სასამართლო სისტემის გარდაქმნის უნიკალური შესაძლებლობა
	FUTURE-ORIENTED E-JUSTICE AND COVID-19 AS A UNIQUE OPPORTUNITY TO TRANSFORM THE JUSTICE SYSTEM EKA GOGICHAISHVILI

119	ქეთევან ტყეშელაშვილი მედიისა და მართლმსაჯულების ურთიერთქმედების პროფესიულ-ეთიკური სტანდარტები
	PROFESSIONAL-ETHICAL STANDARDS IN MEDIA AND JUSTICE INTERACTION KETEVAN TKESHELASHVILI

- 132 ქეთევან საგინაშვილი
ადრეულ ასაკში ქორწინების ისტორიული ასპექტები
HISTORICAL ASPECTS OF EARLY MARRIAGE
KETEVAN SAGINASHVILI
-

- 139 ხვიჩა ბეგიაშვილი
სახელმწიფო ბრალდებლის და გამდგომი პროკურორის
უფლებამოსილება ბრალდებაზე უარის თქმის დროს
AUTHORITY OF THE STATE PROSECUTOR AND SUPERIOR
PROSECUTOR AT THE TIME OF THE DENIAL OF THE CHARGE
KHVICHA BEGIASHVILI
-

- 156 ნაზიბროლა ჩინჩალაძე
საერთაშორისო ნორმები ოზონის შენარჩუნებისათვის –
გლაზგოს შედეგი
INTERNATIONAL NORMS FOR THE PRESERVATION OF OZONE –
GLASGOW OUTCOME
NAZIBROLA CHINCHALADZE
-

- 166 მაგდა ლორთქიფანიძე
გონიერი ხელშეკრულების თავსებადობა ხელშეკრულების
დადების ტრადიციულ მოთხოვნებთან: ოფერტისა და
აქცეპტის თავისებურებანი
SMART CONTRACT COMPATIBILITY WITH TRADITIONAL CONTRACT
REQUIREMENTS: FEATURES OF OFFER AND ACCEPTANCE
MAGDA LORTKIPANIDZE
-

რეპროდუქციული დონაციის სამართლებრივი ასპექტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ირმა გელაშვილი

სამართლის დოქტორი,

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება განსაკუთრებით საყურადღებო უფლებაა, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო წრეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამომწურავად არ განსაზღვრავს ამ უფლების შინაარსს¹ თუმცა, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დავები სწორედ მითითებული უფლების კონტექსტში განიხილება. რეპროდუქციის უფლება არის ინდივიდის უფლება მიიღოს ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვისა და შობადობის რეგულირების უსაფრთხო, ეფექტიანი, მისაღები და კანონიერი მეთოდების შესახებ, აგრეთვე, უფლება პირმა ისარგებლოს მომსახურებით, რაც

უმრუნველყოფს უსაფრთხო ორსულობას/მშობიარობას და ჯანმრთელი ბავშვის დაბადებას.² რეპროდუქციის უფლება მოიცავს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობას, როგორიცაა in vitro განაყოფიერება, ხელოვნური ინსემინაცია, კვერცხუჯრედის/სპერმის დონაცია, ემბრიონის დონაცია, სუროგაცია.

საქართველოში რეპროდუქციის უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი კონსტიტუციის მე-15 მუხლით განმტკიცებული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაა. ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლებების გარდა, ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, თავად განსაზღვროს შვილების რაოდენობა, მათი დაბადების დრო³ და მეთოდი. ამავე დროს, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართულია დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის გამოყენება უშვილობის მკურნალობის მიზნით, თუმცა, არ არის მოწესრიგებული გამეტების დონაციასთან თუ ემბრიონის შენახვა/დონაციასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემური საკითხი, კანონმდებლობა ხარვეზული და ბუნდოვანია, რაც ნორმის სხვადასხვაგვარად განმარტების საშუალებას იძლევა.

ნაშრომის მიზანია დამხმარე რეპროდუქციის კონკრეტული გამოვლინების – გამეტებისა და ემბრიონის დონაციის საკანონმდებლო დანაწესების მეცნიერული ანალიზი, პრობლემური საკითხების წარმოჩენა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების განზოგადების საფუძველზე უფლებათა დაცვის სტანდარტის განსაზღვრა და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის, ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციისა და ნორმის განმარტებისთვის წინადადებების შეთავაზება.

1. გამეტების დონაცია

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით (143-ე მუხლი), განაყოფიერება დონორის სპერმით ნებადართულია უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისათვის, მათი წერილობით თანხმობის საფუძველზე. ამასთან, ნორმა იმპერატიულად მიუთითებს, რომ დონორს არა აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება. სპერმის დონაციასთან დაკავშირებით სხვა პრობლემური საკითხები, მაგალითად, დონაციის რაოდენობის შეზღუდვა, დონაციის ანონიმურობა, სასყიდლიანობა, შენახვის ვადა, დონორის გარდაცვალების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის განსაზღვრა და ა. შ. კანონით არ არის

მოწესრიგებული და მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ამავდროულად, მითითებული კანონის 143-ე მუხლი ითვალისწინებს ექსტრაკორპორული განაყოფიერებისათვის დონორის სასქესო უჯრედების გამოყენებას – კვერცხუჯრედის დონაციას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, სადაც პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ დედად მიიჩნევა ქალი, რომელმაც ბავშვი დაბადა,⁴ საქართველოს კანონმდებლობა – მითითებული ნორმა საკითხს განსხვავებულად წყვეტს – კვერცხუჯრედის დონაციის შემთხვევაში, გენეტიკურ კავშირს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, დონორს არა აქვს მშობლად ცნობის უფლება და დედად მიიჩნევა კვერცხუჯრედის რეციპიენტი; ხოლო სუროგაციის შემთხვევაში პირიქით, გამართლებულია სუროგაცია სწორედ იმ არგუმენტით, რომ სუროგატი არ არის გენეტიკური დედა, მას არა აქვს მშობლად ცნობის უფლება. შესაბამისად, მშობლებად მიიჩნევა შემკვეთი წყვილი, ამავდროულად, შესაძლებელია კვერცხუჯრედის დონაციითა და სუროგაციით ერთდროულად სარგებლობაც – ამ შემთხვევაში, დედად სოციალური მშობელი მიიჩნევა. არსებული რეგულაცია წარმოშობს ბევრ კითხვას, რამდენად არის იგი შესაბამისობაში ქალის ან დამხმარე რეპროდუქციით დაბადებული ბავშვის ინტერესებთან, ევროპულ სამართალთან, უფლებათა დაცვის თანამედროვე ტენდენციებთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისეთ მცირერიცხოვანი მოსახლეობის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არსებობს ინცესტის გარდაუვალი საშიშროება, რაც საზოგადოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, აუცილებელია არსებული რეგულაცია დაიხვეწოს, ერთი პირის მიერ დონაციის ოდენობა მკაცრად შეიზღუდოს და გაკონტროლდეს, გადაიხედოს არსებული რეგულაციები მით უფრო, როცა რეპროდუქციული დონაციის საკითხების მოწესრიგებისას სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ფარგლები.

გამეტების დონაციის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, S.H. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ:⁵ ოთხი მომჩივნიდან ერთი წყვილი კვერცხუჯრედის დონაციის აკრძალვას, ხოლო მეორე წყვილი – სპერმის დონაციის აკრძალვას ასაჩივრებდა. ისინი აცხადებდნენ, რომ ავსტრიის კანონმდებლობით იკრძალებოდა იმ ვიტრო განაყოფიერების მიზნით დონორის გამეტების გამოყენება, რითაც ირღვეოდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, აგრეთვე, მე-14 მუხლით აღიარებული დისკრიმინაციის აკრძალვის უფლება, თუმცა, სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მოცემული საქმის მე-14 მუხლის დარღვევის ჭრილში განხილვა (119-120). კონვენციის მერვე მუხლის მიზნებისთვის კი, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „პირადი ცხოვრების“ ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს, იგი მოიცავს სხვა ინდივიდებ-

თან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების შესაძლებლობას, ეს არის პიროვნული განვითარების უფლება. სხვაგვარად – უფლება თვითგამორკვევაზე, მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების სფეროში ექცევა გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციისა და სექსუალური ცხოვრების განსაზღვრის ელემენტები, აგრეთვე, ამ უფლებით დაცულია ადამიანის გადაწყვეტილება, იყოლიოს ან არ იყოლიოს შვილი (80).

თავდაპირველად, მომჩივნებმა ავსტრიის საკანონმდებლო დანაწესი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, ხელოვნური განაყოფიერების შესახებ აქტის გასაჩივრებული ნორმები იწვევდნენ მომჩივანთა ოჯახური ცხოვრების პატივისცემაში ჩარევას, მაგრამ ამავდროულად, ამგვარი ჩარევა გამართლებული იყო, რადგან მიზნად ისახავდა უჩვეულო ოჯახური ურთიერთობის ჩამოყალიბების (ბავშვი ორი დედით, ერთი ბიოლოგიური და მეორე – სუროგატი დედით), ასევე, ქალთა ექსპლუატაციის თავიდან აცილებას (19).

მთავრობა ექსტრაკორპორული განაყოფიერების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად ასახელებდა ქალის დაცვას კომერციალიზაციისა და ექსპლუატაციისაგან. მთავრობის მტკიცებით, საკერცხის დონაცია შეიცავდა ქალის დამცირების საფრთხესაც, განსაკუთრებით კი, მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე ქალებისთვის არსებობდა საფრთხე, რომ მათი სხეულიდან აეღოთ იმაზე მეტი კვერცხუჯრედი, ვიდრე საჭირო იყო. ინ ვიტრო განაყოფიერების ტექნიკა შეიცავდა მნიშვნელოვან რისკებსაც, ამიტომ საკანონმდებლო ორგანოს უნდა მიეღო საჭირო ზომები ზემოაღნიშნული რისკების შესამცირებლად განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროცედურა ითვალისწინებდა მესამე პირის, დონორის ჩართულობას (101). ამასთან, მთავრობის პოზიციით, ხელოვნური განაყოფიერების კონკრეტული სახეობა, როგორიცაა ინ ვიტრო განაყოფიერება, თავისთავად ატარებდა იმგვარ რისკს, რომ იგი მხოლოდ თერაპიული, სამკურნალო მიზნებისთვის კი არა, არამედ ბავშვების სელექციისთვისაც ყოფილიყო გამოყენებული.

აღსანიშნავია ავსტრიის მხარდასაჭერად მესამე პირად ჩართული გერმანიის მთავრობის არგუმენტებიც, კერძოდ, „ემბრიონის დაცვის შესახებ“ გერმანიის კანონის პირველი მუხლით, ქალისათვის იმ კვერცხუჯრედის გადატანა, რომელიც მას არ ეკუთვნის, სამართალდარღვევას წარმოადგენს (69). გერმანიის მთავრობის განმარტებით, აკრძალვა ემსახურებოდა ბავშვის კეთილდღეობის დაცვას – დედის იდენტიფიცირებას, რამდენადაც დედების ბიოლოგიურ და გენეტიკურ დედებად დაყოფა და ორი ქალის – ორი დედის არსებობა წინააღმდეგო-

ბაში მოდის დედის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრასთან, დედობის დანაწევრება ორ ქალს შორის ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. დამხმარე რეპორდუქციული მეთოდის რეგულირების კონტექსტში ბავშვის საუკეთესო ინტერესი მოიცავს ბავშვის უფლებასაც, იცოდეს როგორ მოხდა მისი ჩასახვა და ვინ არის მისი გენეტიკური მშობელი, ვისი სხეულის ჭურჭლად გამოყენებით დაიბადა. გერმანიის მთავრობის განცხადებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს, რამდენად არის გამართლებული ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვი გაზარდოს ერთმა მშობელმა. სპერმის დონაციით დაბადებული ბავშვის ინტერესებთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობს კონსენსუსი, ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ხდება სპერმის დონორის ანონიმურობის უზრუნველყოფით თუ ბავშვის უფლებით, იცოდეს იმ დონორის ვინაობა, ვისი სპერმითაც მოხდა მისი განაყოფიერება. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობს საერთო მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით და კანონმდებლობა გარდამავალ ეტაპზეა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ავსტრიული კანონმდებლობა სრულად არ კრძალავდა ხელოვნურ განაყოფიერებას, რამდენადაც დასაშვები იყო ჰომოლოგიური განაყოფიერება. სასამართლოსთვის ცხადი იყო სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედების საჭიროებაც ხელოვნური განაყოფიერების სფეროში (103).

სამართლიანი ბალანსის დადგენისას კი, ევროპულ სასამართლოს უნდა დაედგინა, ავსტრიის კანონმდებლობამ გადაამეტა თუ არა თავისუფალი შეფასების ფარგლებს. მომჩივნების განცხადებით, განაყოფიერებისა და ოჯახის დაგეგმვის საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელშემკვრელი სახელმწიფოები სრულად ვერ სარგებლობდნენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით (93). სასამართლოს განმარტებით კი, შეფასების ფარგლების თავისუფლების ხარისხის დადგენისთვის საჭირო იყო სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, მაშინ როდესაც საფრთხის წინაშეა ინდივიდის არსებობა ან იდენტობა, სახელმწიფოს მიერ თავისუფალი შეფასების ფარგლები ვიწროვდება/იზღუდება, ხოლო თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხზე არ არსებობს კონსენსუსი, განსაკუთრებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოშობენ ეთიკურ და მორალურ პრობლემებს, შეფასების ფარგლები ფართოვდება (90). სასამართლომ დაადგინა, რომ რამდენადაც IVF მკურნალობამ დღის წესრიგში დააყენა განგრძობითად აქტუალური მორალური და ეთიკური საკითხები, სამედიცინო და სამეცნიერო განვითარების სწრაფად ცვლად გარემოში და რადგან სადავო საკითხებთან დაკავშირებით, წევრ ქვეყნებს ჯერ კიდევ, არ ჰქონდათ ერთიანი და ცხადი მიდგომები, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო ესარგებლა შეფა-

სების ფართო ფარგლებით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელოვნური განაყოფიერების დარგი არის სწრაფად განვითარებადი როგორც მეცნიერული, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, რთულია მოინახოს სწორი საფუძველი საკანონმდებლო შეზღუდვების საჭიროებისა და სათანადოობის შესაფასებლად, რამდენადაც შეზღუდვის შედეგები შესაძლოა ცხადი გახდეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ რეპროდუქციული დონაცია რთულ მორალურ და ეთიკურ საკითხებს ეხებოდა, არ არსებობდა საკმარისად დამკვიდრებული ევროპული კონსენსუსი (106), შესაბამისად, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე არც ერთი მომჩივნის მიმართ არ დარღვეულა მე-8 მუხლი. ამავდროულად, აღნიშნა, რომ განსახილველი სფერო, რომელშიც კანონი უნდა ვითარდებოდეს და დაექვემდებაროს დინამიკურ სამეცნიერო და სამართლებრივ განვითარებას, საჭიროებდა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მხრიდან მუდმივ გადახედვას (116–118).

2. ემბრიონის დონაცია

ემბრიონის დონაცია არის პროცესი, როცა სინჯარაში შექმნილ ემბრიონზე გამეტების მიმწოდებლები უარს აცხადებენ და მას გენეტიკურად სრულიად სხვა პირებს უთმობენ.⁶ ემბრიონთა დონაციაში მოიაზრება ემბრიონთა გადაცემა როგორც უშვილო წყვილთათვის ბავშვის დაბადების მიზნით,⁷ ისე სამეცნიერო კვლევის ობიექტად გამოყენებისათვის.⁸ ერთმანეთისაგან განასხვავებენ პირდაპირ დონაციას, როცა რეციპიენტი დონორისათვის ნაცნობია და ანონიმურ დონაციას. ამ შემთხვევაში რეციპიენტის ვინაობა დონორისათვის უცნობია.⁹ ბევრ ქვეყანაში (ავსტრია, გერმანია, შვედეთი, შვეიცარია, საბერძნეთი, ირლანდია, თურქეთი) ემბრიონის დონაცია აკრძალულია, ნაწილი ქვეყნებისა (ბელგია, საფრანგეთი, უნგრეთი, ფინეთი, ესპანეთი, დიდი ბრატანეთი, კანადა, აშშ) მხოლოდ სინჯარაში განაყოფიერებული და ჭარბი ემბრიონის დონაციას უშვებს.¹⁰ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ არ აღიარებს ემბრიონის დონაციას თუმცა, 143-ე მუხლის I-ლი ნაწილი უშვილობის მკურნალობის მიზნით ექსტრაკორპორული განაყოფიერების შესაძლებლობას ითვალისწინებს დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, 144-ე მუხლით კი, ნებადართულია გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ემბრიონის გამოყენება. შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია in vitro ემბრიონთა დონაცია და იგი ისევე, როგორც სხვა დამხმარე რეპროდუქციის მეთოდი, მოწესრიგებული არ არის, მაშინ როცა ემბრიონთა დონაციითა და სხვა რეპროდუქციული მომსახურებით დღესდღეობით, არაერთი სამედიცინო დაწესებულება აქტიურად არის დაკავებული.

ყურადსაღებია ემბრიონის დონაციის მიმართება შვილად აყვანის ინსტიტუტთან: ორივე შემთხვევაში, გენეტიკურად სხვა პირი/წყვილი კისრულობს მშობლის ვალდებულებას. თუმცა, თუ შვილად აყვანა გულისხმობს უკვე დაბადებული და გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვის შვილებას, ემბრიონის დონაციის შემთხვევაში, დონორი – გენეტიკური მშობელი ბავშვის მშობლად აღიარების მოთხოვნის უფლებას კარგავს დონაციის მომენტიდან, როცა ჯერ ბავშვი არათუ დაბადებული, არამედ ჩასახულიც კი არ არის. ამასთან, შვილად აყვანა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მკაცრად არის მოწესრიგებული,¹¹ მშვილელის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილია კრიტერიუმებიც, ემბრიონის დონაცია კი, მოუწესრიგებელია და რეციპიენტისათვის სავალდებულო მოთხოვნებს არ ადგენს. ემბრიონის დონაციის რეგულირების ხარვეზები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ემბრიონის რეციპიენტი შვილის მსურველი ნებისმიერი პირი შეიძლება იყოს, მათ შორის ისეთიც, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით უარი ეთქვა მშვილელის სტატუსის მინიჭებაზე. ამიტომ ამერიკული დოქტრინა ხშირად უთითებს არსებული თანაფარდობის მიუხედავად, ემბრიონთა დონაციაზე შვილად აყვანის ტრადიციული პრინციპების გავრცელების აუცილებლობაზე, რათა დაცული იყოს როგორც დონორი, ისე რეციპიენტი მხარე, ბავშვი, ზოგადად, საზოგადოება და მომავალი თაობა.¹²

როგორც აღინიშნა, ემბრიონის დონაცია ძირითადად, უშვილობის მკურნალობის მიზნით ხორციელდება თუმცა, ხშირია ემბრიონის დონაცია სამეცნიერო კვლევისათვის. ემბრიონზე კვლევა თანამედროვეობის ერთ-ერთი პრობლემური გამოწვევაა, ვინაიდან მიიჩნევა, რომ იგი მიზნად ისახავს ორსულობის მისაღწევად ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკის გაუმჯობესებას, გენეტიკურ დაავადებათა გამოვლენას, სიმსივნის დადგენასა და პრევენციას.¹³

ემბრიონის უჯრედების კვლევის ობიექტად გამოყენების შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ემბრიონი დაცული უნდა იყოს პირველივე უჯრედის შექმნისთანავე, სხვათა მოსაზრებით, კვლევა დაუშვებელია თოთხმეტ დღეს მიღწეულ უნიკალურ ემბრიონზე, ხოლო უმეტესობის აზრით, ემბრიონი დაცული უნდა იქნას ექსპერიმენტებისაგან მხოლოდ ცენტრალური ნერვული სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, როცა იგი ტკივილს შეიგრძნობს.¹⁴ ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის¹⁵ მე-18 | მუხლის მიხედვით, იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია ემბრიონზე in vitro კვლევის ჩატარება, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ემბრიონის ადეკვატური დაცვა, მითითებული მუხლის II ნაწილი კი, კრძალავს კვლევის ჩატარების მიზნით, ადამიანის ემბრიონის შექმნას. აღნიშნული მუხლი ხაზს უსვამს კვლევის ფარგლებში ემბრიონის დაცვის აუცილებლობას თუმცა, არ გამოხატავს პოზიციას იმის თაობაზე, მისაღებია თუ არა ემბრიონზე in vitro კვლევის ჩატარება.¹⁶

ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ¹⁷ ევროპის საბჭოს ანგარიშით (მე-17 I პრინციპი) ნებადართული არ არის in vitro ემბრიონზე ნებისმიერი პროცედურის ჩატარება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიზანია ემბრიონისათვის სარგებლის მოტანა ან კვლევა, რომელიც დაკვირვებას მოიცავს და არ არის ემბრიონისათვის ზიანის მომტანი. მითითებული პრინციპის II ნაწილით, თუ სახელმწიფოს მიერ დაშვებული კვლევითი და ექსპერიმენტული პროცედურები არ ისახავს მიზნად ემბრიონისათვის პრევენციულ, დიაგნოსტიკურ, ხოლო ემბრიონის მძიმე პათოლოგიის შემთხვევაში, მის მკურნალობას, გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები: ა) მიზნის მისაღწევად შეუძლებელი უნდა იყოს სხვა მეთოდების გამოყენება; ბ) ემბრიონი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას განაყოფიერებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ (გაყინვით ან სხვა მეთოდით შენახვის პერიოდი მხედველობაში არ მიიღება); გ) მიღებულია წყვილის ინფორმირებული თანხმობა, მათ შორის, ემბრიონის დონაციის დროს; დ) შესაბამისი მულტიდისციპლინური კომისიის მიერ ნებადართულია კვლევა.

ადამიანის ემბრიონისა და ნაყოფის სამეცნიერო კვლევებისათვის გამოყენების შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია¹⁸ R1100 (1989) ემბრიონის დასაცავად ადგენს, რომ სიცოცხლისუნარიან ინ ვიტრო ემბრიონზე კვლევები დაიშვება მხოლოდ დიაგნოსტიკურ, პრევენციის ან თერაპიული მიზნებისათვის მათ არაპათოლოგიურ გენეტიკურ მემკვიდრეობაში ჩარევის გარეშე, ხოლო ცოცხალ ემბრიონებზე კვლევა იკრძალება. ადამიანის ემბრიონული მასალის დონაცია ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერო კვლევის საწარმოებლად დიაგნოსტიკურ, პრევენციის ან თერაპიული მიზნებით, მისი გაყიდვა იკრძალება. ამასთან, ემბრიონისა თუ ნაყოფის განზრახ შექმნა და/ან ცოცხლად შენარჩუნება ინ ვიტრო თუ ინ უტერო მდგომარეობაში ნებისმიერი სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის, მაგალითად, გენეტიკური მასალის, უჯრედების ან ორგანოების ამოღების მიზნით იკრძალება. ამ რეკომენდაციით მკაცრად არის განსაზღვრული, რომ **კომერციული დონაცია დაუშვებელია.**

მიუხედავად რეკომენდაციებისა, ადამიანის ინ ვიტრო ემბრიონის დაცვასთან დაკავშირებით, ევროპის ქვეყნებში არსებული მიდგომები სხვადასხვაგვარია. **ადამიანის ემბრიონისა და ნაყოფის დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ბიოეთიკის სახელმძღვანელო კომიტეტის სამუშაო ჯგუფის ანგარიშში¹⁹** შესწავლილია წევრი სახელმწიფოების რეგულაციები, რომლის მიხედვითაც, ემბრიონის სამეცნიერო კვლევაში გამოყენება და ამ მიზნით მისი შექმნა ნებადართულია ბელგიაში, შვედეთსა და გაერთიანებულ სამეფოში, სამეცნიერო კვლევის მიზნით ემბრიონის შექმნა აკრძალულია თოთხმეტ სახელმწიფოში. თუმცა, ზედმეტი რაოდენობით ემბრიონებზე კვლევის ჩატარება ზოგადად, დაშვებულია მოცემულ ქვეყნებში,

რიგი პირობების დაცვის შემთხვევაში. იტალიაში, სლოვაკეთში, გერმანიასა და ავსტრიაში აკრძალულია სამეცნიერო კვლევები ემბრიონებზე. თუმცა, უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში, როგორცაა ემბრიონის ჯანმრთელობის დაცვა ან კვლევა ხორციელდება საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ უჯრედებზე, შეიძლება იყოს ნებადართული. ანდორას, ლატვიის, ხორვატიისა და მალტას კანონმდებლობით, ცალსახად აკრძალულია ნებისმიერი კვლევა ემბრიონულ ღეროვან უჯრედებზე, უმეტეს ქვეყნებში კი, საკითხი საერთოდ არ არის დარეგულირებული. მათ შორისაა, სომხეთი, ამერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ირლანდია, ლიხტენშტეინი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მოლდოვას რესპუბლიკა, მონაკო, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სან მარინო, თურქეთი, უკრაინა და საქართველო. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში არაფერია ნათქვამი ემბრიონზე/ჩანასახზე მათ კვლევაზე, არამედ ზოგადი მოწესრიგება მხოლოდ სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევისას ადამიანისა და ცხოველების, როგორც სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტების დაცვის ჰუმანური დამოკიდებულების პრინციპს განამტკიცებს.

კვლევის მიზნით ემბრიონის დონაცია რთული მორალური და ეთიკური საკითხია და სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო ზღვარით. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, პარილო იტალიის წინააღმდეგ:²⁰ მომჩივანმა ადელინა პარილომ და მისმა პარტნიორმა უშვილობის მკურნალობისათვის მიმართეს ქ. რომში მდებარე ევროპული ჰოსპიტლის რეპროდუქციულ ცენტრს, ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონები გაყინეს, თუმცა, მომჩივნის სხეულში მათ გადატანამდე პარტნიორი გარდაიცვალა ერაყში ბომბის აფეთქების შედეგად. ქალმა გადაწყვიტა ემბრიონთა დონაცია სამედიცინო კვლევის მიზნით, რითაც ხელს შეუწყობდა რთულად განკურნებადი დაავადებების მკურნალობას. იგი რამდენჯერმე უშედეგოდ შეეცადა გამოეთხოვა ემბრიონები შემნახველი ცენტრიდან, რაზეც უარი მიიღო, არგუმენტად კლინიკა უთითებდა, რომ იტალიის კანონმდებლობით ემბრიონზე კვლევა მხოლოდ ექსკლუზიურად ემბრიონის ჯანმრთელობისა და განვითარების დასაცავად დაიშვებოდა, როცა ალტერნატიული მეთოდი არ არსებობდა, სხვა შემთხვევაში კი, ემბრიონზე კვლევა აკრძალული იყო და სისხლისსამართლებრივად ისჯებოდა.

2011 წელს, ადელინა პარილომ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე. მომჩივანი აცხადებდა, რომ იტალიის კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიით შექმნილი ემბრიონის სამეცნიერო კვლევის მიზნით დონაციაზე არ შეესაბამებოდა კონვენციის

მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების და N1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცული საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას. ასევე, მისი მტკიცებით, დაირღვა გამოხატვის თავისუფლებაც, რადგან სამედიცინო კვლევა ამ უფლების ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენდა. 2014 წელს, ევროპული სასამართლოს პალატამ მოიხსნა უფლებამოსილება დიდი პალატის სასარგებლოდ.

ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად იმსჯელა, მოიცავს თუ არა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის დონაციას სამეცნიერო კვლევისათვის. სასამართლოს განმარტებით, ემბრიონი შეიცავს პირის გენეტიკურ მასალას და წარმოადგენს მისი ბიოლოგიური იდენტობის ნაწილს (158). ამდენად, მომჩივნის საშუალება მიიღოს შეგნებული და გააზრებული არჩევანი მისი ემბრიონის ბედის შესახებ, წარმოადგენს პირადი ცხოვრების ინტიმურ ნაწილს, შესაბამისად, ექცევა თვითგამორკვევის უფლების ფარგლებში და ამიტომ კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი ცხოვრების პატივისცემის ჭრილში, ვრცელდება წინამდებარე საქმეზე (159). სასამართლომ მიიჩნია, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად მიღებული იმ ემბრიონის სამეცნიერო კვლევისთვის დონაციის აკრძალვა, რომელიც იმპლანტაციისთვის არაა განკუთვნილი, წარმოადგენს ჩარევას მომჩივნის პირადი ცხოვრების უფლებაში. რაც შეეხება მიზნის ლეგიტიმურობას, მთავრობამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ზომა ემსახურებოდა „ემბრიონის სიცოცხლის პოტენციალის“ დაცვას (162), რამდენადაც იტალიის სამართლებრივ სისტემაში ემბრიონი მიიჩნეოდა სუბიექტად, რომელსაც აქვს ადამიანური ღირსების პატივისცემის უფლება (165). სასამართლოს განმარტებით, მთავრობის მიერ ნაგულისხმევი შინაარსის მიხედვით, „ემბრიონის სიცოცხლის პოტენციალის დაცვა“ შესაძლოა კავშირში იყოს მორალისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლის ფარგლებში შეფასების ზღვარის მასშტაბის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ როდესაც სასწორის პინაზე ინდივიდის არსებობის ან მისი იდენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტი, სახელმწიფოს შეფასების ზღვარი, როგორც წესი, იზღუდება, ხოლო მაშინ, როდესაც ევროპის საბჭოს სახელმწიფოებს შორის არ არსებობს კონსესუსი განხილული ინტერესის შედარებითი მნიშვნელობისა თუ მისი მაქსიმალური დაცვის შესახებ, განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე ეხება მგრძნობიარე ან ეთიკურ საკითხებს, შეფასების ზღვარი უფრო ფართოა (169) და სასამართლომ არ უნდა ჩაანაცვლოს დამხმარე რეპროდუქციის მომწესრიგებელი ნორმების შესახებ ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებანი, რადგან ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდები ეხებიან მგრძნობიარე მორალურ და ეთიკურ საკითხებს მუდმივად განვითარებად

სფეროში (173). ეროვნული ხელისუფლება სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით იმის განსაზღვრისას, მიიღოს თუ არა შემზღუდავი კანონმდებლობა მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის ემბრიონის განადგურებას, რა დროსაც ითვალისწინებენ *inter alia* ადამიანის სიცოცხლის დასაწყისის ცნებასთან დაკავშირებულ ეთიკურ და მორალურ საკითხებსა და საკითხზე აზრთა სხვადასხვაობას სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში (180). ამის მაგალითია ოვიედოს კონვენციის 27-ე მუხლი, რომელიც აღნიშნავს, რომ მისი არც ერთი მუხლი არ უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ მხარეს შეეზღუდოს საშუალება დააწესოს დაცვის უფრო ფართო ზომები ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენების სფეროში (181).

წერილობით მოსაზრებებში და სასამართლო მოსმენისას მომჩივანმა აღნიშნა, რომ რთული იყო სახელმწიფოს მიერ ემბრიონის დაცვის არგუმენტის მიღება მაშინ, როდესაც იტალიაში ემბრიონის კვლევა დაშვებულია საზღვარგარეთ განადგურებულ ემბრიონის უჯრედული ხაზების გამოყენებით (190). თუმცა, სასამართლოს განმრტებით, მისი ფუნქცია არ არის იტალიის კანონმდებლობის აბსტრაქტული შეფასება. იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს მომჩივნის მიერ გასაჩივრებული შეუსაბამობანი, ეს უკანასკნელნი უნდა ეხებოდეს მომჩივნის მიერ სასამართლოს წინაშე წამოყენებულ საჩივრებს, კერძოდ, ემბრიონის ბედის განსაზღვრისას მისი თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვას. რაც შეეხება იტალიაში განხორციელებულ კვლევას საზღვარგარეთ განადგურებულ იმპორტირებულ ემბრიონულ უჯრედებზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც მომჩივნის მიერ მოხმობილია უფლება თავად გადაწყვიტოს საკუთარი ემბრიონის ბედი და გადასცეს იგი სამეცნიერო კვლევას, რთულია ზემორე არგუმენტის მომჩივანზე პირდაპირი გავლენის დადგენა (192). სასამართლომ გაითვალისწინა მთავრობის მიერ საქმის განხილვის დროს წარმოდგენილი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც. იტალიის ლაბორატორიებში კვლევისათვის გამოყენებული ემბრიონული უჯრედული ხაზები არასდროს იწარმოება იტალიის ხელისუფლების დაკვეთით (193). სასამართლომ ეთანხმება მთავრობას, რომ ადამიანის ემბრიონის განზრახი და აქტიური განადგურება ვერ შეედრება უკვე განადგურებული ადამიანური ემბრიონების უჯრედული ხაზების გამოყენებას (194). აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ მითითებული შეუსაბამობების არსებობის შემთხვევაშიც კი, ისინი არ ახდენენ პირდაპირ გავლენას უშუალოდ მომჩივნის პირად ცხოვრებაზე (195).

დაბოლოს, სასამართლომ მიუთითა, რომ არჩევანი – ემბრიონი გადაეცა სამეცნიერო კვლევისათვის, გამომდინარეობს მხოლოდ მომჩივნისაგან, რადგან მისი პარტნიორი გარდაცვლილია. სასამართლომ არ გააჩნდა მტკიცებულება, რომ მისი პარტნიორი, რომელსაც

განაყოფიერებისას იგივე ინტერესი ჰქონდა ემბრიონზე, როგორც მომჩივანს, იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა. მოცემულ საკითხს ეროვნულ დონეზე არ არეგულირებდა არც ერთი ნორმა (196).

მითითებული არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობას არ გადაუჭარბებია არსებული ფართო შეფასების ზღვარისათვის და რომ მოცემულ საკითხზე აკრძალვა იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციის 8 § 2 მუხლის მნიშვნელობით (197). **შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას (198).**

რაც შეეხება კონვენციის N.1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საკუთრებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლების საგარაუდო დარღვევას, მომჩივანი აცხადებდა, რომ მან ვერ შეძლო ემბრიონის დონაცია და ვალდებული იყო შეენახა იგი გაყინულ მდგომარეობაში ემბრიონების გარდაცვალებამდე (199). მისი თქმით, ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად ჩასახული ემბრიონები არ უნდა მიეჩნიათ „ინდივიდებად“, რადგან არ მომხდარა იმპლანტაცია, ამასთან, არ იგეგმებოდა მათი განვითარება ნაყოფად და დაბადება, შესაბამისად, მომჩივნის მტკიცებით, ემბრიონები წარმოადგენდა მის საკუთრებას, ხოლო სახელმწიფოს მიერ მოცემულ უფლებაზე დაწესებული შეზღუდვები არ იყო გამართლებული საჯარო ინტერესების საფუძველზე. ამასთან, ემბრიონების პოტენციური სიცოცხლის დაცვის მოხმობა არაგონივრული იყო, რადგან მოცემულ ემბრიონებს განადგურება ელოდათ (203–204). მთავრობამ აღნიშნა, რომ ადამიანის ემბრიონი არ უნდა იქნას მიჩნეული ნივთად და რომ დაუშვებელი იყო მისთვის ეკონომიკური ღირებულების მინიჭება, არამედ იტალიის სამართლებრივ სისტემაში ადამიანის ემბრიონი მიიჩნევა კანონის სუბიექტად და იმსახურებს ადამიანური ღირსების პატივისცემას (200). მთავრობა ასევე, აპელირებდა სასამართლოს მიერ წევრ სახელმწიფოთათვის შეფასების ფართო ზღვარის მინიჭებაზე ადამიანის სიცოცხლის დასაწყისის განსაზღვრისას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც წარმოიშვებოდა რთული მორალური და ეთიკური საკითხები, რომელზეც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მიღწეული არ იყო კონსენსუსი (201). ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ N.1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი წინამდებარე საქმეზე არ ვრცელდება, რადგან ადამიანის ემბრიონი არ შეიძლება განხილული იყოს საკუთრებად. იმის გამო, რომ მითითებული მუხლი არ გამოიყენება წინამდებარე საქმეში, საჩივრის ეს ნაწილი კონვენციის დებულებებთან *ratione materiae* შეუსაბამოდ იქნა ცნობილი 35 § 3 და 4 მუხლის მნიშვნელობით.

3. დონაციის ანონიმურობა

რეპროდუქციული დონაციის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს დონაციის ანონიმურობა, რამდენადაც დონორის პირადი ცხოვრების კონფიდენციალობას უპირისპირდება დონაციის შედეგად დაბადებული ბავშვის უფლება, იცოდეს საკუთარი წარმომავლობა. ჯერ კიდევ, ევროპის საბჭოს 1989 წლის ანგარიშში, ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ²¹ მოცემულია რეკომენდაცია, რომ ექიმმა, აგრეთვე, დაწესებულების თანამშრომლებმა, რომლებიც იყენებენ ხელოვნურად ჩასახვის ტექნოლოგიებს, უნდა დაიცვან დონორის ანონიმურობა და საიდუმლოდ შეინახონ წყვილის ვინაობა, აღნიშნული ფაქტი არ გაახმაურონ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. გამონაკლისის სახით, დონორის გენეტიკური ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს, თუ ეს საჭიროა ბავშვის ჯანმრთელობის, ინტერესებისათვის ან გენეტიკური კონსულტაციის ჩასატარებლად. სასურველია, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ემბრიონის დონაციისას გაცხადებულ ინფორმირებულ თანხმობაში მიეთითოს გენეტიკური მშობლის ჯანმრთელობის ისტორია და შთამომავლობისათვის ყველა შესაძლო სამედიცინო რისკი.²² ამასთან, ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება დაუშვას, რომ ბავშვს გარკვეულ ასაკში ჰქონდეს საშუალება გაეცნოს ინფორმაციას მისი ჩასახვის გარემოებებისა და დონორის ვინაობის შესახებ.

მიუხედავად რეკომენდაციებისა, ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ნაწილი გამეტების ან/და ემბრიონის დონაციის ანონიმურობას იცავს და საკუთარი წარმომავლობის ცოდნის უფლებასთან შედარებით უპირატესად, მესამე პირთა ინტერესების დაცვას მიიჩნევს, მაგალითად: პორტუგალია, ლიეტუვა, ლატვია, ბელგია, სლოვაკეთი, თურქეთი, ისრაელი.²³ მართალია, მრავალი ქვეყანა დონაციის ანონიმურობას განამტკიცებს, მაგრამ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ტენდენცია საკუთარი წარმომავლობის ცოდნის უფლებისათვის უპირატესობის მინიჭებაზე, მაგალითისთვის, 2008 წელს, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით,²⁴ რეპროდუქციული დონაციისას ანონიმურობა აღარ არის დაცული და სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია დამხმარე რეპროდუქციით დაბადებულ პირს ბიოლოგიური წარმოშობის შესახებ მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია. თანამედროვე გაგებით, საკუთარი წარმომავლის ცოდნის უფლება გულისხმობს არა მხოლოდ დონორის ვინაობის, არამედ და-ძმის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც. დიდ ბრიტანეთში ადამიანის ფერტილიზაციისა და ემბრიოლოგიის განყოფილების ინიციატივით დაფუძნდა ნებაყოფლობითი სარეგისტრაციო

მომსახურება, რომლის მიზანი, დონაციის მეშვეობით დაბადებული შთამომავლობის ერთ-მანეთთან დაკავშირებაა.²⁵

დამხმარე რეპროდუქციის მეთოდით დაბადებულ პირს უფლება აქვს გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია საკუთარი წარმომავლობის შესახებ ევროპის შემდეგი ქვეყნების კანონმდებლობით: ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, უნგრეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია.²⁶ გერმანიის კანონით „სპერმის დონაციის რეესტრის შესახებ“,²⁷ პირს, რომელიც ვარაუდობს, რომ ჩაისახა ხელოვნური განაყოფიერების მეთოდით, დონორის სპერმის გამოყენებით, 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ უფლება აქვს სპერმის დონორთა რეესტრიდან გამოითხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, დონორის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებითაც, რაც უნდა ეცნობოს დონორს.

საქართველოს კანონმდებლობაში რეპროდუქციული დონაციის ანონიმურობის დაცვაზე ან პირის უფლებაზე მიიღოს ინფორმაცია წარმოშობის შესახებ, პირდაპირი ჩანაწერი არ გვხვდება. იმის გათვალისწინებით, რომ შვილად აყვანის საიდუმლოებას საქართველოს კანონმდებლობა მკაცრად იცავს,²⁸ ფაქტობრივ მოცემულობად იქცა დონორის ანონიმურობის დაცვა, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით, არ არსებობს. ჯანდაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობით გარანტირებულია საექიმო საიდუმლოებისა²⁹ და პაციენტის კონფიდენციალობის³⁰ დაცვა. თუმცა, ცხადია, ეს უფლებები არ არის აბსოლუტური და ინფორმაციის გამჟღავნების ლეგიტიმური გამართლებაა სხვათა, ამ შემთხვევაში, დონაციის შედეგად დაბადებული ბავშვთა უფლებების დაცვა. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს ინდივიდუალობა. ღირსების ძირითადი უფლება, რაც ადამიანისაგან განუყოფელია, მოიცავს უფლებას, ადამიანმა იცოდეს საკუთარი წარმომავლობა. ამავდროულად, საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდანაც გამომდინარეობს. გენეტიკური წარმომავლობის გაგება და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის ისტორიის დადგენა ხელს უწყობს გენეტიკურ დაავადებათა ადრეულ პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობასაც³¹ მაშასადამე, ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებას. ამგვარად, რეპროდუქციული დონაციის შედეგად დაბადებულ პირთათვის ცნობილი უნდა იყოს წარმომავლობის, გენეტიკური მშობლებისა და ოჯახის წევრების შესახებ,³² ამავდროულად, გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ინტერესიც, რამდენადაც ანონიმურობის დაცვით იზრდება სისხლის აღრევის რისკიც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2019 წლის დასკვნა კვერცხუჯრედის/სპერმის დონაციის ანონიმურობისა და მშობელთა, შვილთა და დონორთა უფლებების ბალანსირების თაობაზე,³³ სადაც მოცემულია რეკომენდაცია საკუთარი წარმომავლობის ცოდნის უფლების უზრუნველსაყოფად. მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაციის პასუხად, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე და დონაციით ჩასახულ პირთა წარმომავლობის ცოდნის უფლების დასაცავად, მიზანშეწონილად მიიჩნია წევრი ქვეყნებისათვის ჩარჩო რეკომენდაციის შემუშავება,³⁴ რაც ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს. ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაშია საქმეები – გოგინ-ფურნისი საფრანგეთის წინააღმდეგ³⁵ და სილიაუ საფრანგეთის წინააღმდეგ,³⁶ რომლებიც ეხება სპერმის დონაციის შედეგად დაბადებული პირებისათვის დონორის ვინაობის გარკვევის/იდენტიფიკაციის სამართლებრივ აკრძალვას: სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ, სოციალურმა მშობლებმა შვილებს (განმცხადებლებს) გაუმხილეს, რომ ისინი დაიბადნენ ხელოვნური განაყოფიერების მეთოდით, დონორის სპერმის გამოყენებით. ბიოლოგიური მამების ვინაობის დადგენის მიზნით, მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები თუმცა, უშედეგოდ, ვინაიდან ფრანგული კანონმდებლობით, აკრძალულია კვერცხუჯრედის/სპერმის დონორის ვინაობის გამჟღავნება, გამონაკლის შემთხვევაში, ექიმს აქვს უფლება სამედიცინო ჩვენების გათვალისწინებით, მკურნალობის მიზნებისთვის გაამჟღავნოს დონორის შესახებ არაიდენტიფიცირებადი ინფორმაცია. საფრანგეთის ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კვერცხუჯრედის/სპერმის დონაციის ანონიმურობის წესები გამიზნულია დონორთა, მიმღებთა (სოციალური მშობლების) და მათი ოჯახების პირადი და ოჯახური ცხოვრების დასაცავად. სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელმა ანონიმურობის ელემენტის დანერგვით მოახდინა არსებული (ბუნებრივი) რისკების დაბალანსებული შეფასება. თუმცა, განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ ფრანგული რეგულაცია დისკრიმინაციულია და არღვევს მათ უფლებას იყვნენ ინფორმირებული საკუთარი წარმოშობის შესახებ, რაც პირადი და ოჯახურ ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევაა. შესაბამისად, ევროპული სასამართლო წინამდებარე საქმეს განიხილავს ევროპული კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევის საფუძველით.

გასათვალისწინებელია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, გოდელი იტალიის წინააღმდეგ,³⁷ რომელიც ეხებოდა გაშვილებული ბავშვის უფლებას მოეძიებინა ინფორმაცია საკუთარ წარმომავლობაზე. იტალიის კანონმდებლობით, თუ ბიოლოგიური დედა უარს იტყოდა ვინაობის გამჟღავნებაზე, შემდგომში გაშვილებულ ბავშვს არ ჰქონდა თუნდაც, არაიდენტიფიცირებადი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. მომჩივანი აცხადებდა,

რომ მესამე პირთა ინტერესების დაცვის გამო, მას ერთმეოდა შესაძლებლობა გამოეკვლია საკუთარი ფესვები, პირადი ისტორიის არცოდნა კი, მას აყენებდა სერიოზულ ზიანს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მერვე მუხლის დარღვევა და განმარტა, რომ არ იქნა დაცული სამართლიანი ბალანსი ერთი მხრივ, ბავშვის უფლებას, სცოდნოდა საკუთარი წარმომავლობა და მეორე მხრივ, ბიოლოგიური დედის ინტერესს შორის – არ გაემჟღავნებინა პირადი ინფორმაცია. ასევე, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ,³⁸ გააკრიტიკა საფრანგეთის მარეგისტრირებელი ორგანოსა და სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვებს უარი ეთქვათ დაბადების რეგისტრაციაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა ბავშვების უფლება იდენტობაზე. მითითებულ საქმეებზე ამგვარი განმარტებები ქმნის მოლოდინს, რომ ზემოხსენებულ კომუნიცირებულ საქმეებზე ევროპული სასამართლო ამჯერადაც უზრუნველყოფს საკუთარი წარმომავლობის დადგენის უფლების სათანადო დაცვას, რაც უბიძგებს ხელმომწერ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ინტერესთა სამართლიანი მოწესრიგება.

4. დონაციის სასყიდლიანობა

რეპროდუქციული დონაციის სამართლებრივ და ეთიკურ პრობლემას წარმოადგენს სასყიდლიანობა. „ადამიანის უფლებათა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის 21-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის სხეული ან მისი ნაწილები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფინანსური მოგების წყაროდ“. აღნიშნული ნორმა გამომდინარეობს ამავე კონვენციის პრეამბულიდან და პირველი მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა დაიცვან თითოეული ადამიანის ღირსება და ინდივიდუალობა და არ უნდა დაუშვან, რომ ადამიანის სხეულის ნაწილები და ქსოვილები იქცეს ფინანსური სარგებლობის წყაროდ არც იმ პირისათვის, რომლისგანაც იქნა იგი აღებული და არც მესამე მხარისათვის, იქნება ეს კერძო პირი თუ დაწესებულება.³⁹

ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ ევროპის საბჭოს ანგარიშში (მეცხრე პრინციპი),⁴⁰ მითითებულია, რომ „კვერცხუჯრედის, სპერმის, ემბრიონის ან მათგან მიღებული ელემენტის დონორობისათვის არ უნდა იქნას მიღებული რაიმე მატერიალური სარგებელი, ანაზღაურებადია მხოლოდ ხელფასის დანაკარგი, სამგზავრო ან სხვა ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დონორობასთან არის დაკავშირებული.“ მიუხედავად ამგვარი რეკომენდაციებისა, რეპროდუქციული დონაციის სასყიდლიანობა ევროპის ქვეყნებში ცალსახად ერთგვაროვნად არ არის გადაწყვეტილი. გამეტების დონაციის დროს, დონორს ანაზღაურება

როგორც წესი, მიეცემა რეციპიენტისათვის სპეციალურად გაწეული მომსახურებისათვის, ამდენად, კომპენსაციის გადახდა ტკივილისა და დისკომფორტისათვის შედარებით გამართლებულია.⁴¹ თუმცა, მეტად პრობლემურია ემბრიონის დონაციის სასყიდლიანობა, ვინაიდან არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ გამეტების მიმწოდებლებმა, რომლებსაც ჭარბი ემბრიონები აქვთ, ისინი მატერიალური სარგებელის მიღების მიზნით გამოიყენონ, ხოლო უარეს შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი, სუსტი მხარე აღმოჩნდეს ექსპლუატაციის მსხვერპლი. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ემბრიონის შეძენით დაინტერესებულია არა მხოლოდ უშვილო პირი/წყვილი, არამედ ემბრიონთა ბანკები – შემნახველი კლინიკები, ასევე, მეცნიერები, რომელთა მიზანია კვლევის განხორციელება და ემბრიონთა ე. წ. „დილერები“, რომლებიც გარდა მზა ემბრიონებისა, ყიდულობენ ქალისა და მამაკაცის გამეტებსაც, ვინაიდან სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს უფრო უსაფრთხოა და თვითონ ქმნიან ემბრიონებს სხვა პირთათვის მიყიდვის მიზნით.⁴² ემბრიონით ვაჭრობა საყოველთაოდ არაეთიკური ქცევაა, რომელიც შეუთავსებადია ადამიანის ღირსებასთან, ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ნებადართულია ემბრიონის დონაცია როგორც წესი, პირდაპირ არის მითითება ფინანსური სარგებლობის მიღების დაუშვებლობაზე. აშშ-ის ფერტილური საზოგადოება რეკომენდაციის სახით განსაზღვრავს, რომ საზღაურის გადახდა ემბრიონის დონაციის დროს დაუშვებელია თუმცა, დონორს უნდა მიეცეს სამართლიანი კომპენსაცია დროის, დანახარჯებისა და განცდილი უხერხულობისთვის.⁴³ ემბრიონთა დონაციისას უმეტეს შემთხვევაში, in vitro განაყოფიერების შედეგად დარჩენილი, ჭარბი ემბრიონი გამოიყენება ისე, რომ დონორს მის შესაქმნელად განსაკუთრებული ძალისხმევა აღარ ესაჭიროება. ამასთან, წყვილის მიერ ემბრიონი იქმნება მომავალში სპეციალური ანაზღაურების მოლოდინის გარეშე,⁴⁴ რის გამოც ემბრიონის დონაციისათვის საზღაურის მოთხოვნა მათ შორის, ხარჯების დაფარვის მიზნითაც, გაუმართლებელია.

საქართველოს კანონმდებლობით, რეპროდუქციის მასალის/ემბრიონის დონაციის სასყიდლიანობა ცალსახად აკრძალული არ არის, ამიტომ პრაქტიკაში მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ კვერცხურედის, სპერმისა თუ ემბრიონის დონაციისათვის საფასურს, რაც მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილისათვის შემოსავლის წყაროდაც კი იქცა. „ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ორგანოებით ვაჭრობას დაუშვებლად მიიჩნევს, პირდაპირ მიუთითებს, რომ კანონი არ ვრცელდება რეპროდუქციული ორგანოების, ჩანასახისა და ემბრიონის ორგანოს გამოყენებაზე. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 135¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობად ვერ დაკვალიფიცირდება გამეტებისა

და ემბრიონის გადაცემის შესახებ სასყიდლიანი გარიგება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მითითებული კოდექსის 135-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს სისხლითა და სისხლის კომპონენტებით ვაჭრობასაც კი, როდესაც მათი აღდგენა-რეგენერაცია შესაძლებელია, ის ფაქტი, რომ ემბრიონის ბრუნვაში მონაწილეობა ეწინააღმდეგება სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, უდავოა.⁴⁵ რეპროდუქციული დონაციის კომერციალიზაცია ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას და ამდენად, აუცილებელია კომერციული დონაციის აკრძალვა არა მხოლოდ მოწყვლად პირთა, არამედ საზოგადოებრივი მორალის დასაცავად. დასაშვები შეიძლება იყოს მხოლოდ ხარჯების კომპენსაცია.

დასკვნა

რეპროდუქციული დონაციის უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მერვე მუხლით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების გამოვლინებაა. საქართველოს კანონით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, ნებადართულია გამეტებისა და ემბრიონის დონაცია, თუმცა, არსებული რეგულაციები ბუნდოვანი და ხარვეზულია. მიზანშეწონილია სპეციალური კანონის მიღება რეპროდუქციული უფლებების შესახებ, სადაც კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს რეპროდუქციული დონაციის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა დონაციის კომერციალიზაციის დაუშვებლობა, რაც ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებიდან გამომდინარეობს. ასევე, აღიარებული უნდა იქნას დონორის სასქესო უჯრედების გამოყენებით ჩასახული ბავშვის უფლება – იცოდეს საკუთარი წარმომავლობა. კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, ვინ შეიძლება იყოს დონორი თუ რეციპიენტი, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი უფლება-მოვლილება. სასურველია განისაზღვროს გამეტების დონორად ყოფნის ზღვრული ოდენობა, უნდა მოწესრიგდეს ემბრიონის სამედიცინო კვლევის მიზნით დონაციასთან დაკავშირებული საკითხები, მართალია, ადამიანის ემბრიონზე გაუმართლებელია კვლევა თუმცა, თავად ემბრიონის ჯანმრთელობის დასაცავად და მისი განვითარების მიზნით, შეიძლება გამონაკლისის დაშვება.

შენიშვნები:

- ¹ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004, 176.
- ² S.H. and Others v. Austria, no. 57813/00
- ³ იხ.: BVerfGE 88, 203/254, მითითებულია: B. Pieroth, B. Schilk., Grundrechte:Staatsrecht II, 18., neubearb. Auflage, 2002, C.F. Mueller Verlag, 86., კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., 2008, 106.
- ⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1591-ე პარაგრაფი.
- ⁵ S.H. and others v. Austria, no 57813/00
- ⁶ Anderson M.I., Are you My Mommy? A Call For Regulation Of Embryo Donation, Cap.U.L. Rev., Vol.35, 2006, 600.
- ⁷ ემბრიონის დონაცია რეციპიენტისათვის, რომელმაც მუცლად უნდა ატაროს, შვას და აღზარდოს ბავშვი, ზოგჯერ „ემბრიონის შვილად აყვანად“ – Embryo adoption მოიხსენიება.
- ⁸ Kovacs G., The Subfertility Handbook: A Clinician's Guide, 2nd ed., Cambridge University Press, 2011, 166.
- ⁹ <http://www.asrm.org/search/detail.aspx?id=2356&q=embryo%20donation>
- ¹⁰ [http://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/Activities/04_Human_embryo_and_foetus_en/CDBI-INF\(98\)8PMA.pdf](http://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/Activities/04_Human_embryo_and_foetus_en/CDBI-INF(98)8PMA.pdf)
- ¹¹ ნახეთ კანონი „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის წესის შესახებ.“
- ¹² Anderson M., Are you My Mommy? A Call For Regulation Of Embryo Donation, Cap.U.L. Rev., Vol. 35, 2006, 607.
- ¹³ Robertson J, Embryo Research, West Ontario Law Review, Vol. 2, 1986, 24.
- ¹⁴ Fiandaca Sh., In Vitro Fertilization and Embryos: The Need for International Guidelines, Alb.L.J.Sci.&Tech., Vol. 8, 1998, 344.
- ¹⁵ მიღებულ იქნა 1997 წლის 4 აპრილს, საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლის 1 მარტიდან.
- ¹⁶ ადამიანის უფლებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის განმარტებითი მემორანდუმი.
- ¹⁷ <https://rm.coe.int/16803113e4>
- ¹⁸ <http://assembly.coe.int/nw/xml/xref/xref-xml2html-en.asp?fileid=15134&lang=en>
- ¹⁹ [https://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/activities/04_human_embryo_and_foetus_en/CDBI-CO-GT3\(2003\)13E.pdf](https://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/activities/04_human_embryo_and_foetus_en/CDBI-CO-GT3(2003)13E.pdf)
- ²⁰ Parrillo v. Italy, no. 46470/11 დიდი პალატის გადაწყვეტილება
- ²¹ <https://rm.coe.int/16803113e4>
- ²² Cahn N., Accidental Incest: Drawing the Line-or the Curtain? For Reproductive Technology, 32 Harvard J.L.&Gender, Vol. 58, 2009,103.
- ²³ <https://rm.coe.int/inf-2016-4-map-october-2021-replies-e/1680a5652b>
- ²⁴ <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2008/22/body>
- ²⁵ <http://www.hfea.gov.uk/5838.html>
- ²⁶ <https://rm.coe.int/inf-2016-4-map-october-2021-replies-e/1680a5652b>
- ²⁷ <https://www.gesetze-im-internet.de/saregg/BJNR251310017.html>
- ²⁸ იხ.: საქართველოს კანონი „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“, მუხლი 65; ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლი.
- ²⁹ იხ.: საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 42-ე მუხლი, 1997.
- ³⁰ იხ.: საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, 28-ე მუხლი, 2000.

- ³¹ Cahm N., No Secrets: Openess and Donor-Concieved Half-Siblings, Cap.U.L.Rev., Vol. 39, 2011, 333.
- ³² იქვე.
- ³³ <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=27475&lang=en>
- ³⁴ <http://www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=28259&lang=en>
- ³⁵ Gauvin-Fournis v. France, no. 21424/16
- ³⁶ Silliau v. France, no. 45728/17
- ³⁷ Godelli v. Italy, no. 33783/09
- ³⁸ Mennesson v. France, no 65192/11
- ³⁹ ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის განმარტებითი მემორანდუმი.
- ⁴⁰ <https://rm.coe.int/16803113e4>
- ⁴¹ Kindregan Ch., McBrien M., Assisted reproductive technology; a lawyer's guide to emerging law and science, American Bar Association, 2006,122.
- ⁴² Robertson J., Reproductive Technology and Reproductive Rights: In The Beginning: The Legal Status Of Early Embryos, Va.L.Rev., Vol. 76, 1990, 512.
- ⁴³ Sauer M., Principles of oocute and embryo donation, Springer, 1998, 223.
- ⁴⁴ Sauer M., Principles of oocute and embryo donation, Springer, 1998, 253
- ⁴⁵ შუად. Robertson J., Reproductive Technology And Reproductive Rights: In The Beginning: The Legal Status Of Early Embryos, Va.L.Rev., Vol. 76, 1990, 514, რომლის მიხედვით, ემბრიონის კომერციალიზაცია აკრძალულ უნდა იქნას, მაგრამ დონორებს შეიძლება დაეკისროთ ემბრიონის შექმნის ხარჯები.



LEGAL ASPECTS OF REPRODUCTIVE DONATION AND THE CASE-LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

IRMA GELASHVILI

Doctor of Law,

Professor at the University of Georgia

The right to respect for his/her private and family life guaranteed by Article 8 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms includes the right to reproduction – the right of an individual to get information about safe, effective, acceptable, and lawful methods of family planning and birth control. The right to reproduction also includes the right of an individual to use the services that ensure safe pregnancy/childbirth and the birth of a healthy baby. Reproductive rights, in turn, imply the possibility of using assisted reproductive technology in the form of reproductive donation (gamete, embryo donation). This issue is highly sensitive and relates to complex moral and ethical issues. This is why the European Court of Human Rights typically notes that a Contracting State has a wide margin of appreciation when dealing with cases of reproductive donation.

Georgian legislation, in this regard, is vague and mostly unregulated. The Law of Georgia on Health Care is mainly limited to the recognition of reproductive donation with the categorical reservation

that the donor does not have the right to be recognized as a parent. Other important issues such as non-gratuitousness of donation, number-limit for being a donor, binding criteria for the donor, the shelf life of reproductive material, consequences in case of donor death, etc., are left open. The issue of donor confidentiality is especially relevant and noteworthy since the donor's right to privacy opposes the right of a person born as a result of a donation to know his/her origin. In the event of a conflict of interests, the human right to know one's origin should be given priority, which comes from the fundamental right of human dignity.

The paper analyzes the case-law of the European Court of Human Rights and makes suggestions for improving national legislation.

კორპორაციული მდგრადობა და ევროკავშირში მისი რეგულირების ზოგადი ანალიზი

დავით დოლიძე

სამართლის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ალტე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

წინამდებარე სტატიაში განხილულია კორპორაციული მდგრადობის ძირითადი მდგენელი, რომელიც გულისხმობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის მოსაზრებების ჩართვას კორპორაციულ მენეჯმენტში, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისა და ინვესტორთა პორტფელების გადანაწილების პროცესებში.

პრაქტიკა მოწმობს, რომ მხოლოდ სოციალურად პასუხისმგებელი ფირმები ახდენენ მათსავე მიერ გამოწვეული გარე უარყოფითი ფაქტორების ლოკალიზებას, ასევე, მზად არიან იყვნენ ანგარიშვალდებულნი როგორც საკუთარი აქციონერების, ისე დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო ჯგუფების წინაშე (ინვესტორები, თანამშრომლები, მომხმარებლები, მომწოდებლები და სხვა).

კორპორაციული მდგრადობა საკმაოდ ახალი მიმართულებაა, რომლის განვითარებამაც ევროკავშირში (მის საკორპორაციო სამართალში) დღეს, შეუქცევადი ხასიათი მიიღო. თანამედროვე პირობებში, როცა კორპორაციების ვიწრო მიზანს მხოლოდ მოგების მიღება აღარ წარმოადგენს და აღნიშნულ გზაზე მათ უწევთ სხვადასხვა ინტერესების გათვალისწინების ფონზე მოქმედება, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სტაბილური კორპორაციული ქცევის უზრუნველყოფას.

დღეს, ევროკავშირი შესაბამისი საკითხის დამუშავებას აქტიურად ახორციელებს. აქვე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა საერთაშორისო კლვევითი ორგანიზაციების მცდელობაც, ევროკომისიას შესთავაზონ სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები, კორპორაციული მდგრადობის გზაზე მოქნილ რეგულირებათა დანერგვის თვალსაზრისით. სტატიის ფარგლებში მიმოხილული და გაანალიზებული იქნება აღნიშნული მიმართულებით ევროგაერთიანების ძირითადი პოლიტიკა და მისი გამოხატულების კონკრეტული ფორმები.

ამდენად, წინამდებარე სტატიაში განხორციელდება კორპორაციული მდგრადობის ზოგადი ანალიზი და ამ თვალსაზრისით მოკლედ დახასიათდება შესაბამისი თანამედროვე ევროპული მოწესრიგება. დღევანდელი გადმოსახედიდან კორპორაციული მდგრადობა სწორედ ის კომპლექსური ხასიათის კატეგორიაა, რომლის აწმყოში განხორციელების შემთხვევაშიც, კორპორაციებს მაღალი ალბათობით უნდა მიეცეთ მომავალში პოზიტიური შედეგის მიღების შესაძლებლობა.

1. კორპორაციული მდგრადობის შინაარსი

კომპანიის კორპორაციული მდგრადობა აღნიშნავს ორგანიზაციის შესაძლებლობას, შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა მომავალში (უწყვეტობის პრინციპი) და ამით განაგრძოს თავისი საქმიანობა მომხმარებლებისათვის დამაკმაყოფილებელი პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების მიზნით. გრძელვადიანი ფინანსური წარმატების უზრუნველსაყოფად ბიზნესმა უნდა აღიაროს, რომ ის ოპერირებს გაცილებით უფრო დიდ ბიოფიზიკურ და სოციალურ გარემოში და ამ პროცესში პატივი სცეს იმ ლიმიტებსა და საზღვრებს, რომლითაც მოწესრიგებულია ეკოსისტემის მდგრადობა. შესაბამისად ფირმებს, განსაკუთრებით კი, მსხვილ მულტინაციონალურ კორპორაციებს ევალებათ იმოქმედონ ეკოლოგიურად მდგრადი და სოციალურად პასუხისმგებელი გზით, აქციონერების ღირებულებათა შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის.¹

აქციონერები, თანამშრომლები, კრედიტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები კომპანიის მხრიდან, შესაბამისი კომპენსირებით უნდა იქნან უზრუნველყოფილნი, ორგანიზაციას არ უნდა უჭირდეს საკუთარ ვალდებულებათა შესრულება. ანუ აღნიშნული კატეგორია კომპანიას საშუალებას აძლევს სათანადოდ წარმართოს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი აქტივიზმი უზრუნველყოფს რა, მასში შემდგომი ინვესტირების მაღალ ალბათობას.

ამდენად, კორპორაციული მდგრადობის განმარტება ხაზს უსვამს კავშირს კორპორაციულ-სოციალურ პასუხისმგებლობასა (Corporate Social Responsibility – CSR) და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (Environmental, Social and Governance – ESG) კრიტერიუმებთან. უფრო მეტიც, დღეს, ტერმინი CSR უკვე ხშირად გამოიყენება ურთიერთშენაცვლებით ტერმინთან ESG და ორივე მათგანი გულისხმობს შესაბამისი კატეგორიების ჩართვას კორპორაციული მენეჯმენტისა და ინვესტორების პორტფელების გადანაწილების პროცესში.² კონკრეტულად, მაგალითად, უკანასკნელი ტერმინიდან ელემენტი E აღნიშნავს გარემოსდაცვით (Environmental) აქტივობას, ის ზომავს კომპანიის გავლენას ბუნებრივ ეკოსისტემაზე, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას წარმოების პროცესში და ა. შ.³ სოციალური განზომილება, ელემენტი S (Social) მოიცავს კომპანიის ურთიერთობას მის სამუშაო ძალასთან, მომხმარებლებთან და საზოგადოებასთან. მაგალითად, კორპორაციის ძალისხმევა იზრუნოს საკუთარ მუშაკებზე (დასაქმების ხარისხი, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ტრენინგი, განვითარება), ჰყავდეს კმაყოფილი მომხმარებლები (ხარისხიანი საქონლის/მომსახურების წარმოება, რომელიც მომხმარებელს იცავს) და ამ გზით იყოს კარგი რეპუტაციის მქონე იურიდიული პირი იმ საზოგადოებაში, სადაც ის მოქმედებს.⁴ რაც შეეხება ბოლო ელემენტს – G (Governance), ის აღნიშნავს მმართველობას. მიმართულება ერთი მხრივ, გულისხმობს ტრადიციული კორპორაციული მართვის მექანიზმებს, რაც აიძულებს მენეჯმენტს იმოქმედოს მისი კომპანიისა და აქციონერების გრძელვადიანი ინტერესების შესაბამისად და მეორე მხრივ, მისი გაგება შესაძლოა მოხდეს უფრო ინკლუზიური დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, რა დროსაც ამ პროცესში მნიშვნელობას იძენს უმცირესობის უფლებათა დაცვა. (მაგალითად, გენდერული ბალანსი მენეჯმენტში, რასის მიხედვით დისკრიმინაციის დაუშვებლობა და სხვა).⁵

როგორც წესი, ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი კომპანიები არიან ისეთები, რომელთაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ დაინტერესებულ მხარეთა კანონიერი პრეტენზიები და გასწიონ სოციალური თუ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობანი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კომპანიათა კორპორაციული მართვის თანამედროვე ევროპული პრაქტიკა უფრო

ხშირად, ფოკუსირებულია აქციონერთა ღირებულებების პრიმატზე. ამასთან დაკავშირებით, ევროკომისიის სახელით მომზადებული „დირექტორების მოვალეობებისა და მდგრადი კორპორაციული მმართველობის შესახებ“ (Study on Directors duties and sustainable corporate governance) ბოლო კვლევა აჩვენებს, რომ მრავალი კომპანია განსაკუთრებით კი, ისინი, ვინც დაღისტულია თვითრეგულირებად საფონდო ბირჟებზე, განიცდიან ზეწოლას, რათა უმთავრესი ფოკუსირება მოახდინონ ინვესტირებულ კაპიტალზე ფინანსური ანაზღაურების გამომუშავებაზე.⁶ ამ დროს სახეზეა ერთგვარი მოკლევადიანი (Short – Term) პერსპექტივის უპირატესობა, რა დროსაც კომპანიებს უწევთ მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილის გადანაწილება აქციონერებზე, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს როგორც კორპორაციის გრძელვადიან (Long – Term) განვითარებას, ისე საზოგადოებისა და გარემოს მდგრად უზრუნველყოფას.⁷

„კარგის კეთება სიკეთის კეთებით“ მოკლევადიანი თეორიის გამოხატულებაა. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, გრძელვადიანი ინვესტორები დროებით თანახმანი არიან მიიღონ დაბალი შემოსავალი ე.წ. „მწვანე ინვესტიციებზე“, რათა თავიდან აიცილონ მომავალი ზარალი კლიმატის ცვლილებების რისკიდან გამომდინარე.⁸ თავის მხრივ, ეს რისკი შესაძლებელია დაიყოს სამ კომპონენტად: 1. ბუნებრივი კატასტროფების რისკი, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვზე; 2. ტექნოლოგიური რისკი, რომ პროდუქტები ან პროცესები მოძველდება, რაც უარყოფითად იმოქმედებს დაბანდებული აქტივების ღირებულებაზე; 3. არსებობს მარეგულირებელი რისკი, მაგალითად, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიმიტირება, გარკვეული პროდუქციის წარმოების აკრძალვა.⁹ თუმცა, საბოლოოდ, ასეთი მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს თავად კორპორაციაზე და მის სტაბილურ სიცოცხლისუნარიანობას უქმნის საფრთხეს.

ევროკავშირის კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები თანდათან, სულ უფრო მეტად განაპირობებენ ე.წ. „ევროპის მწვანე გარიგებას“¹⁰ (Europe’s Green Deal), მდგრადი ფინანსური ინიციატივების მეშვეობით, რომელიც საბოლოოდ, მხარდაჭერილია სპეციალური პოლიტიკით, მათ შორის, უზრუნველყოფილია ევროპის ცენტრალური ბანკის დაფინანსებით.¹¹

მსგავსი მიდგომა ფოკუსირებულია მდგრადი წინსვლის საბაზრო-საფინანსო ასპექტზე. შემდგომ კი, უკვე ინვესტორებსაც მოეთხოვებათ მოახდინონ მყარი განვითარების საკითხთა ინტეგრირება საკუთარი პორტფელის სტრატეგიებსა და კომპანიასთან მიდგომებში.¹²

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სტრატეგიები დამატებით უნდა დაიხვეწოს, კონკრეტული კორპორაციული ფარგლების გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებულია კორპორაციული რესურსების გამოყენებაზე, მართვაზე (მენეჯმენტზე). როგორც წესი, კომპანიებს თავადვე ესაჭიროებათ ხელი შეუწყონ მდგრად კორპორაციულ გეგმებს, შესაბამისი რესურსების შეგროვების ფონზე გრძელვადიანი კორპორაციული სამოქმედო ინსტრუქციების შემუშავებისა და რეალიზაციის მიზნით, სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ჩათვლით. აღნიშნულ კატეგორიათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია როგორც ზოგადად, რესურსების გონივრული გამოყენება, ისე სამართლებრივი ბალანსის დაცვა სამოქმედო გეგმათა შესასრულებლად, კონკრეტულად განაწილებულ და გამოყოფილ ღირებულებათა მოხმარების პროცესში.

ამდენად, კომპანიის მდგრადობის (კორპორაციული სტაბილურობის)¹³ განმარტება კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის პარადადიმატურ პრინციპს ეყრდნობა, ეფუძნება რა ფირმის, როგორც მეწარმე იურიდიული პირის თეორიას. თანამედროვე პირობებში კორპორაციული მდგრადობისადმი მიდგომა გულისხმობს სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობათა ინტეგრირებას იმ ინვესტიციებისა და ხარჯების განსაზღვრის პროცესში, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებისა და ბუნების გაძლიერებისა და დაცვისათვის.¹⁴ აღნიშნული ინვესტიციები და ხარჯები ხორციელდება კომპანიის სახელით, გადაწყვეტილების მიმღებთა პასუხისმგებლობით. გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაცია იღებს მოგებას ადამიანური და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით, მან ასევე, უნდა მოახდინოს აღნიშნულ რესურსთა გაძლიერება და დაცვა – სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ეს მოსაზრება მიუთითებს გონივრულ მიდგომაზე რესურსების მოხმარებისა და პროდუქციული ძალაუფლების მართვის მიმართ, რომელიც უნდა შენარჩუნდეს და განახლდეს დროთა განმავლობაში.¹⁵

საკორპორაციო სამართლისა და კორპორაციული მართვის სფეროში ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი დებატები ხაზს უსვამს საკითხს კომპანიის მიზნის შესახებ, რომელიც როგორც წესი, უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ აქციონერთა ფინანსური უზრუნველყოფის მოტივი.¹⁶ ამ შემთხვევაში მნიშვნელობას იძენს ფინანსური აღრიცხვის საკითხები, რომელთა საფუძველზედაც დგინდება მოგება, განსაკუთრებით კი, გასანაწილებელი მოგების ნაწილი. უფრო კონკრეტულად, ერთი მხრივ, მიღებული შემოსავლებიდან დაინტერესებულ მხარეთა ფინანსური უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი, იმ ინვესტიციათა დაცვა და ხარჯების დაფარვა, რომელიც აუცილებელია როგორც კომპანიის საქმიანობის მხარდასაჭერად, ისე კორპორაციული, სოციალური და გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესასრულებლად. შესაბამისად,

ამ დროს სახეზე არ არის დილემა: შემოსავალი თუ მიზანი? არამედ უფრო აქტუალურია მოგების მოცულობა და ის თუ რა მიზნებისთვის იქნება შემოსავალი გამოყენებული.¹⁷ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ფრიდმენის დოქტრინა (სოციალური პასუხისმგებლობის მიზანია – ბიზნესმა გაზარდოს საკუთარი შემოსავალი), რომლის მიხედვითაც, კომპანიის მხრიდან დაინტერესებულ მხარეთა ინტერესთა გათვალისწინება გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის აქციონერთა ღირებულების მაჩვენებელს.¹⁸

ევროკავშირის არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა (Non – Financial Reporting Directive – NFRD) და ევროკომისიის მიერ განხორციელებული მისი მიმდინარე მიმოხილვა მიუთითებს მდგრადობის ანგარიშგებაზე, როგორც ფინანსურ ანგარიშგებასთან თანაბარ კატეგორიაზე, რითაც ის უზრუნველყოფს კავშირს აღნიშნულ ორ მიმართულებას შორის, მთლიანობაში კორპორაციული ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით.¹⁹ ამ დროს არაფინანსური ანგარიშგების კონტექსტში სახეზეა ე.წ. „ორმაგი მატერიალურობის“ პრინციპი, რომელიც მოითხოვს, როგორც გავლენის მატერიალურობის შეფასებას (იგულისხმება კომპანიასა და მის მიერ ღირებულებათა წარმოების ჯაჭვზე გარე გავლენის ფაქტორები), ისე ფინანსურ მატერიალურობას (მდგრადობის საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე).²⁰

კორპორაციული მდგრადობა სწორედ აღნიშნული ორი კატეგორიის შემადგენელი პუნქტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის, როგორც მოქმედი საწარმოს გრძელვადიანი პერსპექტივა.²¹

თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დირექტივით რეგლამენტირებული არაფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების რეჟიმი რამდენიმე წელია მოქმედებს, მისი სრული ეფექტი ჯერაც არ განხორციელებულა, რადგანაც კომპანიებს უწევთ ბრძოლა მასთან მორგებაზე.²² მეტად სავარაუდოა ისიც, რომ მნიშვნელობიდან გამომდინარე, დირექტივის გავლენა გაუმჯობესდება, რაც აუცილებლად დაეხმარება ტრანზიტს უფრო მდგრადი მმართველობისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის დღევანდელი სახე არ არის ოპტიმალური, მდგრადი ბიზნესქცევის ხელშეწყობა უმთავრესი დღის წესრიგია, რომლის მიღწევაც დირექტივის გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს.²³ არაფინანსური პასუხისმგებლობის მიმდინარე რეჟიმის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ კომპანიებს მოეთხოვებათ შესაბამისი ანგარიშგების წარდგენა, თუმცა, მათ არ ეუბნებიან, თუ როგორ იმოქმედონ უფრო მდგრადად. აღნიშნულის ნაცვლად, კომპანიებს სთავაზობენ მოახდინონ

საკუთარი პოლიტიკისა და მიზნების განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა ვერ შეძლებს ყველა კომპანიისათვის ერთიანი პოლიტიკისა და მიზნების ფორმულირებას, აქტუალობას იძენს ორგანიზაციებისათვის აღნიშნულის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობის მიცემა, შემდეგ კი, მათი იძულება დეკლარირებული პოლიტიკისა და მიზნების დაცვაზე.²⁴

2. სტაბილური ბიზნესის წარმართვის ხელშეწყობა

ევროკავშირის საკორპორაციო კანონმდებლობა და რეგულაციები როგორც უკვე ითქვა, ხელს უწყობს „ევროპის მწვანე გარიგებას“²⁵ და აქტიურ როლს ასრულებს გლობალურ იმპულსში მდგრადი ბიზნესის წარმოების უზრუნველყოფის მიზნით.²⁶ აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ევროკავშირის რეგულაციათა სამი ძირითადი სფერო, რომელიც აჩვენებს ბიზნესქცევათა სტაბილურობის განვითარების სხვადასხვა დონეებს: 1. უშუალოდ საკორპორაციო სამართლის დებულებები, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციები; 2. არაფინანსური ანგარიშგება; 3. მდგრადი კორპორაციული მართვა.

კონკრეტულად საკორპორაციო სამართალს ევროკავშირის კანონმდებლობაში განვითარების საკმაოდ ისტორია აქვს და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. 2017 წელს, საკორპორაციო სამართლის დირექტივა განახლებულად იქნა კოდიფიცირებული, თუმცა, დირექტივის გადასინჯვის პროცესი დღესაც მიმდინარეობს.²⁷ სავარაუდოა, რომ ცვლილებათა უახლესი პაკეტი სწორედ კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობის ნორმატიული მექანიზმებით იქნება დატვირთული.

არაფინანსური ანგარიშგების ნაწილი ევროკავშირის რეგულაციებში შედარებით უფრო ახალი მიღწევაა.²⁸ 2021 წლის აპრილში, ევროკომისიამ მიიღო წინადადება კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის შესახებ (Corporate Sustainability Reporting Directive – CSRD), რომელმაც უნდა შეცვალოს არაფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ის მოთხოვნები, რომლებსაც თავის მხრივ, დღეს ფარავს ზემოაღნიშნული დირექტივა არაფინანსური ანგარიშგების თაობაზე (Non-Financial Reporting Directive – NFRD). ახალი წინადადება ითვალისწინებს ევროკავშირში მდგრადობის ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით საბოლოო პროექტის შემუშავება ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ჯგუფის მიერ უნდა მოხდეს (European Financial Reporting Advisory Group – EFRAG).²⁹

უკანასკნელ წლებში, ევროკომისიის ერთ-ერთ უახლეს ინიციატივას კომპანიათა მდგრადი კორპორაციული მმართველობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული თვალსაზრისით, 2020 წლის ივლისში ჩაშვებული პროექტი ჯერ კიდევ, განვითარების ადრეულ ფაზაშია.³⁰

მოკლედ, ევროკავშირის თანამდროვე მოწესრიგებათა კატალოგი დღეს მაქსიმალურად არის ფოკუსირებული დაძლიოს კორპორაციულ მდგრადობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, ხელი შეუწყოს კომპანიების ეფექტიან მენეჯმენტს, რაც საბოლოოდ, დადებითად იმოქმედებს ორგანიზაციათა მიერ სათანადო ფინანსურ აღრიცხვაზე, მდგრად კორპორაციულ მართვასა და ექსტრა-ფინანსურ ანგარიშგებებზე.³¹ ამ ნაწილში ევროკავშირის რეგულაციები ემყარება წინდახედულობის ზოგად პრინციპს, რომელიც გაზიარებულ უნდა იყო კორპორაციის კაპიტალის მმართველი მენეჯმენტის მიერ.³²

წინდახედულობა ყოველთვის წინ უძღვის კომპანიის, როგორც ავტონომიური წარმონაქმნის არსებობას და მისი პასუხისმგებლობის შეზღუდულ ფორმას ინვესტორებისა თუ თავად საკუთარ აქციონერთა მიმართ. აღნიშნული პერსპექტივიდან კორპორაციის კაპიტალი განკუთვნილია მისივე ფინანსური მხარდაჭერისათვის, დროთა განმავლობაში (ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად).³³ ამ დროს აქციონერთა დაკმაყოფილება დაიშვება მხოლოდ მოსალოდნელი რეალიზებადი მოგებიდან ან სპეციალურად შექმნილი გასანაწილებელი რეზერვებიდან. სათანადო ფინანსური აღრიცხვის ინსტრუმენტები ეხმარება მენეჯმენტს დაგროვილი გასანაწილებელი მოგების განცალკევებაში, როგორც აქციონერთა შენატანებიდან, ისე არაგანაწილებადი გონივრული რეზერვებიდან. კომპანიის კაპიტალის ზრდა და შემცირება ამ დროს სპეციფიკურ კონტროლს ექვემდებარება. ამდენად ორგანიზაციის კაპიტალის გონივრული მენეჯმენტი კორპორაციული მდგრადობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.³⁴

კომპანიათა სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით, ევროპის ფარგლებში დღეს ასევე, საკმაოდ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებშიც, რომლებიც მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, ევროკომისიას აწვდიან რეკომენდაციებს მათი თვალსაზრისით, კორპორაციული მდგრადობის ყველზე უფრო სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომაცაა, რომ უკვე შესაძლებელია არა ერთი ინტერდისციპლინური კვლევის მოძიება, რომელიც ცდილობს ნათელი მოჰფინოს მდგრადი ბიზნესქცევის საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფის შესაძლებლობას.³⁵

ევროკავშირის მასშტაბით, დღეისათვის კორპორაციული მდგრადობის უზრუნველყოფი ძირითადი რეგულაციების კატალოგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის დირექტივა (EU) 2017/1132, (საკორპორაციო სამართლის დირექტივა), რომელიც ეხება საკორპორაციო სამართლის გარკვეულ ასპექტებს.³⁶ დირექტივა სავალდებულოა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული ყველა კორპორაციისათვის;³⁷

2. ფინანსური ანგარიშგება – ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა 2013/34/EU წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და გარკვეული ტიპის საწარმოების შესაბამისი ანგარიშგების შესახებ (საბუღალტრო აღრიცხვის დირექტივა), რომელიც თავის მხრივ, ცვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/43/EC დირექტივას. დირექტივა სავალდებულოა იმ დალისტული კორპორაციებისათვის, რომელთა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაც ხორციელდება შესაბამის საფონდო ბირჟებზე. აღნიშნული მიზნით, კომპანიებმა უნდა მოამზადონ თავიანთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად³⁸ (IFRS – International Financial Reporting Standards). დირექტივის მიხედვით, წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და შესაბამის ეროვნულ ბიზნეს რეესტრებში წარდგენის ვალდებულება ასევე, აქვთ იმ შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებს, რომლებიც ევროკავშირის ფარგლებში აწარმოებენ კომერციულ საქმიანობას.³⁹ ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივა აგრეთვე, იძლევა მცირე კომპანიებისათვის ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების შესაძლებლობას. ის უშვებს გამარტივებული ანგარიშგების რეჟიმს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის და ძალიან მსუბუქ რეჟიმს მიკროკომპანიებისათვის;⁴⁰

3. არაფინანსური აღრიცხვა, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგება. დირექტივა 2014/95/EU (არაფინანსური აღრიცხვის დირექტივა) ადგენს წესებს გარკვეული ტიპის მსხვილი კომპანიების მიერ არაფინანსური და მრავალფეროვანი ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ (ასევე, ამუშავებს ბუღალტრული აღრიცხვის 2013/34/EU დირექტივას).⁴¹ ამ ნაწილში აგრეთვე აღსანიშნავია, ზემოთ განხილული ევროკომისიის 2021 წლის 21 აპრილის წინადადება კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის შესახებ (CSRD).⁴² როგორც შესაბამისი დირექტივით, ისე წინადადებით ინიცირებული საკითხები შემხებლობაშია მსხვილი საზოგად-

დოებრივი ინტერესის მქონე კომპანიებთან, რომელთაც 500-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავთ. ეს მოიცავს დაახლოებით, 11 700 მსხვილ კომპანიას და ჯგუფს ევროკავშირის მასშტაბით. მათ შორის არიან დალისტული კორპორაციები, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, რომლებსაც შესაბამისი კანონმდებლობების მიერ მინიჭებული აქვთ საჯარო საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სუბიექტის სტატუსი.⁴³

ევროპული მიდგომით მდგრადი განვითარების იდეა საფუძვლად უდევს კომპანიის, როგორც ბიზნესის უწყვეტობის კონცეფციას, რომელიც გულისხმობს დასაქმებულთა და კრედიტორთა უფლებების დაცვის მაღალ დონეს და მდგრადი ინვესტიციების ისეთ აღქმას, სადაც გათვალისწინებულია სოციალური და გარემოსდაცვითი მოსაზრებები.⁴⁴ ევროკავშირის როგორც პირველადი, ისე მეორადი სამართლებრივი წყაროების მიხედვით, აშკარაა პასუხისმგებლობიანი და მდგრადი ბიზნესქცევისადმი პრიორიტეტი მოკლევადიან ორიენტაციასთან მიმართებით, რომელიც ძირითადად, აქციონერთა ღირებულებასა და პრიმატს უსვამს ხაზს.⁴⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თანამედროვე პირობებში კომპანიის კაპიტალის შენარჩუნების ევროპულ რეჟიმს ახასიათებს გარკვეული ლიმიტი და ნაკლოვანებებიც, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კორპორაციულ მდგრადობას. შესაბამისი მარეგულირებლის წინასწარი მიმოხილვა უჩვენებს, რომ ევროკავშირის კოდიფიკაციებში ინტეგრირებული გარანტიები პრაქტიკულად ნაკლებად ეხება გრძელვადიან მდგრადობას, ისინი უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებენ ერთი მხრივ, აქტივებისა და ვალდებულებების არსებულ სააღრიცხვო ფარგლებზე, ხოლო მეორე მხრივ კი, საწესდებო კაპიტალსა და გაუნაწილებელ რეზერვებზე.⁴⁶ ეს სააღრიცხვო მექანიზმები შექმნილია ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის და შესაძლოა ის არ იყოს ყველზე უფრო შესაფერისი კორპორაციული მდგრადობის გამოწვევებთან. გარდა ამისა, სააქციო კაპიტალიც და მასთან დაკავშირებული არაგანაწილებადი რეზერვებიც თავიდან არ ყოფილან განსაზღვრულნი კორპორაციული მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მისი უფრო ფართო მნიშვნელობითა და იმ შედეგების გათვალისწინებით, რაც აღნიშნულ კატეგორიას მოაქვს ბიზნესისა და საზოგადოებისათვის. ამდენად, გარკვეული ხელშეშლელი გარემოებები სახეზეა. აქედან გამომდინარე, დღეს ევროკავშირის ჰარმონიზაციას განსაკუთრებული მიზანი აქვს – უზრუნველყოს გრძელვადიანი კორპორაციული მდგრადობა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება კომპანიის სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები.⁴⁷

3. კორპორაციული მდგრადობის სათანადო გულმოდგინება

მაშინ, როდესაც ევროპული კომპანიები გლობალური ლიდერები არიან მდგრადობის მაჩვენებლებში, რაც თავის მხრივ, ემყარება ევროკავშირის ღირებულებებს, კომპანიათა მიერ ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და გარემოზე ნეგატიური გავლენის შემცირების კუთხით, პროგრესი მდგრადი შიდა კორპორაციული მართვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, კვლავაც ნელი რჩება.

2022 წლის 23 თებერვალს, ევროკომისიამ მიიღო წინადადება კორპორაციული მდგრადობის სათანადო გულმოდგინების შესახებ დირექტივის თაობაზე. წინადადება მიზნად ისახავს სტაბილური და პასუხისმგებელი კორპორაციული ქცევის ხელშეწყობას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში.⁴⁸

კორპორაციული გულმოდგინება, კომპანიის სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. კატეგორია ერთგვარ გეგმათა ქსელია, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის გამართულ ფუნქციონირებას.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდგრადი ეკონომიკისა და საზოგადოების მშენებლობაში, მათ მოეთხოვებათ განსაზღვრონ და საჭიროების შემთხვევაში კი, თავიდან აიცილონ, შეწყვიტონ ან შეამსუბუქონ საკუთარი საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის უფლებებზე, გარემოზე და სხვა⁴⁹

წინადადების პათოსი ბიზნესისათვის ახალი წესების დანერგვაში მდგომარეობს, რაც თავის მხრივ, უსაფრთხოებისა და თანაბარი სათანადო პირობების ბაზისი უნდა გახდეს. მომხმარებლებისა და ინვესტორებისათვის ისინი უზრუნველყოფენ მეტ გამჭვირვალობას, როგორც ევროპის მასშტაბით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.⁵⁰

დღეისათვის რამდენიმე ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ უკვე შემოიღო ნაციონალური წესები სათანადო გულმოდგინების შესახებ,⁵¹ აქვე ცალკეულმა კორპორაციებმაც საკუთარი ინიციატივით მიიღეს მსგავსი ზომები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამ შემთხვევაში საჭიროა ფართომასშტაბიანი გაუმჯობესება, რაც ძნელია მიღწეულ იქნას, მხოლოდ ნებაყოფლობითი მოქმედებებით.

წინადადების ინიცირებამდე ამ მიმართულებით, ევროკავშირმა არა ერთი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ აღსანიშნავია: ევროპარლამენტის 2021 წლის 10 მარტის რეზოლუცია კორპორაციულ გულმოდგინებასა და ანგარიშგებაზე; 2020 წლის ევროკომისიის კვლევა დირექტორთა ვალდებულებებსა და მყარ კორპორაციულ მართვაზე (Ernst & Young Report იქვე); 2020 წლის ევროკომისიის საკონსულტაციო წინადადება კორპორაციული გულმოდგინების ინიციატივაზე.

წინადადების მიხედვით, სათანადო გულმოდგინების დირექტივით დადგენილი ახალი წესები უნდა გავრცელდეს შემდეგ კომპანიებსა და ბიზნესსექტორებზე:⁵²

ევროკავშირის კომპანიები – გამოიყოფა ორი ჯგუფი:

ჯგუფი 1: გაერთიანების ფარგლებში რეგისტრირებული ყველა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ზომა და ეკონომიკური ძალა (500-ზე მეტი თანამშრომელი და 150 მილიონ ევროზე მეტი წლიური ბრუნვა მსოფლიოს მასშტაბით);

ჯგუფი 2: დანარჩენი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ მაღალი რისკის ბიზნესსექტორებში. ისინი შესაძლოა ვერ აკმაყოფილებდნენ პირველი ჯგუფის მოთხოვნებს, თუმცა როგორც წესი, მათ ჰყავთ 250-ზე მეტი თანამშრომელი და 40 მილიონ ევროზე მეტი წლიური ბრუნვა მსოფლიოს მასშტაბით.

წინადადება კომპანიებისაგან მოითხოვს:⁵³

1. ყოვლისმომცველი გულმოდგინების პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ქცევის კოდექსებს, როგორც სახელმძღვანელოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;
2. კომპანიის ვალდებულება მიიღოს შესაბამისი ზომები საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის შედეგად წარმოქმნილი ფაქტობრივი და პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების გამოსავლენად;
3. კომპანიის მისია, გაატაროს ადეკვატური ღონისძიებები რეალური უარყოფითი ზემოქმედების დასასრულებლად ან რისკების შესამცირებლად;
4. კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა;
5. კომპანიებმა უნდა შექმნან ჩარჩო, რათა უზრუნველყონ, რომ მათი ბიზნესმოდელი და სტრატეგია თავსებადი იყოს მდგრად ეკონომიკასთან ადაპტირებისათვის;
6. გულმოდგინების პროცესი მოიცავს რისკების მენეჯმენტსა და შესაბამისობის პროგრამებს.

უფრო კონკრეტულად, ზემოაღნიშნული ნიშნავს ბიზნესის მხრიდან, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, ისე გარემოზე უარყოფითი

გემოქმედების თავიდან აცილებას. კომპანიებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები სხვადასხვა გემოქმედების სიმძიმისა და ალბათობის, კონკრეტულ გარემოებებში კომპანიისათვის ხელმისაწვდომი ღონისძიებებისა და პრიორიტეტების დადგენის საჭიროების გათვალისწინებით.

იმის უზრუნველყოფაში, რომ სათანადო გულმოდგინება გახდეს კორპორაციების მთელი ფუნქციონირების ნაწილი, საჭიროა მათი დირექტორების ჩართვა.⁵⁴

სწორედ ამ მიზნით, წინადადება ასევე, ითვალისწინებს დირექტორთა მოვალეობებს დააწესონ და გააკონტროლონ სათანადო გულმოდგინების ინტეგრირება და მისი შეუფერხებლად განხორციელება კომპანიის სტრატეგიაში.⁵⁵ გარდა ამისა, ამ პროცესში ხელმძღვანელები პირადი ბოჭვის ტვირთსაც იზიარებენ. კერძოდ, კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საკუთარ მოვალეობათა შესრულებისას, დირექტორებმა უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებები, კლიმატის ცვლილება და მათი გადაწყვეტილების გარემოსდაცვითი შედეგები.⁵⁶ აღნიშნული მიმართულებით, დირექტორებს უწევთ გონივრული ინიციატივების მიღება/განხორციელებაც, რომლებიც შესაძლოა სამ ძირითად სახედ დაიყოს: 1. რეპუტაციური წინადადებები: ძირითადი მიზანია კორპორაციული მდგრადობის უზრუნველყოფა გულმოდგინების დაცვით, კომპანიისათვის მაღალი რეპუტაციის ღონის შენარჩუნების საფუძველზე; 2. სამართლებრივი შესაბამისობის ინიციატივები: ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაზე, ისინი ძირითადად, ეფუძნება მენეჯერთა ლეგალურ მოვალეობებს, რომლებიც კომპანიის სახელით იღებენ გადაწყვეტილებებს, ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად; 3. კონსტრუქციული ინიციატივები: დირექტორთა შესაძლებლობა, სათანადოდ იმოქმედონ კომპანიის იურიდიული კონსტრუქციის ფარგლებში (ასევე, იგულისხმება შიდაკორპორაციულ ურთიერთობებში პოზიტიური წინადადებების წამოჭრა).⁵⁷

მსგავსი ინიციატივების პირობებში იზრდება კორპორაციის გრძელვადიანი წარმატების შესაძლებლობა. ამ დროს სახეზეა ხელმძღვანელობის ზრუნვა ზემოაღნიშნული კომერციული საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის დაცვით, მომავალში კონკურენტუნარიანი, ეკონომიკურად ძლიერი ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიმართ. თავის მხრივ, გრძელვადიანი პერსპექტივიზმის ძირითადი პოზიტიური მაჩვენებლებია: სიმყარე, სტრატეგიულობა, სტაბილურობა, მუდმივობა.⁵⁸

საბოლოოდ, წინადადება დასამტკიცებლად ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა წარედგინოს. წინადადების დირექტივად მიღების შემდეგ, წევრ სახელმწიფოებს ორი წელი ექნებათ

დოკუმენტის მოთხოვნათა ეროვნულ კანონმდებლობებში გადასატანად და კომისიისათვის შესაბამისი ტექსტების გადასაცემად.

დასკვნა

სტატიაში მოცემული კვლევის საფუძველზე სახეზეა, კორპორაციული მდგრადობის მნიშვნელობის შეუქცევადი ხასიათი. აღნიშნულ პროცესში ძირითად ასპექტებად ბიზნესის მხრიდან მოგების მიღების გზაზე სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაზიარება და უზრუნველყოფა გვევლინება. კორპორაციას უნდა შესწევდეს უნარი საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში არ უგულებელყოს მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მხარეთა ინტერესები და ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, აღნიშნულ კატეგორიათა მაქსიმალური ინტეგრირება მოახდინოს მუდმივი კომერციული საქმიანობის ჯაჭვში.

უკანასკნელ პერიოდში აშკარაა ევროკავშირის მზაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან მხარდაჭერით მოახდინოს გემოაღნიშნულ კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი კრიტერიუმების წევრ სახელმწიფოთა შიდაწინააღმდეგობით საკორპორაციო-სამართლებრივ სივრცეებში ჰარმონიზაცია და ამ გზით, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი კორპორაციათა საქმიანობაში უშუალოდ ჩართულ პირებს, გააუმჯობესონ მენეჯმენტის ხარისხი. ხოლო მათ კი, ვისაც აქვს კეთილსინდისიერი დაინტერესება კონკრეტული ბიზნესსუბიექტის მიმართ, შეუქმნას მოლოდინთა გამართლების სათანადო გარანტიები. ამ ნაწილში შეგვიძლია მოვიზიაროთ პოტენციური ინვესტირებაც. დღეის მდგომარეობით, კომპანიები, რომლებიც ცდილობენ უზრუნველყონ სათანადო კორპორაციული მდგრადობა ინვესტორთა მაღალი ნდობით სარგებლობენ.⁵⁹

დასკვნით ნაწილში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ კონკრეტულად რა სარგებელი მოაქვს ახალ წესებს. კერძოდ, ამ დროს პირობითად შეიძლება გამოიყოს გარე საზოგადოებისა და თვითონ კორპორაციის ბენეფიტების კატალოგები.⁶⁰

კორპორაციული მდგრადობა საზოგადოების წევრთათვის უზრუნველყოფს:

- ადამიანის უფლებათა უკეთ დაცვას, იგულისხმება შრომითი უფლებებიც;
- ჯანსაღ გარემოს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის;
- ბიზნესის მიმართ ნდობის ზრდადობას;
- მეტ გამჭვირვალობას, რაც ინფორმირებული არჩევნის საშუალებას იძლევა;

- დაზარალებულთათვის მართლმსაჯულების უკეთეს ხელმისაწვდომობას.

კორპორაციულ სტაბილურობას თავად კომპანიისათვის კი, მოაქვს შემდეგი სარგებელი:

- სამართლებრივი უსაფრთხოება და თამაშის თანაბარი პირობები;
- მომხმარებელთა მეტი ნდობა და თანამშრომელთა ერთგულება;
- გარემოზე ბიზნესის უარყოფითი გავლენის შესახებ ადამიანთა უკეთესი ინფორმირებულობა;
- რისკების ეფექტიანი მეჯენემენტი და ადაპტირება;
- მდგრადობაზე ორიენტირებული ბიზნესის მიმართ ინვესტორთა დაინტერესება;
- ინოვაციებზე მეტი აქცენტი;
- ფინანსების განკარგვის უკეთესი სტრატეგია.

კორპორაციული მდგრადობა ახალი ტენდენციაა, აღნიშნული პროცესი თანამედროვე პირობებშიც მიმდინარეობს და ვითარდება. კვლევის ფარგლებში მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ დღეს კორპორაციათა სტაბილურობის აუცილებლობა სულ უფრო მზარდია თუმცა, აღნიშნულ გზაზე გარკვეული პრობლემებიც იკვეთება, რომელთა დაძლევაც პროცესის სრულყოფის პარალელურად უნდა მოხდეს.

ამდენად, ნათელია, რომ კორპორაციული მდგრადობა ცვლის თანამედროვე ბიზნესის ფუნქციონირებას, გავლენას ახდენს, როგორც სხვადასხვა კატეგორიის სოციალურ ურთიერთობებზე, ისე კომპანიების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებაზე. თანამედროვე პირობებში კომპანიები მზად უნდა იყვნენ დანერგონ სტაბილურობის ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზედაც სხვადასხვა მარგინალური ჯგუფების ინტერესთა უგულვებელყოფით, მაქსიმალურად შეამცირებენ ბიზნესის განვითარების პროცესზე ხელშემშლელ ზემოქმედებას, რითაც ხელს შეუწყობენ საკუთარი ლიკვიდურობის ბრუნდობას დროსა და სივრცეში.

კორპორაციული მდგრადობის გზაზე არსებული ევროპული მიღწევები მნიშვნელოვანია არა მარტო ევროგაერთიანების წევრ, არამედ იმ სახელმწიფოებისათვისაც, რომლებიც ცდილობენ ევროკავშირთან დაახლოებას. იმ პირობებში, როდესაც ევროკავშირი მხარს უჭერს კომპანიათა სტაბილურობის უზრუნველყოფელი შესაბამისი მექანიზმების დანერგვას ამ კუთხით, გამონაკლისი სამომავლოდ არც ქართული ბიზნესი იქნება. ევროკავშირთან მიახლოების გზაზე ჩვენს ქვეყანასაც მოუწევს ამ სფეროში როგორც ევროპული მოწესრიგების შესაბამისი სტანდარტების დანერგვა, ისე გამოცდილების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გაზიარება.

შენიშვნები:

- ¹ Joshi, S., Li, Y., 2016. What Is Corporate Sustainability and How Do Firms Practice it? A Management Accounting Research Perspective. *Journal of Management Accounting Research*, Vol.28, #2, p. 1.
https://www.researchgate.net/publication/307946222_What_Is_Corporate_Sustainability_and_How_Do_Firms_Practice_It_A_Management_Accounting_Research_Perspective
- ² Liang, H., Renneboog, L., 2020. Corporate Social Responsibility and Sustainable Finance: A Review of the Literature. *European Corporate Governance Institute Law Working Paper*, #701/2020, p. 2.
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3698631
- ³ იქვე, პ. 2.
- ⁴ იქვე, პ. 2.
- ⁵ იქვე, პ. 2.
- ⁶ https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/doing-business-eu/company-law-and-corporate-governance_en#studies
- ⁷ Roe, J. M., Shapira, R., 2021. The Power of the Narrative in Corporate Lawmaking. *Harvard Business Law Review*, Vol. 11, #2, p. 245.
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3703882&fbclid=IwAR2hiQlt8864ivQqzn90m7xCbktKRP0uxzw7CB70Ft4mumTlxRY78Nbi5s#
- ⁸ Paccès, A., 2020. Sustainable Corporate Governance: A Role of the Law. *European Corporate Governance Institute Law Working Paper*, #550/2020, p. 4.
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3697962
- ⁹ იქვე, პ. 4.
- ¹⁰ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en
- ¹¹ <https://www.ecb.europa.eu/ecb/climate/html/index.en.html>
- ¹² Pudschedl, P. C., Lopez-de-Silanes, F., McCahery, J., 2022. Institutional Investors and ESG Preferences. *European Corporate Governance Institute Law Working Paper*, #631/2022, p. 15-16.
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4049313
- ¹³ კომპანია და კორპორაციული შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც ეკვივალენტური ტერმინები, რომლებიც აღნიშნავს ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობას. ამ შემთხვევაში კომპანიის ცნება მოიცავს არა მხოლოდ მის იურიდიულ სტრუქტურას (მათ შორის, ინკორპორირების ფორმას), არამედ ასევე, როგორც ეკონომიკურ სუბსტანციას, როგორც ბიზნესფორმას, საწარმოო სუბიექტს.
- ¹⁴ Ringe, W. G., 2021. Investor – led Sustainability in Corporate Governance. *European Corporate Governance Institute Law Working Paper*, #615/2021, p. 2.
<https://ecgi.global/working-paper/investor-led-sustainability-corporate-governance>
- ¹⁵ <https://www.degruyter.com/document/doi/10.2202/2152-2820.1013/html>
- ¹⁶ Ringe, W. G., 2021. Investor – led Sustainability in Corporate Governance. *European Corporate Governance Institute Law Working Paper*, #615/2021, p. 13.
<https://ecgi.global/working-paper/investor-led-sustainability-corporate-governance>
- ¹⁷ მოგების გაგება, როგორც წესი ეკვივალენტურია კომერციული ფირმის შემოსავლის გაგებასთან, რომელიც თავის მხრივ, ასახულია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ შესაბამის ანგარიშებზე.

- ¹⁸ Mayer, C., 2021. The Governance of Corporate Purpose. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #609/2021, p. 2.
<https://ecgi.global/working-paper/governance-corporate-purpose>
- ¹⁹ https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en
- ²⁰ Chiu, Y-H. I., 2022. The EU Sustainable Finance Agenda: Developing Governance for Double Materiality in Sustainability Metrics. European Business Organization Law Review, 2022, p. 2.
https://www.researchgate.net/publication/358248638_The_EU_Sustainable_Finance_Agenda_Developing_Governance_for_Double_Materiality_in_Sustainability_Metrics
- ²¹ იქვე, p. 9.
- ²² Möslin, F., Sørensen, K. E., 2021. Sustainable Corporate Governance: A Way Forward. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #583/2021, p. 6.
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3761711
- ²³ იქვე, p. 6
- ²⁴ იქვე, p. 6.
- ²⁵ https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en
https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en
- ²⁶ სტატიის ფარგლებში მდგრადი ბიზნესქცევისა და კორპორაციული მდგრადობის ცნებები გამოყენებულია ურთიერთშემცვლელად, რაც გულისხმობს კომპანიის მდგრადი მენეჯმენტისა და მდგრადი კორპორაციული მმართველობის თეორიასა და პრაქტიკას.
- ²⁷ Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law (codification) (Text with EEA relevance)Text with EEA relevance.
<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2017/1132/2020-01-01>
- ²⁸ Directive 2014/95/EU of the European Parliament and of the Council of 22 October 2014 amending Directive 2013/34/EU as regards disclosure of non-financial and diversity information by certain large undertakings and groups Text with EEA relevance (NFRD). <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2014/95/oj>
- ²⁹ https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en
- ³⁰ ინიციატივა მიზნად ისახავს ევროკავშირის საკორპორაციო სამართლისა და კორპორაციული მართვის შესახებ მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებას. აღნიშნული საშუალებას მისცემს კომპანიებს ფოკუსირება მოახდინონ გრძელვადიან მდგრად ღირებულებათა შექმნაზე. მისი ამოცანაა კორპორაციებში აქციონერების, მენეჯერების, დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ინტერესების მეტად გათანაბრება. ის დაეხმარება კომპანიებს უკეთ მართონ მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვებში, რაც მოიცავს სოციალურ კატეგორიებს, ადამიანის უფლებებს, კლიმატის ცვლილებას, გარემოს და ა.შ.
https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12548-Sustainable-corporate-governance_en
- ³¹ Kovacic, A., 2018. European Union and Sustainable Development Assessment in the Business Sector. Management of Sustainable Development, Vol. 10, #1, p. 41.

- https://www.researchgate.net/publication/326481830_European_Union_and_Sustainable_Development_Assessment_in_the_Business_Sector
- ³² Montiel, I., Ceballos, J. D., 2014. Defining and Measuring Corporate Sustainability: Are we There yet?. *Organization and Environment*, Vol.27, Issue 2, p. 14.

https://www.researchgate.net/publication/262766688_Defining_and_Measuring_Corporate_Sustainability_Are_We_There_Yet
- ³³ იქვე, p. 14.
- ³⁴ <https://ecgi.global/blog/role-corporate-governance-sustainability-and-why-commission's-csddd-proposal-might-do-more-harm>
- ³⁵ აღნიშნული თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, ევროპის სამართლის ინსტიტუტის (European Law Institute – ELI) პროექტი – „კორპორაციული მდგრადობა, ფინანსური აღრიცხვა და სააქციო კაპიტალი“, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს კორპორაციული მდგრადობის სარეკომენდაციო ხასიათის პრინციპების შექმნაზე.

<https://www.europeanlawinstitute.eu/projects-publications/current-projects/current-projects/corporate-sustainability/>
- ³⁶ DIRECTIVE (EU) 2017/1132 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 14 June 2017 relating to certain aspects of company law (codification). Article 1.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32017L1132>
- ³⁷ <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2017/1132/2020-01-01>
- ³⁸ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32013L0034>
- ³⁹ DIRECTIVE 2013/34/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings, amending Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC. (5). <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32013L0034>
- ⁴⁰ https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/company-reporting-and-auditing/company-reporting/financial-reporting_en
- ⁴¹ DIRECTIVE 2014/95/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 22 October 2014 amending Directive 2013/34/EU as regards disclosure of non-financial and diversity information by certain large undertakings and groups. Article 19a. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014L0095>
- ⁴² https://ec.europa.eu/info/publications/210421-sustainable-finance-communication_en#csrd
- ⁴³ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014L0095>
- ⁴⁴ <https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/ael-2017-0064/html>
- ⁴⁵ Roe, M. K., Spamann, H., Fried, J. M., Wang, C. C.Y., 2020. The European Commission's Sustainable Corporate Governance Report: A Critique. *European Corporate Governance Institute Law Working Paper*, #553/2020, p. 149.

https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3711652
- ⁴⁶ იქვე, p. 146–147.
- ⁴⁷ <https://www.iflr.com/article/b1vsggbzg2132t/primer-the-eu-corporate-sustainability-reporting-directive>
- ⁴⁸ <https://ecgi.global/blog/supply-chain-liability-corporate-sustainability-due-diligence-directive-proposal>

- ⁴⁹ Ferrarini, G., Zhu, S., 2021. Is There a Role for Benefit Corporations in the New Sustainable Governance Framework? European Corporate Governance Institute Law Working Paper, #588/2021, p. 28. <https://ecgi.global/working-paper/there-role-benefit-corporations-new-sustainable-governance-framework>
- ⁵⁰ https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_1145
- ⁵¹ ევროპის ფარგლებში, გერმანიასა და საფრანგეთს უკვე დაწყებული აქვს შიდა საკანონმდებლო დონეზე წინადადებაში მოცემული საკითხების დანერგვის მცდელობანი. მაგ., გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსში (მისი სამართლებრივი ბაზისია გერმანიის სააქციო კანონის §161), რომლის 2022 წლის რედაქცია ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია, აშკარაა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტანდარტების პაკეტის წინა პლანზე წამოწევის მცდელობა. ზოგადად, დღეს აღნიშნული კრიტერიუმების დაცვა ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ ტრენდულ საფუძვლად არის მიჩნეული. დეტ. იხ.: <https://www.dcgk.de/en/consultations/current-consultations.html>
- ⁵² დეტ. იხ.: EUROPEAN COMMISSION Proposal for a DIRECTIVE OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL on Corporate Sustainability Due Diligence and amending Directive (EU) 2019/1937. https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:bc4dcea4-9584-11ec-b4e4-01aa75ed71a1.0001.02/DOC_1&format=PDF
- ⁵³ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52022PC0071&from=EN>
- ⁵⁴ Ferrarini, G., Zhu, S., 2021. Is There a Role for Benefit Corporations in the New Sustainable Governance Framework? European Corporate Governance Institute Law Working Paper, #588/2021, p. 24. <https://ecgi.global/working-paper/there-role-benefit-corporations-new-sustainable-governance-framework>
- ⁵⁵ https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/doing-business-eu/corporate-sustainability-due-diligence_en
- ⁵⁶ Turner, S., 2020. Corporate Law, directors' duties and ESG investments: Analysing pathways towards positive corporate impacts relating to ESG issues. Journal of Business Law, #4/2020, pp. 2-3. https://www.researchgate.net/publication/353331402_Corporate_Law_directors%27_duties_and_ESG_interventions_Analysing_pathways_towards_positive_corporate_impacts_relating_to_ESG_issues_2020_4_Journal_of_Business_Law_245-64
- ⁵⁷ იქვე, pp. 5-6.
- ⁵⁸ Roe, M. K., Spamann, H., Fried, J. M., Wang, C. C.Y., 2020. The European Commission's Sustainable Corporate Governance Report: A Critique. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #553/2020, p. 245. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3711652
- ⁵⁹ Karpoff, J., 2021. On a Stakeholder Model of Corporate Governance. European Corporate Governance Institute Finance Working Paper, #749/2021, pp. 1-2. <https://ecgi.global/working-paper/stakeholder-model-corporate-governance>
- ⁶⁰ https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/doing-business-eu/corporate-sustainability-due-diligence_en

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Chiu, Y-H. I., 2022. The EU Sustainable Finance Agenda: Developing Governance for Double Materiality in Sustainability Metrics. European Business Organization Law Review, 2022.
https://www.researchgate.net/publication/358248638_The_EU_Sustainable_Finance_Agenda_Developing_Governance_for_Double_Materiality_in_Sustainability_Metrics
2. Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law (codification) (Text with EEA relevance)Text with EEA relevance. <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2017/1132/2020-01-01>
3. Directive 2014/95/EU of the European Parliament and of the Council of 22 October 2014 amending Directive 2013/34/EU as regards disclosure of non-financial and diversity information by certain large undertakings and groups Text with EEA relevance (NFRD). <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2014/95/oj>
4. DIRECTIVE 2013/34/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings, amending Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC. (5).
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32013L0034>
5. EUROPEAN COMMISSION Proposal for a DIRECTIVE OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL on Corporate Sustainability Due Diligence and amending Directive (EU) 2019/1937. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52022PC0071&from=EN>
6. Ferrarini, G., Zhu, S., 2021. Is There a Role for Benefit Corporations in the New Sustainable Governance Framework? European Corporate Governacne Instiute Law Working Paper, #588/2021. <https://ecgi.global/working-paper/there-role-benefit-corporations-new-sustainable-governance-framework>
7. Joshi, S., Li, Y., 2016. What Is Corporate Sustainability and How Do Firms Practice it? A Management Accounting Research Perspective. Journal of Management Acoounting Research, Vol.28, #2.
https://www.researchgate.net/publication/307946222_What_Is_Corporate_Sustainability_and_How_Do_Firms_Practice_It_A_Management_Accounting_Research_Perspective
8. Karpoff, J., 2021. On a Stakeholder Model of Corporate Governance. European Corporate Governance Institute Finance Working Paper, #749/2021. <https://ecgi.global/working-paper/stakeholder-model-corporate-governance>.
9. Kovacic, A., 2018. European Union and Sustainable Development Assesment in the Business Sector. Management of Sustainable Developement, Vol. 10, #1.
https://www.researchgate.net/publication/326481830_European_Union_and_Sustainable_Development_Assessment_in_the_Business_Sector
10. Liang, H., Renneboog, L., 2020. Corporate Social Responsibility and Sustainable Finance: A Review of the Literature. European Corporate Governacne Instiute Law Working Paper, #701/2020. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3698631
11. Mayer, C., 2021. The Governacne of Corporate Purpose. European Corporate Governacne Instiute Law Working Paper, #609/2021. <https://ecgi.global/working-paper/governance-corporate-purpose>

12. Mölslein, F., Sørensen, K. E., 2021. Sustainable Corporate Governance: A Way Forward. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #583/2021. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3761711
13. Montiel, I., Ceballos, J. D., 2014. Defining and Measuring Corporate Sustainability: Are we There yet? Organization and Environment, Vol.27, Issue 2. https://www.researchgate.net/publication/262766688_Defining_and_Measuring_Corporate_Sustainability_Are_We_There_Yet
14. Paces, A., 2020. Sustainable Corporate Governance: A Role of the Law. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #550/2020. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3697962
15. Pudschedl, P. C., Lopez-de-Silanes, F., McCahery, J., 2022. Institutional Investors and ESG Preferences. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #631/2022. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4049313
16. Ringe, W. G., 2021. Investor – led Sustainability in Corporate Governance. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #615/2021. <https://ecgi.global/working-paper/investor-led-sustainability-corporate-governance>
17. Roe, J. M., Shapira, R., 2021. The Power of the Narrative in Corporate Lawmaking. Harvard Business Law Review, Vol. 11, #2. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3703882&fbclid=IwAR2hiQlt8864ivQqzn90m7xCbktKRP0uxzw7CB70FtE4mumTlxRY78Nbi5s#
18. Roe, M. K., Spamann, H., Fried, J. M., Wang, C. C.Y., 2020. The European Commission's Sustainable Corporate Governance Report: A Critique. European Corporate Governance Institute Law Working Paper, #553/2020. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3711652
19. Turner, S., 2020. Corporate Law, directors' duties and ESG investments: Analysing pathways towards positive corporate impacts relating to ESG issues. Journal of Business Law, #4/2020. https://www.researchgate.net/publication/353331402_Corporate_Law_directors%27_duties_and_ESG_interventions_Analysing_pathways_towards_positive_corporate_impacts_relating_to_ESG_issues_2020_4_Journal_of_Business_Law_245-64
20. https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/doing-business-eu/company-law-and-corporate-governance_en#studies
21. https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en
22. <https://www.ecb.europa.eu/ecb/climate/html/index.en.html>
23. <https://www.degruyter.com/document/doi/10.2202/2152-2820.1013/html>
24. https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en
25. https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12548-Sustainable-corporate-governance_en
26. <https://ecgi.global/blog/role-corporate-governance-sustainability-and-why-commission's-csddd-proposal-might-do-more-harm>
27. <https://www.europeanlawinstitute.eu/projects-publications/current-projects/current-projects/corporate-sustainability/>
28. <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2017/1132/2020-01-01>
29. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32013L0034>
30. https://ec.europa.eu/info/publications/210421-sustainable-finance-communication_en#csrd
31. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32014L0095>
32. <https://www.iflr.com/article/b1vsggbzg2132t/primer-the-eu-corporate-sustainability-reporting-directive>
33. <https://ecgi.global/blog/supply-chain-liability-corporate-sustainability-due-diligence-directive-proposal>
34. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_1145
35. <https://www.dcgk.de/en/consultations/current-consultations.html>

CORPORATE SUSTAINABILITY AND GENERAL ANALYSIS OF ITS REGULATION IN THE EU

DAVID DOLIDZE

*Doctor of Law ,Associate Professor at Gori State University,
Associate Professor at Caucasus International University,
Associate Professor at Alte University*

The article discusses the Institute for Corporate Sustainability and key aspects of its regulation within the EU using general, qualitative and content analysis research methods.

Today, corporate sustainability affects many aspects of everyday business life in the EU. It directly relates to corporations. For example, environmental activities, the implementation of social policy in the commercial process, the integration of modern effective mechanisms in corporate governance, the duty of companies to ensure an appropriate level of corporate social responsibility pose new challenges to the organization's management.

How does corporate sustainability affect companies? In particular, ongoing and expected reforms in the field of business stability and the current specific forms of their expression, such as environmentally sustainability and socially responsible behaviors, what type of benefit can they bring in the process of maintenance and development of the values of shareholders and companies, Ensuring long term corporate stability?

The purpose of this article is to discuss these issues and conclude that adapting European Regulations (achievements) on the path to corporate sustainability in the process of producing a business by companies have a positive impact on both areas: economic empowerment of the society itself, as well as on the equal protection of the external nature.

In modern conditions, only socially responsible business behavior can bring material benefits in the long term. This is why modern European regulations (corporate law) actively seeks to provide adequate guarantees for corporate sustainability at the normative level.

აბსოლუტურ სიკეთეთა ბრალეული ხელყოფის უფლებრივი შედეგები

პიროვნულ უფლებათა ჭრილში

ქეთევან ქორაშვილი

სამართლის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის
ინსტიტუტის წევრი

„პიროვნული განცდის გარეშე, ყველაფერი სისულელეა.“

კონსტანტინე გამსახურდია

*ექვანება მეგობრისა და კოლეგის – მშვენიერი,
ნიჭიერი და საოცრად ძლიერი პერსონის,
ქალბატონ თამარ შოთაძის ძვირფას ხსოვნას*

1. სამართლებრივი სიკეთის არსი და სახეები

თითოეულ ინდივიდს საკუთარი სამართლებრივი სფერო აქვს, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია პიროვნულობის ან ქონების ხელშეუხებლობა მოითხოვოს. ის, ვინც თვითნებურად ხელყოფს ამ სფეროს, ბრალეულად და კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. შესაბამისად, პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებაზე მასთან, ვისი უფლებაც დაარღვია.¹ ამგვარად, ნებისმიერი სამართალდარღვევა სამართლის სუბიექტის კუთვნილი და მართლწესრიგით დაცული სიკეთის (სხეულებრივი თუ უსხეულო) არამართებულ ხელყოფად მიიჩნევა.² ცივილისტურ დოქტრინაში სამოქალაქო სამართალდარღვევა (დელიქტი)

განიმარტება, როგორც დაუშვებელი მოქმედება, რომელიც არღვევს სხვის კუთვნილ უფლებას ზიანის მიყენებით. ამ ფაქტის საფუძველზე, ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის წარმოიშობა ურთიერთობა, რომლის ძალით პირველი ვალდებულია მეორეს ზიანი აუნაზღაუროს.³

სამართლებრივი სიკეთე, როგორც სამართლებრივად დაცული ინტერესი,⁴ იყოფა ინდივიდუალურ და გენიდივიდუალურ – უნივერსალურ სიკეთეებად. ინდივიდუალურს მიეკუთვნება სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა, პიროვნული თავისუფლება, პატივი, ღირსება, საკუთრება და პირის კუთვნილი ნებისმიერი სხვა უფლება.⁵ მათი მქონებელი კონკრეტული პიროვნებაა, ამიტომ არის ის ინდივიდუალური. უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულ პიროვნებას კი არ ეკუთვნის, არამედ მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს, ასეთია: მოსახლეობის ჯანმრთელობა, სახელმწიფო წყობილება და უსაფრთხოება. ამგვარი სიკეთე აუცილებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის და ამდენად, გაშუალებულად ინდივიდებსაც ემსახურება.⁶

2. ადამიანი – ბუნებითი და სოციალური უფლებებით აღჭურვილი პერსონა

ადამიანი, როგორც ყველა ღირებულებაზე მაღლა მდგომი, თავისთავად მიზანი (კანტი)⁷ *persona morales*⁸ – სამართლებრივ პიროვნულობას წარმოადგენს უფლება-მოვალეობათა მქონელობის გამო.⁹ მისი კუთვნილი სიკეთეების წარმოშობის წყარო სხვადასხვაა, ერთნი მას ბუნებისგან აქვს მინიჭებული, ეს ნატურალური, ბუნებითი, წინარესახელმწიფოებრივი უფლებებია, რომელიც ადამიანში დასაბამიდან არსებული მოცემულობაა და ადამიანს ადამიანობის გამო (ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე) ეკუთვნის,¹⁰ ხოლო სხვანი – ადამიანს საზოგადოებისგან და პოზიტიური სამართლის ნორმებით ენიჭება. ეს სოციალური უფლებებია, რომლებიც საზოგადოების განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობის შედეგია.¹¹

ისტორიულად, „უფლება“ მხოლოდ კერძო სამართლისთვის იყო მნიშვნელოვანი კატეგორია, მაგრამ მე-18 საუკუნის დასასრულს, კონსტიტუციებით ძირითადი უფლებების განმტკიცებით, სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მოქალაქის საჯარო სამართლებრივი უფლებები აღიარეს,¹² რომელთა ღირებულებათა სისტემა ცალკეული ადამიანის, როგორც ფიზიკური პირის, ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარეობს.¹³ სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის უნივერსალური მიზანი თითოეული ადამიანის ფუნდამენტური, ანუ სასიცოცხლოდ აუცილებელი უფლებების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფაა

ეკონომიკურ, პოლიტიკურ¹⁴ თუ პიროვნულ ასპექტში. ამ უკანასკნელი მიმართულებით, აღნიშნული გულისხმობს ადამიანის ბუნებრივ ლტოლვას, შექმნას სხვებისგან შეულახავი, შეუღწევადი საკუთარი ინტიმური სფერო.¹⁵ ადამიანის ბუნებით, საყოველთაო უფლებებს სახელმწიფოებრივი საზღვრები არ გააჩნიათ, ამიტომაც უნივერსალური უფლებებით ყველა აღჭურვილია მოქალაქეობის მიუხედავად.¹⁶ ამასთან, ის, რაც ადამიანს ბუნებამ უბოძა, მას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ წაართმევს:¹⁷ „სახელმწიფოს არ შეუძლია მიანიჭოს ან წაართვას ადამიანს ძირითადი უფლებები, რადგან ის არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ადამიანის არსი“ – ნათქვამია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში.¹⁸ ამგვარად, ბუნების მიერ ბოძებული ადამიანის უფლებები მსოფლიო მართლწესრიგის ყველაზე მნიშვნელოვანი მანიფესტაციაა და მისი მიმართება ბუნებასთან კიდევ ერთხელ ადასტურებს ბუნებითი უფლების ფუნდამენტურ ხასიათს.¹⁹ ასევე, ლოგიკურად აიხსნება სოციალური უფლებების არსებობა,²⁰ რადგან ადამიანი სოციალური არსებაა და ის სწორედ, სოციალური ღირებულებებითა და კავშირებით წარმოიქმნება. თანამედროვე განვითარებულ სამყაროში, ადამიანი უკვე არა პრიმიტიული, არამედ სამოქალაქო საზოგადოების²¹ (საზოგადოების თვისებრივი განვითარების შედეგი), როგორც მაღალი მართლშეგნების მქონე ადამიანთა ბუნებრივი ერთობის წევრია, სადაც თითოეულის უფლებრივი სტატუსი ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოების უფლებრივ მდგომარეობასთან.²²

3. უფლების აბსოლუტურობის გააზრება

მიიჩნევა, რომ თავისუფლება სუფევს არა იქ, სადაც ადამიანთა ნებათა დაპირისპირებაა, არამედ იქ, სადაც მათ შორის მშვიდობა და სოლიდარობაა,²³ საზოგადოების მიღმა პირის თავისუფლება შეუზღუდავია, მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც მისთვის ფიზიკურად შესაძლებელია. მაგრამ სოციუმში, ადამიანთა შორის შეუზღუდავი თავისუფლება დაუშვებელია, სხვა შემთხვევაში, ის დაარღვევს სხვების თავისუფლებას:²⁴ „ერთადერთი თავისუფლება არის თავისუფლება საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი საკუთარი გზებით ვეძიოთ იქამდე, ვიდრე არ ვეცდებით, სხვებს წავართვათ თავიანთი კეთილდღეობა, ხელი შევუშალოთ მათი მოპოვების ცდაში.“²⁵

უფლება პირისთვის ბუნებით თუ სამართლით მინიჭებული და მართლწესრიგით გარანტირებული შესაძლებლობაა როგორც საკუთარ მოქმედებაზე, ისე შესაძლებლობა სხვას (მათ შორის, სახელმწიფოს) მოსთხოვოს მის სასარგებლოდ ქმედების განხორციელება (მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება). უფლების არსებობას ინტერესი განაპირობებს, მერკელის

აზრით, უფლება სწორედ ის ძალაა, რომელიც პირს განსაზღვრული ინტერესის განხორციელებისთვის აქვს მინიჭებული.²⁶ იერიზის ხედვით, უფლება სამართლებრივად დაცული ინტერესია,²⁷ რომელიც მხოლოდ საზოგადო ინტერესით შემზღუდული სახით არსებობს, ამ შემზღუდვით კერძო ინტერესი ლეგიტიმურ და დაცვაუნარიან ხასიათს იძენს.²⁸ ყოველი კერძო უფლება უფლებამოსილ პირს ანიჭებს ექსკლუზიურ ხასიათს, რაც ნიშნავს, რომ არავის მის გარდა არ შეუძლია ამ უფლებაზე პრეტენზია განაცხადოს.²⁹ თუ საჯარო უფლებები უზრუნველყოფენ ადამიანის თანასწორ მინიმალურ სასიცოცხლო უფლებებს, კერძო უფლებები ორიენტირებულნი არიან ადამიანის ინდივიდუალობაზე, თუ ადამიანის კეთილდღეობა დამოკიდებულია საჯარო უფლების უზრუნველყოფაზე, კეთილდღეობის მოცულობა დამოკიდებულია მხოლოდ კერძო ინიციატივაზე, ენერგიაზე და სხვა პიროვნულ თვისებებზე.³⁰

კერძოსამართლებრივი უფლება შესაძლოა იყოს აბსოლუტური და რელატიური (შეფარდებითი) ხასიათის. აბსოლუტურია ძირითადად, პიროვნული და სანივთო უფლებები, მემკვიდრეობის უფლება, ხოლო რელატიური მაგალითად, ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმომდგარი უფლებები. ნებისმიერი უფლება ექსკლუზიურად, უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თუმცა, განსხვავდება მის წინაშე ვალდებულ პირთა წრე. კერძოდ, აბსოლუტური უფლების მქონე პირის წინაშე ვალდებულია პირთა განუსაზღვრელი წრე, რომელსაც ძირითადად, პასიური ვალდებულება ეკისრება – თავი შეიკავოს უფლების ხელყოფისგან, ხოლო შეფარდებითი უფლების არსი – უფლებამოსილის წინაშე კონკრეტული მოვალე პირის მხრიდან ძირითადად, აქტიური მოქმედებით ხორციელდება.

მიუხედავად თავისუფლების საყოველთაო კანონის მოქმედებისა, რომლის თანახმად, ინდივიდს ევალება ისე მოექცეს სხვას, როგორც მას უნდა რომ სხვები ექცეოდნენ, როცა ერთის თავისუფლება სხვისი თავისუფლების გარანტი ხდება, შედეგად, განსხვავებულ ინტერესთა შეწონვის გზით, მშვიდობიანი თანაარსებობა მიიღწევა (სამართალი ხომ სხვა არაფერია თუ არა სიკეთეთა სამართლიანი წესრიგი, რომელიც თითოეულის სიკეთის პატივისცემას გულისხმობს), ადამიანთა საზოგადოებისთვის ჩვეულია კერძო უფლების განხორციელებისას, სხვისი უფლებისათვის ზიანის მიყენება.³¹ ამ დროს ირღვევა სამართლებრივი პატიოსნების ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ურთიერთუფლებრივი მდგომარეობისთვის თვალის გასწორებას, ერთმანეთის უფლებრივ სუბიექტად განხილვას.

ჭეშმარიტებაა მოსაზრება, რომ „ზოგიერთები სამართლად მიიჩნევენ მხოლოდ იმას, რაც შეესატყვისება მათ აზროვნებას და უფლებებს ანუ სამართალია, ის რაც მათთვის ხელსაყ-

რელი და სასარგებლოა. სამართლიანობა იმ კაცისა, რომელიც მხოლოდ თავის უფლებებს იცავს და არ აქცევს ყურადღებას სხვის გაჭირვებას, სხვათა წუხილს, ვიწრო ეგოიზმიდან მოდის. ჭეშმარიტი სამართალი შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც წონასწორობა ჩემსა და სხვას შორის დაცულია.³² ზემოთქმული პოზიცია სახარებისმიერ სიბრძნეს ემყარება: **„ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ“** (მათეს სახარება, თავი მე-7,12).

4. დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე

4.1. არსი

ზიანის მიმყენებლის მოქმედებით არასახელშეკრულებო ურთიერთობებში უფლებამოსილი პირის აბსოლუტური უფლებები ირღვევა მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით მხარეთა ბოჭვისას, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მოვალე კრედიტორის რელატიურ უფლებებს არღვევს.³³ ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სიკეთე ერთდროულად რელატიურ და აბსოლუტურ უფლებათა ობიექტია, ეს უკანასკნელი ფარავს პირველს.³⁴

აბსოლუტური ხასიათის სამართლებრივი სიკეთის უკანონო დარღვევებს დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები აწესრიგებს.³⁵ **პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი** (საქართველოს სკ-ის 992-ე მუხლი);³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ სამართალში, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის ან პირის კუთვნილი აბსოლუტური სიკეთის ხელყოფისათვის, შეიძლება დადგეს მხოლოდ განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.³⁷

4.2. მიმართება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობასთან და კავშირი მართლწინააღმდეგობასთან

დელიქტური პასუხისმგებლობა ზიანის (მატერიალური და მორალური) ანაზღაურებას გულისხმობს. არასახელშეკრულებო ზიანი წინასწარ შეუფასებელია და მისი ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება იმის მიხედვით, თუ რა ფასეულობის სიკეთე იქნა ხელ-

ყოფილი.³⁸ ამ დროს მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმება ზიანის ანაზღაურების შესახებ არ არის საჭირო, რადგან სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას კანონი აფუძნებს: პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მაგალდებული გარემოება (გერმანიის სკ-ის 249-ე პარაგრაფის I ნაწილი);³⁹ დაზარალებული უნდა იქნეს ჩაყენებული პირვანდელ მდგომარეობაში ისე, თითქოს სამართალდარღვევა არ მომხდარა, აუცილებელია სათანადო, ბალანსირებული ანაზღაურების უზრუნველყოფა.⁴⁰

დელიქტური პასუხისმგებლობა წესისამებრ, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას უკავშირდება. თუმცა, სამოქალაქო სამართალი იცნობს მართლზომიერი მოქმედებით სხვისი უფლების დარღვევის შემთხვევებს: აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, თვითდაცმარება, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ზიანის მიყენებას ამართლებს.⁴¹ ამასთან, აღნიშნული გარემოებები განიხილება რა, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა ან არ დგება, ანდა დაშვებულია მისი შეზღუდვის ან სრულიად გამორიცხვის შესაძლებლობა.

მოქმედების ქვეშ იგულისხმება რაიმე ცნობიერი ან სურვილით მოტივირებული ქმედება, შესაბამისად, რეფლექსები და არაცნობიერი ქმედებები მასში არ მოიაზრება.⁴² მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ: ა) სადავო მოქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა; ბ) სადავო მოქმედება სხვა მოვალეობას არღვევს, განსაკუთრებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას; გ) სადავო მოქმედება ზიანს აყენებს აბსოლუტურად დაცულ უფლებებს.⁴³ ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალი უშვებს ქმედების მართლწინააღმდეგობის პრეზუმფციას, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელს ეკისრება ქმედების მართლზომიერების მტკიცების ტვირთი.⁴⁴

5. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი – ბუნებითი სამართლის გამოვლინება

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პოზიტიური სამართალი⁴⁵ თავის მხრივ, ბუნებითი სამართლის⁴⁶ პრინციპებით ხელმძღვანელობს. ჯერ კიდევ, რომაელი იურისტები მსჯელობდნენ ცივილური, ხალხის მიერ საკუთარ სამართლად გაჩენილი ქცევის წესებისა და საერთო, ყველა ხალხისთვის ბუნების, უმაღლესი გონის მიერ დადგენილი სამართლის თანაარსებობაზე.⁴⁷ ბუნებითი სამართლის სკოლის ფუძემდებელი ჰუგო გროციუსი ნაშრომში „ომის

და მშვიდობის სამართლის შესახებ“ წერდა: „რა გვეკუთვნის ჩვენ ბუნებით, ჩადენილი სამართალდარღვევის საფასურად? დარღვევას ჩვენ ვუწოდებთ ნებისმიერ ბრალს, გამოხატულს როგორც მოქმედებაში, ისე მისგან თავის შეკავებაში, რაც ზოგადად, ეწინააღმდეგება ადამიანთა ქცევას. ამგვარი ბრალით წარმოიქმნება ბუნებრივი ვალდებულება ზიანის ანაზღაურებისა.“⁴⁸ ამ პოზიციას განამტკიცებენ თანამედროვე კოდიფიკაციები, მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის თანახმად, **სხვა პირისათვის ზიანის მიმყენებელი ნებისმიერი მოქმედება ავალდებულებს მას, ვისი ბრალითაც ზიანის მიყენება მოხდა, ანაზღაუროს იგი.** ფრანგული სამართალი მიჯნავს ერთმანეთისგან დელიქტურ და კვაზიდელიქტურ ბრალს, პირველს ახასიათებს დარღვევის განზრახ მისწრაფება, მეორე წარმოადგენს ქცევის შეცდომას, რომელსაც არ ჩაიდენდა მსგავს მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი გონიერი ადამიანი.⁴⁹

6. ზიანის ანაზღაურების, როგორც პასუხისმგებლობის უნივერსალური ფორმის შინაარსი

ზიანის ანაზღაურება პირველ ყოვლისა, გულისხმობს ნატურით ანაზღაურებას. ნატურით რესტიტუციის შინაარსი თავის თავში მოიაზრებს იმ პირველადი მდგომარეობის აღდგენას, რომელიც ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების წარმოშობამდე არსებობდა, დაზარალებულის დაკმაყოფილებას არა ფულადი კომპენსაციით, არამედ რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ სიკეთის აღდგენით, რაც მან მისთვის ზიანის მიყენების შედეგად დაკარგა. შედეგად, იმ ვითარების აღდგენას, რომელიც ზიანის არარსებობისას დაზარალებულის ეკონომიკური მდგომარეობის შესატყვისი იქნებოდა.⁵⁰ ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების სამართალი ემყარება ზიანის ნატურით ანაზღაურებისა და სრული ანაზღაურების პრინციპს. კანონმდებელი ზიანის ფულად ანაზღაურებას არ ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ზიანის მიმყენებელს შეუძლია აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა.⁵¹

7. ადამიანი – ღვთის ხატად შექმნილი არსება, როგორც სამართლის სუბიექტი

„ადამიანი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრებაა, საოცარია იგი არა მარტო, როგორც სოციალური არსება, არა როგორც ნაწილი ბუნებისა, არამედ როგორც პიროვნება, ადამიანი პიროვნებაა სულით, კაცი უპირველეს ყოვლისა, ხატია ღვთისა.“⁵² ადამიანი, როგორც ღვთის ქმნილება იბადება სამყაროში და სოციუმის წევრი ხდება, ის საკუთარი

ინტერესების მისაღწევად, საზოგადოების სხვა წევრებთან ცხოვრებისეულ ურთიერთობებს ამყარებს.

ურთიერთობებს, რომელთაც სამართლის ნორმები აწესრიგებენ, სამართლებრივი ურთიერთობები ეწოდება,⁵³ ხოლო ადამიანს, ამ ურთიერთობის მონაწილეს – სამართლის სუბიექტი, რომელიც კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში პირად (persona)⁵⁴ – ბუნებრივ, ფიზიკურ პირად იწოდება. ცივილისტურ დოქტრინაში არის პოზიცია, რომლის თანახმად, პირი რეალური ცნებაა, სამართლის სუბიექტი კი, იურიდიულ-ტექნიკური ცნება, იურიდიული ნიღაბი, რომლის საშუალებითაც პირი სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს.⁵⁵ პირი აერთიანებს უფლებათა ერთობლიობას, ხოლო სამართლის სუბიექტი – მხოლოდ რიგი უფლებების სუბიექტი შეიძლება იყოს, პირი მუდმივად არსებობს, სამართლის სუბიექტი კი, შემთხვევიდან შემთხვევამდე იჩენს ხოლმე თავს.⁵⁶ სხვა შეხედულებით, ცნებები: ადამიანი, პირი და სამართლის სუბიექტი სინონიმური ცნებებია.⁵⁷

პირი, როგორც სოციალურ-იურიდიული მოვლენა, როგორც სამართლებრივი მდგომარეობა, მოიცავს უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა და არსებობს სამართლებრივ ურთიერთობამდე, ეს ადამიანის ძირითადი, თანდაყოლილი უფლებებია, არსებული, როგორც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე პრეროგატივა.⁵⁸ ამგვარად, პირველადია ადამიანი, მასთან ერთად იბადება უფლება, ხოლო შემდგომ პოზიტიური სამართალი.⁵⁹ ამ ჭეშმარიტი თეორიული მსჯელობის საინტერესო საკანონმდებლო ასახვას წარმოადგენს ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის მე-16 პარაგრაფი, რომლის თანახმად: **ყოველ ადამიანს აქვს თანდაყოლილი, თავად გონით ნაკარნახევი უფლებები და ამის შედეგად, ის უნდა იქნას პიროვნებად აღიარებული.**⁶⁰

გერცენის მოსაზრებით, ქრისტიანულმა მოძღვრებამ ადამიანის წინაშე გადაშალა მთელი მისი უსასრულო ღირებულება, „სახარებაში“ ზემოთ გამოაცხადა ადამიანის უფლებანი და ადამიანებმა პირველად გაიგეს, რომ ისინი არიან ისინი.⁶¹ ბუნებით უფლებებს ბუნებითი სამართალი ანიჭებს ყოველ ინდივიდს, ადამიანის ბუნებრივი ანუ ღვთაებრივი უფლება არის – იყოს საკუთარი თავის უფალი მთლიანად სამყაროსთან მიმართებით, რაც ნიშნავს განსაზღვრო შენი თავი, შენი თავი შენადვე გეყუდნოდეს.⁶² თავისუფლება შეიცავს უფლებრივ ასპექტს და მიუთითებს უფლებაზე-თავად განსაზღვროს და დადგინდეს მისი უფლებრივი მდგომარეობა ყოფიერებაში.⁶³ სამართლებრივი გაგებით „თავისუფლება“ განსაზღვრავს ადამიანის სოციალური შესაძლებლობის ფარგლებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა

სფეროში, რომლებიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ,⁶⁴ ინდივიდის თავისუფლება სახელმწიფოსგან, საკუთარი შეხედულებით თავისუფლად მოქმედება, ადამიანის უფლების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას შეადგენს.⁶⁵

ადამიანის უფლებების აღიარება, მათთვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭება სამართლის ჰუმანური, მისი არსების გამამართლებელი მიზანია.⁶⁶ ნებისმიერი სამართლებრივი, დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია, როგორც ღირებულებებზე დამყარებული სისტემა – წესრიგი, სამართლის უმაღლეს მიზნად უნდა აღიარებდეს თავისუფლებას და ადამიანის ღირსების დაცვას. ამასთან, მასში გათვალისწინებული ადამიანი არ უნდა წარმოჩნდეს ვით თვითგაღმერთებული ინდივიდი, არამედ როგორც საზოგადოებაში მცხოვრები პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია ამ საზოგადოების წინაშე.⁶⁷

ადამიანებისთვის ღვთისგან ნაბოძებ ხელშეუვალ უფლებებად განსაზღვრა: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა.⁶⁸ ადამიანთა მოსაზრებით, ქმედებები კარგია იმის პროპორციულად, თუ რამდენად უწყობს ხელს ისინი ბედნიერებას და ცუდია იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ ბედნიერების საწინააღმდეგოს გამოწვევის მიდრეკილება.⁶⁹

8. პიროვნულ უფლებათა არსი და ნუსხა

8.1. პიროვნებასთან განუყოფელი კავშირი და განუსხვისებლობა – ამოსავალი პუნქტი

ძირითად უფლებათა ბირთვს ადამიანის პიროვნული უფლებები შეადგენს, უპირველესად, სწორედ ისინი მოიაზრება ადამიანის კუთვნილ იმანენტურ უფლებებში. მათ დასაწყისშივე მოიპოვეს ინდივიდის ავტონომიისა და ნებისმიერი თვითნებობისგან დაცულობის სამართლებრივი გამოხატულება, ადამიანური ყოფის არსის და მისი თავისუფლების უზრუნველყოფის გამომსახველობა.⁷⁰ პიროვნულია უფლებები, რომლებიც თავად პიროვნებასთან განუყოფელ კავშირშია. განუსხვისებელია, ანუ სამოქალაქო ბრუნვის მიღმა დგას, არ გააჩნია ქონებრივი ეკვივალენტი და მხოლოდ მორალური, ეთიკური ღირებულების მქონეა.⁷¹

პიროვნულია უფლება, რომელიც ადამიანის პიროვნებას, მისი ფიზიკური, სულიერი და გონებრივი არსებობის, ყოფიერების წესს შეეხება.⁷² ამგვარ სიკეთეებს მიეკუთვნება: სიცოცხლე, თავისუფლება, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, სახელი, პირადი (კერძო) ცხოვრების საიდუმლოება, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და სხვა.⁷³

8.2. მოკლედ პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობის შესახებ

ისტორიულად, მოძღვრება პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ გაჩნდა, როგორც მოძღვრება საკუთარ პიროვნებაზე უფლების შესახებ. მის წარმოშობას უკავშირებენ **დონე-ლუსის** სახელს, რომელმაც ჯერ კიდევ, მე-16 საუკუნეში, რომის სამართლის კომენტარებისას სამართლებრივი დაცვის ღირს სიკეთედ აღიარა სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება და პრესტიჟი. პიროვნულ უფლებათა შესახებ ცხარე დისკუსია წარმოებდა მე-19 საუკუნის გერმანელ სამართალმცოდნეთა შორის: თუ **სავინი** წინააღმდეგი იყო ასეთი უფლების ცალკე მოწესრიგებისა სამოქალაქო სამართალში, რადგან შეუძლებლად თვლიდა ადამიანის მიერ საკუთარი სხეულისა და სიცოცხლის განკარგვის უფლების აღიარებას, **გირკე** დაჟინებით ითხოვდა პირად არაქონებრივ უფლებათა განმტკიცებას სამოქალაქო კოდიფიკაციებში, პირველ ყოვლისა, გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში; პიროვნული უფლების პირველი დეფინიციაც გირკეს ეკუთვნის: „**პირადია უფლება, რომელიც მისი სუბიექტის საკუთარი პირადი სფეროების ამა თუ იმ ნაწილზე ბატონობას უზრუნველყოფს.**“⁷⁴

8.3. პერსონალურ უფლებათა ჩამონათვალი

ა) სიცოცხლის უფლება

პიროვნულ უფლებათა შორის უმთავრესი **სიცოცხლის უფლებაა**. სწორედ მისგან გამომდინარეობს ყველა სხვა უფლება. სიცოცხლე აბსოლუტური სიკეთეა, რომელზეც თითოეულ ადამიანს თანდაყოლილი უფლება აქვს,⁷⁵ მასში მოიაზრება უფლება ღირსეულ ადამიანურ არსებობაზე.⁷⁶ გაეროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული: **არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი;**⁷⁷ ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად: **სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.** შესაბამისად, ის ითვალისწინებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, არ დაუშვას პირის სიცოცხლის რაიმე ფორმით ხელყოფა, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმ პირთა სიცოცხლის დასაცავად, რომლებიც მის იურისდიქციაში შედიან.⁷⁸

ბ) თავისუფლება

კანტის მოსაზრებით, **თავისუფლება** ერთადერთი პირველსაწყისი უფლებაა, რომელიც ყოველ ადამიანს თავისი ადამიანობის ძალით აქვს მიკუთვნებული;⁷⁹ „თავისუფალია ის, ვინც

თავისთვის უფალია, ვისაც არა ჰყავს სხვა უფალი, გარდა თავისი თავისა. საზღვარი ჩემი თავისუფლებისა თავდება იქ, სადამდინაც კი სცემს ჩემი ბუნების ძალა და განვითარება, ჩემი პიროვნული ენერგია... თავისუფლება ის შემოქმედი ძალაა, რომელზეც დამყარებულია როგორც პიროვნული ბედნიერება, ისე კაცობრიობის იმედები.⁸⁰

საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის (1789) თანახმად, ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფლებად და თანასწორობად უფლებებში. უფლება – ეს არის თავისუფლება თანასწორობით განპირობებული (თანასწორობის უფლების საფუძველი კი შესაძლებლობების თანასწორობაა და არა ფაქტობრივი გათანაბრების უზრუნველყოფა),⁸¹ მასში თავისუფლება აუცილებელი სუბსტრატია, ხოლო თანასწორობა – აუცილებელი ფორმულა, თავისუფლების გარეშე უფლება მხოლოდ ძალადობაა.⁸²

ვ) ჯანმრთელობის უფლება

ჯანმრთელობის უფლება – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში ადამიანის ჯანმრთელობა განიმარტება, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით, სრულად კარგად ყოფნის მდგომარეობა, სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ როგორც ავადმყოფობისგან ან უძლურებისგან გათავისუფლება.⁸³ ჯანმრთელობის უფლების შინაარსი შედგება მისით სარგებლობის, განკარგვისა და დაცვის უფლებამოსილებათაგან. მიიჩნევა, რომ ამ ფუნდამენტური უფლების გარეშე სხვა უფლებები უმნიშვნელოა. შესაბამისად, სხვაობა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის თანასწორობის პრინციპის დარღვევას შეადგენს.⁸⁴ ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე გულისხმობს, ნებისმიერი ადამიანის უფლებას – ხელი მიუწვდებოდეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უმაღლეს, ხელმისაწვდომ სტანდარტებზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.⁸⁵

დ) პატივი

პატივი განიმარტება, როგორც ადამიანის გარეგანი ღირებულება, მისი საკუთარი ღირსება საზოგადოების ფარგლებში, პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ.⁸⁶ უფრო ლაკონურად, ადამიანის პატივში იგულისხმება პირის ადამიანური ღირსების აღიარება და მასთან ამ ღირსების შესატყვისად მოქცევა.⁸⁷ პიროვნების

პატივი და ღირსება უმაღლესი სოციალური ღირებულებაა, ის „ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს“ (ილია ჭავჭავაძე) და დაცულია ყველასა და თითოეულის ხელყოფისგან.⁸⁸

ე) ღირსება

ღირსება – ადამიანის თანდაყოლილი უზენაესი ღირებულებაა, ის ყველა ადამიანის კუთვნილი სიკეთეა, იმანენტურია ადამიანად ყოფნისთვის,⁸⁹ თანაარსია ადამიანისთვის, როგორც გონიერი, თავისუფალი ნებისა და პაუზისმგებლობის მქონე არსებისთვის.⁹⁰ **კანტის** მოსაზრებით, თვით ადამიანურობაა ღირსება, თითოეულისთვის ადამიანური ყოფიერების საფუძველზე მიკუთვნებული პატივისცემის უფლების მოთხოვნა.⁹¹ იგი არ არის დაკავშირებული სამართალსუბიექტობასთან ან ღირსების შეგრძნებისა და ფლობის შესაძლებლობასთან,⁹² პირის ღირსების აღიარება სწორედ მისი ბუნებითი უფლებების ცნობას გულისხმობს.⁹³ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის (1 ნაწილი) თანახმად: **ადამიანის ღირსება ხელშეუვალი და დაცულია**. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსგან, ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია.⁹⁴

ვ) პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული სიკეთეა. ის პირველ ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას, რადგან სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განსხვავებულ მახასიათებლებზე.⁹⁵ მისი ცალკე უფლებად აღიარება უკავშირდება ადამიანის, როგორც უმთავრესი სამართლებრივი ღირებულების, მისი ღირსების აღიარებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს 2 ძირითად სფეროს: 1. **პიროვნების ქცევის თავისუფლებას (მოქმედების ზოგადი თავისუფლება)**, 2. **ზოგად პიროვნულ უფლებას**, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს არაერთ უფლებრივ კომპონენტს, კერძოდ, **პიროვნების თვითგამორკვევის უფლებას, პირადი ცხოვრების უფლებას, თვითგამოსახულების უფლებას, ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას**.⁹⁶ ამგვარად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს

ადამიანის სხვადასხვა უფლებასა და თავისუფლებას, რომელიც მისი განსხეულებისათვის საშუალებას წარმოადგენენ.⁹⁷

8) პირადი (კერძო) ცხოვრების უფლება

პირადი (კერძო) ცხოვრების უფლება – მარტივი განმარტებით, ეს არის „უფლება მარტოობაზე (თომას კული).“⁹⁸ უფრო ფართოდ, მასში მოიაზრება ინდივიდის უფლება საკუთარი თავი, პირადი ცხოვრება და საკუთრება მოაქციოს საზოგადოებრივი კონტროლისა და მეთვალყურეობისგან თავისუფალ სივრცეში, თავისივე არჩევანის შესაბამისად.⁹⁹ ის მოიცავს უფლებას, იყოს თავისუფალი დევნისა და შეწუხებისგან, დაიცვას პერსონალური ინფორმაცია, კომუნიკაციისა და დოკუმენტების საიდუმლოება, საშინაო ატმოსფერო, ოჯახი და ჯანმრთელობა.¹⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ეს არის ინდივიდის შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებით დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, დაცული იყოს მისი კერძო სფერო როგორც სახელმწიფოს, ისე ნებისმიერი პირის ჩარევისგან. ის იცავს ადამიანის არჩევანს, იარსებოს გარესამყაროსგან დამოუკიდებლად, თავისუფლად გადაწყვიტოს რა პირობებში, რა მოცულობით ჰქონდეს ურთიერთობა საზოგადოების წევრებთან.¹⁰¹

თ) პირადი ცხოვრების საიდუმლოება

პირადი ცხოვრების საიდუმლოებაში იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და განკუთვნილია პირთა განსაზღვრული წრისათვის ან მისი ვინმესთვის განდობა არ შეადგენს პირის ინტერესს.¹⁰² შესაბამისად, აღნიშნული მოიცავს ისეთ ცხოვრებისეულ მომენტებს, რომლებიც მართალია, რეალურად მოხდა, მაგრამ ინდივიდს მისი გასაჯაროება არ სურს.¹⁰³ პირადი ცხოვრება დაცული სიკეთეა, რადგან წარმოშობს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ინდივიდუალური იდენტობისა და თვითგანხორციელების, ავტონომიურ ურთიერთობათა სივრცეში დაცვის მოთხოვნები.¹⁰⁴

ი) სახელის უფლება

სახელის უფლებას სამოქალაქო სამართლით განმტკიცებულს, **სამოქალაქო სახელი** ეწოდება. მას ყოველი უფლებაუნარიანი ადამიანი ატარებს საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინდივიდუალობის (იდენტობის) აღსანიშნავად.¹⁰⁵ პირის უფლება ჰქონდეს, შეიცვალოს ან ზო-

გადად, აკონტროლოს სახელი/გვარი, პირის ზოგადი თავისუფლების განუყოფელი ნაწილია.¹⁰⁶ სახელის მეშვეობით მიიღწევა ადამიანის ინდივიდუალიზაცია ყოფით და სამართლებრივ ურთიერთობებში და ადამიანს პიროვნული ღირებულებები უკავშირდება. სახელის უფლება მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს საავტორო სამართალში, ნაწარმოების ავტორობა ხომ მასზე აღნიშნული გვარით დასტურდება.¹⁰⁷ ამგვარად, სახელი პიროვნულობის განუყოფელი ელემენტია და მისი მეშვეობით ადამიანი დაცულია სოციალური უგულებელყოფისგან.¹⁰⁸

კ) საქმიანი რეპუტაცია

საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს იმ პატივისცემას, რომელსაც გრძნობს საზოგადოების გარკვეული ნაწილი პირის მიმართ, მასში მოიაზრება პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რასაც ეფუძნება ამა თუ იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება. პირის საქმიანი რეპუტაცია არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული პირის საქმიანი თვისებების შესახებ შექმნილი და სოციუმში ჩამოყალიბებული აზრი.¹⁰⁹ შესაბამისად, რეპუტაციის შელახვა ნიშნავს პირის დაკნინებას საღად მოაზროვნე ადამიანთა თვალში ან ქმედებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება პირის მიმართ სიძულვილი.¹¹⁰

პირადი უფლებების ჯგუფი ფართოა და მისი ამომწურავი ჩამონათვალი ვერ იქნება ასახული ვერც კონსტიტუციასა და ვერც კერძო კანონებში. მომავალში ცხოვრებისეულმა ურთიერთობებმა შესაძლოა, ახალი პიროვნული უფლებები შექმნას, სამოსამართლეო სამართალს ამ მხრივ, გადაწყვეტი როლი ეკისრება: „ახალი სამართლებრივი ფასეულობანი სასამართლო გადაწყვეტილებებში იბადება. ამ შემთხვევაში სასამართლო ამოდის როგორც საყოველთაო გონიერების იდეიდან, ისე მოცემული საზოგადოების მოთხოვნილებათა პრაქტიკული გონიერებიდან. სასამართლოს შესწევს უნარი ერთმანეთს შეუსაბამოს სამართლის საყოველთაო იდეა და თავისი ქვეყნის სახალხო სულის მოთხოვნილებები.“¹¹¹

9. პირადი არაქონებრივი სიძველის დაცვა

9.1. ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება, როგორც დაცვის საშუალება

კერძო სამართალი და სამართლებრივი დაცვა, რომელსაც იგი აფუძნებს, ემსახურება საზოგადოებაში ცალკეული ინდივიდის თავისუფლების შენარჩუნებას. სწორედ, ინდივიდუალური

თავისუფლება არის ერთ-ერთი მთავარი იდეა, რის გამოც არსებობს კერძო სამართალი.¹¹² პიროვნული უფლებების სამართლებრივი დაცვის ორი გზა არსებობს: ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება და ცალკეული პიროვნული უფლების მოწესრიგება. ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს ყველა იმ უფლებას, რომელიც ადამიანის ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარეობს¹¹³ და პიროვნების იდენტობასა და ინდივიდუალობას უკავშირდება. ამით იგი მოქნილია პიროვნული უფლების ხელყოფის ნებისმიერ ახალ გამოვლენაზე გავრცელების თვალსაზრისით.¹¹⁴

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ტერმინი – ზოგადი პიროვნული უფლება. თუმცა, კონსტიტუცია განამტკიცებს საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლებას, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობას, მორალურ და ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თვით-გამორკვევის უფლებას, რომლებიც ზოგადი პიროვნული უფლების ნაწილია. ზოგადი პიროვნული უფლება იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებიც შეიძლება არ იყოს ძირითადი უფლებებით დაცული, ამიტომ ამ უფლებას ხშირად უხილავ, დაუწერელ ძირითად უფლებად, ასევე, „დანარჩენ უფლებად“ მოიხსენიებენ ხოლმე.¹¹⁵ ზოგადი პიროვნული უფლების ცნება მოიცავს მთელ რიგ უფლებებს, რომლებიც ახდენენ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების კონკრეტიზაციას ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით.¹¹⁶

9.2. ცალკეული პიროვნული უფლებების მოწესრიგება – ქართველი კანონმდებლის არჩევანი

საქართველოს კანონმდებლობა იცავს განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებებს, როგორც ზოგადი პიროვნული უფლების ქვესახეობებს.¹¹⁷ ცალკეული პიროვნული უფლების მოწესრიგებას ის უპირატესობა აქვს, რომ შესაძლოა თითოეულისთვის დამახასიათებელი თავისებურების გამოკვეთა და ხელყოფასთან მიმართებით, უფრო კონკრეტული უფლებრივი შედეგის გათვალისწინება.¹¹⁸ კანონმდებელი სამართლებრივი დაცვის ღირსი სიკეთის ხელშეუხებლობას მათი ჩამოთვლით აღწევს.

საქართველოს სკ-ის მე-18 მუხლით განსაზღვრულია პირად არაქონებრივ უფლებათა ჩამონათვალი და დადგენილია მათი ბრალეული და არაბრალეული ხელყოფის სამართლებრივი შედეგები. მართალია, ეს ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი და არც ნორმაშია მითითება: „ან სხვა უფლება“, გერმანიის სკ-ის 823-ე პარაგრაფის მსგავსად, მაგრამ სამოსამართლეო

სამართლით შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნას კანონით გაუთვალისწინებელი პიროვნული უფლებების დაცვა კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპებზე დაყრდნობით.

10. პირადი არაქონებრივი თვისებრიობის სიკეთის ხელყოფა – დაცვის ფორმები და მიმართება ბრალთან

მიიჩნევა, რომ პიროვნულმა უფლებებმა უნდა დაიცვას ადამიანის შინაგანი, სულიერო სამყარო სხვადასხვაგვარი ხელყოფისგან. ადამიანი შესაძლოა წარმოჩნდეს, როგორც ინტიმური სფეროს წარმომადგენელი და როგორც სოციუმის წევრი. შესაბამისად, ინდივიდს შეიძლება ზიანი მიაღდეს მისი თვითმყოფადი შინაგანი სფეროს ხელყოფით, ხოლო ადამიანმა, როგორც სოციალურმა არსებამ, შესაძლოა ზიანი განიცადოს სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობის ხელყოფით.¹¹⁹ ხელყოფა შესაძლოა გამოვლინდეს შემდეგი სახით: სახელის ტარების უფლების შეცილება და სხვა პირის მიერ სახელით უნებართვო სარგებლობა, სხვა პირის პირად ცხოვრებაში შეჭრა, ღირსებისა და პატივის შელახვა, თანხმობის გარეშე პირის გამოსახულების გავრცელება (პირის კომერციალიზება), დიფამაცია (წერილობით ან სიტყვიერად პირის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, რაც მის რეპუტაციას ლახავს),¹²⁰ პერსონალური მონაცემების გაცემა¹²¹ ან მათი კონფიდენციალობის დარღვევა და სხვა.

პიროვნულ უფლებათა ხელყოფას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც ბრალეულად, ისე ბრალის გარეშე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ **ილია ჭავჭავაძე** თვით ჯანსაღი კრიტიკული თვალსაზრისის გამოთქმისას, დაუშვებლად მიიჩნევდა სხვისი ადამიანობის, კაცობრიული გრძნობის შელახვას, პატივისა და ღირსების ხელყოფის შეწყნარებას იმ დროსაც, როდესაც ხელმყოფი მოქმედებდა ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე ან გაუფრთხილებლობით ან თვით გულმართლობითაც.¹²²

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებია: უფლების აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე, პიროვნულ უფლებათა შემლახველი გავრცელებული ცნობების უარყოფა და საპასუხო ცნობების გამოქვეყნება, ხოლო ბრალეული ხელყოფა სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს, რაც ზიანის – მორალური და მატერიალური ანაზღაურების ფორმით დგინდება. მატერიალური ზიანის დაანგარიშება შესაძლოა მოხდეს ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურებით ან უფლების დამრღვევი პირის მიერ მიღებული მოგების

გადაცემით.¹²³ მაგალითად, საქართველოს სკ-ის მე-18 მუხლის მე-ნაწილის თანახმად: **მატერიალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნას იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს;** ასევე, გერმანიის სკ-ის (253-ე პარაგრაფი) თანახმად: ქონებრივი ზიანისგან დამოუკიდებლად დაზარალებულს შეუძლია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. კერძოდ, **არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;** თუ ანაზღაურებას ექვემდებარება სხეულისთვის, ჯანმრთელობისთვის, თავისუფლებისთვის ან სქესობრივი თვითგამორკვევისთვის მიყენებული ზიანი, მაშინ გონივრული საზღაური შეიძლება ასევე, იქნას მოთხოვნილი არაქონებრივი ზიანისთვის.¹²⁴

11. მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორც პიროვნულ უფლებათა ბრალმართული ხელყოფის უფლებრივი შედეგი

11.1. მორალური (არაქონებრივი) ზიანის შინაარსი

ზიანის არსი პირის კანონიერი ინტერესის ნებისმიერი მიზეზით ხელყოფა, დამცირება,¹²⁵ დაბრკოლება, უკან დახევა ან განადგურებაა. ზიანის მიყენებას ადგილი აქვს, თუ ინდივიდის ერთი ან რამდენიმე ინტერესი იმაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე იყო ქმედების ჩადენამდე, თუ ის თავის მიზნებს გაცილებით რთულად აღწევს, ვიდრე ზიანის არარსებობისას მიაღწევდა.¹²⁶ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს იურიდიული და არა ფაქტობრივი ზიანი. ეს უკანასკნელი არ უკავშირდება მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და შესაძლოა წარმოიშვას როგორც ბუნებრივი ძალების ზემოქმედებით, ისე სხვა პირის მართლზომიერი მოქმედებით ან თავად დაზარალებულის ქმედებით.¹²⁷

მორალური (არაქონებრივი) ზიანი გულისხმობს ზიანის ისეთ ფორმებს, რომელთაც არა აქვთ პირდაპირი ეკონომიკური მნიშვნელობა, არ მოეპოვებათ ქონებრივი, ფულადი ეკვივალენტი, რადგან ხელყოფს პირთა არაქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებულ უფლებებს (ამასთან, არამატერიალური ზიანი შესაძლოა იყოს ქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგიც),¹²⁸ რაც მას აქვს დაბადებიდან ან კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც იწვევს ფიზიკური პირის შოკს და შეშფოთებას.¹²⁹ მორალური ზიანის არსებობა გულისხმობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დამცრობას, რაც სულ მცირე, აუარესებს მის სოციალურ სტატუსს.¹³⁰ უფრო კონკრეტულად, მორალური ზიანი მოიცავს ტკივილს და ცხოვრების ხარისხის შემლუღვას,¹³¹ მის შინაარსში იგულისხმება ადამიანის

ფიზიკური ან სულიერი, ემოციური, ზნეობრივი ტკივილი, განცდა, ტრავმა, ტანჯვა.¹³² თავის მხრივ, ფიზიკური ზიანი მოიცავს თანმიმდევრული მოქმედების ან უმოქმედობის ერთობლიობას, რასაც მიყვარებულ ჯანმრთელობის დარღვევამდე (ორგანოთა ანატომიური ერთიანობისა და ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლა), ტრავმამდე, ინვალიდობამდე და ზოგჯერ გარდაცვალებამდე.¹³³

11.2. მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციები

მოსარჩელის განცხადება, რომ განიცადა ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვა, წარმოადგენს არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტის პირდაპირ მტკიცებულებას, ხოლო მისი შეფასება – სასამართლოს პრეროგატივაა. ქართული სამართალი გონივრული და სამართლიანი კომპენსაციის დაკისრების პრინციპს განამტკიცებს. ამასთან, ამ შემთხვევაში უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლების რესტიტუცია (უფლების დარღვევამდე არსებული სულიერი მდგომარეობის აღდგენა), რამეთუ მიყენებული ზიანის ზუსტი ფულადი ეკვივალენტის მოძებნა შეუძლებელია. ამ ვითარებაში ფულადი კომპენსაცია მიმართულია მოსარჩელის გამართლებისკენ საზოგადოების თვალში, მისი ფიზიკური და სულიერი ტანჯვის შემსუბუქებისა და უარყოფითი ემოციების გაქარწყლებისკენ.¹³⁴ ის მნიშვნელოვანია იმ უფლების დადასტურების თვალსაზრისითაც, რომლის შელახვასაც მოჰყვა მორალური ზიანის დადგომა.¹³⁵ ასევე, ზიანის მიმყენებელზე ფულადი ანაზღაურების დაკისრებას აქვს პრევენციული ფუნქცია, კერძოდ, სამართალდამრღვევზე ზემოქმედების მოხდენა და სამომავლოდ პიროვნულ უფლებათა ხელყოფის თავიდან აცილება.¹³⁶

11.3. მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიულად განსაზღვრული სივრცე ქართულ სინამდვილეში

ქონებრივი ზიანის გვერდით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ასევე, ითვალისწინებს საქართველოს სკ-ის 413-ე მუხლი – ადამიანის სხეულის დაზიანებისას ან ჯანმრთელობის მოშლისას. ამასთან, დაზარალებულს მინიჭებული აქვს რა, ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, ნორმით განსაზღვრულია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სფერო და იმპერატიულად არის დადგენილი, რომ აღნიშნული შესაძლოა მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.¹³⁷ მატერიალური ზიანი შესაძლოა გამოიხატოს

როგორც რეალური ზიანის სახით – გაწეული მკურნალობის ხარჯი, რეაბილიტაციის ხარჯი, ისე ანაცდური მოგების ფორმით, ხოლო მორალური ზიანი გამოიხატება ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ტანჯვა, უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლა, ცხოვრების ხალისის დაკარგვა, ნერვული დაძაბულობა.¹³⁸

ასევე, საქართველოს სკ-ის 1007-ე მუხლით განსაზღვრულია სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაცია ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვა), პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. სამედიცინო შეცდომით ფიზიკური პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისას, მოქმედებს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი პირობები.¹³⁹ აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ნორმა შეიცავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს: „ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“ ანუ ნორმა განამტკიცებს სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფციას. სამედიცინო მომსახურების გამწევი სუბიექტის მიერ პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის საქმეებზე მოქმედებს პრინციპი – *Res ipsa loquitur*. აღნიშნული გულისხმობს ზიანის მიმყენებელი მოქმედების განხორციელებას მოპასუხე მხარის გაუფრთხილებლობით, ანუ მოპასუხის ბრალეულობა ივარაუდება, მისი მხრიდან საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე.¹⁴⁰ ამ პრინციპის მიზანია პაციენტისთვის საქმის წარმოების გამარტივება, რამდენადაც სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალით ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცება საკმაოდ რთულია.

საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“ მე-10 მუხლი ადგენს პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებას, მოითხოვოს სამედიცინო დაწესებულებისგან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია პაციენტის უფლებების დარღვევით, მცდარი სამედიცინო ქმედებით, სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების ხარვეზით, სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით.

პაციენტისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნას არა მხოლოდ მისი ჯანმრთელობის დაზიანების საფუძველით, არამედ მისი სხვა არაქონებრივი უფლებების დარღვევის გამოც, რადგან **პაციენტის უფლებების ხელყოფა მორალური ზიანის პრეზუმფციას ქმნის.**¹⁴¹

არსებობს პოზიცია, რომ ქართულ კანონმდებლობაში არსებობდეს ნორმა მორალური ზიანის არსებობის სამართლებრივი გულებების შესახებ ანუ ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენისას დაშვებულ იქნას პრეზუმფცია დაზარალებულისთვის მორალური ზიანის მიყენების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ამგვარ პრეზუმფციას განამტკიცებს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება (№1.26.01.2010), რომლის თანახმად, პირი, მისი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას, ყველა შემთხვევაში განიცდის ფიზიკურ ან მორალურ ტანჯვას, ამიტომ მისთვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი იგარაუდება.¹⁴²

აღსანიშნავია, რომ როგორც ევროპის ქვეყნების სამოსამართლეო სამართალი, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს სიცოცხლის უფლების ხელყოფისას, დაზარალებულის ოჯახის წევრებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ოჯახის წევრი მომსწრე იყო დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტისა, რამაც გამოიწვია მისი ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა.¹⁴³ მაგალითად, ავსტრიის უზენაესი სასამართლოს პოზიციით, როდესაც დელიქტის ჩამდენი მოქმედებს განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, გარდაცვლილი პირის ნათესავს უნდა აუნაზღაურდეს მორალური ზიანი, თუ მან ძლიერი სულიერი ტრავმა განიცადა, მიუხედავად იმისა, მომსწრე იყო თუ არა ახლობელი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის.¹⁴⁴

ტექსტში მე-8.1. პარაგრაფში, 71 სქოლიოს შემდეგ იწყება წინადადება "პიროვნულია უფლებები, რომლებიც ინდივიდის პერსონასთან, პიროვნებასთან განუყოფელ კავშირშია" უნდა შესწორდეს ასე: "პიროვნულია უფლებები, რომლებიც თავად პიროვნებასთან განუყოფელ კავშირშია"

შენიშვნები:

- ¹ Победоносцев К.П., Курс гражданского права, ч.3, Договоры и обязательства, http://Consultant Pobedonoscev_kp_Kurs_grazdanckogo_prava-dogovory_i_obyazatelstva.
- ² ცეტიშვილი თ., სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი, სამართლის ჟურნალი, №1, 2014, 363. სამართალდარღვევა არის სამართლის ნორმით აკრძალული პირის ბრალეული ქმედება, რომელიც ხელყოფს სამართლის ნორმით აღიარებულ უფლებას, გიანს აყენებს სამართლის სუბიექტის ინტერესს ან ქმნის ასეთი გიანის მიყენების რეალურ საფრთხეს; სავანელი ბ., თანამედროვე სამართლის თეორია, თბ., 2004, 153. „უსამართლოდ ითვლება ადამიანებისათვის მათი პირადი თავისუფლების, ქონების, კანონით კუთვნილი ნებისმიერი სიკეთის წართმევა, ამდენად, სამართლიანია ნებისმიერი ადამიანის უფლების პატივისცემა, ხოლო მათი შელახვა – უსამართლო;“ მილი ჯ. ს., თავისუფლების შესახებ, უტილიტარიზმი, თბ., 2010, 231.
- ³ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, М., 2017, 573. დელიქტური ვალდებულება სამართლის დარღვევით წარმოშობილი გიანის ანაზღაურების ვალდებულებაა; ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. მართლმსაჯულება, №1, 2008, 49.
- ⁴ ფ. ლისტი, მოსაზრება მითითებულია: ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 15. სამართლებრივი სიკეთე არის რაღაც რეალური და არა უბრალოდ იდეალური წარმონაქმნი (ბინდინგი), სამართლებრივი სიკეთე არის ყოველი სასურველი სოციალური მდგომარეობა, რომელიც სამართალს უნდა, რომ დაიცვას დაზიანებისგან. მართალია, მას არა აქვს სხეულებრივი სუბსტრატი, მაგრამ გააჩნია ხელყოფისთვის ხელმისაწვდომი რეალობა. ის არ არის მატერიალური წარმონაქმნი, მაგრამ ახასიათებს სოციალური რეალობა და შესაძლოა, მისი ეფექტიანი დაზიანება (ველცელი); ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 16.
- ⁵ სიცოცხლის ხელყოფას ადგილი აქვს, თუ ქმედება იწვევს გარდაცვალებას, ჯანმრთელობის ხელყოფა სახეზეა, როდესაც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე შინაგან პროცესებზე ზემოქმედება ხორციელდება, საკუთრების ხელყოფა კი, პირველ ყოვლისა, ვლინდება ნივთის დაზიანებით ან მისი განადგურებით, ანდა მისი მფლობელობის წართმევით; Шапп ЯН, Система германского гражданского права, пер.на русский Королева С.В., М., 2006, 136.
- ⁶ ცეტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 168.
- ⁷ მოსაზრება მითითებულია: ბერიაშვილი მ., ლომსიანიძე ე., სამართლიანობის, თანასწორობის და ზნეობრიობის გაგება ეპისკოპოს ლეონიდეს ნააზრევში (ქადაგებების მიხედვით), კრებული: სამართლიანობის იდეა ქართულ სააზროვნო სივრცეში, ჯ. ქარჩხაძის ფორუმი, №3, 2019, 108.
- ⁸ Persona morales – ეს გამოთქმა ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის ქმნილებაა და პირველად მისი გამოყენება პუფენდორფის სახელს უკავშირდება. ის წარ-

მოადგენს სამართლის სუბიექტის ცნებას და ერთდროულად მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. Schnizer, Helmut, Die juristische person in der kodifikationsgeschichte des ABGB, S. 147. მითითებულია: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 208.

- ⁹ კონინგი ჰ., „უფლების“ ცნების ისტორიისთვის, სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 242.
- ¹⁰ გოკიელი ფ., სამართალი სუბიექტური საზრისით, იურიდიული ესეები, კრებუ-
ლი: ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, რედ. ნინიძე თ., ანთაძე კ., უგრე-
ხელიძე მ., თბ., 2017, 2. ჯერ კიდევ, რომაულმა სამართალმა აღიარა ბუნებითი
სამართლის იდეა, რომელსაც თან ახლავს სამოქალაქო უფლებების მიღმა
მოქმედი უნივერსალური ღირებულებები; ქერაშვილი ს., ძირითადი უფლე-
ბების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე: ევროპული გამოცდილების
მნიშვნელობა ქართული სამართლისთვის, სადისერტაციო ნაშრომი დოქტო-
რის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2018, 10.
- ¹¹ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის
შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 160.
- ¹² იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართ-
ველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,
ავტორთა კოლექტივი: ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ.,
იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი
ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., თბ., 2013, 13.
- ¹³ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყ-
ვეტილებები, რედ. კუბლაშვილი კ., ნინიძე თ., ლოლაძე ბ., ერემაძე ქ., მთარ-
გმნელი ჩაჩანიძე ე., თბ., 2011, 294.
- ¹⁴ ეკონომიკურ ასპექტში იგი მოიცავს სოციალურ სიკეთეთა სამართლიან
გადაანაწილებას, პოლიტიკურ ასპექტში ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილე-
ბების დაკმაყოფილებას – მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში. სავანელი ბ.,
ხელისუფლების განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებების კონს-
ტიტუციური გარანტიები, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში,
ავტორთა კოლექტივი, რედ. კნიპერი რ., ჭანტურია ლ., თბ., 1994, 27.
- ¹⁵ სავანელი ბ., ხელისუფლების განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებე-
ბის კონსტიტუციური გარანტიები, კრებული: სამართლის რეფორმა საქართ-
ველოში, რედ. კნიპერი რ., ჭანტურია ლ., თბ., 1994, 28.
- ¹⁶ ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბ., 2011, 215.
- ¹⁷ ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა (უპირატე-
სად ადამიანის უფლებათა ჭრილში), ესეები, თბ., 2013, 92.
- ¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყ-
ვეტილება №1/466. საქმეზე, საქართველოს სახალხო დამცველი საქართ-
ველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მითითებულია: ერემაძე ქ., ინტერესთა
დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, რედ. ხეცურიანი ჯ., პაპუაშვი-
ლი გ., ვარძელაშვილი კ., თბ., 2013, 12.
- ¹⁹ ბრეგვაძე ლ., აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია: სამარ-
თლის ტრანსფერები და თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში,
სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2016, 111.

- ²⁰ ადამიანის ნებისმიერი ძირითადი უფლება სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ ვალდებულებას, მიიღოს შესაბამისი ზომები უფლების უზრუნველსაყოფად, ისე პოზიტიურ ვალდებულებას, რომ სახელმწიფომ დაიცვას ადამიანები მათი უფლებების მესამე პირთა მხრიდან დარღვევისგან. ძამაშვილი ბ., სოციოეკონომიკური უფლებები: ძირითადი უფლებები თუ სახელმწიფო პოლიტიკის გამართლება? სამართლის ჟურნალი, №1, 2015, 391.
- ²¹ სამოქალაქო საზოგადოება წარმოიქმნა და პოლიტიკურ-სამართლებრივი აღიარება მოიპოვა მხოლოდ ბურჟუაზიულ ეპოქაში ადამიანის ბუნებითი უფლებების აღიარების და დაცვის აუცილებლობის გავლენით. თანამედროვე განმარტებით, სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს საზოგადოების განსაკუთრებულ ტიპს, მის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ბუნებასა და განვითარების დონეს. Матүзов Н.И., Гражданское общество, В книге: Матүзов Н.И., Малько А.В., (ред.), Теория государства и права, М., 2001. მითითებულია: პეპანაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, თბ., 2014, 28.
- ²² ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა (უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში), ესეები, თბ., 2013, 9.
- ²³ ზოიძე ბ., პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი სახელმწიფოს შესახებ, სამართლის ჟურნალი, №2, 2011, 273.
- ²⁴ Меиер Д. И., Русское гражданское право, 7-ое изд., СПб, 1897, 184. პიროვნული თავისუფლება ხანგრძლივი ვადით ვერ განხორციელდება გაწონასწორების გარეშე და შეუზღუდავი სუბიექტური მოთხოვნილებებისადმი მიდრეკილება საზოგადოების ხარჯზე არ შეესაბამება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, მთარგმნელი ჩაჩანიძე ე. რედ. კუბლაშვილი კ., ნინიძე თ., ლოლაძე ბ., ერემაძე ქ., თბ., 2011, 211.
- ²⁵ მილი ჯ.ს., თავისუფლების შესახებ, უტილიტარიზმი, თბ., 2010, 58.
- ²⁶ მოსაზრება მითითებულია: ვაჩიშვილი ა., სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, 79.
- ²⁷ იერინგი უფლების შიგნით განასხვავებს ორ ელემენტს: სუბსტანციურს ანუ უფლების პრაქტიკულ მიზანს, სარგებლობას და ფორმალურს ე.ი. სარჩელს, რომელიც წარმოადგენს ამ მიზნის განხორციელების საშუალებას. აქედან, პირველი არის უფლების შინაარსი, მეორე – მისი ფორმა. ვაჩიშვილი ა., სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, 186.
- ²⁸ ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა (უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში), ესეები, თბ., 2013, 117.
- ²⁹ ნინიძე თ., ფატი გოკიელის ცივილისტური ესეების კონტექსტებისათვის, წინათქმა წიგნზე: გოკიელი ფ., ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, თბ., 2017.
- ³⁰ სავანელი ბ., ხელისუფლების განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გარანტიები, კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, ავტორთა კოლექტივი, რედ. კნიპერი რ., ჭანტურია ლ., თბ., 1994, 30.
- ³¹ ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა (უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში), ესეები, თბ., 2013, 116.
- ³² ილია მეორე, სააღდგომო ეპისტოლე, 1988, ეპისტოლენი, თბ., 2012, 178.

- ³³ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 364.
- ³⁴ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 367.
- ³⁵ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2013, 623.
- ³⁶ პირი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს იმ პირს ამით გამოწვეული ზიანი (გერმანიის სკ-ის 823(1)-ე პარაგრაფი). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თარგმანი ზ. ჭეჭელაშვილის, თბ., 2010, 175.
- ³⁷ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2019, 8.
- ³⁸ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 367.
- ³⁹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თარგმანი ზ. ჭეჭელაშვილის, თბ., 2010, 45.
- ⁴⁰ ოპერმანი თ., კლასენი კ. დ., ნეთესჰაიმი მ., ევროპული სამართალი, სასწავლო სახელმძღვანელო, მთარგმნელი ერქვანია თ., ჯაფარაშვილი ი., თბ., 2021, 341.
- ⁴¹ ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2017, 673.
- ⁴² ლუთრინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011, 15.
- ⁴³ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ სადავო მოქმედება კანონით დადგენილი აკრძალვის საწინააღმდეგოა (მაგ., სხვისი ქონების დაზიანება), ან მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა, საკუთრება). ბიოლინგი პ., ლუთრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 53.
- ⁴⁴ ლუთრინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011, 17.
- ⁴⁵ ჩვენი დროის მოქმედი სამართალი მეტწილად, სახელმწიფოს კანონებით არის დადგენილი, ამიტომ მას პოზიტიური (ლათ. Positivus – დადგენილი, დაბადებული) სამართალი ეწოდება. მუთჰორსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მთარგმნელი მაისურაძე დ., თბ., 2019, 12.
- ⁴⁶ ბუნებითი სამართალი სამართლის ფილოსოფიის გაგებით, აღნიშნავს სამართალს, რომელიც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და გონებით შეცნობადია. ის მოიცავს დროსა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებსა და პრინციპებს, რომელიც პოზიტიურ სამართალზე მაღლა დგას, ბუნებითი სამართლის წყარო ადამიანის ბუნება,

ღვთის ნება და გონია. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, ავტორები: თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., რედ. ხუბუა გ., თოთლაძე ლ., თბ., 2012, 83.

- ⁴⁷ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წ. III-IV, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, რედ. სურგულაძე ნ., ზოიძე ბ., შუხოშვილი მ., ხოფერია მ., თბ., 2013, 21.
- ⁴⁸ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, რუსული გამოცემიდან თარგმანი ე. სუმბათაშვილის, გამოცემის რედაქტორი და ბოლოთქმის ავტორი ნინიძე თ., თბ., 2001, 307.
- ⁴⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, რუსული გამოცემიდან თარგმანი ე. სუმბათაშვილის, გამოცემის რედაქტორი და ბოლოთქმის ავტორი ნინიძე თ., თბ., 2001, 310.
- ⁵⁰ Joussen J., Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Jena, Verl.W.Volhammer, 2008, 360, Abs, 1045. მითითებულია: მოწონელიძე ნ., ნატურით რესტიტუციის პრინციპი საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, 2012, 127-128.
- ⁵¹ სუსგ-№ას-515-488-2015, 11.02.2016, ახალაძე მ., ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, რჩეული მუხლები (2016-2021წ. I ნახევარი), რედ. ძიძიგური ნ., თბ., 2021, 107.
- ⁵² ილია მეორე, საადღგომო ეპისტოლე, 1984, ეპისტოლენი, თბ., 2012, 98.
- ⁵³ სამართლებრივი ურთიერთობა - ეს არის ყოველი ცხოვრებისეული კავშირი, თუ ის სამართლის ნორმით არის განსაზღვრული. Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, 4-te Aufl, I, S.93. მითითებულია: სურგულაძე ი., ხელი-სუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო ო. გამყრელიძემ, რედ. ხუბუა გ., თბ., 2002, 62.
- ⁵⁴ სიტყვა „პირი“ წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „persona“, რომელიც ძირითადად, როლის, ხასიათის, ნიღბის გაგებით გამოიყენება. ძველ რომში მსახიობები ატარებდნენ ნიღბს, რომლითაც წარმოაჩენდნენ პირის იმ თვისებებს, რომლითაც ის სამოგადოების წინაშე წარსდგებოდა. ბიჭია მ., სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, სამართლის ჟურნალი, №1-2, 2010, 81.
- ⁵⁵ ნინიძე თ., წინათქმა რ. მარტენის სტატიის: „პირი და სამართლის სუბიექტი“ ქართული თარგმანისთვის, პროფესორ რომან შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2012, 164.
- ⁵⁶ კარბონიე ჟ., სამართლის არასუბიექტის ნაკვალევზე, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, რედ. ნინიძე თ., პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, 142.
- ⁵⁷ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 127.
- ⁵⁸ კარბონიე ჟ., სამართლის არასუბიექტის ნაკვალევზე, თარგმანი ე. სუმბათაშვილის, რედ. ნინიძე თ., პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, 137.

- ⁵⁹ ნინიძე თ., წინათქმა კარბონიეს სტატიის ქართული პუბლიკაციისათვის, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, 138.
- ⁶⁰ Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, М., 1998, 122.
- ⁶¹ გერცენი ა.ი., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. I, თბ., 1953, 300.
- ⁶² კაშია ჯ., თავისუფლება და ფედერალიზმი (პოლიტიკური კულტუროლოგია), თბ., 2013, 233.
- ⁶³ კაშია ჯ., თავისუფლება და ფედერალიზმი (პოლიტიკური კულტუროლოგია), თბ., 2013, 360.
- ⁶⁴ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის სფეროში, ჟურნ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, №4, 2011, 53.
- ⁶⁵ ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბ., 2011, 218.
- ⁶⁶ გოკიელი ფ., სამართალი სუბიექტური საზრისით, იურიდიული ესეები, კრებული: ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, რედ. ნინიძე თ., ანთაძე კ., უგრეხელიძე მ., თბ., 2017, 1.
- ⁶⁷ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თარგმნა ე. ჩაჩანიძემ, რედ. კუბლაშვილი კ., ნინიძე თ., ლოლაძე ბ., ერემაძე ქ., თბ., 2011, 13.
- ⁶⁸ ქანდა ჯ., ბერი ჯ.მ., გოლდმენი ჯ., ამერიკული დემოკრატია, ინგლისურიდან თარგმნა რ. გაჩეჩილაძემ, თარგმანის რედ. უგრეხელიძე მ., თბ., 1995, 4.
- ⁶⁹ მილი ჯ.ს., თავისუფლების შესახებ, უტილიტარიზმი, თარგმანი თ.ცხადაძის, თბ., 2010, 188.
- ⁷⁰ Шевчук С.С., Личные неимущественные права граждан в сфере медицинских услуг по гражданскому законодательству России, Ростов на Дону, 2005, 220. მითითებულია: Захаров Н.О., Ограничение субъективных личных неимущественных прав, ж. „Публичное и частное право“, №1, 2018.
- ⁷¹ პირადი უფლებების ობიექტია არამატერიალური სიკეთეები, რომელიც ორი სახისაა: სიკეთეები, რომელიც განუყოფელია ადამიანისგან და სიკეთეები, რომელთა სუბიექტისგან გამოცილება შესაძლებელია. პირველს განეკუთვნება – ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, მეორეს – სახელი, გამოსახულება, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალა და სხვა. ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, პროფესორ აკაკი ლაბარტყავას 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედ.ჭანტურია ლ., თბ., 2013, 169.
- ⁷² Staudinger J.V., მოსაზრება მითითებულია: ბიჭია მ., კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 79.
- ⁷³ ცივილისტურ დოქტრინაში არსებობს პირადი არაქონებრივი უფლებების კატეგორიებად დაყოფის მცდელობა: 1. უფლებები დაკავშირებული პირის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან (სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა, უფლება ჯანსაღ გარემოზე; 2. უფლებები მიმართული საზოგადოებაში პირის ინდივიდუალიზაციისკენ (სახელის, გამოსახულების და ხმის უფლება, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია); 3. უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს

პირის ავტონომიურობას (პირადი ცხოვრების საიდუმლოება: სამედიცინო, ნოტარიული, საადვოკატო საიდუმლოება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა); 4. უფლებები დაკავშირებული ინტელექტუალურ საქმიანობასთან (ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოების ავტორის, გამომგონებლის, სამრეწველო ნიმუშის, სასარგებლო მოდელის, სელექციური მიღწევების, ტოპოგრაფიულ-ინტეგრალური სქემების ავტორთა და შემსრულებელთა არაქონებრივი უფლებები). Малейна М.Н., Личные неимущественные права граждан, М., 2001, 21-22. მითითებულია: საჯარო ლ., ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2014, 86.

⁷⁴ ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 189-190.

⁷⁵ Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, М., 1998, 310. სიცოცხლე, ბედნიერი იქნება ის თუ უბედური, ერთადერთი სიკეთეა, რაც ადამიანს გააჩნია და ვისაც ცხოვრება არ უყვარს, ის სიცოცხლის ღირსიც არ არის. ცვაიგი შ., თავისი ცხოვრების სამი მგოსანი (კაზანოვა, სტენდალი, ტოლსტოი), ტ. IV, მთარგმნელი ჯორჯანელი კ., თბ., 2013, 62.

⁷⁶ Матузов Н.И., მოსაზრება მითითებულია: Амельчаков О.И., Право на жизнь: к вопросу о сущности понятия ж. Вестник Казанского юридического института МВД России, №2(44), 2021, 138.

⁷⁷ გელაშვილი ი., ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, 19.

⁷⁸ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე გ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012), რედ. კოპალეიშვილი მ., თბ., 2013, 62.

⁷⁹ კონინგი ჰ., „უფლების“ ცნების ისტორიისთვის, სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 241. ყოველი არსება, რომელსაც არ ძალუძს სხვაგვარად მოქმედება, თუ არა თავისუფლების იდეიდან გამომდინარე, ნამდვილად თავისუფალია პრაქტიკული თვალსაზრისით. კანტი ი., 89-ეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, მთარგმნელი რამიშვილი ლ., რედ. ნათაძე ნ., თბ., 2013, 255.

⁸⁰ გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, II გამოცემა, რედ. გეგენავა დ., თბ., 2014, 94.

⁸¹ ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბ., 2020, 19. დემოკრატიული, კონსტიტუციური სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანაბარ მოპყრობას იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მოქალაქეს აქვს საკუთარი უფლების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობა. ჰაბერმასი ი., ევროკავშირის მნიშვნელობის გააზრება: კოსმოპოლიტური ევროპისკენ, 2003, ინგლისურიდან თარგმნა ნ. ჟვანიამ, ესეების კრებული: პოლიტიკა და დემოკრატია, ავტორთა კოლექტივი, წ. II, თბ., 2017, 182.

⁸² Соловьев, მოსაზრება მითითებულია: Андреева Л.А., Трухина И.Н., Право: Проблемы справедливости и свободы (в контексте российской традиции), ж. Вопросы современной юриспруденции, №2(64), 2017, 31.

⁸³ პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2016, 71.

⁸⁴ ახვლედიანი მ., ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2011, 7.

⁸⁵ კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №2, 2011, 36.

- ⁸⁶ ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ., ბოიძე ბ., ჯორბენაძე ს., თბ., 1999, 60.
- ⁸⁷ Мейер Д.И., Русское гражданское право. http://civil.consultant.ru/elib/books/us/page_11.html.
- ⁸⁸ ჯორბენაძე ს., ილია ჭავჭავაძე და ლიტერატურული საკუთრება, მე-2 გამოცემა, რედ. გვენეტაძე ნ., თბ., 2017, 64.
- ⁸⁹ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 92.
- ⁹⁰ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2013, 108. ადამიანური ღირსება არა მხოლოდ პირადი, არამედ ასევე სოციალური კაპიტალია. ის წარმოქმნის მოთხოვნებს უფლებებსა და თავისუფლებებზე, ამძაფრებს მისწრაფებას ადამიანის უფლებათა სამართლებრივი გარანტიების თაობაზე სახელმწიფოს სოციალურ საქმიანობაში. Кравец И. А., Конституционализация достоинства личности и перспективы права на социальное благополучие, ж. Государство и право, №1(44), 2020.
- ⁹¹ ბიჭია მ., ღირსების სამოქალაქო სამართლებრივი ცნების მოცულობა (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), სამართლის ჟურნალი, №2, 2014, 12.
- ⁹² გელაშვილი ი., ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, 24.
- ⁹³ Р. Алекси, мослаზრება მითითებულია: Поляков А.В., Антонов М.В., Архипов В.В., Научная полемика на берегах Маина: XXV всемирный конгресс по философии права и социальной философии, ж. Правоведение, №4, 2011, 12. მითითებულია: ქოჩიაშვილი ქ., თავისუფლების შესახებ (მეტასამართლებრივი გააზრება), რედ. ბოიძე ბ., თბ., 2018, 37.
- ⁹⁴ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., შვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012), თბ., 2013, 86.
- ⁹⁵ ლომთათიძე ე., ხანთაძე ნ., ზედელაშვილი დ., პირადი თავისუფლება და ავტონომია: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულებაში, თბ., 2018, 25.
- ⁹⁶ ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბ., 2020, 141.
- ⁹⁷ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2013, 88-89. მაგ; უფლებას ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობაზე, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობაზე, ასევე, პირის უფლებას, დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან. ტულუში თ., ბურჯანაძე გ., შვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012), თბ., 2013, 77.
- ⁹⁸ ედვარდ ბლოუსტეინის მოსაზრებით, ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელყოფა ანადგურებს ინდივიდის ღირსებას, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების ყოველ წუთს იძულებულია

ბულია იცხოვროს გარემოში, სადაც მისი მოთხოვნები, აზრები, სურვილები საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება, ინდივიდუალობას და ადამიანურ ღირსებას მოკლებულია. ბარაბაძე ნ., სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისთვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №4, 2011, 109.

⁹⁹ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2013, 95.

¹⁰⁰ Munch H., მოსაზრება მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 51.

¹⁰¹ მითითებულია: ბიჭია მ., კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 81.

¹⁰² ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ჯორბენაძე ს., თბ., 1999, 64.

¹⁰³ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2017, 120.

¹⁰⁴ Weib R., მოსაზრება მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 70.

¹⁰⁵ ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 169.

¹⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება №2/4/570 საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9. მითითებულია: ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბ., 2020, 167.

¹⁰⁷ ჯორბენაძე ს., ილია ჭავჭავაძე და ლიტერატურული საკუთრება, მე-2 გამოცემა, რედ. გვენეტაძე ნ., თბ., 2017, 35.

¹⁰⁸ ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ჯორბენაძე ს., თბ., 1999, 52.

¹⁰⁹ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2017, 121.

¹¹⁰ თევზაძე ნ., ინტერესთა კონფლიქტი: გამოხატვის თავისუფლება და სხვათა რეპუტაცია, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 255.

¹¹¹ ზოიძე ბ., რამდენიმე ჩანახატი სამართლის ზოგად საკითხზე, აკადემიკოს ი. დოლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წ. IV, ავტორთა კოლექტივი, რედ. ფერაძე გ., თბ., 2019, 333.

¹¹² კოინგი ჰ., „უფლების“ ცნების ისტორიისთვის, სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 245.

¹¹³ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003, 93. მითითებულია: კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 136.

¹¹⁴ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 136.

- ¹¹⁵ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2010, 104.
- ¹¹⁶ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2010, 77.
- ¹¹⁷ ეშმანი ჰ.,ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების, ცნება. გერმანულიდან თარგმნა და წინათქმა დაურთო მ. ბიჭიამ, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 218.
- ¹¹⁸ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 136.
- ¹¹⁹ ეშმანი ჰ.,ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების, ცნება. გერმანულიდან თარგმნა და წინათქმა დაურთო მ.ბიჭიამ, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 220.
- ¹²⁰ Rights VS Reputations, Campaign against the abuse of defamation and insult laws, Defining Defamation, Article XIX, 2003, 3. მითითებულია: თევზაძე ნ., ინტერესთა კონფლიქტი: გამოხატვის თავისუფლება და სხვათა რეპუტაცია, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 254.
- ¹²¹ პერსონალურ მონაცემთა ცნება ფართოა და მოიცავს უშუალოდ პიროვნების შესახებ ყველა მონაცემს, რომლებიც მის ფინანსურ-ქონებრივ მდგომარეობას ან სხვა კერძო საკითხებს უკავშირდება, პერსონალური მონაცემები განიხილება, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილი. ბიჭია მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 პრიმა მუხლის სტრუქტურული ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2020, 53.
- ¹²² ჯორბენაძე ს., ილია ჭავჭავაძე და ლიტერატურული საკუთრება, მე-2 გამოცემა, რედ. გვენეტაძე ნ., თბ., 2017, 67.
- ¹²³ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 122.
- ¹²⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თარგმანი ზ. ჭეჭელაშვილის, თბ., 2010, 45.
- ¹²⁵ ოსაკვე კ., ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თ. შოთაძემ, თბ., 2015, 18.
- ¹²⁶ ბახტაძე უ., ზიანის პრინციპი, როგორც კრიმინალიზაციის ერთ-ერთი საფუძველი, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 292-293.
- ¹²⁷ ოსაკვე კ., ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თ. შოთაძემ, თბ., 2015, 18.
- ¹²⁸ ბიჭია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №3, 2016, 100.
- ¹²⁹ ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით, თბ., 2004, 133.
- ¹³⁰ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, №3, 2005, 68.
- ¹³¹ ბაზედოვი ი., ევროკავშირის სასამართლო და კერძო სამართალი, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, 206.
- ¹³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე, 2014-2015 წწ, თბ., 2017, 15.

- ¹³³ Жданова А.С., Правовая характеристика вреда причиненного жизни и здоровью граждан, ж. Закон, Право, Государство, №1(21), 2019.
- ¹³⁴ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 23.
- ¹³⁵ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 2004, 84.
- ¹³⁶ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2017, 140.
- ¹³⁷ ცისკაძე მ., სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №2, 2008, 16-17.
- ¹³⁸ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №4, 2021, 65.
- ¹³⁹ ბიჭია მ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №2, 2021, 87.
- ¹⁴⁰ Thomson Reuters business, Res Ipsa Loquitur, <http://goo.gl/BChznU> მითითებულია: პეპანაშვილი ნ., სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალეულობის პრეზუმფცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 127.
- ¹⁴¹ გელაშვილი ი., პაციენტისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №4, 2020, 8.
- ¹⁴² Карненко В.В., Моральный вред и вред здоровью: вопросы соотношения понятий и определения размера компенсации, ж. Актуальные вопросы гражданского права, №1(17), 2021, 92.
- ¹⁴³ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, №4, 2021, 70.
- ¹⁴⁴ გაიპარაშვილი მ., ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამართლის მიხედვით, ჟურნ. კერძო სამართლის მიმოხილვა, №2, 2019, 171.

LEGAL CONSEQUENCES OF CULPABLE VIOLATION OF ABSOLUTE GOODS

IN TERMS OF PERSONAL RIGHTS

KETEVAN KOCHASHVILI

*Doctor of law, member of the Institute of Modern Private Law
of the faculty of Law of the Tbilisi State University*

Encroachment on the good belonging to each person (material or immaterial) is perceived as injustice and raises the natural need to protect it. The good is either given to the individual by nature or granted by the law, the good itself may be of absolute or relative quality, material or immaterial. In the hierarchy of the goods, personal rights occupy a special place, which determine the essence of a person. They form an inseparable connection with the person, are inalienable and have only ethical value. In the list of personal rights, the right to live, freedom and dignity occupy a special place, the existence of which is explained by nature, reason and divine law. Other important rights, such as the right to privacy of name, image, health or private life, are loaded with social content. Personal rights are confirmed by the constitution of any developed, democratic and legal state, as well as the main source of private law – the civil code. Illegal and culpable violation of these rights establishes civil legal system, in particular, tort liability. The latter exists in the form of compensation for damages (both material and moral) and in addition to affecting the offender and satisfying the victim, it also has a preventive function.

In addition, the list of personal rights cannot be exhaustive and the civil turnover may give birth to the new rights, the decisive word on the path of legitimation will be given to judicial law.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი

მარინა მარინაშვილი

სამართლის დოქტორი,

საქართველოს უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

შესავალი

2024 წელს, საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში პირველად, ქვეყნის მეთაური არჩეული უნდა იყოს არა უშუალოდ ხალხის, არამედ ირიბი წესით – სპეციალური საარჩევნო კოლეგიის მიერ. სტატიის მიზანია განიმარტოს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის პროცედურა. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესს აწესრიგებს კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი. სწორედ აღნიშნული ორი ნორმატიული აქტის ანალიზის საფუძველზე, სტატიაში დეტალურად განხილულია საქართველოს პრეზიდენტის არჩევის პროცესი. კერძოდ, ვინ ნიშნავს არჩევნებს, რა ვადაში ტარდება არჩევნები, საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობა, ხმების რა რაოდენობით აირჩევა პრეზიდენტი და სხვ. ამასთან, მოცემული საკითხი შედარებითსამართლებრივ ჭრილშია განხილული.

1. როდის ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები?

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს პრეზიდენტის როგორც მორიგ, ისე რიგგარეშე არჩევნების ჩატარების კონკრეტულ ვადებს.¹ საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები იმართება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების

ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. თუმცა, საპარლამენტო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისგან განსხვავებით, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული კონკრეტულად ოქტომბრის რომელ შაბათს უნდა ჩატარდეს არჩევნები.

მიუხედავად იმისა, რომ მორიგი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები განსხვავებული პერიოდულობით ტარდება, კანონმდებელი წინდახედულია და ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო მეთაურისა და საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები შესაძლოა დროში დაემთხვეს. პრაქტიკულად, ასეთი ფაქტის წინაშე საქართველო 2024 წლის ოქტომბერში დადგება. კონსტიტუციის თანახმად, თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის თარიღი ემთხვევა საპარლამენტო არჩევნებს ან მის წინა თვეს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება **ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში**. ამდენად, კანონმდებელს არ სურს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარება. ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას იღებს საქართველოს პარლამენტი, კანონმდებლის განზრახვაა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ახალარჩეულმა პარლამენტმა. 2018 წელს, კონსტიტუციის გარდამავალი დებულების თანახმად, ქვეყნის მეთაური 5 წლის ნაცვლად, 6 წლის ვადით იქნა არჩეული. სავარაუდოდ, კანონმდებელმა პრეზიდენტის არჩევის ვადა გაზარდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს 2024 წელს, სრულად პროპორციული წესით არჩეულმა პარლამენტმა.

რამდენად უზრუნველყოფს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი კანონმდებლის ნებას? როგორც აღინიშნა, თუ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დროში ემთხვევა, კონსტიტუცია საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას უკავშირებს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვას. თუმცა, ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვა არ გულისხმობს, რომ წინა მოწვევის პარლამენტს შეუწყდა უფლებამოსილება. ჯერ ერთი, საქართველოს პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშობას, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ, სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი ანუ 76 დეპუტატი. მეორე მხრივ, საქართველოს პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის ანუ 100 დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. სწორედ ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს.²

ამდენად, თუ კანონმდებლის მიზანია, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ახალარჩეულმა პარლამენტმა მაშინ სახელმწიფო მეთაურის არჩევნები უნდა

გაიმართოს არა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში, არამედ ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 45 დღის განმავლობაში. როგორც ჩანს, კანონმდებელმა ვერ გამიჯნა ერთმანეთისგან ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვა და ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა. ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვა ყოველთვის არ გულისხმობს მისი უფლებამოსილების ცნობას. თუ კონსტიტუციის დონეზე აღნიშნული უზუსტობა არ გამოსწორდება, მაშინ პრაქტიკაში, კონსტიტუციაში დღეს არსებული ჩანაწერით საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთდროულად არ ჩატარდება თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლოა მონაწილეობა არ მიიღოს ახალარჩეულმა პარლამენტმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადება გადმოღებულია გერმანიის კონსტიტუციიდან. კერძოდ, ბუნდესტაგის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში, ფედერალური პრეზიდენტი აირჩევა ახალარჩეული ბუნდესტაგის პირველი სხდომის ჩატარებიდან 30 დღეში. თუმცა, საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიაში ახალარჩეული ბუნდესტაგის პირველი შეკრებისთანავე უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის ბუნდესტაგს. ამდენად, გერმანიაში ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო მეთურის არჩევნებში მონაწილეობს ახალარჩეული საკანონმდებლო ორგანო.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს, კონსტიტუციის თანახმად, არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარებაზე ზემოთ განხილული შეზღუდვა ვრცელდება რიგგარეშე არჩევნების გამართვაზეც.

დაბოლოს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება დაუშვებელია ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში.

2. ვინ ნიშნავს და უზრუნველყოფს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას?

საქართველოს პრეზიდენტის მორიგ თუ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების კონკრეტულ თარიღს ნიშნავს პარლამენტი, გარდა ხელახალი არჩევნებისა, რომელსაც ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.³ საქართველოს პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებს, მორიგი და რიგგარეშე არჩევნებისგან განსხვავებით, თუ რატომ ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე, გაუგებარია. საქართველოს

კონსტიტუციის თანახმად, ხელახალი არჩევნები უნდა გაიმართოს 30 დღეში. რა შემთხვევაში ტარდება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები ამაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღს პარლამენტი ნიშნავს არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე. პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება პარლამენტისა და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს, არჩევნების დანიშვნის დღის მომდევნო დღისა. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების გამართვას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტი ცესკოს მეშვეობით.⁴

3. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი?

საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც.⁵ ამდენად, კონსტიტუცია ადგენს ოთხ მოთხოვნას:

ა. საარჩევნო უფლების მქონე, რაც გულისხმობს, რომ პირი ფლობს აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას. პირი, რომელსაც შეზღუდული აქვს აქტიური ან პასიური საარჩევნო უფლება, ვერ იქნება არჩეული საქართველოს პრეზიდენტად.⁶

ბ. საქართველოს მოქალაქე, რაც გულისხმობს, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს პირმა საქართველოს მოქალაქეობა დაბადებით თუ ნატურალიზაციით მოიპოვა. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუცია არ მოითხოვს, რომ საქართველოს მოქალაქეობას პირი ფლობდეს არჩევნების დანიშვნის დროისათვის სულ მცირე, 1 წელი მაინც. ამდენად, მთავარია პირი ფლობდეს საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ რა გზით და რამდენი ხანია (თუნდაც 1 თვე) რაც მოიპოვა, მნიშვნელობა არა აქვს. საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქეობასთან არ არის მიბმული ეროვნება. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება იყოს არჩეული ნებისმიერი ეროვნების საქართველოს მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი ვერ დაიკავებს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა.⁷ ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე დადგენილია, რომ საარჩევნო კოლეგიის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის

მიზნით შეტანილ განცხადებას ასევე, უნდა ერთვოდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ხელწერილი, რომ იგი იმავდროულად არ არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. თუ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა მიმართა შესაბამისი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ამ სახელმწიფოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ.⁸

გ. 40 წელს მიღწეული, რაც გულისხმობს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 40 წელი. აღსანიშნავია, რომ ადრე მოქმედი რედაქცია ადგენდა უფრო დაბალ ასაკობრივ ზღვარს – 35 წელს. როგორც წესი, საპარლამენტო რესპუბლიკების უმეტესობა, პრეზიდენტად არჩევის უფლებას 40 წელს მიღწეულ მოქალაქეს ანიჭებს (გერმანია, ესტონეთი, საბერძნეთი, ლიეტუვა და სხვ.)

დ. საქართველოში ცხოვრობდა 15 წელი მაინც, რაც არ გულისხმობს, რომ პირს არჩევნების დანიშვნის დროისათვის ბოლო 15 წელი ან უწყვეტად უნდა ჰქონდეს ნაცხოვრები 15 წელი საქართველოში. აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუ პირს საქართველოში ჯამურად მინიმუმ 15 წელი აქვს ნაცხოვრები. ამასთან, განსახილველი კონსტიტუციური მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მაშინაც კი, თუ პირი საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის მანძილზე ცხოვრობდა, როგორც უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავარია არჩევნების დანიშვნის დროისათვის იყოს საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ დადგენილი მოთხოვნები გერმანიის კონსტიტუციის სრული ანალოგია. კერძოდ, პრეზიდენტად შეიძლება იყოს არჩეული საარჩევნო უფლების მქონე გერმანიის მოქალაქე 40 წლის ასაკიდან.⁹

4. ვის შეუძლია კანდიდატის წარდგენა?

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ, 30 წევრს. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს შეუძლია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას.¹⁰ ამდენად, ვინაიდან საარჩევნო კოლეგია შედგება 300 წევრისგან, თეორიულად, შესაძლებელია რეგისტრირებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტობის მაქსიმუმ, 10 კანდიდატი.

საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ, 30-მა წევრმა საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს, 30-ე დღისა, განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს. განცხადებაში მიეთითება ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატისა და წარმდგენი საარჩევნო კოლეგიის წევრების შესახებ. განცხადებას უნდა ერთვოდეს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე.¹¹

საარჩევნო კოლეგიის წევრების მიერ წარდგენილ განცხადებაში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის შესახებ სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა იყოს აღნიშნული კანდიდატის პარტიულობა. ნიშანდობლივია, რომ საარჩევნო კოდექსი არ მოითხოვს, რომ კანდიდატი აუცილებლად უნდა იყოს უპარტიო. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატი შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მაგრამ პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად უნდა შეწყვიტოს პოლიტიკური პარტიის წევრობა. როგორც წესი, საპარლამენტო სისტემაში პრეზიდენტის ინსტიტუტი პოლიტიკურად ნეიტრალურია. ამიტომ, სასურველია, საარჩევნო კოდექსში მიეთითოს, რომ საარჩევნო კოლეგიის წევრების მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს უპარტიო. აღნიშნული ჩანაწერი სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციასა და საპარლამენტო რეჟიმთან.

5. როგორ ხდება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაცია?

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს ცესკო განკარგულებით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს, მე-20 დღისა. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ ცესკოს განკარგულება მიღებიდან, 3 დღის ვადაში წარედგინება პარლამენტს. ცესკოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციიდან, 3 დღის ვადაში აძლევს შესაბამის მოწმობას.

თუ საარჩევნო კოლეგიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარის მიერ დადგინდება ხარვეზი განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს, მომდევნო დღისა და საარჩევნო კოლეგიის წარმომადგენელს ეძლევა 3 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ხარვეზი დადგენილ ვადაში

არ აღმოიფხვრება, საქართველოს პრეზიდენტობის კანდადატს და მის წარმომადგენელს ცესკოს განკარგულებით უარი ეთქმება რეგისტრაციაზე. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ/რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ცესკოს განკარგულება შეიძლება გაასაჩივროს/გაასაჩივრონ მხოლოდ შესაბამისმა საარჩევნო კოლეგიის წევრმა/წევრებმა ან/და პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილმა პირმა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს, მე-ნ დღისა პარლამენტი და ცესკო თავიანთ ოფიციალურ ვებგვერდებზე აქვეყნებენ ცნობას პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციისა და ინფორმაციას მის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს კენჭისყრამდე არაუგვიანეს, მე-3 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა. ამისთვის მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე კანდიდატს უფლება არა აქვს, მოხსნას თავისი კანდიდატურა.¹² აღნიშნული აკრძალვა შეიძლება მოგვეჩვენოს როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის თავისუფალი ნების გაუმართლებელი შეზღუდვა. მაგალითად, მეორე ტურში მონაწილე კანდიდატს შესაძლოა გამარჯვების დიდი შანსი აქვს, მაგრამ აღარ სურს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება. მაგრამ განსახილველი კონსტიტუციური ნორმის მიზანია არა კანდიდატის ნების საწინააღმდეგოდ მისი არჩევა, არამედ საპრეზიდენტო არჩევნების ხელოვნურად გაჭიანურების თავიდან აცილება. კერძოდ, თუ არჩევნების მეორე ტურში მონაწილე კანდიდატი, რომელსაც გამარჯვების დაბალი შანსი აქვს მოხსნის თავის კანდიდატურას, რომ არა დღეს არსებული ჩანაწერი, პარლამენტს მოუწევდა ხელახალი არჩევნების ჩატარება.

6. ხელშეუხებლობის რომელი გარანტიები ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატზე?

კანონმდებლობით დადგენილია მთელი რიგი ხელშეუხებლობის გარანტიები იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად, კერძოდ: არ შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატის სამსახურიდან დათხოვნა ანდა სხვა სამუშაოზე ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მისი თანხმობის გარეშე. არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკა, თუ გენერალური პროკურორის წარდგინებაზე ცესკო თანხმობას არ მისცემს. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებ-

ლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას,¹³ დაკავებული ან დაპატიმრებული პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.¹⁴

7. რა ვადით აირჩევა საქართველოს პრეზიდენტი?

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით თუმცა, თუ საქართველოს პრეზიდენტი რიგგარეშე არჩევნების შედეგად იქნა არჩეული, მაგალითად, თებერვალში, მისი უფლებამონაცვლე, მორიგი არჩევნებით ოქტომბერში იქნება არჩეული, რაც ფაქტობრივად ზრდის რიგგარეშე არჩევნებით არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადას. ხოლო თუ საპრეზიდენტო არჩევნები ემთხვევა საპარლამენტო არჩევნებს, მაშინ რიგგარეშე არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა დამატებით მინიმუმ, 45 დღით გაიზრდება.

კონსტიტუციის თანახმად, საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით, როგორც შემცირება ისე გაზრდა დაუშვებელია.¹⁵ უახლოეს წარსულში, ხელისუფლებამ ორჯერ დაარღვია კონსტიტუციური სამართლის ეს უმნიშვნელოვანესი თეორიული პრინციპი და საკონსტიტუციო ცვლილების საფუძველზე, თავდაპირველად პარლამენტს, ხოლო მოგვიანებით პრეზიდენტს თითქმის ერთი წლით გაუხანგრძლივა მიმდინარე უფლებამოსილების ვადა. ამგვარი პრეცედენტების პრევენციისთვის, კანონმდებელმა დემოკრატიული მანდატის ვადის ხელშეუვალობის პრინციპი კონსტიტუციის დონეზე განამტკიცა. თუმცა, აღნიშნული ნორმის ფორმულირება დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, განსახილველი კონსტიტუციური ნორმა ვერ გავრცელდება საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე უფლებამოსილების ვადის ხელშეუხებლობაზე იმდენად, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩევა საყოველთაო არჩევნების გზით. „უფლებამოსილების ვადის ხელშეუხებლობის პრინციპი“ გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოს/თანამდებობის პირის მიმდინარე უფლებამოსილების ვადა ხელშეუხებელია, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ორგანო საყოველთაო თუ ირიბი წესით აირჩევა. მაგალითად, დაუშვებელია სახალხო დამცველის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და სხვ. უფლებამოსილების ვადის როგორც გაზრდა, ისე შემცირება. თუმცა, კონსტიტუციაში დღეს არსებული ჩანაწერით „უფლებამოსილების ვადის ხელშეუხებლობის პრინციპის“ ფარგლები შეზღუდულია და ვრცელდება მხოლოდ საყოველთაო არჩევნებში არჩეულ ორგანოზე/თანამდებობის პირზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციამ ერთი და იგივე პირის პრეზიდენტად გადარჩევა შეზღუდა. კერძოდ, ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ ე. ი. მაქსიმუმ, 10 წლით. ამასთან, პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება იყოს არჩეული როგორც ზედიზედ ორჯერ, ისე ვადის გამოტოვებით. კანონმდებლის მიზანია, რომ ერთი და იგივე პირის მმართველობა 10 წელს არ აღემატებოდეს. მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრებულია გერმანიაში, უნგრეთში, საბერძნეთში და სხვ.¹⁶

8. ვინ ირჩევს საქართველოს პრეზიდენტს?

პრეზიდენტს დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს სპეციალური საარჩევნო კოლეგია, რომელიც არ არის მუდმივმოქმედი ორგანო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციით, გერმანულის მსგავსად,¹⁷ დადგინდა პრეზიდენტის არჩევის წესი, რომელიც არ ითვალისწინებს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენას საარჩევნო კოლეგიის წინაშე მოხსენებით ან კითხვა-პასუხის წარმართვას. ამასთან, საარჩევნო კოლეგიის შექმნის ერთადერთი მიზანია საქართველოს პრეზიდენტის არჩევა, კოლეგიას სხვა დანიშნულება არ გააჩნია. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას განკარგულებით ამტკიცებს ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს, მე-40 დღისა. საარჩევნო კოლეგია შედგება 300 წევრისგან, კერძოდ:

- საქართველოს პარლამენტის ყველა წევრი შედის კოლეგიის შემადგენლობაში. ამდენად, საარჩევნო კოლეგიის ნახევარს შეადგენენ საქართველოს პარლამენტის წევრები.
- საქართველოს კანონმდებლობით საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედიან ორივე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ყველა წევრი. ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 21 წევრი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 20 წევრი მონაწილეობას იღებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში.
- დაბოლოს, საარჩევნო კოლეგიაში მუნიციპალიტეტის საკრებულოებიდან წარმოდგენილი უნდა იყოს 109 წევრი, რომლებსაც ასახელებენ პოლიტიკური პარტიები მათთვის განკუთვნილი კვოტების შესაბამისად. კვოტებს ადგენს ცესკო პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. კვოტები დგინდება კანონით განსაზღვრული ფორმულის მიხედვით.¹⁸ უფლებამოსილ პარტიას უფლება აქვს, შეცვალოს საარჩევნო კოლეგიის წევრად წარდგენილი კოლეგიის წევრი მხოლოდ ამ პირის, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყ-

ვეტის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მონაწილეობა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ფორმირებაში იშვიათია და იურიდულ ლიტერატურაში მიიჩნევენ ერთგვარ ნაკლოვანებად, თუმცა, აღნიშნული არ ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპებს.¹⁹

საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის საარჩევნო კოლეგიაში დასახელების შემდეგ, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებამდე, მისი ადგილმონაცვლის განსაზღვრა შეუძლებელია ან თუ უფლებამოსილმა პარტიამ არჩევნების დანიშვნის დღიდან, 7 დღის ვადაში არ წარადგინა ან დადგენილ კვოტაზე ნაკლები ოდენობით წარადგინა საარჩევნო კოლეგიის წევრები, ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო კოლეგიის წევრთა რაოდენობის 300-მდე შესავსებად, ცესკოს გადაწყვეტილებით დადგენილი კვოტები შეიცვლება და გამოუყენებელი ადგილები გადანაწილდება სხვა უფლებამოსილ პარტიებზე საარჩევნო შედეგების თანამიმდევრობის გათვალისწინებით.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო კოლეგიის ფორმირების წესი უნდა შეიცვალოს, როდესაც კონსტიტუციური კანონით გადაისინჯება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორც წესი, პრეზიდენტი აირჩევა საკანონმდებლო ორგანოს მიერ (იტალია, უნგრეთი, ლიეტუვა და სხვ.), მაგრამ თუ პარლამენტმა ვერ აირჩია პრეზიდენტი მაშინ იქმნება სპეციალური კოლეგია (ესტონეთი) ან ინიშნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები (საბერძნეთი).²⁰

9. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების გამართვა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პარლამენტის სასახლეში, არჩევნების დღის 9 საათიდან და სრულდება იმავე დღის 14 საათზე ან ნებისმიერ დროს, თუ საარჩევნო კოლეგიის ყველა წევრმა მისცა ხმა. ამდენად, პრეზიდენტის არჩევნები შეიძლება დასრულდეს 1 საათში, თუ საარჩევნო კოლეგიის 300 წევრმა ამ დროში მოასწრო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება. თუმცა, თუ საარჩევნო კოლეგიის წევრს სურს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება უნდა გამოცხადდეს არჩევნების დღის 14 საათამდე. კანონით დადგენილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევა პირდაპირ გადაიცემა საზოგადოებრივი

მაუწყებლის ეთერში. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს ეკრძალებათ პრეზიდენტის არჩევნების პროცესის გაშუქება თუმცა, კანონით არ ევალებათ.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კოლეგიის წევრებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მოწვეულ პირებს, ცესკოს წევრებს, საქართველოს პარლამენტისა და ცესკოს აპარატის შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენლებს. ამდენად, არჩევნებზე გარე დამსწრეთა მოწვევა შეუძლია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, თავისი შეხედულებისამებრ, არავისთან შეთანხმების გარეშე.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენში მიეთითება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი. კანდიდატის რიგითი ნომრის დადგენის სპეციალურ პროცედურას (წილისყრას) კანონი არ ადგენს. საარჩევნო კოლეგიის წევრები საარჩევნო კოლეგიის წევრთა სიაში საკუთარი ხელმოწერებით ადასტურებენ საარჩევნო ბიულეტენის მიღებას, რის შემდეგაც შემოხაზავენ მათთვის სასურველ მხოლოდ 1 კანდიდატს და საარჩევნო ბიულეტენს წინასწარ დალუქულ, გამჭვირვალე საარჩევნო ყუთში ათავსებენ.

საარჩევნო ბიულეტენი ბათილად მიიჩნევა, თუ:

- ა) ის დაუდგენელი ნიმუშისაა;
- ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა საარჩევნო კოლეგიის წევრმა;
- გ) საარჩევნო კოლეგიის წევრმა ხმა ერთზე მეტ კანდიდატს მისცა;
- დ) შეუძლებელია იმის დადგენა, თუ საარჩევნო კოლეგიის რომელი წევრის მიერ არის ხმა მიცემული.²¹

9.1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური

არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც.²² ამდენად, ერთი შეხედვით, საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის ასარჩევად საკმაოდ მაღალ კვორუმს ადგენს. კერძოდ, საარჩევნო კოლეგიის 300 წევრისგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს პირველ ტურში მხარი უნდა დაუჭიროს კოლეგიის სულ მცირე, 200 წევრმა. თუ არჩევნების

პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა ანუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის მინიმუმ, $2/3$ -ის მხარდაჭერა, მაშინ ინიშნება პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იმავე დღეს ან პირველი ტურის გამართვიდან არაუგვიანეს, 7 დღისა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტის ასარჩევად საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარი ხმა საკმარისი არ არის, არჩევნები მაინც შემდგარად ითვლება. ფაქტობრივად, ამ დროს კენჭისყრა ტარდება საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატის გამოსავლენად, რომელიც მეორე ტურში მიიღებს მონაწილეობას.

9.2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური

არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს. თუ საუკეთესო შედეგი ორზე მეტ კანდიდატს აქვს, მეორე ტურში მონაწილეთა ვინაობა ვლინდება იმის მიხედვით, თუ ერთნაირი შედეგის მქონე კანდიდატთაგან რომელი უფრო ადრე დარეგისტრირდა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად. შესაბამისად, მეორე ტურში ყველა შემთხვევაში, მონაწილეობას იღებს 2 კანდიდატი. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სულ მცირე, 151 წევრი – შეიძლება დავასკვნათ, რომ პრეზიდენტის არჩევა არც ისე მაღალ კვორუმს საჭიროებს. კერძოდ, დავუშვათ, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო კოლეგიის მხოლოდ 151 წევრმა და თუ ნახევარზე მეტმა ანუ 76 წევრმა დაუჭირა მხარი ერთ კანდიდატს, გამოდის პრეზიდენტი არჩეული იქნება საარჩევნო კოლეგიის $1/3$ -ზე ნაკლები ხმების რაოდენობით.

თუ არჩევნების მეორე ტურში კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, მაშინ არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. ამდენად, არჩევნების პირველი ტურის შედეგებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ გამარჯვებულის გამოვლენაზე.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საპარლამენტო რეჟიმის ქვეყნებში სახელმწიფო მეთაურის არჩევა არ საჭიროებს მაღალ კვორუმს. როგორც წესი, კონსტიტუციით დადგენილია პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს მაქსიმალურად მოკლე დროში პრეზიდენტის არჩევას, თუნდაც, სამი ტურით, მაგრამ ხელახალი არჩევნების ჩატარების გარეშე. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციით, პირი პრეზიდენტად არჩეულად ითვლება, თუ ფედერალური კრების უმრავლესობის მხარდაჭერა მიიღო. მაგრამ თუ პირველ და მეორე ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმების უმრავლესობა, მაშინ მესამე ტურში არჩეულად ითვლება ის პირი, ვინც მეტ ხმას მიიღებს.²³ იტალიის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის 2/3-ის მიერ, თუმცა, მესამე ტურში ასარჩევად საკმარისია სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.²⁴ უნგრეთის კონსტიტუციით, მსგავსი პროცედურა არის დადგენილი თუმცა, მესამე ტურში გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.²⁵ საბერძნეთის კონსტიტუციით, თუ არჩევნების სამი ტურის ჩატარების შედეგად პარლამენტმა მაინც ვერ აირჩია პრეზიდენტი, მაშინ იგი დათხოვნილ იქნება და სახელმწიფოს მეთაურს ახალარჩეული პარლამენტი აირჩევს.²⁶ ესტონეთში კი, თუ საკანონმდებლო ორგანომ ვერ აირჩია პრეზიდენტი, მაშინ ამომჩეველთა კოლეგია ირჩევს სახელმწიფო მეთაურს.²⁷

9.3. საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები იმართება ორ შემთხვევაში: თუ არჩევნები არ შედგა ან საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩია.

არჩევნები არ შედგა, თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველ ან მეორე ტურში საარჩევნო კოლეგიის 151-ზე ნაკლები წევრი გამოცხადდა. შესაბამისად, ხელახალი არჩევნები შესაძლოა, გაიმართოს როგორც პირველი ტურის, ისე მეორე ტურის შემდეგ. მაგალითად, საარჩევნო კოლეგიის 151 წევრი არ გამოცხადდა არჩევნების პირველ ტურში – ამ დროს ჩატარდება ხელახალი არჩევნები. თუმცა, შესაძლოა, პირველი ტური შედგა, საარჩევნო კოლეგიამ გამოავლინა 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, მაგრამ მეორე ტურში საარჩევნო კოლეგიის 151-მა წევრმა არ მიიღო მონაწილეობა.

თუ არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კოლეგიის სულ მცირე, ნახევარზე მეტი გამოცხადდა, მაგრამ საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი ვერ აირჩია, ასეთ შემთხვევაშიც, ჩატარდება ხელახალი არჩევნები. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

დაბოლოს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს ცესკო არჩევნების დასრულებისთანავე, ცესკოს სხდომაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის სასახლეში იმართება. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ ცესკოს თავმჯდომარე და მდივანი. აღნიშნული ოქმი შეიძლება გაასაჩივროს/ გაასაჩივრონ მხოლოდ საარჩევნო კოლეგიის შესაბამისმა წევრმა/წევრებმა ან/და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა.²⁸

დასკვნა

კვლევის შედეგად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- თუ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დროში ემთხვევა, სასურველია, პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ახალარჩეულმა პარლამენტმა. ამიტომ დღეს არსებული კონსტიტუციური ჩანაწერის ნაცვლად, საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს ახალარჩეული პარლამენტის არა პირველი სხდომის ჩატარებიდან 45 დღეში, არამედ ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 45 დღეში.
- საარჩევნო კოდექსი არ მოითხოვს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი იყოს უპარტიო. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი. როგორც წესი, საპარლამენტო სისტემაში პრეზიდენტის ინსტიტუტი პოლიტიკურად ნეიტრალურია. ამიტომ სასურველია, საარჩევნო კოდექსში მიეთითოს, რომ საარჩევნო კოლეგიის წევრების მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს უპარტიო.
- საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით, როგორც შემცირება ისე გაზრდა დაუშვებელია. თუმცა, აღნიშნული ნორმის ფორმულირება დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, განსახილველი კონსტიტუციური ნორმა ვერ გავრცელდება საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე უფლებამოსილების ვადის ხელშეუვალობაზე იმდენად, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩევა საყოველთაო არჩევნების გზით.
- სამომავლოდ, როდესაც კონსტიტუციური კანონით გადაისინჯება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა, სასურველია, შეიცვალოს საარჩევნო კოლეგიის ფორმირების წესი.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
- ² საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი.
- ³ საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტი.
- ⁴ საარჩევნო კოდექსის 95-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილი.
- ⁵ საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ⁶ ვის ეზღუდება აქტიური ან პასიური საარჩევნო უფლება იხ.: საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.
- ⁷ როგორც წესი, ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით შემლუდვა გავრცელებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში, მაგალითად, ლიეტუვა.
- ⁸ საარჩევნო კოდექსის 98-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
- ⁹ გერმანიის კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
- ¹¹ საარჩევნო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილი.
- ¹² საარჩევნო კოდექსის მე-100 მუხლი.
- ¹³ განკარგულება მიღებულია ჩითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ, კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
- ¹⁴ საარჩევნო კოდექსის 101-ე მუხლი.
- ¹⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.
- ¹⁶ გერმანიის კონსტიტუცია 54(2); უნგრეთის კონსტიტუციის 29/A მუხლის მე-3 პუნქტი; საბერძნეთის კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
- ¹⁷ გერმანიის კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი.
- ¹⁸ საარჩევნო კოდექსის 103² მუხლის მე-3 ნაწილი.
- ¹⁹ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, 2020, გვ. 191.
- ²⁰ იტალიის კონსტიტუციის 83-ე მუხლი; უნგრეთის კონსტიტუციის 29/B მუხლის მე-2 პუნქტი; ლიეტუვას კონსტიტუციის 35-ე მუხლი; ესტონეთის კონსტიტუციის 79-ე მუხლი; საბერძნეთის კონსტიტუციის 32¹ მუხლის მე-4 პუნქტი.
- ²¹ საარჩევნო კოდექსის 103³ მუხლი.
- ²² საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
- ²³ გერმანიის კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი.
- ²⁴ იტალიის კონსტიტუციის 83-ე მუხლი.
- ²⁵ უნგრეთის კონსტიტუციის 29/B მუხლი.
- ²⁶ საბერძნეთის კონსტიტუციის 30-ე მუხლი.
- ²⁷ ესტონეთის კონსტიტუციის 79-ე მუხლი.
- ²⁸ საარჩევნო კოდექსის 104-ე მუხლი.

RULES FOR ELECTION OF PRESIDENT OF GEORGIA

MARINE MARINASHVILI

Doctor of Law,

Affiliated Professor of the University of Georgia

For the first time in the history of constitutionalism of Georgia, in 2024 the head of the country will be elected not by the people but by a special electoral college. As a result of the 2017 constitutional reform, Georgia opted for a parliamentary regime, which changed the rules for forming a president. The aim of the research is to explain the rules for electing the president of Georgia. The procedure for electing the president of Georgia is regulated by the Constitution and the Election Code. Based on the analysis of two mentioned normative acts, the rules for electing the president of Georgia shall be discussed in detail, namely: who appoints the elections, the term of the elections, the composition of the electoral college, the number of votes necessary to elect the president, etc. Moreover the rule for electing the President of Georgia is discussed in a comparative legal context.

მომავალზე ორიენტირებული ციფრული მართლმსაჯულება და COVID-19 როგორც სასამართლო სისტემის გარდაქმნის უნიკალური შესაძლებლობა

იკა გომიჩაიშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტი

თანამედროვე მსოფლიო დღეს, უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში ცხოვრობს. ბოლო ათწლეულია საერთაშორისო საზოგადოება დემოკრატიის განვითარების პოტენციალს, მის ეფექტიანობასა და ქმედითობას ციფრული ტექნოლოგიების ჭრილში განიხილავს. ციფრული დემოკრატია კი, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინტერაქტივს, ურთიერთქმედებას, გლობალურ სოციალურ კავშირებს, სიტყვის თავისუფლების უპრეცედენტო შესაძლებლობებს, ინდივიდის ჩართულობის ზრდას ყველა დონეზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მეტ დინამიკურობასა და გლობალურ იდენტურობას ეფუძნება.

2020 წლის 3 მარტს, COVID-19-ის გლობალური პანდემიის აფეთქებით მსოფლიო უპრეცედენტო რისკებისა და გამოწვევების წინაშე დადგა. ერთ-ერთი პირველი ინსტიტუტი, რომელსაც პანდემიის დასაწყისშივე დასჭირდა ადაპტაცია, სასამართლო აღმოჩნდა. 2020 წლის 13 მარტს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა რეკომენდაცია „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.“ 21 მარტს კი, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა №1 ბრძანება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.“ ასევე, დეკრეტი „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ,“ ხოლო 21 აპრილს პრეზიდენტის №2 ბრძანებით საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა გაგრძელდა. მართალია, შეზღუდვა არ შეხებია სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა პრეზიდენტის დეკრეტით მართლმსაჯულების განხორციელებისას, უპირატესობა მიენიჭა საქმეთა განხილვაში მხარეთა დისტანციურ მონაწილეობას. შეიცვალა სასამართლოს პროცედურული საკითხები: სხდომების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიდო, შეიზღუდა სასამართლოს შენობებში მოქალაქეთა გადაადგილება და სასამართლო სხდომების საჯაროობა.

თითქმის ყველა სახელმწიფო იძულებული გახდა სწრაფად გარდაექმნა ქალაქებში დაფუძნებული სამართლებრივი სისტემა და ის დისტანციური პროცედურებით ჩაენაცვლებინა. ტრადიციული ფორმით სასამართლო სხდომების და სხვა სამართლებრივი პროცედურების ჩატარება შეუძლებელი გახდა. რიგი ცვლილებები, რომლებსაც თეორიულად, წლები სჭირდებოდა, მეტ შემთხვევებში, რამდენიმე დღეში განხორციელდა. დღის წესრიგში დადგა ადამიანის უფლებათა პრიორიტეტულობის განსაზღვრა და ხელმისაწვდომი სასამართლოს უზრუნველყოფა ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით. გამომდინარე იქიდან, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა თავის მხრივ, მხოლოდ უფლება არ არის, და ის ასევე, აღმჭურველი ინსტრუმენტია, რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებს სხვა უფლებების რეალური განხორციელებისთვის, გამოიკვეთა მისი ხარისხის შესაფასებლად ეფექტიანი ინსტრუმენტების არსებობის საჭიროება. საბოლოოდ, ამ პროცესს უნდა მოეხდინა იმ ძირითადი ელემენტების იდენტიფიცირება, რომელიც გავლენას მოახდენდა დისტანციური მართლმსაჯულების ეფექტიან მუშაობაზე და ასეც მოხდა.

აღსანიშნავია, რომ რიგ ქვეყნებს როგორცაა, მაგალითად, ესტონეთი, კანადა, სინგაპური, არაბთა გაერთიანებული საამიროები, უკრაინა – COVID-19-ის არსებობამდეც ჰქონდათ ტექნოლოგიური ელემენტები სასამართლო სისტემაში. პანდემიამდე, აღნიშნული ცვლილებები

ტრადიციული სასამართლო სისტემის სისუსტეებით უფრო იყო გამოწვეული. სამართალ-
წარმოება დიდ ხარჯებთან, მოსაკრებლებთან და გარკვეულ იურისდიქციებში საქმეთა
საგრძნობ დაყოვნებასთან ასოცირდებოდა. დისტანციურმა სხდომებმა კი, ეს პრობლემები
გარკვეულწილად, გადაჭრა. თუმცა, საბოლოოდ ამ პროცესმა ერთი მხრივ, უზრუნველყო
მართლმსაჯულების განხორციელება გადაუდებელ საქმეებზე, ხოლო მეორე მხრივ, შექმნა
მხარეთა უფლებების დარღვევისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესების საფრთხე.
იმ ფონზე, როდესაც სასამართლოებში საქმისწარმოების გაჭიანურება სისტემურ პრობ-
ლემას წარმოადგენდა, პანდემიის დროს სხდომების გადადებით აღნიშნული პრობლემა
კიდევ უფრო გამძაფრდა. ამ გამოწვევების პარალელურად კი, დისტანციური სხდომების
ფართო გამოყენებამ წარმოშვა მართლმსაჯულებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის
აუცილებლობა. მართალია, პანდემიამ მნიშვნელოვნად დააჩქარა დისტანციური მართლ-
საჯულების შექმნა და გამართვა თუმცა, ეს კონცეფცია უკვე დიდი ხანია მომწიფების პრო-
ცესში იყო. პანდემიამ უბრალოდ აჩვენა, რომ საჭირო იყო სასამართლო სისტემის მზაობა
და მიმდებლობა ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა უზრუნველყოფილიყო
სასამართლო პროცესების უწყვეტობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. ასევე
ცხადყო, რომ სასამართლოების ტრადიციული პრაქტიკა ცვლილებებს მოითხოვდა. სწორედ
ამ გარდამავალ ეტაპს უნდა მოეხდინა თანამედროვე მეთოდების შესწავლა, გააზრება, და-
ნერგვა, დაკვირვება და განვითარება სასამართლო სისტემაში. ანუ პანდემია გახდა მართ-
ლმსაჯულების განახლებისა და გარდაქმნის ერთგვარი ტექტი.

სტატიის მიზანია ერთი მხრივ, მკითხველს გააცნოს საქართველოში და ზოგიერთ ევრო-
პულ სახელმწიფოში ციფრული მართლმსაჯულების დღეს არსებული პრაქტიკა, შეაფასოს
COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული რისკები, წარმოაჩინოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო
ტექნოლოგიების გავლენის მასშტაბი სასამართლო ხელმისაწვდომობის ფორმებზე, მი-
მოიხილოს პანდემიის დასრულების შემდეგ, სასამართლოს დისტანციური სერვისებისა
და ციფრული მართლმსაჯულების შესაძლებლობები და შეაფასოს მისი როლი მდგრადი
მართლმსაჯულების შექმნაში. მეორე მხრივ, წარმოაჩინოს ციფრული მართლმსაჯულება,
როგორც სასამართლოს ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალება, ხოლო COVID-19, როგორც
სასამართლო სისტემის გარდაქმნის უნიკალური შესაძლებლობა.

ბოლო პერიოდში, საქართველოში უამრავი კვლევა თუ ანგარიში მომზადდა დისტანციური
სასამართლო სხდომების ეფექტიანობის შესახებ. თუმცა, ჯერ არ მომხდარა ციფრული მართ-
ლმსაჯულების სასამართლოს ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით

კომპლექსური კვლევა და მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზი. ეს მომავლის საკითხია. აღნიშნული სტატიით კი, შევეცდებით მცირედი წვლილი შევიტანოთ აღნიშნული საკითხის შესწავლა-შეფასებაში, ინტერესის გაღვივებასა და განზოგადებაში.

ციფრული მართლმსაჯულება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების არეალის გაფართოების პირობებში, მხოლოდ სასამართლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საშუალებად აღარ განიხილება. პანდემიის კვალ-დაკვალ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის არეალი უფრო და უფრო ფართოვდება და კომპლექსურ ხასიათს იძენს. პანდემიის დასრულების შემდეგ კი, შესაძლოა მომავალზე ორიენტირებული ე. წ. კიბერმართლმსაჯულების დანერგვის საფუძველიც გახდეს, რაც საბოლოოდ, მდგრადი მართლმსაჯულების სისტემის შექმნის წინაპირობაც იქნება. გამომდინარე აქედან, დასაწყისში გვსურს ყურადღება შევაჩეროთ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებებზე, რომელმაც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა პანდემიის პერიოდში.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს (CJEU) გადაწყვეტილებები და აქტები უკვე აქტიურად მიმოიხილავენ ციფრული მართლმსაჯულების, როგორც სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტის პრინციპებსა და შინაარსს. თუ პანდემიამ სასამართლო დარბაზის მთლიანად „გადაღაცება“ გამოიწვია, ციფრული მართლმსაჯულების განვითარებამ ხელმისაწვდომობის უფლების ტრანსფორმაციაზე მოახდინა გავლენა და ის სულ სხვა რაკურსით დაგვანახა. IT ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარებამ და ხელოვნური ინტელექტის გავრცელების არეალის გაზრდამ, ხელმისაწვდომობის ეფექტიანობის გაზრდის საკითხი აქტიურად დააყენა დღის წესრიგში.

რა ღირებულების მატარებელი იქნებოდა ფუნდამენტური უფლებები, თუ მის ფარგლებში დაცული სუბიექტები ვერ შეძლებდნენ სათანადო ვითარებაში ამ სიკეთეებისთვის ბრძოლას? – ამ კითხვაზე პასუხს მივყავართ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხამდე.

საქმის განმხილველი სასამართლოსადმი პირის წვდომის საყოველთაო შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობის ფარგლებში მისი სამართლიანი მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელების საკვანძო პრინციპია და საბოლოოდ, სწორედ ამ პრინციპის ხარისხზე დამოკიდებული მართლმსაჯულების ეფექტიანობა.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაში, მართლმსაჯულებაზე წვდომა ეწოდება „ვალდებულების მქონე აქტორის“ შესაძლებლობას, უზრუნველყოს წვდომა და „უფლებების მქონე პირთა“ შესაძლებლობას განახორციელონ თავიანთი უფლებები მართლმსაჯულების სერვისებზე წვდომის გზით. ანუ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მოიაზრებს ადამიანთა შესაძლებლობას მიაღწიონ სამართლებრივი შემთხვევების (Justiciable events) სამართლიან გადაწყვეტას და მათი უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებას.¹

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას მრავალი შრე აქვს და ის შეიძლება განხილულ იქნას სხვადასხვა ინსტიტუტების პერსპექტივიდან. მისი ერთიანი ცნება არ არსებობს და ხშირად, მისი მახასიათებლები და ელემენტები განსხვავებულად ფორმულირდება. თუმცა, ძირითადად, ხელმისაწვდომობის ნ ელემენტს გამოყოფენ: სამართლებრივი ჩარჩო; მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნა; სამართლებრივი დახმარება/კონსულტაცია; სამართლებრივ ინსტიტუტებზე წვდომა; სამართლიანი განხილვის პროცედურა და გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი. ამ კომპონენტების გაერთიანებით ხელმისაწვდომობა ხშირად სამშრიან პროცესად განიხილება. პირველი შრე არის ხელმისაწვდომობა სასამართლოზე, მეორე შრე – წვდომა კანონზე, ხოლო მესამე – ის ბარიერები, რომელიც საბოლოოდ, სამართლებრივი პროცედურის შედეგს უკავშირდება.

მნიშვნელოვანია ყურადღების შეჩერება ხელმისაწვდომობის ორ საკვანძო კომპონენტზე – **სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებებზე.** უფრო კონკრეტულად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებს და ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის ქარტიის 47-ე მუხლს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლებების აღსრულებას ორი სხვადასხვა სისტემა უზრუნველყოფს, ორივე მათგანი ხაზს უსვამს, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ხელმისაწვდომობის უფლება აპრიორულად უნდა რეალიზდეს – უფლებები უნდა იყოს პრაქტიკული და ეფექტიანი, ვიდრე თეორიული და ილუზიური.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ინდივიდებს საშუალებას აძლევს, მიმართონ სასამართლოს, დაიცვან საკუთარი თავი კუთვნილი უფლებების დარღვევისგან, მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შეასრულონ აღმასრულებელი ანგარიშვალდებული უფლებამოსილება და შეძლონ საკუთარი თავის დაცვა სისხლის სამართლის წარმოებაში. იგი კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი ელემენტია და ვრცელდება სამოქალაქო ადმი-

ნისტრაციულ და სისხლის სამართალზე. **მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ერთდროულად პროცესიცაა და მიზანიც.** იგი უმნიშვნელოვანესია იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ, ისარგებლონ სხვა პროცესუალური და მატერიალური უფლებებით.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მოითხოვს განხილვას, რომელიც სამართლიანი და საჯაროა. პირველი გულისხმობს მონაწილე მხარეთა შესაძლებლობების თანასწორობას, უფლებას შევიბრებით პროცესზე, დასაბუთებულ გადაწყვეტილებებზე და მისი აღსრულების უზრუნველყოფაზე. მეორე მოიცავს ინდივიდის უფლებას დაესწროს პროცესს და მტკიცებულებათა გამოკვლევას.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მექანიზმები შესაძლებელია, მოიცავდეს არასასამართლო ორგანოებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტები, ადმინისტრაციული ორგანოები, თანასწორობის ორგანოები, ომბუდსმენის ინსტიტუტები და ა. შ. ასევე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ალტერნატივებია მედიაცია და არბიტრაჟი თავისი ფორმალური სამართლებრივი გზების გამოყენებით.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება შესაძლოა შეიზღუდოს, თუ მას აქვს ლეგიტიმური მიზანი, არის პროპორციული და არ ზღუდავს ამ უფლების ძირითად არსს. ლეგიტიმური მიზნის მიღმა მოიაზრება მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირება და სიტყვის თავისუფლების დაცვა. პროპორციულობა კი, მოითხოვს მისაღწევ მიზანსა და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენას. პროპორციულობის პრინციპი ასევე, მოითხოვს ბალანსის განსაზღვრას ინდივიდუალურ უფლებებსა და საჯარო ინტერესებს შორის. რამდენადაც მნიშვნელოვანი და არსებითია ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, მით უფრო დიდია ჩარევის აუცილებლობის მტკიცების ტვირთი, რომელიც სახელმწიფოს ეკისრება.²

ევროპული კავშირის სამართლებრივ სისტემაში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე შეზღუდვები ძირითადად, მოიცავს: სასამართლო პროცესების გადაჭარბებულად ხანგრძლივად მიმდინარეობას, არაგონივრულ სასამართლო ხარჯებს, გადაჭარბებულ ფორმალურობას, მტკიცებულებით ბარიერებს, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნების საკითხსა და ხანდაზმულობის ვადებს. ასევე, ინტერსექციულია და მოიცავს როგორც შინაარსობრივ, ისე პროცედურულ ასპექტებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერებიც. მათი ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობს, მაგრამ ძირითადის

გამოყოფა შესაძლებელია: ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები; სამართლებრივ ცნობიერებასთან დაკავშირებული ბარიერები; ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და გეოგრაფიული ბარიერები; ფინანსური ბარიერები; სოციალური და კულტურული ბარიერები და სხვა. თითოეული მათგანის განვრცობა აღნიშნული სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია და ცალკე განხილვას მოითხოვს.

ასევე, ცალკე ყურადღებას იმსახურებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხი კონკრეტულ ვითარებაში. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში. ევროპული კავშირის კანონმდებლობა ამ ნაწილში ეფუძნება გაეროს კონვენციას³ (CRPD) და მის პრინციპებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ინტენსიურად ზრუნავს ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების გაძლიერებას და კატეგორიულად გმობს პირის დისკრიმინაციას აღნიშნული საფუძვლით. ასევე, სპეციალური პროცედურული დაცვის მექანიზმებია შემუშავებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ სამართლებრივი ქმედუნარიანობა. სახელმწიფოები კი, ვალდებული არიან შექმნან ყველა პირობა და გარემო იმისათვის, რათა მართლმსაჯულება თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის.

ბოლო ათწლეულია აქტიურად მიმდინარეობს მართლმსაჯულების გაციფრულების პროცესი. 2015 წლის 25 სექტემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 70/1 რეზოლუცია, სახელწოდებით: „ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის.“ რეზოლუცია შეიცავს საერთო შეთანხმების საფუძველზე შემუშავებულ მდგრადი განვითარების 17 მიზანს (SDGs) და 169 ამოცანას. აღნიშნული ქმნის მდგრადი განვითარების ახალ ჩარჩოს, რომელსაც წევრი სახელმწიფოები აღებული ვალდებულების თანახმად, 2030 წლამდე განახორციელებენ. ახალი ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს გასული ათწლეულის მანძილზე ნასწავლ გაკვეთილებს, მათ შორის ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDGs) იმპლემენტაციის პროცესს, ეფუძნება იმის აღიარებას, რომ მხოლოდ მშვიდობიან და სამართლიან საზოგადოებებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში, ხოლო მართლმსაჯულების ფუნქციონირებადი და ხელმისაწვდომი სისტემა განვითარების, როგორც ასეთის, აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. სწორედ იგი იძლევა განვითარების სხვა მიზნების განხორციელების შესაძლებლობას. მე-16 მიზანი ყურადღებას ამახვილებს „ყველასათვის მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობის“ უზრუნველყოფაზე.

დღეს, ტექნოლოგიური განვითარების მიმდინარე პროცესში საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სამოქალაქო ბრუნვის განვითარების კვალდაკვალ, მართლმსაჯულების ეფექტიანი ადმინისტრირება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესის სფეროს პრიორიტეტული საკითხია. სასამართლო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება მიუთითებს არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ იმიჯზე, არამედ იგი პოზიტიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო ბრუნვის სწრაფ განვითარებაზე. რეალურად, მდგრადი განვითარების 2015 წლის შემდგომმა დღის წესრიგმა გააჩინა ახალი სივრცე მართლმსაჯულებისათვის.

2018 წლის დეკემბერში CEPEJ-მ (სამართლიანობის ხარისხის სამუშაო ჯგუფი - CEPEJ-GT-QUAL) მიიღო პირველი ევროპული ეთიკური ქარტია ევროპულ სასამართლო სისტემებში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შესახებ და დაადგინა მისი განვითარებისათვის სახელმძღვანელო ხუთი ძირითადი პრინციპი: ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა AI ინსტრუმენტების დიზაინსა და გამოყენებაში; არადისკრიმინაცია; მონაცემთა ხარისხი და უსაფრთხოება; გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა და მომხმარებლის კონტროლი. CEPEJ-ს ქარტია წარმოადგენს ორგანიზაციის მძლავრ მცდელობას ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით გამოყენებას სამართალწარმოების პროცესში.

2019 წლის ოქტომბერში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საფრანგეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში, ორგანიზებულმა კონფერენციამ თემაზე: „სამართლიანობა ევროპაში ციფრული ხანის გამოწვევების წინაშე“ მკაფიოდ წარმოაჩინა ევროპის საბჭოსა და მინისტრების ინტერესი წევრი სახელმწიფოების მართლმსაჯულების სისტემაში კიბერ სამართლიანობისა და ხელოვნური ინტელექტის ტექნიკის მზარდი ჩართულობის საკითხებზე. ასევე, გამოხატა მტკიცე მზაობა მთელ ამ პროცესში ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებაში.

2019 წლის დეკემბერში, სტრასბურგში გამართულ 33-ე პლენარულ შეხვედრაზე შეიქმნა ახალი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ეთიკური პრინციპების დაცვაზე დაყრდნობით, შეესწავლა იურიდიული დარგის წარმომადგენლების საჭიროებები ხელოვნური ინტელექტის იმპლემენტაციის პროცესის სწორად წარმართვისათვის. ასევე, ხელოვნური დაზვერვის დროებითი კომიტეტის (CAHAI) კოორდინაციით დაიწყო სამუშაო ინსტრუმენტების შემუშავება. ის მოიცავდა რამდენიმე ძირეულ საკითხს: ვიდეოკონფერენციის ხარისხის კრიტერიუმები, ხელოვნური ინტელექტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდებში სინქრონიზაცია, სასამართლო პროცესების

ციფრულ კონტექსტში წარმართვა, გადაწყვეტილებების აღსრულების თავისებურებები და ა. შ. CEPEJ-ს 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა – „დიגיტალიზაცია უკეთესი სასამართლოსთვის“ მოიცავდა პანდემიის პროცესის უკეთ მართვისათვის აუცილებელ საკითხებს: სასამართლო სხდომათა ტელე-კონფერენციების მეშვეობით ჩატარებას, ვიდეო სხდომებს, ისეთი სასამართლო დოკუმენტების ელექტრონულ გაცვლას და მოსმენებს, რომელიც არ საჭიროებდა მხარეთა ერთდროულად დასწრებას.

2020 წლის 10 ივნისს, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის მიერ (CEPEJ) მომზადდა დოკუმენტი COVID-19-ის პანდემიის განმავლობაში და მის შემდგომ პერიოდში, სასამართლო ხელისუფლების მიერ შეძენილი გამოცდილებისა და არსებული გამოწვევების შესახებ. დოკუმენტი სახელმწიფოებს მოუწოდებს პანდემია, როგორც ჯანმრთელობის კრიზისი გამოიყენონ მართლმსაჯულების სისტემის გადასაფასებლად, დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით განახლებული დასკვნების გასაკეთებლად და სასამართლოს საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად დამატებითი გარანტიების შესამუშავებლად. კრიზისი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზების, სტანდარტებისა და სამართლებრივი გარანტიების დარღვევების გასამართლებლად.⁴ ამ კონტექსტში გამოიკეთა რამდენიმე სახელმძღვანელო ინსტრუმენტი:

- მართლმსაჯულებისადმი ნდობა კრიზისის პირობებშიც უნდა იყოს შენარჩუნებული;
- მართლმსაჯულების საჯარო სერვისები მაქსიმალურად უნდა იყოს ხელმისაწვდომი კონსულტაციისა და კოორდინაციის გაძლიერებით;
- განაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაუცველ ჯგუფებს და კრიზისით გამოწვეულ დაუცველობას;
- ინფრასტრუქტურის ადაპტირებისათვის სასამართლო სისტემაში უნდა განხორციელდეს დამატებითი ინვესტიციები;
- უნდა შემუშავდეს საქმეთა გაჭიანურების გამოსწორების გეგმები;
- უნდა მოხდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების დოზირებულად გამოყენება კიბერუსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვით და მართლმსაჯულების აღსრულებაზე ტექნოლოგიების გავლენების რეგულარული შეფასებით;
- მოსამართლეთა მხარდაჭერა განსხვავებულ სამუშაო პირობებში ყოფნისას და მათი გადამზადება ტრანსფორმაციაზე მიმართული სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რაც საშუალებას მისცემს სისტემას, მოახდინოს ახლად დანერგილი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებისაგან მიღებული სარგებელის კაპიტალიზაცია.

ჯანმრთელობის კრიზისის პერიოდში, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მართლმსაჯულების საჯარო მომსახურების ფუნქციონირების გაგრძელების საშუალებას იძლევა. თუმცა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება უარყოფითი შედეგებიც გამოიწვიოს. შესაბამისად, ციფრული მართლმსაჯულების შემდგომი განვითარება უნდა მოხდეს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლებებისა და პრინციპების მაქსიმალური დაცვით. მათ გამოყენებას და მომხმარებლისთვის მისაწვდომობას უნდა ჰქონდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი და ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველაზე დაუცველ ჯგუფებს.

ზემოთ აღწერილი გამოცდილება მსოფლიო პანდემიის პერიოდში, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამოიყენა მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია ამ ნაწილში განვიხილოთ დისტანციური მართლმსაჯულების საუკეთესო მაგალითები.

დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობის წინაშე დადგა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოებიც. შესაბამისად, საუკეთესო პრაქტიკის განზოგადების მიზნით, მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების შესწავლა. უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან განსაკუთრებით საინტერესოა ესტონეთის, გაერთიანებული სამეფოს, კანადის, არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და სინგაპურის დისტანციური სასამართლოთა სისტემა.⁵

ესტონეთი, რომელიც ელექტრონულ მმართველობათა სისტემების პიონერად ითვლება, 2005 წლიდან, სასამართლო სისტემებში ციფრული ტექნოლოგიების შერწყმაზე მუშაობს. დღეს მას თხუთმეტწლიანი გამოცდილება აქვს აღნიშნულ სფეროში. ამ რეფორმების შედეგად, ესტონეთს სასამართლო პროცესების სრულად ციფრული და წერილობითი პლატფორმა გააჩნია. ელექტრონულ სისტემაში, რომელსაც E-File ეწოდება, მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ და მიიღონ საჩივრები, განცხადებები, საქმის წარმოებაზე არსებული შეტყობინებები. ეს მხარეებს აძლევს საშუალებას, რომ მათ უკეთ შეძლონ საქმეთა მსვლელობის კონტროლი, ონლაინ საჩივრების შეტანა და საქმის მიმდინარეობაზე დაკვირვება. ამრიგად, საქმის აღძვრა, პროცედურების დაცვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ელექტრონულ სივრცეში გადავიდა. აღნიშნულ ელექტრონულ სისტემას იყენებს ესტონეთის სასამართლოს სამივე ინსტანცია, მათ შორის უზენაესი სასამართლოც. ამასთან, E-File-ის სისტემა უკავშირდება ისეთ საინფორმაციო ბაზებს, როგორც არის პოლიციის საინფორმაციო სისტემა, სასჯელაღ-

სრულებითი დაწესებულების სისტემა და სისხლის სამართლის საქმეთა მართვის სისტემა. შესაბამისად, ინფორმაციაზე წვდომა გამარტივებულია ერთიანი ინტეგრირებული სისტემის მეშვეობით. ესტონეთში ასევე, შესაძლებელია სასამართლო სხდომის ვიდეო კონფერენციების მეშვეობით ჩატარებაც. მიუხედავად ამისა, ესტონეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, პანდემიის პირობებში, სასამართლოს შენობები არ დახურულა და შესაძლებელი იყო ტრადიციული სხდომის ჩატარებაც.

გაერთიანებულმა სამეფომ დისტანციური სასამართლოს განვითარება პანდემიამდე დაიწყო, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებზე. ორი კვირის განმავლობაში, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო სხდომების დაახლოებით 85–90% ჩატარდა დისტანციურად, აქედან 1/3 ჩატარდა ვიდეო კონფერენციის საშუალებით, ხოლო 2/3 სატელეფონო კომუნიკაციით. ამასთან, აღსანიშნავია რომ სატელეფონო კომუნიკაციის გამოყენების აუცილებლობა დადგა იმის გამო, რომ მხარეებს შეზღუდული ჰქონდათ კომპიუტერთან წვდომა. ვიდეო კონფერენციის ჩასატარებლად იყენებდნენ სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმებს (Skype for business, Zoom, Microsoft teams). საკმაოდ განსხვავებული სიტუაცია იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით – მათ მიერ საქმის განხილვა შეჩერდა იქამდე, ვიდრე არ მოხდა უფრო დიდი სასამართლო სხდომის დარბაზების გამოყოფა, იმგვარად რომ უზრუნველყოფილიყო სოციალური დისტანცირება. რაც შეეხება სხდომათა საჯაროობას, გაერთიანებულ სამეფოში ერთ-ერთ საქმეზე გამოყენებული იქნა პირდაპირი ეთერი Youtube არხის მეშვეობით, თუმცა, ეს არ არის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული და აღნიშნული განხორციელდა მოსამართლის თანხმობით. ზოგადად, გაერთიანებულ სამეფოში სხდომათა საჯაროობის ხელმისაწვდომობის მიზნით, მედია საშუალებებს ან სხვა პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ დისტანციური სხდომის საჯაროობის ან/და მასზე დასწრების უზრუნველყოფა. აქ საჯაროობა უზრუნველყოფილად ითვლება თუნდაც, ერთი მედია საშუალების ჩართვით ან მისთვის სხდომის ჩანაწერის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფორმით და რომელი ტექნიკური საშუალებით მოახდენს სხდომათა საჯაროობის უზრუნველყოფას.¹

მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში, საკმაოდ დიდი ხანია ფუნქციონირებს ელექტრონული საქმის წარმოების და ე. წ. „ელექტრონული პაკეტის“ (E-bundle) პროგრამები, რომელთა მეშვეობით ხდება დოკუმენტების წარდგენა სასამართლოში ელექტრონული ფორმით და საქმის მასალების (მტკიცებულებების) ელექტრონული აკინძვა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამის საშუალებით პროცესის მონაწილეებს და მოსამართლეს შესაძლებლობა აქვთ გააკეთონ მათთვის საინტერესო საქმის მასალების მონიშვნები, ჩანიშვნები და კომენტარები, როგორც ეს შესაძლებელია საქმის მატერიალურ ვერსიაზე. შესაბამისად, აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს მხარეებს და სასამართლოს მოახდინონ მტკიცებულებათა სწრაფი და ეფექტიანი დემონსტრირება და გამოკვლევა. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს კანადა, სადაც მტკიცებულებების ელექტრონული გამოკვლევა ხდება არა მხოლოდ დისტანციური სასამართლო სხდომის ჩატარებისას, არამედ უშუალოდ მხარეთა ფიზიკური დასწრებით ჩატარებულ სხდომებზეც. სამოქალაქო რეზოლუციის ტრიბუნალი, რომელიც კანადის პირველ ონლაინ ტრიბუნალად ითვლება, არ არის ტრადიციული სასამართლო და ძირითადად, როგორც მოლაპარაკებების პლატფორმა ისე განიხილება. ტრიბუნალი მომხმარებლებს მოუწოდებს დავები ტრიბუნალის წევრებთან უშუალო კონტაქტის გარეშე გადაწყვიტონ. მომსახურების საფასურის შემცირების გზით, აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს დავის მხარეებს ფოსტის, ფაქსის და ელ-ფოსტის ნაცვლად, ონლაინ პლატფორმის მეშვეობით წარადგინონ წერილობითი განცხადებები. ამასთან, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, სისტემას აქვს ვიდეო კონფერენციის მეშვეობით სხდომის დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობაც. საინტერესოა ისიც, რომ სხდომების დისტანციურად ჩატარება ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორიც არის Whatsapp ან Messenger. სამოქალაქო რეზოლუციის ტრიბუნალის ბოლო ანგარიშის თანახმად, მას საშუალოდ 79 დღე სჭირდება სტანდარტული დავის გადასაწყვეტად. აქ მოქმედი პროტოკოლის მიხედვით, დისტანციური წარმოებისას დაცული უნდა იყოს მთელი რიგი წესები:

- მოსამართლემ ან სხვა უფლებამოსილმა პირმა დაკითხვის დაწყებამდე უნდა დაათვალიეროს ოთახი, სადაც მოწმე იმყოფება ფიზიკურად, რათა დარწმუნდეს, რომ იგი ოთახში მართლა და ვერავინ შეძლებს მის ჩვენებაში ჩარევას;
- მოწმე დაკითხვამდე, უნდა იყოს განცალკევებულ ვირტუალურ ოთახში;
- მოწმის დაკითხვამდე უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა მოხდეს მისი პიროვნების დადასტურება;
- ჩვენების მიცემამდე მომწმემ უნდა დადოს ფიცი და განემარტოს დისტანციური გამოკითხვის პროცედურების თავისებურებები და გაფრთხილებული იქნას პასუხისმგებლობაზე მათი დარღვევის შემთხვევაში;
- თუ მოწმეს დაკითხვისას სხვა მხრივ სჭირდება მესამე პირის დახმარება, მან აღნიშნულის თაობაზე ნებართვა უნდა აიღოს დაკითხვის დაწყებამდე;

- მოწმემ ჩვენების მიცემისას არ უნდა გამოიყენოს არანაირი ჩანაწერი, თუ არ ექნება სასამართლოს ნებართვა აღნიშნულის თაობაზე;
- დაკითხვისას ე. წ. „დისტანციის“ სესია უნდა ჩატარდეს სასამართლო სხდომის დაწყებამდე, რათა პროცესის მწარმოებელი დარწმუნდეს, რომ მოწმე კარგად ერკვევა ტექნოლოგიებში და მისი მხრიდან ადგილი არ ექნება ტექნოლოგიურ დაბრკოლებებს;
- ნოტარიუსი უნდა იმყოფებოდეს მოწმესთან ფიზიკურად, რათა მოახდინოს მისი იდენტიფიკაცია და დაადასტუროს, რომ სხვა არავინ იმყოფება მისი დაკითხვის მიმდინარეობისას;
- მოწმის დაკითხვა უნდა განხორციელდეს „დისტანციური მედია ოთახიდან“, რომელსაც ექნება შესაბამისი სასამართლო დარბაზის აღჭურვილობა: ავეჯი, აქსესუარები, დროშები და სასამართლოს მანდატური, რათა მოწმეს შეექმნას შესაბამისი შთაბეჭდილება დაკითხვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- „დისტანციური მედია ოთახში“ გამოყენებული უნდა იყოს მრავალფუნქციური კამერები, რათა უკეთ მოხდეს მოწმის სანდოობისა და ქცევის შეფასება, ერთ კამერაზე გამოსახული უნდა იყოს მოწმის სახე, ხოლო მეორეზე მოწმის მთელი სხეული.²

ზოგადად, მოწმის დისტანციურად დაკითხვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხია, ვინაიდან მოწმის ჩვენების შეფასებისას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას გადმოსცემს ზეპირად მოწმე, არამედ მისი სხეულის ენაც, რომლის ანალიზიც დისტანციური სასამართლო სხდომის გამართვისას ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომაც ბევრი მოსამართლე თვლის, რომ მოწმეთა დისტანციური დაკითხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

სასამართლო სისტემების რეგულაციური განვითარება არაბთა გაერთიანებულ საამიროებშიც პანდემიამდე დაიწყო. აქ ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი შეიძლება ორი მიმართულებით დაიყოს: ოფშორული და არაოფშორული სასამართლოების ტექნოლოგიური განვითარება. ამ შემთხვევაში განხილულია ოფშორული სასამართლოების სისტემა, კერძოდ, აბუ-დაბის საერთაშორისო საფინანსო ცენტრის ოფშორული სასამართლო. აბუ-დაბის სასამართლოს დამუშდნებლები სრულად იზიარებდნენ ხედვას, რომ სასამართლოთა სისტემა ტექნოლოგიის უახლესი განვითარების მიღწევებს დაყრდნობოდა. ციფრული ტრანსფორმაციის გზაზე, აბუ-დაბის სასამართლომ Microsoft-თან თანამშრომლობა გადაწყვიტა. მათ ერთობლივად შექმნეს სამართლებრივი პლატფორმა, რომელშიც ინტეგრირებულია ისეთი პროგრამები, როგორიც არის Azure, Office 365, Dynamics 365, Skype და ა. შ. აღნიშნული პროგრამები მათ სასამართლოს სისტემას მოარგეს. აბუ-დაბის სასამართლო ხელმისაწვ-

დომია 24 საათი, კვირაში 7 დღე. მას არ აქვს გეოგრაფიული შეზღუდვა და საჭიროების შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ აღნიშნულ პლატფორმაზე განაცხადების და სარჩელების რეგისტრაცია, შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვა და მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა. ზემოთ მოტანილი ზოგიერთი მოდელის მსგავსად, აბუ-დაბის სასამართლოში შესაძლებელია სასამართლო სხდომის ჩატარება Skype-ის მეშვეობით. პლატფორმის საშუალებით, მხარეებს გადახდების განხორციელებაც შეუძლიათ, რომელთა შემდგომ ტრანზაქციის ამსახველი ქვითრის მიღებაც არის შესაძლებელი. გარდა ამისა, აღნიშნული სასამართლო სისტემის ერთ-ერთი განსაკუთრებული მდგომარეობა იმაშია, რომ მას ასევე, აქვს მტკიცებულებათა გაცვლის პლატფორმა, რომელიც ელექტრონულადაც არის ხელმისაწვდომი.

სინგაპური ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც სასამართლო სივრცეში დანერგა ტექნოლოგიები. სასამართლოების მოდერნიზაცია 90-იან წლებში დაიწყო და რეფორმის პირველ ეტაპზე პრიორიტეტად საქმეთა უკეთესი ადმინისტრირება განისაზღვრა. ათი წლის შემდეგ, სინგაპურის სასამართლო სისტემის გამბედავმა რეფორმებმა შედეგი გამოიღო და ის აზიის წყნარი ოკეანის სასამართლოთა სიის სათავეში მოხვდა. სინგაპურის ძირითადი მოტივაცია უსაფრთხო და იურიდიულად პროგნოზირებადი გარემოს შექმნა იყო, რაც თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გამოიწვევდა. ესტონეთის მოდელის მსგავსად, არსებული ონლაინ პროგრამა სინგაპურის ყველა ინსტანციას ემსახურება, რაც მხარეებს სარჩელებისა თუ განცხადებების შეტანის და საქმეების დისტანციურად განხილვის შესაძლებლობას ანიჭებს. საერთო ციფრული პლატფორმის მეშვეობით, რომელიც ESF-ის სახელით არის ცნობილი, სასამართლოს აქვს ვიდეო-კონფერენციის მეშვეობით სხდომების ჩატარების შესაძლებლობა. გარდა ამისა, სახელმწიფომ გაითვალისწინა საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არა აქვს შესაბამისი ელექტრონული უნარ-ჩვევები და შექმნა სპეციალური მომსახურების ბიურო, რომლის წარმომადგენლებიც ტექნიკურად ეხმარებიან მოდავე მხარეებს. ამ და სხვა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სინგაპურს საშუალება მისცა თავისი ისტორიული ნაკლოვანებები გადაეღახა. სინგაპურის მოდელის წარმატებულობის დასტური არის ის ფაქტი, რომ სინგაპურში როგორც სამოქალაქო, ასევე, სისხლის სამართლის საქმეების 96% კანონით გათვალისწინებულ ვადებში სრულდება.

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ქვეყნებმა, რომლებსაც დისტანციური სასამართლო წარმოებების გარკვეული გამოცდილება უკვე ჰქონდათ, უკეთ მოახერხეს პანდემიის მიერ წამოჭრილ გამოწვევებთან გამკლავება. საკითხი, თუ რა ხარისხით ხდება სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა კომპონენტის დაცულობა, ცალკე განხილვის საგანია.

რაც შეეხება **საქართველოს გამოცდილებას**, ქართული მართლმსაჯულების სისტემის მოდერნიზაცია, მისი ტექნოლოგიური განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ბოლო ათწლეულია შეუქცევად პროცესად იქცა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ელექტრონული მმართველობის განვითარებისათვის განხორციელებული პროექტების შედეგად, საქართველომ დააფიქსირა წინსვლის მზარდი დინამიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელ-მმართველობის საერთაშორისო რეიტინგებში, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება. ელექტრონული მმართველობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია „ელექტრონული მართლმსაჯულება“, რამეთუ მისი გამართული ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია დანარჩენი ხელისუფლების შტოების ეფექტიან მუშაობასთან.

დღეს, საერთო სასამართლოების სისტემაში ფუნქციონირებს სასამართლოს ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამა, რომელიც სატესტო რეჟიმში გაეშვა 2011 წლიდან, რუსთავის საქალაქო სასამართლოში. 2014 წელს კი, შეიქმნა ე. წ. „ადვოკატების მოდული“, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტების (სარჩელის, შესაგებლის, განცხადების და სხვ.) დისტანციურად, ელექტრონული წესით შეტანას, რაც თავის მხრივ, გულისხმობს მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას (სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა). პანდემიის პირობებში, აღნიშნული სერვისით სარგებლობა მხარეთათვის უფასო გახდა. პარალელურად დაინერგა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სისტემაც, რამაც კიდევ ერთი ნაბიჯით გააუმჯობესა საჩივრების, სარჩელებისა და განცხადებების დისტანციურად წარდგენის პროცედურა.

მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურ რეჟიმში სხდომის ჩატარებასა და საპროცესო მოქმედებების განხორციელებას ქართული საპროცესო კანონმდებლობა პანდემიამდეც ითვალისწინებდა, პრაქტიკაში წავაწყდით ბევრ პრობლემას. ეს პირველ ყოვლისა, გამოწვეული იყო იმით, რომ ციფრული მართლმსაჯულება საქართველოში ნოვაციაა, ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია და კანონმდებლობა კომპლექსურად საჭიროებს სრულყოფას. ტექნოლოგიური სიახლეების პრაქტიკაში სრულად დანერგვა ბუნებრივი ევოლუციური პროცესია, რომლის ფორმაც და მასშტაბიც ესადაგება შესაბამისი ეპოქის მოთხოვნებს და საზოგადოებას (მომხმარებლები) უნდა იყოს მზად ამისათვის. ფაქტია, რომ მართლმსაჯულება სხვა სისტემების მსგავსად, ძალიან სწრაფად ვითარდება (ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა სასამართლოს დისტანციურ სერვისებზე) და ამასთან, ბევრ დაბრკოლებას აწყდება. აქ მთავარი გამოწვევაა ციფრული მართლმსაჯულების განხორციელება ადამიანის უფლებათა დაცვის

საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოხდეს. ეს კი, დემოკრატიულ სა-
ხელმწიფოთა უმრავლესობის წინაშე დღეს არსებული ყველაზე რთული დილემაა.

2020 წლის მარტში, როდესაც საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და
სოციალური დისტანცირება სავალდებულო გახდა, საქართველოს სასამართლოები იძულე-
ბული გახდნენ სხდომები ვიდეო-კონფერენციების მეშვეობით ჩატარებინათ. საქართველოს
მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს
პრეზიდენტის დეკრეტში აღინიშნა, რომ ნებადართულია დისტანციური სხდომების ჩატარება
სისხლის სამართლის საქმეებზე. დამატებით, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული
მთავრობის დადგენილებით, დაშვებული გახდა დისტანციური სხდომების ჩატარება საგა-
დასახადო დავების ადმინისტრაციული განხილვისას.

2021 წლის მარტში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სასამართლო სისტემაზე
COVID-19-ის გავლენის შესამცირებლად გამოსცა შესაბამისი რეკომენდაცია.³ დოკუმენტი
ითვალისწინებს საქმეთა განხილვის გადადებასა და ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას,
სასამართლო განხილვებში დისტანციურად მონაწილეობას, სასამართლო შენობებში მო-
ქალაქეთა ნაკადების შემცირებასა და საჯარო ღონისძიებების გადადებას. ასევე, განცხადე-
ბებისა და დოკუმენტაციის მიღებას მოქალაქეთა მისაღებში განთავსებული სპეციალური
ყუთების მეშვეობით და სასამართლო სისტემაში მომუშავე საჯარო მოხელეთა დისტანციურ
სამუშაო რეჟიმზე გადაყვანას.

2020 წლის 23 მაისიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა,
სხდომების დისტანციური ჩატარება ახალი საკანონმდებლო ცვლილებით დარეგულირ-
და. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, 15 ივლისამდე
განისაზღვრა სისხლის სამართლის პროცესების დისტანციურად გამართვის დროებითი
წესი.⁴ 332⁵ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „2020 წლის 15 ივლისამდე პანდემიის ან/
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელე-
ბის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომა სასამართლოს გადაწყ-
ვეტილებით შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული
საშუალებების გამოყენებით თუ:

ა) ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა;

ბ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩაუტარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332⁵ მუხლის მეორე ნაწილით განისაზღვრა, რომ დისტანციური სხდომის გამართვის შემთხვევაში, მასში მონაწილე არც ერთ პირს არა აქვს უფლება, უარი განაცხადოს სხდომის დისტანციურად გამართვაზე, მასზე უშუალოდ დასწრების სურვილის მოტივით.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებისთანავე, სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო მსგავსი პროცესების მონიტორინგის პროექტი (პერიოდი: 18.05.2020–22.06.2020), რომლის დასასრულსაც წარმოადგინა 279 სასამართლო პროცესის შეფასების სპეციალური ანგარიში.⁵ გამოვლენილი ხარვეზებიდან აღასანიშნავია: სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყება; ბრალდებულთან ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის შეუძლებლობა და მოწმეთა დაკითხვის ხარისხი/აღქმადობის პრობლემა.

2020 წლის 5 ივნისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რეკომენდაციების ახალი პაკეტი დაამტკიცა,⁶ რომელშიც ყურადღება გამახვილდა შემდეგ ღონისძიებებზე:

- სასამართლოებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას ან დისტანციურ განხილვას, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- სხდომაზე დამსწრე პირთა შორის უნდა იქნას დაცული ორმეტრიანი დისტანცია;
- სასამართლო შენობაში ყოფნა დაიშვება მხოლოდ პირბადის გამოყენებით;
- მოქალაქეთა მისაღებად უნდა მოეწყოს გამჭვირვალე დამცავი ბარიერები;
- მოქალაქეები უნდა წახალისდნენ, რომ ისარგებლონ სასამართლოს ელექტრონული სერვისებით;
- სასამართლოს პერსონალმა, რომლის ფიზიკური ყოფნა სასამართლო შენობაში არ არის აუცილებელი, უნდა იმუშაოს დისტანციურად.

დისტანციური სამართალწარმოების მასშტაბური შემოღება ქართული სასამართლო სისტემისათვის მოულოდნელი და რთული გამოწვევა იყო. დასაწყისშივე გამოიკვეთა რამდენიმე მთავარი პრობლემა: ტექნოლოგიების არასაკმარისი ცოდნა და უნარები, დაბალი ხარისხის

ინტერნეტი, სასამართლო დარბაზების შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა და სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაუცველობა. აღნიშნული ხარვეზები ეტაპობრივად მოგვარდა, მაგრამ რამდენიმე იმანენტური პრობლემის გადაჭრა მხოლოდ რეალური სხდომების აღდგენის შემდეგ მოხდა. მაგალითად: დახურული ელექტრონული სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერისა და ელექტრონული ლინკის არაკანონიერად მოპოვების რისკების აღმოფხვრა. ამასთან, დისტანციურმა სასამართლო სხდომებმა მნიშვნელოვნად დაზოგეს პროცესის ხარჯები, გაცილებით ეფექტიანი გახდა შუამდგომლობების პირების ჩართულობა, დარბაზში ლოგინის საჭიროება თითქმის აღმოფხვრა, მხარეთათვის პროცესი ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი ადგილიდან და მნიშვნელოვნად შემცირდა დაზარალებულის ემოციური გავლენის ქვეშ მოსამართლის მოქცევის ალბათობა.

დისტანციური სასამართლო სხდომების ეფექტიანობის კუთხით გვსურს გამოვყოთ რამდენიმე პროცესუალური საკითხი რეკომენდაციის სახით.

თანამედროვე ტექნოლოგიების (პლატფორმების) გამოყენება. აქ მნიშვნელოვანია შეიქმნას მომხმარებელზე და მოსამართლეებზე მორგებული პროგრამა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სადაც უზრუნველყოფილი იქნება კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალურობა, შესაძლებელი იქნება მოწმის სრულყოფილი იდენტიფიცირება, საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა სხვა დანარჩენი კომპონენტის სრულყოფილი რეალიზება. ამ მიმართულებით სასამართლო სისტემაში დღეს არის მოცულობითი ხარვეზები, რომლის ეტაპობრივი აღმოფხვრის გარეშე საქართველოში ელექტრონულ მართლმსაჯულებას მომავალი ვერ ექნება.

საჯაროობის პრინციპის დაცვით პროცესების ჩატარება ერთი მხრივ, კანონმდებლობის მოთხოვნაა და მეორე მხრივ, საზოგადოების თვალში ის მეტი ლეგიტიმაციით სარგებლობს. პანდემიის პერიოდში, სხდომათა საჯაროობის უზრუნველყოფა გახდა სწორედ ყველაზე დაუცველი დემოკრატიული ღირებულება, რაც მომავალში მეტ საკანონმდებლო გარანტიებს მოითხოვს.

წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა. დისტანციური სხდომებისას, პრობლემურია დაკითხვის დროს მოწმისთვის წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულების დემონსტრირება, ასევე წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა, ვინაიდან დედანი სასა-

მართლოშია. აღნიშნული პროცესი სხდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომლისთვისაც მზადება ფაქტობრივად სარჩელის/საქმის აღძვრის ეტაპიდანვე იწყება. სასამართლო საქმის წარმოების ელექტრონული სისტემების მეშვეობით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შესაძლებელია მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით წარდგენა. ხოლო, სისხლის სამართლის საქმეებზე უკანასკნელ პერიოდში არსებული პრაქტიკით, შესაძლებელია მტკიცებულებათა ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შესაძლებლობა სასამართლოში. დღეს მოქმედებს მხოლოდ საგამოძიებო ღონისძიებების ფუნქციონალი, რაც სასურველია უფრო მოცულობითი გახდეს და გავრცელდეს განცხადებებზე, შუამდგომლობებზე, საჩივრებზე და ა. შ. ასევე, ZOOM-ის და WebEx Cisco-ს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით, შესაძლებელია ეკრანის გაზიარება, სადაც გამოსახული იქნება შესაბამისი ელექტრონული მტკიცებულება, რაც თავის მხრივ, ეფექტიანად უზრუნველყოფს მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს ისე, რომ არ დაირღვეს მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის პრინციპი. რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებებს, სასურველია მათი წარდგენა მოხდეს სასამართლოში დისტანციური სხდომის გამართვამდე და მისი გამოკვლევა განხორციელდეს მოსამართლის ან სასამართლოს მოხელის მიერ უშუალოდ დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას. ამ დროს მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, ვიზუალური დაკვირვების გზით.

მოწმეთა დაკითხვა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოწვევად გამოიკვეთა პანდემიის პროცესში. შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას, წარადგინოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები, უშუალოდ დაკითხოს მოწმეები და ბრალდების მსგავს პირობებში დაიცვას საკუთარი თავი. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია ბრალდებულს სრულყოფილად და გასაგებად განემართოს მისი უფლებები. ბრალდებულისთვის სრულად უნდა იყოს აღქმადი სასამართლო მიმდინარეობა, სრულყოფილად ესმოდეს მოწმეების, პროკურორისა თუ მოსამართლის ხმა. საპროცესო სტრატეგიის დაგეგმვის კუთხით ასევე, მნიშვნელოვანია მოწმეთა ვიზუალურად აღქმა, რადგან მოწმის თითოეულ მიმიკას თუ ჟესტს შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისთვის. უმნიშვნელოვანესია დაკითხვის ოთახში მოწმის მართო ყოფნის და ჩვენების ყველანაირი გავლენისაგან თავისუფლად მიცემის პროცესის უზრუნველყოფა.

პანდემიის პირობებში სასამართლო სხდომების დისტანციური წესით ჩატარება ფაქტობრივად, ერთადერთ გზას წარმოადგენდა იმისათვის, რომ შენარჩუნებულიყო სასამართლოს

ნორმალური ფუნქციონირება, სისტემას თავიდან აეცილებინა საქმეთა განხილვის არაგონივრულად გაჭიანურება და ასევე, საფრთხე არ შექმნოდა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. შესაბამისად, ამ კუთხით, სასამართლო სისტემა სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ამასთან, ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე იძულებით გადასვლა შეიძლება განვიხილოთ შესაძლებლობად, ობიექტურად შეფასდეს ელექტრონული მართლმსაჯულების დადებითი და უარყოფითი მხარეები. საბოლოოდ, ეს დაეხმარება სისტემას წარმოაჩინოს შესაძლებლობები და მათ საფუძველზე შეიშუშავოს გრძელვადიანი პერსპექტივები.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამართალწარმოების დღემდე არსებულმა ტრადიციულმა ფორმებმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები, ვერ უმკლავდება ახალ გამოწვევებს და ვერ პასუხობს მდგრადი მართლმსაჯულების პრინციპებს. ამასობაში კი, საერთაშორისო არენაზე ციფრული მართლმსაჯულების იმპლემენტაცია მოიაზრება სასამართლო სისტემის გარდაუვალ მომავლად, რომლის დახვეწაზე და პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებაზე ზრუნვა სახელმწიფოთა ვალდებულებად სახელდება. პანდემიის მიწურულს კი, დისტანციური სასამართლო სხდომები უამრავი გამოწვევის მიუხედავად, უფრო და უფრო ავლენს პოტენციალს მეტად ეფექტიანი და ხელმისაწვდომი გახადოს მართლმსაჯულება. ამ პროცესს საქართველომ ფეხი უნდა აუწყოს. მთავარია განვითარებისა და ადაპტირების ეს ტემპი COVID-19-ის დასრულების შემდეგაც არ შენელდეს და რეფორმების პროცესი იმ სისწრაფით გაგრძელდეს, რომელიც პანდემიამ მოიტანა.

უნდა ითქვას, რომ დისტანციურმა მართლმსაჯულებამ საქართველოში საკმაოდ წარმატებით გაიარა გამოცდის ეტაპი პანდემიის პერიოდში. რეალურად, მართლმსაჯულება შეფერხების გარეშე ახდენდა სასამართლო სერვისების მიწოდებას და სამართლის აღსრულებას, მაგრამ ამ მიმართულებით სისტემის განვითარება რეალურად, დღეს იწყება და ეს მომავლის საკითხია. სამწუხაროდ, ერთიანი სასამართლო ციფრული სისტემა ჯერ არ შემუშავებულა და პირველ ყოვლისა, ამ მიმართულებით იქნება ინვესტირება საჭირო. სასამართლო ხელმისაწვდომობის ხარისხი კიდევ უნდა გაზარდოს და სრულ ბალანსში უნდა მოვიდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. დისტანციური სასამართლო სხდომები მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ტრილშიც და ამ მიმართულებითაც ბევრია სამუშაო. ის, თუ როგორ უნდა მოვახ-

დინოთ საქართველოში ციფრული მართლმსაჯულების დღეს არსებული მიღწევების ასახვა სასამართლო ხელმისაწვდომობის პარამეტრებში და საბოლოოდ, მისი გარდაქმნა მდგრად მართლმსაჯულებად, ცალკე კვლევის საგანია და მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას.

განაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქნილი, განახლებული და ტექნოლოგიურ ნოვაციებზე მორგებული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, სამართალწარმოების პროცესუალური ნაწილის არსებული რეგულაციების კომპლექსური დახვეწა და მეტი სიცხადის შეტანა კანონმდებლობაში. საკანონმდებლო დონეზე მეტი გარანტია სჭირდება იმას, რომ არ შეფერხდეს ეფექტიან, ღია, სწრაფ და ხარისხიან მართლმსაჯულებაზე წვდომა, რაც თავის მხრივ, თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფინანსური დახმარება და ინვესტირება, რამეთუ სასამართლო სისტემაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და არსებულის შენარჩუნება დაკავშირებული არის მოცულობით ხარჯებთან. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიმდინარე პანდემიის პირობებში კი, ეს ორმაგად რთული გამოწვევაა საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის, თუმცა, დაძლევადა. სწორედ ციფრული მართლმსაჯულების საშუალებით უნდა მოხდეს სასამართლო ხელმისაწვდომობის როგორც ღირებულების ეფექტიანობის გაზრდა და მომავალზე ორიენტირებული მდგრადი მართლმსაჯულების შექმნა. თუმცა, როგორც ევროპული კავშირის სასამართლომ დაადგინა, „ელექტრონული საშუალება“ არ შეიძლება შეთავაზებულ იქნას პროცედურებზე წვდომის ერთადერთ საშუალებად, ამ გარდამავალ ეტაპზე მაინც – ეს მართლმსაჯულების მომავალია.

შენიშვნები:

- ¹ http://lawlibrary.info/ge/books/2018giz-ge-access_to_justice.pdf
- ² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Saint-Paul Luxembourg S.A. v. Luxsenbourg, No 26419/10, 2013 წლის 18 აპრილი, პარაგ. 44.
- ³ <https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/28.06.2019-4.pdf> [26.05.2022]
- ⁴ <https://rm.coe.int/declaration-geo/1680a09a24>
- ⁵ <https://www.coe.int/en/web/cepej/compilation-comments> [23.06.2022]
- ⁶ <https://www.gba.ge> შურნ. ჩემი ადვოკატი, №4.
- ⁷ <https://www.gba.ge> შურნ. ჩემი ადვოკატი, №4.
- ⁸ <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/01-2020.pdf> [23.06.2022]
- ⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4876514?publication=0> [10.05.2022]
- ¹⁰ <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020071409521056052.pdf> [15.05.2022]
- ¹¹ <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/02-2020.pdf> [23.06.2022].

FUTURE-ORIENTED E-JUSTICE AND COVID-19 AS A UNIQUE OPPORTUNITY TO TRANSFORM THE JUSTICE SYSTEM

EKA GOGICHAISHVILI

*Ph.D. student at the School of Law, Social Sciences and Diplomacy of
Georgian-American University (GAU)*

This article researches and analyses the challenges faced by the Georgian justice system due to COVID pandemic. It highlights the opportunities created by e-justice and views COVID 19 as a unique opportunity to transform the justice system.

Since March 2020, Georgian justice system has been facing a major challenge – it had to come up with the new agenda. This process was sufficiently urgent and complex and required handling multiple problems.

The goal of this article is to describe and assess this process, evaluate the future potential of the justice system. The takeaway is that after pandemic, e-justice will emerge as real means of improving the quality and efficiency of the justice system



მედიისა და მართლმსაჯულების ურთიერთქმედების პროფესიულ-ეთიკური სტანდარტები

ქეთევან ტყეშელაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

„ცივილიზებულ სამყაროში კანონი ეთიკის ზღვაში ტივტივებს.

ცივილიზაციისთვის თითოეული მათგანი სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანია.

კანონის გარეშე, არაკეთილსინდისიერთა ნებაზე ვიქნებოდით
დამოკიდებულნი, ეთიკის გარეშე კი – კანონი ვერ იარსებებდა.“

ერლ უორენი

პროფესიული ეთიკის საკითხები უნივერსალურია თანამედროვე ეპოქაში. მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლებას და საზოგადოებას განსხვავებული შეხედულებები აქვთ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, მიდგომა ეთიკური შემთხვევების მიმართ – ერთგვაროვანია. სწორედ ეთიკური პრინციპები და ღირებულებები ქმნიან იმ პირობით ჩარჩოს, რომლის თანახმადაც განისაზღვრება, თუ რა ქმედება ითვლება მართებულად ჟურნალისტური მოვალეობის შესრულების დროს.

დღესდღეობით, ეთიკა არის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება, რომლის დაცვაც ძალზედ მნიშვნელოვანია მთელი

რიგი პროფესიის ადამიანებისათვის. პროფესიული ეთიკა (როგორც ეთიკის ნაირსახეობა) ნიშნავს პრინციპებისა და სტანდარტების ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია სწორი მმართველობითი ქცევის დასამკვიდრებლად.

იმისათვის, რომ არ დაიკარგოს ნდობა ჟურნალისტიკის მიმართ, „მეოთხე ხელისუფლების“ წარმომადგენლებმა გარკვეული პროფესიული სტანდარტები უნდა დაიცვან.

თავდაპირველად, საზოგადოების მორალური ურთიერთობების მნიშვნელობაზე არისტოტელემ ისაუბრა. ეთიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება ამ ფილოსოფოსის ნაშრომთან – „ნიკომაქეს ეთიკა“ არის დაკავშირებული. ძველად ეთიკას ფილოსოფიის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდნენ, ხოლო თანამედროვეობაში მეცნიერები მას ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიასთან ერთად განიხილავენ.

სიტყვა „ეთიკა“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის გარკვეული ყოფაქცევის ნორმები, იგი შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთ ფორმად, რომელიც ადამიანის ცნობიერებას გარკვეულ კანონებს უწესებს, ხოლო ამ კანონების შესრულება-არშესრულებას თავად ადამიანი წყვეტს.

ეთიკური, ზნეობრივი სფერო იმდენად ადამიანურია, რომ სოციალური ყოფიერების, მოქმედების, საქმიანობის ყველა მიმართულებას და სახეს მოიცავს. ზოგადად, ეთიკა ზოგადადამიანურია და ეხება ჟურნალისტსაც, პოლიტიკოსსაც, მოსამართლესაც, პედაგოგსაც, ექიმსაც და ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს, რომელთა საქმიანობა ეთიკურ ასპექტებს უნდა ეყრდნობოდეს. პროფესიული ეთიკა გარკვეული ლიმიტის ე. წ. ზღვარის დაცვას მოითხოვს. შესაბამისად, პროფესიული ეთიკის კოდექსების საფუძველი ზოგადსაკაცობრიო ნორმებია, რომლის უმთავრესი მიზანი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, ადამიანის უფლებათა დაცვაა. მათი გათვალისწინება ხელს უწყობს როგორც თავად პროფესიის, ისე საზოგადოების განვითარებასა და მისი ჰუმანური ღირებულებების განმტკიცებას.

დღეს, როდესაც მედია საზოგადოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს, ჟურნალისტიკა პროფესიული ეთიკის გარეშე რთული წარმოსადგენია, პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა ნებისმიერ საქმიანობაშია აუცილებელი, მაგრამ ჟურნალისტიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჟურნალისტი, მედიაორგანიზაცია ან ზოგადად, მედია მორალურ-ზნეობრივ ნორმებს არ იცავს, ეს აუცილებლად აისახება საზოგადოებასა და მის განვითარებაზე.

პროფესიული ეთიკა პირდაპირ კავშირშია მორალთან. მნიშვნელოვანია კანონებისა და მორალური ნორმების კომბინაციის უზრუნველყოფა. მორალის ძირითადი კატეგორიებია პასუხისმგებლობა, სინდისი, ღირსება, თავმოყვარეობა. ადამიანები დღემდე მსჯელობენ ამ კატეგორიათაგან რომელია უმთავრესი. ფაქტია, ერთ-ერთი მათგანის უგულებელყოფა არღვევს ადამიანის მორალურ-ეთიკურ სახეს. ჟურნალისტური და ადამიანური მორალი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ჟურნალისტი მორალური სტანდარტის მატარებელია და საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევამე აგებს პასუხს. აქედან გამომდინარე, იგი ჩართულია საზოგადოებრივ-მორალურ სისტემაში. სოციალური მორალურ-ზნეობრივი ურთიერთობანი ჟურნალისტის ასახვის ობიექტია. ჟურნალისტი პროპაგანდას უწევს საზოგადოების ზნეობრივ იდეალებს, მორალურ ფასეულობებს და იძლევა ეთიკურ რეკომენდაციებს. ჟურნალისტი მორალურ ფასეულობათა ინსტრუმენტის როლში გამოდის ამასთან, ჟურნალისტიკაში მორალი გამოიყენება, როგორც პროფესიონალიზმის საზომი.

პროფესიული მორალი კონკრეტული საქმიანობის ჩარჩოებში იბადება. მისი ფუნქციაა უზრუნველყოს პროფესიული ჯგუფის იმგვარი ქმედება, როდესაც მოცემული საქმიანობა საუკეთესო შედეგის მომტანია და ჯგუფის საზოგადოებრივ დანიშნულებას ამართლებს. ამიტომ, პროფესიული მორალი საერთოა კონკრეტული საქმიანობის ადამიანთათვის და ქცევის საერთო სტანდარტს მოითხოვს. არსებობს ტერმინები „პროფესიული ვალი“, „პროფესიული პასუხისმგებლობა“ და ა. შ.

მედიაეთიკის ძალიან საინტერესო განსაზღვრებას გვთავაზობს პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ემერიტუსი კლოდ-ჟან ბერტრანი, რომელიც მიიჩნევს, რომ ესაა პროფესიონალების მიერ შემუშავებული პრინციპებისა და წესების ერთობლიობა. სასურველია, ამ ნორმების შემუშავება მოხდეს მომხმარებელთან თანამშრომლობის გზით, რათა უკეთ ემსახუროს მოსახლეობის ყველა ჯგუფს თუ არა, უმეტესობას მაინც. იმისათვის, რომ მედიამ შეინარჩუნოს პრესტიჟი და დამოუკიდებლობა, მან ღრმად უნდა გააცნობიეროს თავისი უპირველესი მოვალეობა – უზრუნველყოს კარგი საზოგადოებრივი სამსახური (ბერტრანი, 2004).

მედიაეთიკა ჟურნალისტთა ვალდებულებებზე მსჯელობას ნიშნავს. ეს მოვალეობები მოიცავს, როგორც მედიის წარმომადგენელთა ადამიანურ, ასევე პროფესიულ უფლებებს. ეს უფლებები ნაწილობრივ გარანტირებულია კანონმდებლობით, ნაწილობრივ ასახულია ამა თუ იმ კოდექსში. ეს არის ღირსეული ანაზღაურების უფლება; სარედაქციო პოლიტიკის გაცნობისა და მენეჯმენტში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანამდე აზრის გაზიარების უფ-

ლება; უფლება, უარი თქვას დავალების შესრულებაზე, თუ ის შეუთავსებელია ჟურნალისტურ ეთიკასთან ან პირად მრწამსთან; ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება და ა. შ. მედია მოქმედებს როგორც საზოგადოების აგენტი, რომელიც აღწევს იქ, სადაც მოქალაქეთა დიდი რაოდენობა მასობრივად ვერ შეძლებს მისვლას; აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც საზოგადოებას არ ძალუძს. ჟურნალისტები სარგებლობენ პრივილეგიებით თუმცა, ამავდროულად, ისინი ანგარიშვალდებული არიან სწორედ საზოგადოების წინაშე.

ბერტრანი იხსენებს იმ პერიოდსაც, როცა მედიაეთიკის ხსენებაზეც კი, პროფესიონალები ბრამბორეული შენიშვნებითაც რეაგირებდნენ. მისი თქმით, მედიაეთიკის მიმართ ინტერესის ახალი ტალღა იუნესკოს, ევროსაბჭოს, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის, პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის ეგიდით ჯერ კიდევ, 1970-იან წლებში აგორდა, რაც განპირობებული იყო სამოციანი წლების საყოველთაო საპროტესტო დემონსტრაციებით (ბერტრანი, 2004).

ბერტრანის აზრით, ეთიკისათვის მთავარ დაბრკოლებას ჟურნალისტური ტრადიციები წარმოადგენს. სიზარმაცე, ბიუროკრატიული უგრძნობლობა, სუსტი წარმოსახვა ქმნის რუტინას, როცა ძირითადად, ერთი და იგივე სფეროები შეუქდება; ყურადღება ერთსა და იმავე მოვლენებს ექცევა; ქვეყნდება პრეს-რელიზები; ერთი და იმავე თვითმარქვია ექსპერტების მცირე ჯგუფი იძლევა კონსულტაციებს, ნაკლები ყურადღება ეთმობა საუკეთესო, მაგრამ ნაკლებად ცნობილ წყაროებს, მაგალითად, სპეციალიზებულ ჟურნალებსა და მოაზროვნე სპეციალისტებს.

ეთიკასა და მედიის ანგარიშვალდებულების სისტემებს რამდენიმე მიზანი აქვთ: მედია უკეთ ემსახუროს საზოგადოებას; აღადგინოს მედიის პრესტიჟი მოსახლეობის თვალში; სხვადასხვა საშუალებით დაიცვან სიტყვისა და პრესის თავისუფლება; შესძინოს პროფესიას ის დამოუკიდებლობა, რაც დემოკრატიის დამკვიდრებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მის როლს განაპირობებს.

ეთიკა ხელს უწყობს ჟურნალისტთა დაცულობას, მათ სოლიდარობას, ამაღლებს მათ პრესტიჟს, ზრდის მათ გავლენას — შესაბამისად, მორალსა და პროდუქტიულობას. ბუნებრივია, ეთიკა პირველ ყოვლისა, საზოგადოებას მათებს ბევრს და საბოლოოდ, ამტკიცებს მის ნდობას მედიის მიმართ.

პიარტექნოლოგიების სტრატეგიისა და ტაქტიკის მკვლევარები, ამ მიმართულებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოს ავტორები დენის ლ. უილკოქსი და გლენ ტ. კამერონი

მიიჩნევენ, რომ ადამიანის ქცევა არა მხოლოდ მისი ცნობიერებით იზომება, არამედ საზოგადოების, პროფესიული ჯგუფისა და ამ ადამიანის დამქირავებლის მიერ დაწესებული ნორმებითაც. რთულია იმის დადგენა, რა არის ეთიკური, რადგან ადამიანებს „კარგისა“ და „ცუდის“ განსხვავებული სტანდარტები და აღქმა აქვთ (უილკოქსი, კამერონი, 2011).

ავტორები გამოყოფენ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალებს, რომელთაც რასაკვირველია, მძიმედ აწევთ ეთიკური გადაწყვეტილებების ტვირთი. მათ მხედველობაში უნდა მიიღონ და გაითვალისწინონ: 1. საზოგადოებრივი ინტერესი; 2. დამსაქმებლის კერძო ინტერესი; 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიის სტანდარტები; 4. თავიანთი პროფესიული ღირებულებები. რეალობაში კი, სწორი ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება ხშირად, კომპლექსური პროცესია, სადაც მრავალი ფაქტორის გათვალისწინება ხდება საჭირო.

ასევე, საინტერესოა მასკომუნიკაციის სპეციალისტების, დეფლორისა და დენისის მოსაზრებები – თანამედროვე საზოგადოებაში მასკომუნიკაციის შესაძლებლობების გააზრებისა და გაანალიზების შესახებ. მათი აზრით, ეთიკა არის „სწორი“ საქციელი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ადამიანებს სხვადასხვანაირად ესმით. ამიტომ მედიაეთიკას სერიოზული ყურადღება სჭირდება, განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში, სადაც ეთიკაზე მოთხოვნილება ყველა სფეროში მაღალია (დეფლორი, დენისი, 2009).

მედიის ეთიკა სულაც არ არის ბუნდოვანი ცნება, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში, როცა საზოგადოება ამ პროცესის თანამონაწილეცაა, დამკვირვებელიც და კრიტიკოსიც – ყოველდღიურად წარმოიშობა კონკრეტული ეთიკური პრობლემები. ეთიკური დილემები მედიაკონტენტსაც ხშირად ეხება, იქნება ეს ახალი ამბების, ანალიტიკური, გასართობი თუ სარეკლამო გადაცემები. რა თქმა უნდა, აქვე იგულისხმება თავად მედიის თანამშრომლების ქცევის საკითხებიც.

დეფლორისა და დენისის განმარტებით, მედიის ეთიკა სამ საკითხს მოიცავს: ა) რეპორტაჟების მომზადებისა და სხვა საქმიანობის დროს სიზუსტისა და სამართლიანობის დაცვა; ბ) რეპორტიორების ქცევა განსაკუთრებით, წყაროსთან მიმართებაში; გ) ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.

ამიტომ, მედიის ეთიკის სტანდარტული კოდექსის ჩამოყალიბება ძნელია, რადგან ძალზე ცოტა ეთიკური იმპერატივი არსებობს, რომლებიც ყველა სიტუაციას ერგება. გარდა ამისა, ეთიკის

კოდექსებისა და წესების უმეტესობა ძალზე ზოგადია და ყველა ვითარებას არ შეესაბამება. ამ და სხვა მიზეზთა გამო, მედიისთვის უფრო შესაფერისი სიტუაციური ეთიკა აღმოჩნდა.

მედიის ეთიკური კოდექსები ამა თუ იმ ფორმით დაინერგა კომუნიკაციების ინდუსტრიის პრაქტიკულად, ყველა სფეროში. ერთ დროს ეს წესები მხოლოდ ჟურნალისტიკაში მოქმედებდა, მაგრამ მათგან თანდათან ეთიკური სტანდარტები ჩამოყალიბდა, რომლებმაც მოიცვა ყველა სფერო. ტექნიკის სიახლეების დანერგვამ და თანამედროვე პროცესების სწრაფმა განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა როგორც მედიაზე, ისე მთელ საზოგადოებაზე.

უცხოელი ავტორების განმარტებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია პარალელები გავავლოთ საქართველოსთან მიმართებით. საქართველოში მედიის თვითრეგულირების საკითხებზე საუბრისას, მკვლევართა ჯგუფი უთითებს აირექსის კვლევის შესახებ და აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში არ არსებობს მოთხოვნა ეთიკურ და პროფესიულ ჟურნალიზმზე. თავად მედია და საზოგადოებაც ნაკლებად არის დაინტერესებული მოახდინოს თვითრეგულირების ინსტიტუციონალიზება. ზოგიერთმა დაგმო კიდევ ის, როგორც ცენზურის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. პროფესიული სტანდარტები მედიაში დღეს შემზღუდვად უფრო არის მიჩნეული, ვიდრე პროფესიონალიზმის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად (ავტორთა ჯგუფი, 2017).

საქართველოში მედიის თვითრეგულირების მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესი ამჟამად მიმდინარეობს და, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ქართულ მედიაში ჟურნალისტური ეთიკის პრობლემატიკის საკითხი აქტუალურია.

უმაღლესი პროფესიული სტანდარტი მიიღწევა მაშინ, როდესაც თვითრეგულირების მექანიზმების საშუალებით, სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტური ეთიკა ისევე განუყოფელია, როგორც თავისუფლება და პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ზღუდავს თავისუფლებას, ჟურნალისტურ საქმიანობაში კი, თავისუფლებას ზღუდავს პროფესიონალიზმი, რომელიც პასუხისმგებლობის ტოლფასია.

მიუხედავად იმისა, რომ თავად სიტყვა „ეთიკა“ ეტიმოლოგიურადაც ქცევასთან ასოცირდება, ქცევა – ინდივიდუალურობასთან, ინდივიდუალურობა კი, კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამის ქცევასთან, ერთგვარად დაუწერელ კანონადაც მოიაზრება.

უცხოელი კოლეგებისგან განსხვავებით კი, ქართველი მკვლევარების აზრი გაცილებით განსხვავებულია, რადგან ასახავს ქართული რეალობის ძალიან მტკიცენულ და სენსიტიურ მიდგომას მედიაეთიკის საკითხისადმი. შესაბამისად, საქართველოში ამ მხრივ, კიდევ ბევრია სამუშაო და დასახვეწია ეთიკური ნორმები, სტანდარტები და რეგულაციები.

ეთიკა ასევე, მორალური პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს ქცევის ზოგად წესს და არეგულირებს პროფესიას, მათ შორის, იურიდიულ პროფესიას. ეთიკა განსაზღვრავს გარკვეულ ვალდებულებებს კონკრეტული ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის, რომელიც გვეხმარება უკეთესი გარემოს შექმნაში. ეს არის წესი, რომელიც განსაზღვრავს შესაფერის ქცევას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. არ არსებობს ერთიანი აღქმა, რა შეიძლება ჩაითვალოს ეთიკურად შესაფერის ქცევად. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითრეგულირებადმა პროფესიებმა განსაზღვრონ და გაწერონ ის სტანდარტები, რომელიც ერთიანი იქნება ამ პროფესიის თითოეული წევრისათვის. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ამ პროფესიის წარმომადგენლების დამოუკიდებლობის შენარჩუნება და პროფესიული განვითარება.

საყურადღებოა და ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს დამოუკიდებელი იურიდიული პროფესია, რომელიც კანონის უზენაესობის დაცვის განუყოფელი ნაწილია. იურისტები მნიშვნელოვან და აქტიურ როლს ასრულებენ კანონების შემუშავებასა და ადმინისტრირებაში. ამიტომ ყველა ხელისუფლების წარმომადგენლები აუცილებელია კარგად ერკვეოდნენ სპეციალურ რეგულაციებსა და იმ პროფესიულ პასუხისმგებლობაში, რომელიც მათ აკისრიათ ამავე პროფესიისა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე.

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების უმთავრესი ამოცანაა ეფექტიანი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნული მოიაზრებს და მოიცავს მოსამართლეების მიერ ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამისათვის აუცილებელია, მოსამართლის დამოუკიდებლობის ისეთი გარანტიების არსებობა, როგორიცაა სამოსამართლო საქმიანობისთვის მხოლოდ სამართლისა და კანონის სავალდებულობის განსაზღვრა, რაც წარმოადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტს, მის ფუნდამენტს.

სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოსა და თითოეული პირის უფლებების დაცვის საფუძველია. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის

პრინციპები პირველ ღირებულებად განამტკიცებს სწორედ დამოუკიდებლობას და სასამართლოს დამოუკიდებლობას განსაზღვრავს, როგორც კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსამართლე წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის მიერ საკუთარი ფუნქციების მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და მაღალი პროფესიონალიზმით განხორციელებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნებისმიერ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ზოგადად, დემოკრატიის არსებობა და მათი სრულყოფილი რეალიზაცია. ის თუ რამდენად მიიღებს და მხარს დაუჭერს საზოგადოება სასამართლო გადაწყვეტილებებს, დამოკიდებულია საზოგადოების რწმენაზე მოსამართლეთა პატიოსნებისა და დამოუკიდებლობისადმი. ეს თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იცავს მოსამართლე სასამართლოში ქცევისა და პროფესიული ეთიკის მაღალ სტანდარტებს (ავტორთა ჯგუფი, 2021).

აღსანიშნავია, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამოსამართლო ეთიკის კოდექსი განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც განპირობებულია ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებით და იმ გამოწვევებით, რაც მოსამართლეთა წინაშე არსებობს კონკრეტულ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კოდექსი სხვადასხვა ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და ასევე, მოსამართლეთა ვალდებულებებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მაგალითად, ხორვატიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზანია: „ხორვატიის რესპუბლიკაში კონსტიტუციონალური მართლწესრიგის მაღალი ხარისხის მიღწევა, კანონის უზენაესობის, კონსტიტუციონალურობისა და მართლზომიერების, ჰუმანურობისა და ეთიკის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, გამოცდილების, თანასწორობისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფა. დანიის მოსამართლეთა ასოციაციის მიზანია: სასამართლოსადმი მოსახლეობის მაქსიმალური ნდობის ხელშეწყობა, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ინგლისისა და უელსის მოსამართლეთა ქცევის სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს მოსამართლეებისთვის დახმარების გაწევას და არა დეტალური პრინციპების შეთავაზებას. მოსამართლეებს ამ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით შეუძლიათ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და იმავდროულად, ასეთი გზით დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მოსამართლეთა კონფერენცია იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით. კოდექსი პრეამბულისა და 28 მუხლისაგან შედგება და იგი ეყრდნობა: საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ასევე, სამოსამართლო ეთიკის სფეროში მოქმედ საერთაშორისოსამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №3 მოსაზრებას, მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკისა და მიუკერძოებლობის თაობაზე.

მოსამართლე თავად უნდა იყოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტის, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორის გამტარებელი და დამცველი. სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. ამიტომაც, ნებისმიერ მოსამართლეს ღრმად უნდა ჰქონდეს გააზრებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას მართლმსაჯულების განხორციელების დროს ეკისრება.

რა თქმა უნდა, მოსამართლე აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ამ მიმართებით სამოსამართლო ეთიკის წესები გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს. თუმცა, სამოსამართლო ეთიკით შეზღუდულია არა აზრის თავისუფლება, არამედ მისი გამოხატვის ფორმა და ფარგლები, კერძოდ, შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ გამოხატულმა აზრმა არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა. ამდენად, მოსამართლის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გზით დასაცავი სიკეთე – მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და ავტორიტეტი (ავტორთა ჯგუფი, 2021).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შეზღუდვის დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლის ქცევასა და მოსამართლის მიერ გამოხატულ აზრს განზოგადოების მძლავრი ეფექტი აქვს, რაც ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში, მოსამართლის ქცევა სასამართლოს სახედ, ხოლო გამოხატული აზრი სასამართლოს შეხედულებად აღიქმება. შესაბამისად, მოსამართლის ქცევასა თუ მის მიერ გამოხატულ პოზიციას, სასამართლო ავტორიტეტის სასიკეთოდ და საუარესოდაც ძლიერი გავლენა შეიძლება ჰქონდეს.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოსამართლის მასმედიასთან ურთიერთობა და უკვე თანამედროვეობიდან გამომდინარე, მისი ქცევა სოციალურ ქსელებშიც.

დასკვნა

დღეს, როდესაც მედია საზოგადოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს, ჟურნალისტიკა პროფესიული ეთიკის გარეშე რთული წარმოსადგენია, პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა ნებისმიერ საქმიანობაშია აუცილებელი, მაგრამ ჟურნალისტიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჟურნალისტი, მედიაორგანიზაცია ან ზოგადად, მედია მორალურ-ზნეობრივ ნორმებს არ იცავს, ეს აუცილებლად აისახება საზოგადოებასა და მის განვითარებაზე.

ჟურნალისტიკის პროფესიული ეთიკა დაფუძნებულია ქცევისა და აკრძალვების გარკვეულ წესებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლავთ დაუწერელი კანონი, რომლის შესრულებას თავად პროფესიონალი წყვეტს და შესაბამისად, არაეთიკური ქცევა სამართლებრივად არ ისჯება, არ არსებობს ეთიკური ნორმების იურიდიული ფორმა კანონის სახით, რომელიც აღნიშნულ პრობლემას დაარეგულირებს. საინტერესოა, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ჟურნალისტი დაარღვევს ეთიკის დაუწერელ კანონს? პასუხი მარტივია – ის დაკარგავს საზოგადოებისა და საკუთარი კოლეგების ნდობას.

ჩვენი აზრით, საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის არსებული კოდექსი კარგი ამოსავალი წერტილია მოსამართლეთა ეთიკური ვალდებულებების განსასაზღვრად. საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი მართლმსაჯულების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია და იგი მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და საზოგადოების ნდობის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მოცემული საკითხი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ფონზე.

ვფიქრობთ, რომ „მეოთხე“ ხელისუფლების წარმომადგენლებს აუცილებელია გააზრებული ჰქონდეთ საკუთარი პროფესიული მოვალეობები და რაც მთავარია, მათი პიროვნული ღირსებები და პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს არჩეულ პროფესიას.

სწორედ ამ საკითხების ღრმად გააზრებითა და პასუხიმგებლობების სწორი მიმართულებით გამოყენების გზით შევძლებთ გადაცდომებისა და არაკომპეტენტურობის მარტივად თავიდან აცილებას. შედეგად, საზოგადოებაც ობიექტურად იქნება ინფორმირებული სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ და მედიის წარმომადგენლებიც იგრძნობენ პროფესიულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორთა ჯგუფი, იურიდიული ეთიკა, თბ., 2021;
2. ბერტრანი კლოდ-ჟან, მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2004;
3. უილკოქსი დენის ლ., კამერონი გლენ ტ., საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია და ტაქტიკა, დიოგენე, თბ., 2011;
4. დეფლორი/დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის, 2009;
5. ავტორთა ჯგუფი, ჟურნალისტიკა, თსუ გამომცემლობა, 2017;
6. საქართველოს კონსტიტუცია;
7. კანონი მაუწყებლობის შესახებ;
8. ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი;
9. საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი;
10. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები;
11. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“;
12. ვეკუა მ., ჟურნალისტიკის პრინციპები, თბ., 2008;
13. მედიაწიგნიერების გზამკვლევი, როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციას და ყალბ ინფორმაციას, MDF;
14. პრესმედიატორი, მედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა, საზოგადოების სამართლებრივი განათლების ასოციაცია, თბ., 2002;
15. შელია მ., ვასაძე მ., კობიაშვილი გ., ხომერიკი გ., მომსახურების ხელოვნება, თბილისი;
16. სალივანი მ., მაღალპროფესიული პრესამსახური, თბ., 2002;
17. სურგულაძე რ., იბერი ე., მასობრივი კომუნიკაცია, თბ., 2003;
<https://www.dommerforeningen.dk/english/ethical-%20principles-for-judges/>
https://www.judiciary.uk/wp-content/uploads/JCO/Documents/Guidance/judicial_conduct_2013.pdf

PROFESSIONAL- ETHICAL STANDARDS IN MEDIA AND JUSTICE INTERACTION

KETEVAN TKESHELASHVILI

Caucasus International University

PhD student

Today, when the media has the greatest influence on society, it is difficult to imagine journalism without professional ethics, the observance of professional and ethical norms is necessary in any activity, but in journalism it is vitally important, because if a journalist, a media organization or the media in general does not observe moral and ethical norms, it will definitely reflect on society and on its development.

The journalist's professional ethics are based on certain rules of behavior and prohibitions. It should be noted that this is an unwritten law that the professional himself decides to follow, and therefore unethical behavior is not legally punishable. There is no legal form of ethical norms in the form of a law that will regulate the mentioned problem. I wonder what will happen if a journalist violates the unwritten law of ethics? The answer is simple – he will lose the trust of the public and his colleagues.

In my opinion, the existing Code of Ethics of Georgian judges is a good starting point for determining the ethical obligations of judges. The Code of Ethics of Georgian judges is an important component of the justice process and it is an important tool for increasing the indepen-



dence of judges and public trust. This issue becomes even more important in the background of ongoing reforms in the country.

I think that the representatives of the fourth government must understand their professional duties and, most importantly, their personal values and principles must correspond to the chosen profession.

It is by understanding these issues and using the responsibilities in the right direction that we will be able to easily avoid mistakes and incompetence. As a result, the public will also be well informed about the ongoing processes in the judicial system, and media representatives will also feel professional freedom and independence.

ადრეულ ასაკში ქორწინების ისტორიული ასპექტები

ქეთევან საბინაშვილი

სამართლის დოქტორი

დღევანდელ მსოფლიოში გენდერული პრობლემა გადაუჭრელ საკითხად რჩება. ამ მხრივ, გოგონების ადრეულ ასაკში ქორწინება ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტია. ამ საკითხით დაინტერესება განსაკუთრებით რელევანტურია როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც. ხანგრძლივმა კვლევებმა ჩამოაყალიბა მყარი დასკვნა, რომ ასეთი ქორწინება არღვევს გოგონების ჯანმრთელობის, თანასწორობის, განათლების უფლებებს. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში თითქმის 700 მილიონზე მეტი დაქორწინებულია არასრულწლოვანების ასაკში. აქედან კი, 250 მილიონზე მეტი 15 წლამდე, რასაც ხელს უწყობს ის დაუხვეწავი საკანონმდებლო სივრცე, რომლითაც აშკარად ირღვევა ქალთა უფლებები.

ჯერ კიდევ, ძველ რომში ქალთა უფლებრივი მდგომარეობა დამოკიდებული იყო მმართველობის ფორმებსა და პოლიტიკურ რეჟიმზე. მათი სტატუსიც განპირობებული იყო საზოგადოებრივი მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ რომაელი იურისტები სამოქალაქო სამართლის ცალკეულ ინსტიტუციებ-

ში, როგორიცაა ქორწინების ცნება – აფიქსირებდნენ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას რეალურად, ასე არ იყო.¹ ცნობილი ქართველი მოაზროვნე, არჩილ ჯორჯაძე ქალთა უფლებ-
რივ მდგომარეობას შემდეგნაირად განმარტავს: „ქალის უფლებები ოდითგანვე შეიზღუდა,
ჯერ ხალხური წეს-ჩვეულებებით, შემდეგ რელიგიით, არსებული „მორალით,“ ბოლოს,
მთავართა და მეფეთა შემოღებული კანონებით იგი იქცა სამართლის ნაწილობრივი ობიექტი
და სუბიექტი, რამაც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ჰპოვა ასახვა.“

ქრისტიანულმა ეკლესიამ ქორწინების განმარტება რომის სამართლიდან აიღო და წმინდა
წერილზე დაფუძნებით მას ქრისტიანული გააზრება მისცა. ახალი აღთქმის მიხედვით, შვიდ
საიდუმლოთაგან ერთ-ერთად ქორწინება დადგინდა. ქორწინება სხვადასხვა სქესის პირთა
სულიერი და ხორციელი ერთობაა. ქორწინების მნიშვნელობა ასევე, აისახა მოციქულთა
ეპისტოლეებში და სახარების ოთხთავში, რომელთა მიხედვით, ქორწინების განხილვა
ხდება ორი მხრიდან: ერთი მხრივ, როგორც ბუნების კანონი, მეორე კი, საიდუმლო ახალი
აღთქმის ეკლესიისა. ქორწინებას მიეცა როგორც ღვთაებრივი დანაწესის სამმაგი აზრი.
საქართველოში ქორწინების ქრისტიანული წესის ჩამოყალიბებამ ეტაპობრივად ჩაანაცვლა
წარმართული წეს-ჩვეულებები.

არსენ იყალთოელმა ჯერ კიდევ, მე-11 საუკუნის ბოლოსა და მე-12 საუკუნის დასაწყისში ბერძ-
ნულიდან ქართულად თარგმნა „დიდი სჯულისკანონი,“ სადაც შეიტანა როგორც მსოფლიო
საეკლესიო კრებათა ასევე, მოციქულთა და წმინდა მამათა კანონები. აქ ვხვდებით ცნობილი
რომაელი იურისტის, მოდესტინეს განმარტებას ქორწინების თაობაზე. სწორედ „დიდ სჯულის-
კანონში“ ქორწინების განმარტებას თან ახლავს შენიშვნა, რომ იგი ფიზიკური, ეთნიკური და
რელიგიურ-იურდიული თვისებების მატარებელია. აქედან ფიზიკურს წარმოადგენს მონო-
გამიური ერთობა სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის, ეთნიკური კი, არის თანაცხოვრება
ნებისმიერ ცხოვრებისეულ გარემოსა და სიტუაციაში, ბოლოს – რელიგიურ-იურიდიული,
რომელიც საეკლესიო და საერო კანონმდებლობას წარმოადგენს.

საქართველოში ქორწინების შემდეგი ფორმები არსებობდა: ენდოგამია, ეგზოგამია და მცი-
რეწლოვანთა დანიშვნა. ქორწინების წინაპირობად ნიშნობა დადგინდა, რომელსაც ივანე
ჯავახიშვილის კვლევით „დაწინდვა“ ეწოდებოდა. ძველი აღთქმის მიხედვით, ქორწინება
და ნიშნობა მსგავს მოვლენებად მიიჩნეოდა. ამ შემთხვევაშიც დანიშნულებად არასრულწ-
ლოვნები ან სულაც მცირეწლოვნები გვევლინებოდნენ. ამ საკითხს ამყარებდა VI მსოფლიო
კრების დადგენილებაც, რომელიც შემდგომ საერო კანონმდებლობაშიც გაზიარდა და ნიშნო-

ბამ ფაქტობრივად, ქორწინებასთან გათანაბრებული მნიშვნელობა მიიღო. ასევე, აიკრძალა ქალზე ძალადობა და მისი მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით, მომტაცებელიცა და დამხმარეც მკაცრად ისჯებოდა. ამგვარად, საეკლესიო წესით შესრულებული ნიშნობა საერო კანონმდებლობაშიც უკვე ქორწინების ტოლფასს წარმოადგენდა. ამასვე გვეუბნება ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის 39-ე მუხლი (1-65 მუხლი, რომელიც ეკუთვნის ბექა მანდატურთუხუცესს), რომელიც ეხება დანიშნული საცოლის წაგვრისათვის პირის პასუხისმგებლობას. ჩვენამდე მოღწეული წყაროების დიდი ნაწილი ეხებოდა ქმრიანი ქალის მოტაცებას, რაც იმდროინდელი კანონმდებლობის მიხედვით, დასჯადი ქმედება იყო. ასევე, დასჯადია ეს ქმედება გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდების“ 22-ე მუხლით. ვინაიდან იგი აღიქმებოდა, როგორც კანონიერი ქორწინების დარღვევა. როგორც ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის 29-ე მუხლის მიხედვით, ასევე გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდების“ 21-ე მუხლით, დასჯადი იყო დანიშნულისა თუ ცოლის უმიზეზოდ მიტოვებაც. ანალოგიურ საკითხებზე საუბარი გვხვდება სასამართლო გადაწყვეტილებებსა თუ კანონიკურ სამართალში, მაგალითად, „კათალიკოსთა სამართლის“ 23-ე მუხლის მიხედვით, პირს უმიზეზოდ ცოლის მიტოვებისათვის შეჩვენება და სიკვდილით განაპტიჟება ეფარდება. იგივეს მიუთითებს დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 120-ე მუხლი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად – „უკეთუ კაცმან გაუთხოვოს სასიძოსა ქალი ნათხოვნი, მაშინ მისცეს სისხლის მეოთხედი აბიდისათვის.“²

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერამდე“ ფეოდალები ქორწინებას ხელშეკრულების ერთ-ერთ სახედ მიიჩნევდნენ. ასეთ გარიგებებში მონაწილეობდა არა დასაქორწინებელი წყვილი, არამედ მათი მშობლები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში, ნიშნობა ხდებოდა მცირეწლოვანების ასაკში. 1103 წელს, რუის-ურბნისის დადგენილების თანახმად, „უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათთა ღიად დაუწინდნენ იგინი ურთიერთსა და რაჟამს ჰასაკად მოვიდნენ ორნივე, მაშინ იქორწინენ.“³ ამით ერთი მხრივ, აიკრძალა მცირეწლოვანთა ქორწინება, მაგრამ ნიშნობას ლეგიტიმაცია მიეცა და სამართლებრივი ურთიერთობის მატარებელი გახდა, რომლის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგებოდა. ასევე, აიკრძალა „წარმომადგენლობითი“ ქორწინება – „კიდის-კიდე და არა ერთ-გან კურთხევაი გვირგვინთაი ქორწინებით ერთხორც ქმნადათა მეუღლეთაი.“ ქორწინების რიტუალი ტარდებოდა სხვადასხვა ადგილზე და საპატარძლოს გვერდით იდგა სასიძოს მიერ გაგზავნილი წარმომადგენელი მამაკაცი, რომელიც გვირგვინს სასიძოს სახელით იდგამდა და ასევე, სხვა ადგილზე კი, სასიძო იწერდა ჯვარს და მის გვერდით პატარძლის წარმომადგენელი მამაკაცი იდგა. ორივე შემთხვევაში, გვირგვინის კურთხევა ხუცესის მიერ ხდებოდა. როგორც ჩანს ასეთი სახის ქორწინება საკმაოდ გავრცელებული ყოფილა შუა საუკუნეებში,

რუის-ურბნისის კრებამ ეს უწყესობად მიიჩნია და ამ სახის ქორწინების რიტუალის დაუყოვნებლივ გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო და ქორწინებაში მონაწილე პირებისათვის სასჯელად „განკანონება“ დაუწესა.

მცირეწლოვანთა ნიშნობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ყოფილა გავრცელებული და ასეთი ტიპის შეთანხმებების მხარეებად წყვილის შშობლები გვევლინებიან. ბუნებრივია, მცირეწლოვანთა ნიშნობას და ქორწინებას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. ეს შეიძლება ყოფილიყო პოლიტიკური ან ეკონომიკურ საკითხებზე დაფუძნებული. ფრანგმა მოგზაურმა ჟ. შარდენმა, რომელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, თავის თხზულებებში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში“ – გარკვეული ნაწილი მიუძღვნა საქართველოს აღწერას (თანამედროვე მეცნიერ-მკვლევარებმა ამ წიგნის 1811 წლის გამოცემა, რომელიც რედაქტირებულია ლუი-მეთიუ ლანგრენის მიერ, სტანდარტულ ვერსიად მიიჩნიეს), სადაც აღნიშნავდა: „ღარიბი ხალხი ადრე ათხოვებს ქალებს და ხანდისხან აკვანში ნიშნავს. ამას იმიტომ ჩადიან – მებატონეებმა არ მოსტაცონ გასაყიდად. თუ ქალი, რაც უნდა პატარა იყოს, გათხოვილია ან დანიშნული, მებატონეები მოკრძალებით ექცევიან. ადვილად ვეღარ ბედავენ მოაშორონ თავის ოჯახს.“

ქორწინების ერთ-ერთი ადრეული სახეა სყიდვითი ქორწინება. ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ, რომ ასეთი სახის ქორწინებები გვიან ფეოდალურ საქართველოშიც კი იყო შემოჩენილი, რაც გულისხმობდა საქმროს მატერიალურ ვალდებულებებს საცოლის მიმართ. ეს განსაკუთრებით გავრცელებული იყო საქართველოს მთიან რეგიონში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუის-ურბნისის კრებამ ქორწინების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად „უჰასაკობა“ მიიჩნია. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „მაშინდელი წარმოდგენებით ადამიანის სიცოცხლე ორ მთავარ ნაწილად იყო გაყოფილი: პირველი იწყებოდა ბავშვის დაბადებით და გასტანდა იმ დრომდე, სანამ იგი „ჰასაკად არ მოვიდოდა“, ამ პირველი ხნის ქალ-ვაჟს „ჩი(ვ)ილი“ ეწოდებოდა.⁴ ასაკთან დაკავშირებით ფსიქოლოგებსაც თითქმის ასეთივე დაყოფა აქვთ – „სიმწიფემდე“ და „სიმწიფის“ შემდგომი პერიოდი. რუის-ურბნისის კრებამ კი, ქორწინების „ჰასაკად“ გოგონებისათვის 12 წელი, ხოლო ვაჟებისათვის – 15-16 წელი განსაზღვრა. კრების ეს დადგენილება ძალაში XVI-XVIII საუკუნეებშიც ყოფილა. გვიან საუკუნეებში, საქორწინო ასაკი გოგონებისთვის 14 წლამდე გაიზარდა.

შუა საუკუნეებში ასევე, გავრცელებული იყო რამდენჯერმე ქორწინებაც, რაც დამახასიათებელი იყო სამეფო ოჯახებისთვისაც. მეფეს შეეძლო რამდენჯერმე დაქორწინებულიყო არა

მხოლოდ დაქვრივების შემდეგ, არამედ ცოლის სიცოცხლეშიც. ხშირი იყო განმეორებითი ქორწინება უშვილობის შემთხვევაშიც, ვინაიდან განქორწინების ერთ-ერთ მოტივად დავით ბატონიშვილის ხედვით, უშვილობაც ითვლებოდა. ამის მაგალითია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია ადარნასეს ამბავი, რომელმაც ცოლი გააგდო და „დიაცი სიძვისაი“ მოიყვანა. ასეთივეა დავით ულუს შემთხვევაც. რაც შეეხება დიმიტრი II-ს, მას ერთდროულად სამი ცოლი ჰყავდა. მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, ქრისტიანული ეკლესია იცავდა მონოგამიურ ოჯახს. ქართული საეკლესიო სამართალი აქტიურად ერეოდა საოჯახო ცხოვრებაში, როგორც ეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არის აღწერილი. უნდა აღვნიშნოთ კათალიკოს ნიკოლოზის დაპირისპირება დიმიტრი II-თან, რასაც პროტესტის ნიშნად, კათალიკოსის გადადგომა მოჰყვა. ბუნებრივია, დღევანდელი გადმოსახედიდან, 12 ან 15-16 წლის ასაკში ქორწინება დიდ შემფოთებას იწვევს, თუმცა, მეცნიერთა მიერ აღნიშნულის თაობაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ასეთ ასაკში ქორწინება განპირობებული იყო ადამიანის სიცოცხლისუნარიანობაზე იმ ეპოქაში. როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიური წყაროების მიხედვით, საქორწინო ასაკი სხვადასხვა მიზეზით მაინც ირღვეოდა. მაგალითად, პროფ. გ. ნადარეიშვილი თავის წიგნში – „ძველი ქართული საოჯახო სამართალი“, უთითებს რომ ბიზანტიურ ნორმატიულ წყაროებში იძებნება ცნობები ხუთის ან ხუთნახევარი წლის გოგონების საცოლედ დანიშვნის თაობაზე. აქვე მოჰყავს კიდევ ერთი მაგალითი, XI საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსის 7 წლის ქალიშვილისა და 14 წლის სასიძოზე ნიშნობის თაობაზე.⁵

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ხშირად, მექორწინე წყვილის ასაკიც ერთმანეთთან საკმაოდ შეუსაბამო იყო. საპატარძლო შეიძლება ყოფილიყო 12–14 წლის და სასიძო კი, საკმაოდ ასაკოვანი და ზოგან „ბეხრეკადაც“ მოიხსენიებენ. საქართველოში ასევე, ცნობილია აკვანში დანიშვნის ფაქტები, მაგალითად, სვანეთში, რაჭაში, როდესაც სასიძოს მშობლები ქალის ოჯახში ძღვენით მიდიოდნენ და მომავალი სარძლოს აკვანზე „ბურსეულად“ წოდებულ ნივთებს: ვერცხლის ღილს, ბეჭედს, თავშალს ჰკიდებდნენ, შემდეგ დასალოცი სუფრა იშლებოდა. მოგვიანებით ეს წესი „მოციქულობით“ შეიცვალა. აკვანში დანიშვნა საქართველოს სხვა რეგიონებშიც საკმაოდ გავრცელებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა მკაფიოდ განსაზღვრა საქორწინო ასაკად 18 წელი, სამწუხაროდ, კიდევ არსებობს არასრულწლოვანთა დანიშვნისა და ქორწინების ფაქტები. ასეთ გადაწყვეტილებებში დიდ როლს ასრულებენ მშობლები. ასეთი ფაქტები გვხვდება როგორც ქართულ, ასევე ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაშიც, სადაც მშობლების მიერ ძალდატანებით ხდება ქორწინება

და რაც ეიჯიზმის ერთ-ერთი გამოხატულებაა. დღეის მდგომარეობით, სისხლის სამართლის კანონმდებლობაც საკმაოდ გამკაცრებულია ამ კუთხით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირია შემთხვევა, როცა ადრეულ ქორწინებას ხელს უწყობენ მშობლები, ზეწოლას ახორციელებენ არასრულწლოვან შვილებზე ან მონაწილეობენ ოჯახში ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაში. რაც შეეხება სასულიერო პირის მიერ ჩატარებული ქორწინების რიტუალს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

შენიშვნები:

- ¹ მეტრეველი ვ., რომის სამართალი, საფუძვლები, თბ., 2005, გვ.101.
- ² სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი მოამზადა და გამოკვლევა დართო დ. ფურცელაძემ, თბ.,1964, გვ. 68, მუხლი 120-ე.
- ³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ.,1970, გვ.117-118.
- ⁴ ივანე ჯავახიშვილი, ცოლ-ქმრობის სამართალი, ტ.VII, თბ.,1984, გვ. 266.
- ⁵ ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ.,1996, გვ. 19-20.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბ., 2005;
2. ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005;
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970;
4. ფუტყარაძე ი., ქორწინების წესი ქართული სამართლის მიხედვით, თბ., 1977, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები, ხელნაწერი, ფ. 1074;
5. მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978;
6. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი მოამზადა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964;
7. ივანე ჯავახიშვილი, ცოლქმრობის სამართალი, ტ.VII. თბ., 1984.

HISTORICAL ASPECTS OF EARLY MARRIAGE

KETEVAN SAGINASHVILI

Doctor of Law

Nowadays the gender problem remains an unresolved issue. In this regard, early marriage of girls is one of the main aspects. Interest in this issue has become relevant throughout the world, including in Georgia. Long-term studies have reached solid conclusion that such marriages violate girls' rights to health, equality and education. According to the statistical data, more than 700 million were married at the early age. From these, more than 250 million girls were under 15 years old, which was enabled by the ambiguous legal space that clearly violates women's rights.

In Georgia, the formation of the Christian marriage tradition gradually replaced the pagan customs. According to the New Testament, marriage was established as one of the seven sacraments. Engagement was defined as a prerequisite for marriage, which was called "betrothal". According to the Canon Law "betrothal" did not require ecclesiastical consecration. At the same time, it was one of the forms of the agreement. These kinds of deals were participated not by the couples but their parents. In many cases, engagement took place at an early age. Since, in 1103 Ruis-Urbnisi council considered age as one of the obstacles to the marriage. By resolution, the marriage age was defined as 12 for girls and 15-19 for boys. This resolution of the council was in force in the XVI-XVIII centuries. However, in some cases it remained till 21st century. Despite the fact that, today, the Civil Code of Georgia clearly defines the marriage age as 18 years, unfortunately there are still some facts of early marriage or engagement. In these decisions parents play an important role. Such facts can be found both in Georgian and ethnically non-Georgian population, where marriage is forced by parents. In this regard, the criminal law of Georgia is quite strict. And according to the legislation of Georgia, the marriage ritual performed by a clergyman has no legal force.

სახელმწიფო ბრალდებლის და გემდგომი პროკურორის უფლებამოსილება ბრალდებაზე უარის თქმის დროს

ხვირა ბეგიაშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

პროკურატურის როლი და ადგილი სახელმწიფოში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოკრატიის ხარისხის სრულყოფაზე. პროკურატურის საქმიანობა ქვეყანაში არ უნდა იყოს შეზღუდული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა არასათანადო ინტერესებისა და გავლენებისაგან. პროკურატურის სისტემის არსებითი დამოუკიდებლობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან და სამართლიანი, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

ადამიანის უფლებათა 1993 წლის ვენის დეკლარაციის მიხედვით, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები არის საყოველთაო, განუყოფელი, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი და მათი განუხრელი რეალიზება სახელმწიფო-

ფომ უნდა უზრუნველყოს ობიექტურად და სამართლებრივი გზით, სახელმწიფო ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ახორციელებს პროკურორების მეშვეობით.¹

სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროკურორების მხრიდან თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება ყოველგვარი გარე ჩარევისაგან, მათ შორის, ნებისმიერი დაშინების, დაბრკოლებების შექმნის, მუქარისა და სისხლის სამართლის ან სხვა სახის პასუხისმგებლობის გაუმართლებელი დაკისრებისაგან.²

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, ბოლო ათწლეულების მანძილზე, დემოკრატიულ ქვეყნებში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების ფონზე ჩამოყალიბდა პროკურატურის დამოუკიდებლობის მყარი სტანდარტები.³ ევროკავშირმა (European Union) არსებობის პირველივე წლებიდან ჩამოაყალიბა საკუთარი მიდგომები დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. ამ მხრივ, ერთ-ერთ უახლეს ტენდენციად იქცა ევროკავშირის მისწრაფება წევრი ქვეყნების სისხლის სამართლებრივი და საპროცესო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის კუთხით. ევროპული სამართლის დოქტრინა გულისხმობს, რომ სამართლებრივი თანამშრომლობის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია წევრი ქვეყნების მიერ მოხდეს როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებების ურთიერთალიარება, აგრეთვე მართლმსაჯულების სისტემების საერთო პრინციპებით მოწყობა, რაც რეფორმირების პროცესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირის მიერ მიჩნეული იქნა ევროპის წევრი სახელმწიფოების თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უმთავრეს პრინციპად.⁴

როგორც ევროპელი მკვლევარები აღნიშნავენ, ევროპული სისხლის სამართალი არ არის ის ნორმები, რომელიც მიღებულია ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ეს არის ნორმები, რომელიც წლების მანძილზე ჩამოყალიბდა საერთაშორისო კონვენციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივების გავლენის შედეგად. ევროპული სამართლის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ევროპის საბჭოს მრავალრიცხოვანმა კონვენციებმა.⁵ დღეისათვის, სწორედ ევროკავშირის სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები გვევლინება თავისუფალი სამყაროს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ამოსავალ წერტილებად.⁶

2009 წელს, ევროპის კონსტიტუციის ჩავარდნის პარალელურად, შედგა ლისაბონის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გარდა იმისა, რომ შეიცვალა ევროკავშირის სტრუქტურა,⁷

მას მიეცა უფლებამოსილება გავლენა მოახდინოს წევრი სახელმწიფოების სამართლის სისტემებზე, მათი ჰარმონიზაციის მიზნით,⁸ რასაც ევროკავშირი ახორციელებს დირექტივებისა და დათქმების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს ევროპული სახელმწიფოების დაახლოებას.⁹ ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს და ბოლო წლების მანძილზე, პროკურატურის სისტემის ევროპულ და დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული იქნა არაერთი საკონსტიტუციო თუ საკანონმდებლო ცვლილება, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ პერიოდში, როდესაც საქართველო ელოდება ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

საქართველოში პროკურატურა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება,¹⁰ იგი გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და მთლიანად საქართველოს მთავრობას, გახდა დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.¹¹ პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელსაც 6 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი¹² სრული შემადგენლობის უმრავლესობით.¹³ საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს პროკურატურის სისტემაში კონსტიტუციური ორგანოს, საპროკურორო საბჭოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უწყების დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.¹⁴ თავად საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრს ირჩევს საპროკურორო კონფერენცია პროკურორთა რიგებიდან, 2 წევრს ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა კორპუსიდან,¹⁵ 2 წევრს – პარლამენტის წევრთაგან, რომელთაგან 1 წარმოადგენს საპარლამენტო უმრავლესობას, ხოლო 1 საპარლამენტო უმცირესობას, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, 2 წევრს სამეცნიერო წრეებიდან, ადვოკატთა კოლეგიიდან და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან, საკონკურსო პირობების საფუძველზე ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.¹⁶ საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან¹⁷ და რეალურად პასუხობს საპროკურორო საბჭოს წინაშე არსებულ გამოწვევებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საპროკურორო საბჭო, როგორც პროკურატურის კოლეგიური და ახალი წარმონაქმნი, ვიმედოვნებთ, შეძლებს თავისი ადგილის დამკვიდრებას და გახდება პროკურატურის სისტემის მართვის პროფესიული ორგანო.

საქართველოს კანონმდებლობით, პროკურორად ითვლება: საქართველოს გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის მოადგილეები. დღეის მდგომარეობით, გენერალური პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და 3 მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, თბილისის პროკურორი, საოლქო პროკურორი, რაიონული პროკურორი და მათი მოადგილეები, სპეციალიზებული პროკურატურის პროკურორი, უფროსი პროკურორი, პროკურორი, სტაჟიორ-პროკურორი, აგრეთვე პროკურატურის დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილებისა და მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის უფროსები და მათი მოადგილეები, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს. ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, პროკურატურის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ არ ასრულებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მაგრამ გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს პროკურორის უფლებამოსილება.¹⁸ შესაბამისად, პროკურატურის ყველა აღნიშნული თანამდებობის პირი აღჭურვილია პროკურორის უფლებამოსილებათა მდიდარი არსენალით, პროკურორი მის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებას აწარმოებს: სრული მოცულობით გამოძიების ჩატარებით,¹⁹ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობით, რაც აგრეთვე გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას²⁰ და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით.²¹

სამეცნიერო ნაშრომის საკვლევი ძირითადი თემის და პრობლემატიკის უკეთ წარმოჩენის მიზნით სასურველია, პასუხი გაეცეს კითხვებს, თუ რომელი პროკურორია პასუხისმგებელი პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებაში. კერძოდ, რომელ პროკურორს შეუძლია აწარმოოს გამოძიება, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, საპროცესო ხელმძღვანელობა გაუწიოს გამოძიებას, აგრეთვე, ვის აქვს უფლება იყოს სახელმწიფო ბრალმდებელი. ამ კითხვებზე პასუხი მარტივია და უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული უფლებამოსილებით სარგებლობს, ჩვენ მიერ, ზემოთ ჩამოთვლილი პროკურატურის ყველა მუშაკი, კერძოდ, საპროკურორო იერარქიის მიხედვით თუ ვიტყვით, საქართველოს გენერალური პროკურორიდან დაწყებული, ყველაზე ქვედა რგოლის სტაჟიორ-პროკურორის ჩათვლით. ამასთან, ერთდროულად შესაძლებელია, ერთი პროკურორი აწარმოებდეს გამოძიებას, პარალელურად, საპროცესო ხელმძღვანელობას უწევდეს პროკურატურის თუ სხვა უწყების გამოძიების პროცესს და მხარს უჭერდეს სახელმწიფო ბრალდებას. აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, რომ პროკურორი, რომელიც უშუალოდ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, ამ კონკრეტულ საქმეზე სარგებლობს, მხოლოდ გამომძიებლის უფლებამოსილებით,²² რაც

გულისხმობს, რომ თავის წარმოებაში არსებულ საქმეზე, იგივე პროკურორი, ვერ იქნება საპროცესო ხელმძღვანელი, მაგრამ საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ, იგი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ბრალმძღვანელი, ამ საკითხზე დეტალურად ქვემოთ ვიმსჯელებთ, ნაშრომის ძირითადი საკვლევი თემის ფარგლებში. პროკურორი არ და ვერ იქნება იმ საქმეების გამომძიებელი, რომელსაც უშუალოდ უწევს საპროცესო ხელმძღვანელობას, ამასთან, იგი შესაძლებელია იყოს აღნიშნულ საქმეებზე სახელმწიფო ბრალმძღვანელი.

გარდა აღნიშნულისა, პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად, შესაძლებელია მოხდეს კონკრეტული მიმართულებით თანამშრომელთა სპეციალიზაცია. მაგალითად, 2004-2007 წლებში, საქართველოს გენერალური პროკურატურის სისტემაში, დამოუკიდებელი დეპარტამენტის სტატუსით ფუნქციონირებდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახური, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ფულის გათეთრების საქმეთა გამოძიება. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტს არ გააჩნდა გამომძიებლის საშტატო ერთეული და გამოძიებას უშუალოდ აწარმოებდნენ დეპარტამენტის უფროსი პროკურორები და პროკურორები, რომლებიც პარალელურად საპროცესო ხელმძღვანელობას უწევდნენ სამსახურის სხვა პროკურორის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო სასამართლოში მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ბრალდებას, როგორც უშუალოდ, აგრეთვე სხვა პროკურორის მიერ გამოძიებულ საქმეებზე.²³

დღეისათვის, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველო.²⁴ გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პროკურატურის ცენტრალურ და ტერიტორიულ დანაყოფებში შესაძლებელია კონკრეტული პროკურორები სპეციალიზებული და მომზადებული იყვნენ სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანად განხორციელების მიზნით. მიუხედავად აღნიშნულისა, ასეთი პროკურორის მონაწილეობას სასამართლო განხილვის სტადიაზე აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ პროკურორს გავლილი აქვს სათანადო მომზადება სახელმწიფო ბრალდების უზრუნველყოფის მიზნით, მას აქვს ის პიროვნული უნარ-ჩვევები, რაც საჭიროა პროკურორის საჯარო გამოსვლებისთვის, იგი ფლობს ნაფიც მსაჯულებზე ზემოქმედებისათვის საჭირო ორატორულ ხელოვნებას და მისთვის ცნობილია შეჯიბრებითობის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, იგი გამოცდილია სახელმწიფო ბრალდების განხორციელების საკითხში და შეუძლია სასამართლო განხილვის სტადიაზე

წარმოჩენილ პრობლემებზე და საკითხებზე სწრაფი და კომპეტენტური რეაგირების მოხდენა, მისი პროფესიონალიზმი და გამოძიების პროცესისგან შედარებითი დისტანცირება ხელს უწყობს, მასში ჩამოყალიბდეს, ზოგადად, საქმეზე და აგრეთვე, სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებათა ანალიზისა და ობიექტური და სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი, მათ შორის, საკმარისი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთის შემთხვევაში, მისთვის უფრო მარტივი იქნება სახელმწიფო ბრალდებაზე ნაწილობრივ ან სრულად უარის თქმის გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევებში, უარყოფით გარემოებად შესაძლოა მიჩნეული იქნას ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბრალმძებელს, პირველად და ისიც სასამართლოში უწევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან პირდაპირი შეხება, ვინაიდან, მას არ მიუღია მონაწილეობა გამოძიების პროცესში და არც საპროცესო ხელმძღვანელობა განუხორციელებია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, მისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია საქმეში არსებული მტკიცებულებათა ნუსხის²⁵ და მათ შორის, მოწმეთა ბაზის შესახებ, მაგრამ ცალკე აღებული საგამოძიებო მოქმედების ოქმები, მას სათანადო წარმოდგენას ვერ შეუქმნის, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების ბუნებისა და მოწმის პიროვნული თვისებების, მისი საქმისადმი დამოკიდებულების თაობაზე, ასევე, საქმის სათანადოდ, ღრმა და ერთი შეხედვით, ფარულ დეტალებამდე შესწავლის გარეშე, შესაძლებელია სახელმწიფო ბრალმძებელმა მიიღოს ნაჩქარევი გადაწყვეტილებები.

აქვე, შევხვით გენერალური პროკურორის საპროცესო ფუნქციებთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემატურ საკითხს, კერძოდ, გენერალურ პროკურორს კანონის მიხედვით, რა თქმა უნდა, აქვს გამოძიების უფლება, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში ან უშუალოდ სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება. ასეთ დროს, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუ ვინ უნდა იყოს გენერალური პროკურორის წარმომადგენელი არსებული საქმის საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი. ასეთი მოცემულობა საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენერალური პროკურორის, როგორც საქმის გამომძიებლის საპროცესო უფლებამოსილება არის ფორმალური, ამასთან ძნელი წარმოსადგენია, მრავალრიცხოვანი სამსახურებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, გენერალურ პროკურორს დარჩეს დროის რესურსი ან დადგეს ამის აუცილებლობა, რომ უშუალოდ გამოიძიოს სისხლის სამართლის საქმე. განსაკუთრებით პრობლემატური იქნება, აგრეთვე გენერალური პროკურორის მიერ უშუალოდ, სახელმწიფო ბრალდების განხორციელების საკითხიც, ვინაიდან, ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში, სახელმწიფო ბრალმძებელს ესაჭიროება ზემდგომი პროკურორის წერილობითი თანხმობა,²⁶ ხოლო საქართველოს გენე-

რალურ პროკურორს, რა თქმა უნდა, არ ჰყავს ზემდგომი პროკურორი, ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ყველა პროკურორი არის მის დაქვემდებარებაში. ამ საკითხს დეტალურად შევეხებით მოცემულ თავში.

საკვლევი თემის პრობლემური საკითხების განხილვამდე, აუცილებელია შევეხოთ ზემდგომი პროკურორის სტატუსს. პირველ ყოვლისა საკითხს, თუ ვინ შეიძლება იყოს ზემდგომი პროკურორი და რა უფლებამოსილება აქვს მას. ვინაიდან, ზემდგომი პროკურორის განმარტებას ქართული კანონმდებლობა არ იძლევა, მოვიშველიებთ პრაქტიკას და შევეცდებით დამოწმებოთ იურისტებისთვის გასაგები გავხადოთ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, ზემდგომი პროკურორი არის ყველა ის პროკურორი, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ ფუნქციებს და პარალელურად, იკავებს მენეჯერის პოზიციას. მაგალითად, რაიონული პროკურატურის დონეზე ზემდგომი პროკურორები არიან რაიონული პროკურორი და მისი მოადგილე, საოლქო პროკურატურების დონეზე საოლქო პროკურორი, მისი მოადგილე და სამმართველოს უფროსი, გენერალური პროკურატურის დონეზე გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, აგრეთვე დეპარტამენტის უფროსები და მისი მოადგილეები და სამმართველოს უფროსები. აგრეთვე, შესაძლებელია ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილება გენერალურმა პროკურორმა თავისი ბრძანებით დაავალოს სხვა დონის პროკურორსაც. საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, კერძოდ, რაიონული პროკურორის მოადგილე თუ უშუალოდ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, მაშინ საქმის საპროცესო ხელმძღვანელი იქნება რაიონული პროკურორი, ხოლო ზემდგომი პროკურორი საოლქო პროკურორი ან მისი მოადგილე, ანალოგიურად გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი თუ უშუალოდ აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას, მაშინ საქმის საპროცესო ხელმძღვანელი იქნება გენერალური პროკურორის მოადგილე, ხოლო ზემდგომი პროკურორი – გენერალური პროკურორი. ასევე, თუ რაიონული პროკურორის მოადგილე სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით სხვა პროკურორების ზემდგომი პროკურორია, არ ექნება უფლება თანხმობა მისცეს საკუთარ გადაწყვეტილებას სასამართლოში ბრალდებაზე უარის თქმის დროს და მას დასჭირდება რაიონული პროკურორის თანხმობა, ისევე როგორც პროკურატურის დეპარტამენტის უფროსს, რომელიც სასამართლოში გამოდის სახელმწიფო ბრალმდებლად, ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დასჭირდება თავისი ზემდგომი პროკურორის – გენერალური პროკურორის მოადგილის თანხმობა.

აქვე შევეხოთ საკვლევ თემასთან დაკავშირებულ ისეთ აქტუალურ საკითხს, რომ „შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფო ბრალმდებელი არ იყოს პროკურორი?“ აღნიშნული შეუძლებელია, ვინაიდან სახელმწიფო ბრალმდებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ პროკურორი, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ ფუნქციას, აქვე განვმარტავთ, რომ საქართველოს პროკურატურაში შესაძლებელია იყვნენ პროკურორები, რომლებიც არ ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ ფუნქციას და ასეთებად შესაძლებელია მოაზრებული იყოს მაგალითად, საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პროკურორები, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პროკურორები და სხვა. აღნიშნულის საპირისპიროდ ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ პროკურორი არ იყოს სახელმწიფო ბრალმდებელი? დიახ, ეს თეორიულად შესაძლებელია და ასეთი შემთხვევა სახეზე გვექნება, როდესაც პროკურორის ძირითადი საქმიანობა არის მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობა, თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება და სხვა ფუნქციებით დატვირთვა, როცა მას პრაქტიკულად არ ევალება და არც უწევს სახელმწიფო ბრალდების განხორციელება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის პრობლემატურ საკითხებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის სასამართლო განხილვისთვის გადაგზავნა, მხოლოდ პროკურორის კომპეტენციაში შედის, ასეთ გადაწყვეტილებას იღებს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, მარტივად რომ ვთქვათ, კლასიკურ ვარიანტში, ვინც ხელი მოაწერა დადგენილებას პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. შესაძლებელია მან ზეპირი კონსულტაციაც გაიაროს ზემდგომ პროკურორთან, მაგრამ გადაწყვეტილებაზე, საქმის სასამართლოში წარმართვის მართებულობის შესახებ, პასუხისმგებელი არის ის პროკურორი, ვინც ხელს აწერს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართვის დოკუმენტს.

ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ზემდგომი პროკურორის თანხმობის საკითხი მიგვაჩნია პრობლემურად, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, სადაც მითითებულია, რომ „სასამართლოში თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.“²⁷ შესაბამისად, სახელმწიფო ბრალმდებლისთვის თავის უფლებამოსილების განხორციელების

დროს, დამატებითი ფორმალური ბარიერის დაწესება, რომ ბრალდებაზე უარის თქმისთვის მას ესაჭიროება ზემდგომი პროკურორის თანხმობა, ჩვენი აზრით, არ შეუწყობს ხელს სამართალწარმოების პროცესის დაჩქარებას და გამარტივებას. გარდა აღნიშნულისა, შედარებისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად პროკურორი არ საჭიროებს ზემდგომი პროკურორის თანხმობას. აღნიშნული თანხმობა მას არ ესაჭიროება აგრეთვე, გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის თუ გამოძიების შესაწყვეტად. ვფიქრობთ, პირის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება უფრო საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით, რაშიც სახელმწიფო სრულიად ენდო პროკურორს და არ დაუწესა დამატებითი ფორმალური საფეხურები. ამავდროულად, კანონმდებელი არ ანდობს სახელმწიფო ბრალმდებელს დამოუკიდებლად მიიღოს თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ, ასუსტებს ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს სისხლის სამართლის პროცესში. იქნებ ამის შედეგიც არის ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოს პროკურორები პრაქტიკულად არ იყენებენ თავის საქმიანობაში ამ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს, სადისერტაციო ნაშრომზე, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, 2022 წლის 24 იანვარს, #13/3054 წერილით მიღებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ: „საქართველოს პროკურატურა 2021 წლიდან ახორციელებს ბრალდების მხარის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის მონაცემების დამუშავებას. შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 2021 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლზე სახელმწიფო ბრალდებაზე უარი არ დაფიქსირებულა.“²⁸ შედარებისთვის, 2021 წლის პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 14065 პირის მიმართ,²⁹ რომელთაგან გამამართლებელი განაჩენი დადგა 1968 საქმეზე, მათ შორის, 1406 საქმეზე დადგა სრულად გამამართლებელი განაჩენი, ხოლო – 562 საქმეზე ნაწილობრივ გამამართლებელი.³⁰ რა თქმა უნდა, საკუთრივ გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა არ უნდა წარმოადგენდეს კრიტიკის საგანს, ვინაიდან იგი მეტყველებს ქვეყანაში დემოკრატიული ტენდენციების განვითარებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. ამ მხრივ, პროკურატურა არ უნდა გახდეს კრიტიკის ობიექტი, ვინაიდან გამამართლებელი განაჩენი განვითარებული ქვეყნების მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ჩვენი საკვლევი თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემაზე, კერძოდ, ძნელი იქნება იმ ფაქტის გათავისება, რომ 1968 საქმიდან, რამდენიმეზე მაინც, არ ჰქონდა სახელმწიფო ბრალმდებელს წინასწარი მოლოდინი და შინაგანი რწმენა, რომ დადგებოდა გამამართლებელი განაჩენი, ამ ვითარებაში ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რატომ არ გამოიყენა

მან დისკრეციული უფლებამოსილება და არ თქვა უარი ბრალდებაზე. გარდა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ფაქტორისა, ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ინსტიტუტის არაეფექტიანობის მიზეზი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები, რაზეც დეტალურად კვლევის სხვა თავებში ვისაუბრებთ.

ზემდგომი პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თანახელმოწერის დათქმა, კომუნიკური პერიოდის საპროცესო კანონმდებლობიდან, მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას მემკვიდრეობით ერგო. ვ. მ. სავიცკი პირველი მეცნიერი იყო ვინც შემოგვთავაზა აღნიშნული კანონთწყობის მართებულობა,³¹ რასაც ზემდგომში დაეთანხმნენ და იზიარებენ მთელი რიგი მეცნიერები,³² რასაც ვერ გავიზიარებთ და ვიდრე ჩვენს დასაბუთებულ პოზიციას წარმოგიდგენთ, განვიხილოთ ოპონენტების მოსაზრებები. ისინი თავის პოზიციას ამყარებენ იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა შესაძლებელია პირადი მოტივებით, ქვენა გრძნობით ან უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით, თქვას უარი სახელმწიფო ბრალდებაზე და რომ უნდა არსებობდეს კონტროლის მექანიზმი. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პროკურორის საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით ისედაც არის დაწესებული, როგორც კონტროლის შიდა საუწყებო მექანიზმები, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია, მენეჯერი პროკურორის ინსტიტუტი, აგრეთვე, გარე საუწყებო კონტროლის მექანიზმები, როგორიც არის საქართველოს პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება, ის საგამოძიებო უწყებები, რომლებიც აწარმოებენ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობას კორუფციის წინააღმდეგ. ჩვენს მოსაზრებასაც, რა თქმა უნდა, ეყოლება ოპონენტები, მაგრამ მტკიცედ მიგვაჩნია, რომ ზემდგომი პროკურორის თანხმობა ბრალდებაზე უარის დროს არის უსარგებლო და დაუსაბუთებელი რეგულაცია მოქმედ კანონმდებლობაში. თუ საკითხს სხვა რაკურსით შევხედავთ და გავითვალისწინებთ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ საბჭოთა წყობა წარმოადგენდა მსოფლიოს ერთ-ერთ კორუმპირებულ მმართველობას – საბჭოთა კანონმდებლობაში, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს, ზემდგომი პროკურორის თანხმობა, ვფიქრობთ, მართლაც განპირობებული იყო კორუფციული ასპექტების გამო, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის გასაკონტროლებლად, კერძოდ, მის მიერ ქრთამის აღების შემთხვევაში, ზემდგომ პროკურორს, არ გასჭირვებოდა საკუთარი წილის დაუბრკოლებლად მიღება და ჰქონოდა სახელმწიფო ბრალმდებელზე ზემოქმედების ეფექტური მექანიზმი. ვეთანხმებით ცალკეული ავტორების მოსაზრებას, რომ ზემდგომი პროკურორის თანხმობის ფაქტორი, ლახავს პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხს და წინააღმდეგობაში მოდის კანონის

ჩანაწერთან, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოში არის დამოუკიდებელი და ემორჩილება მხოლოდ კანონს.³³ გარდა აღნიშნულისა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვის დროს, ობიექტურად დადგინდა, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია ის დანაშაულებრივი ქმედება, რის გამოც მას შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და მიმდინარეობს მისი საქმის არსებითად განხილვა, სახელმწიფო ბრალმდებელს, ბიუროკრატიული მიზეზით, კერძოდ, ზემდგომი პროკურორის თანხმობის არქონის გამო, არ ექნება უფლება საქმის განხილვის იმავე პროცესზე თქვას უარი ბრალდებაზე, რომელ პროცესზეც, აშკარად გამოიკვეთა ბრალდებულის უდანაშაულობა. ასეთ შემთხვევებში, პროკურორის პოზიციის დაფიქსირება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მომდევნო სასამართლო სხდომაზე, რაც თავის მხრივ, ნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბრალდებული, თუნდაც ერთი დღე, კვლავ დარჩება უკანონო პატიმრობაში. გარდა აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელსაც სახელმწიფო ენდო, რომ ღირსეულად ატაროს პროკურორის მუნდირი, თავისი განათლებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით და გამჭრიახობით აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ კი იმ საქმეზე, რომლის დეტალებიც ბრალდების კუთხით, მასზე უკეთ არავინ უწყის. სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელიც საჭიროებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მისაღებ გადაწყვეტილებაზე ზემდგომი პროკურორის თანხმობას, გარდა იმისა, რომ კარგავს კანონმდებლობით მინიჭებულ თავის დამოუკიდებლობის ხარისხს, მასზე შესაძლოა ნეგატიურადაც იმოქმედოს აღნიშნულმა ფაქტორმა და გამოიწვიოს მასში პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითებაც, მოკლას მასში ინიციატივის გამოხატვის საშუალება და ვეთანხმებით რიც ავტორებს, რომ მას საერთოდ მოუსპოს საქმეზე საკუთარი პოზიციის ქონის ამბიცი,³⁴ ვინაიდან მიმდინარე საქმიანობის თაობაზე იგი ისედაც აწვდის ზემდგომ პროკურორს საქმის დეტალებს, შესაბამისად, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების ინიცირებაც, შესაძლოა ქვეცნობიერად მას მიანდოს. სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელიც მონაწილეობს სასამართლოში მტკიცებულებების გამოკვლევაში, არის მოცემულ საქმეზე ყველაზე კომპეტენტური, მტკიცებულებებში გათვითცნობიერებული, ფაქტობრივი გარემოებების მცოდნე პროკურორი და შესაბამისად, ყველა სხვა პროკურორზე მეტად, მას შეუძლია მიიღოს საქმეზე ობიექტური, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება და ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ თუ ჩვენ მუდმივად ეჭვქვეშ დავაყენებთ სახელმწიფო ბრალმდებლის წესიერებას, მის კომპეტენციას და სამართლიანობის საკითხს, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ეჭვქვეშ დავაყენოთ ზემდგომი პროკურორისა და მთლიანად პროკურატურის სისტემის კომპეტენცია და კეთილსინდისიერება.³⁵

ამ მხრივ, საინტერესოა, შეუძლია თუ არა სახელმწიფო ბრალმძებლის და მისი ზემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ, სასამართლოში წარდგენის შემდეგ შეცვალოს მათმა ხელმძღვანელმა პროკურორმა, მაგალითად, დეპარტამენტის უფროსმა, საოლქო პროკურორმა, გენერალური პროკურორის მოადგილემ ან თუნდაც გენერალურმა პროკურორმა. გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივ მექანიზმს ქართული კანონმდებლობა არ იცნობს, რაც ერთი მხრივ, ადასტურებს სახელმწიფო ბრალმძებლის კანონით რეგლამენტირებულ დამოუკიდებლობის ფაქტს, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო ააშკარავებს საკითხში ზემდგომი პროკურორის საპროცესო ჩარევის არამართებულობას.

ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელების დროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენერალურ პროკურორს არ ჰყავს ზემდგომი პროკურორი, შესაბამისად, სასამართლო განხილვის სტადიაზე, იგი როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი, თუ მივა დასკვნამდე, რომ აღარ არსებობს ბრალდების მხარდაჭერის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მთავარი ბრალმძებელი ვერ გამოიყენებს თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას ბრალდებაზე უარის თქმის ნაწილში, რადგან მარტივად რომ ვთქვათ, ვერ მოძებნის ზემდგომ პროკურორს, რომელიც დაეთანხმება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. აქვე გამოვეხმაურებით ოპონენტების სავარაუდო პოზიციას, რომ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელი იქნება სახელმწიფო ბრალმძებლის შეცვლა, რაშიც ნაწილობრივ დავეთანხმებით და აღვნიშნავთ, რომ სასამართლოში ნებისმიერ დროს შესაძლებელია ერთი სახელმწიფო ბრალმძებელი შეიცვალოს სხვა სახელმწიფო ბრალმძებლით და ეს, როგორც წესი, ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროცესზე გამსვლელი ბრალმძებელი მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მივლინების, სხვა სამსახურში გადაყვანით ან იშვიათ გამონაკლისის სახით, თეორიულად საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო ჩანაცვლდეს სხვა ბრალმძებლით, მაგრამ გენერალური პროკურორის შემთხვევაში, ასეთი ტექნიკური ჩანაცვლება, ვფიქრობთ, დარჩება კვლავ პრობლემურად, ვინაიდან მის ქვემდგომ პროკურორებს, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელს და კანონით გათვალისწინებულ მის ზემდგომ პროკურორს მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაში, კვლავ ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: ჰყავს თუ არა სახელმწიფო ბრალმძებელს ზემდგომი პროკურორი? მოქმედი კანონმდებლობის ის ნაწილი, სადაც საუბარია ზემდგომი პროკურორის თანხმობაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის წინაპირობას იძლევა, მაგრამ ამ შემთხვევაში

ჩრდილი ადგება იგივე კანონით გარანტირებულ სახელმწიფო ბრალმდებლის დამოუკიდებლობის საკითხს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბრალმდებელს, პროკურატურის სისტემაში უკავია გარკვეული თანამდებობა, სადაც მას ჰყავს რანგით ზემდგომი პროკურორი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების უზრუნველყოფის დროს, იმისათვის, რომ მოხდეს ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, ბრალმდებელი არ უნდა იყოს შეზღუდული სხვა, თუნდაც რანგით მასზე ზემოთ მდგომი პროკურორის უფლებამოსილებით. აქვე დავძენთ, რომ ჩვენი აღნიშნული მოსაზრება არ გულისხმობს სახელმწიფო ბრალმდებლის პროკურატურის სისტემიდან განყენებას, როგორც აღვნიშნეთ, პროკურატურა კოლეგიური ორგანოა და მიმდინარე საკითხებზე ბრალმდებელს შეუძლია და მიზანშეწონილიც არის, საჭიროების შემთხვევებში, გარკვეული კონსულტაციები გაიაროს ნებისმიერი რანგის პროკურორთან, თუ ჩათვლის, რომ კონსულტაციები წაადგება მის მიერ მისაღები გადაწყვეტილების ფორმირებას და დაარწმუნებს საკუთარი მოსაზრებების სისწორეში.

განსახილველ თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა საპროცესო ხელმძღვანელისა და მისი ზემდგომი პროკურორის სასამართლოში ერთობლივად მონაწილეობის საკითხი, შესაძლებელია თუ არა თანამდებობრივად ზემდგომი პროკურორი, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიზნით, სასამართლოზე დაეთანხმოს სახელმწიფო ბრალმდებლის გადაწყვეტილებას ბრალდებაზე უარის თქმაზე. ამ ვითარებაში, სახელმწიფო ბრალმდებელზე თანამდებობრივად ზემდგომი პროკურორი, რომელიც მასთან ერთად იღებს მონაწილეობას სასამართლო განხილვაში და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, კარგავს ზემდგომი პროკურორის სტატუსს, ვინაიდან უშუალოდ ახორციელებს კონკრეტულ საქმეზე ბრალდებას, შესაბამისად, ბრალდებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მას დასჯირდება თავისი ზემდგომი პროკურორის თანხმობა.

განხილულ საკითხზე დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სფეროში, საქართველოს კანონმდებლობით, პროკურორს აქვს პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებამოსილება, რაც თანხვედრაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან და ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. ამასთან, სისხლის სამართლის სფეროში პროკურორის ძირითადი უფლება-მოვალეობის განხორციელებას ახდენენ ის ქვედა რგოლის პროკურორები, რომლებიც უშუალოდ იძიებენ სისხლის სამართლის საქმეს, ახორციელებენ საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიებაზე და მხარს უჭერენ სახელმწიფო ბრალდებას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პროკურორებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა დაუბრკოლებლად განახორციელონ ყველა საგამოძიებო თუ საპროცესო

მოქმედება და მათთვის კანონის დონეზე, რაიმე სახის ფორმალური საფეხურების დაწესება, ხელს შეუშლის სწრაფი, ყოველმხრივი და ობიექტური სამართალწარმოების განხორციელების პროცესს. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხში, მისი უშუალო შემსრულებელი პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხი, პირდაპირ კავშირშია პროკურატურის სისტემისა და შესაბამისად, ამ კუთხით, სახელმწიფოს სიძლიერესთან. ამ მხრივ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლის სამართლის პროცესში და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების ფონზე, სახელმწიფო ბრალმძებელი გათავისუფლდეს ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევებში, ზემდგომი პროკურორის თანხმობის მიღების მოქმედი რეგულაციისაგან, რაც ჩვენი აზრით, გააძლიერებს საპროცესო კანონმდებლობაში ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს და ხელს შეუწყობს პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების დაუბრკოლებლად შესრულებას.

შენიშვნები:

- ¹ The World Conference on Human Rights in Vienna, 25 June 1993.
- ² Guidelines on the Role of Prosecutors, Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, 27 August to 7 September 1990, Item 4.
- ³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2000) 19, პარ. 11.
- ⁴ Weyembergh A. La coopération judiciaire pénale au sein de l'Union européenne, Les innovations du traité de Lisbonne. Incidences pour le praticien. Sous la direction de N. de Sadelier, H. Dumont, P. Jadoul, S. Van Drooghenbroeck. Bruxelles: Bruylant, 2011. p. 242.
- ⁵ Husabo E.J., Strandbakken A. Harmonization of Criminal Law in Europe. Antwerpen-Oxford: Intersentia, 2005. p.1-2.
- ⁶ Müller-Graff P. Der Raum der Freiheit, der Sicherheit und des Rechts in der Lissaboner Reform. EuR. Beiheft 1, 2009. S. 105.
- ⁷ ტურავა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, გვ. 7-9.
- ⁸ ჯიშკარიანი ბ., ზოგადად, ნაციონალურ სისხლის სამართალზე გავლენების შესახებ, სამართლის ჟურნალი, 2010, #1-2, 2010, გვ. 260-265.
- ⁹ ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენცია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მიხედვით, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #3(30)11, თბ., 2011, გვ. 103, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ABA30.pdf>, [01.06.2022].
- ¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, მუხ. 7., ნაწ. 1, „დ“ ქვეპ.
- ¹¹ იქვე, მუხ. 65, ნაწ. 1.
- ¹² იქვე, მუხ. 65., ნაწ. 2.
- ¹³ ვენეციის კომისიის მოთხოვნა იყო, რომ გენერალური პროკურორის არჩევა მომხდარიყო ხმათა კვალიფიციური წესით, რაც ხელს შეუწყობდა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის კონსენსუსის არსებობას, opinion on the draft constitutional amendments adopted on 15 december 2017 at the second reading by the parliament of georgia, european commission for democracy through law (venice commission), [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=C/DL-AD\(2018\)005-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=C/DL-AD(2018)005-e) [02.06. 2022].
- ¹⁴ საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, მუხ. 65, ნაწ. 3.
- ¹⁵ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 19.
- ¹⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხ. 207.
- ¹⁷ Rec(2010)12, paras 26-29; the CCJE Opinions No. 1(2001), para 45, and No. 10(2007), the Venice Commission' Report on the Independence of the Judicial System, Part I: the Independence of Judges (para 32), adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session (Venice, 12-13 March 2010), recommend the establishment of such Councils; (Rec(2010)12, paras 26-29; Vienna Commission for Democracy through Law, report on European Standards as regards the independence of the judicial system: Part II – The Prosecution Service (CDL-AD(2010)040), Adopted by the Venice Commission at its 85th plenary session (Venice, 17-18 December 2010).
- ¹⁸ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 2., ნაწ. 1.
- ¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მუხ. 33, ნაწ. 6, „ბ“ ქვეპ.

- ²⁰ იქვე, მუხ. 32.
- ²¹ იქვე, მუხ. 33, ნაწ. 1.
- ²² იქვე, მუხ. 37, ნაწ. 1.
- ²³ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №30, 2005 წლის 25 ნოემბერი, საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის (დეპარტამენტის) დებულების დამტკიცების შესახებ, მუხ. 6.
- ²⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრუქტურა, <https://pog.gov.ge/structure>, [06.02.2022].
- ²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მუხ. 220., „გ“ ქვეპ.
- ²⁶ იქვე, მუხ. 250, ნაწ. 1.
- ²⁷ იქვე, მუხ. 33, ნაწ. 2.
- ²⁸ ავტორი აწარმოებს სამეცნიერო მუშაობას სადოქტორო დისერტაციაზე „პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმა და მისი სამართლებრივი შედეგები“, მოცემული სტატია წარმოადგენს აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის II კარის მე-3 თავს, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი იქნა 2011-2021 წლების სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ნაწილში, წერილზე პასუხი გაცემული იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მიერ, რაც გამოყენებულია ნაშრომში.
- ²⁹ საქართველოს პროკურატურის 2021 წლის ანგარიში, გვ. 19, <https://pog.gov.ge/uploads/fbe6749f-13-maisi-angarishi.pdf>, [03.06.2022].
- ³⁰ იქვე, გვ. 22.
- ³¹ Савицкий В. М. Процессуальные последствия отказа прокурора от обвинения, Правоведение. 1972. № 1. стр. 74.
- ³² Алипперов Х. Государственное обвинение: нужна реформа, Законность. 2000. № 12. стр. 4; Барабанов П. К., Реализация потерпевшим права на поддержание обвинения по делам публичного (частнопубличного) обвинения, Мировой судья, 2006, № 4, стр. 10; Голосова С. А., Проблема соблюдения прав потерпевшего в случае отказа прокурора от обвинения, Юрист, 2003, № 8. стр. 49; Кириллова Н. П. Институт поддержания обвинения в России и за рубежом: перспективы развития. Правоведение, 2003, № 4, стр. 152; Петраков С. В., Поляков М. П. Научные и практические доводы за право прокурора на отказ от обвинения, Уголовное судопроизводство, 2006, № 4, стр. 14; Щемеров С. А., Участие прокурора в стадии судебного разбирательства уголовного процесса: автореф. дис. канд. юрид. наук. 2007, стр. 10.
- ³³ Землянхун А. В., Отказ от обвинения в системе уголовно-процессуальных актов: дис. ... канд. юрид. наук. Саратов, 2005, стр. 71; Ягофаров Ф. М., Механизм реализации функции обвинения при рассмотрении дела судом первой инстанции: дис. канд. юрид. наук. Оренбург, 2003, стр. 47.
- ³⁴ Кореневский Ю., Государственное обвинение: какая нужна реформа? Законность, 2001, №4, стр. 35.
- ³⁵ Кириллова Н. А., Отказ государственного обвинителя от обвинения, дис. канд. юрид. наук., 2007, стр. 78.

AUTHORITY OF THE STATE PROSECUTOR AND SUPERIOR PROSECUTOR AT THE TIME OF THE DENIAL OF THE CHARGE

KHVICHA BEGIASHVILI

David Agmashenebeli University School of Law PhD student

The article discusses the modern legal approaches to the refusal of accusation, namely the procedural status of the state accuser and the superior prosecutor and their rights and duties at the time of the waiver of the accusation. In this regard, the author presents a vision in terms of improving the effectiveness of the procedural institution for refusing to bring accusation, and also presents the problems in the current legislation and ways to solve them.

The article also examines the constitutional and legislative changes made in terms of the activities and powers of the Prosecutor's Office of Georgia and their compliance with international standards. Some attention is paid to the issue of procedural independence of the prosecutor as a person conducting criminal prosecution.

It should be noted that the topic presented in the article, concerning the specific discretionary powers of prosecutor under the current procedural legislation – to waive the accusation, will be of interest to both practitioners working on criminal law cases, as well as scholars in the field of criminal law and students of higher law schools.

საერთაშორისო ნორმები ოგონის შენარჩუნებისათვის – გლავგოს შედეგი

ნაზიბროლა ჩინჩალაძე

სამართლის დოქტორი,

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

**„ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელმაც უნდა შეაჩეროს
კლიმატის კოლაფსი, ბიომრავალფეროვნების მასობრივი
დანაკარგი და გაუმკლავდეს დაბინძურების გამოწვევას.“**

დეჩენ თსერინგი

გაეროს გარემოს პროგრამის

აზიისა და წყნარი ოკეანის განყოფილების დირექტორი¹

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ პლანეტაზე კლიმატის ცვლილება განაპირობა, რაც გამოხატულია სხვადასხვა გამანადგურებელ პროცესებში. 2021 წლის ივნის-ივლისში ჭარბი ნალექების გამო, ევროპის არაერთ ქვეყანასა და თურქეთში დაფიქსირდა წყალდიდობები. ინდოეთში ნალექებმა მეწყერული პროცესები გამოიწვია, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა. ჯერ დადგენილი არ არის მიმდინარე წლის ზაფხულში თურქეთის მასშტაბურ ხანძრებს, რასაც ტურისტების ევაკუაცია დასჭირდა და მსხვერპლიც არის, აქვს თუ არა კავშირი კლიმატის ცვლილებასთან, თუმცა, ვერ გამოვრიცხავთ.

კარგა ხანია ცნობილია, რომ ოზონის შრეში გაჩენილია გიგანტური ხვრელი, რომელიც ატმოსფერულ ჰაერში სითბური აირების ჭარბად გადასვლითაა გამოწვეული, ეს კი სამეწარმეო საქმიანობებს უკავშირდება.

გარემოს საერთაშორისო სამართლის დილემა სწორედ ისაა, რომ ეკონომიკური საქმიანობების სამართლებრივი კონტროლის გზით თავიდან აიცილოს მაგნე ზემოქმედება გარემოს სუბსტანციებზე. ატმოსფერული ჰაერის შემთხვევაში, ასეთი სამართლებრივი კონტროლი თავის პოზიტიურ შედეგს მაინც ვერ აღწევს, რადგან ეკონომიკურ საქმიანობებზე არსებითადაა დამოკიდებული ცალკეულ სახელმწიფოთა ჯერ არსებობა და შემდგომ კეთილდღეობა.

აზიის წყნარი ოკეანის რეგიონი ავრცელებს მსოფლიოს სითბური აირების ნახევარზე მეტს და ისინი მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონებია, გლობალური მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილით. 2021 წლის ივლისში, გაიმართა ონლაინ თემატური სესიები კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ მოქმედებისათვის, დაიგეგმა და გლაზგოში გაიმართა გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენცია COP26, 2021 წლის ნოემბერში. ცნობილია, რომ პარიზის შეთანხმებას გამოეთიშა აშშ – დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, მაგრამ ჯო ბაიდენმა ამერიკა დააბრუნა ამ ინიციატივაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების კონფერენცია, რომელსაც COP 26-ს უწოდებენ, იყო გაეროს კლიმატის ცვლილების 26-ე კონფერენცია, რომელიც შედგა ქალაქ გლაზგოში, 2021 წლის 31 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე, რომლის პრეზიდენტი იყო, მინისტრი გაერთიანებული სამეფოდან – ალოკ შარმა. კონფერენციაში მონაწილეობდა მსოფლიოს 200 სახელმწიფო მათ შორის, საქართველო.

იაპონიის მასპინძელმა მთავრობამ შეკრიბა მთავრობები ყველა დონეზე, კერძოდ, სექტორის ლიდერები, აკადემიური ექსპერტები და რეგიონული კაპიტალის მფლობელები. დაახლოებით, 3 700 ადამიანი 158 ქვეყნიდან დარეგისტრირდა შეხვედრაზე და საბოლოოდ, 2 800 ზე მეტი მონაწილე დაესწრო სესიებს.

სესიებზე იაპონიის გარემოს სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილემ, კეიკო სეგევამ განაცხადა: „აზიის წყნარი ოკეანის რეგიონი შეასრულებს წამყვან როლს მსოფლიოს დეკარბონიზაციაში და იქნება მსოფლიოს ეკონომიკური ზრდის მთავარი დრაივერი მომავალ დეკადებში... იაპონიამ შეძლო მიეღწია ნულოვანი ემისიებისათვის 2050 წლისათვის, წამყვანია რა, გლობალურ ძალისხმევაში ნახშირორჟანგის ნეიტრალიზაციის კუთხით, ის ახორციელებს კონკრეტულ კლიმატურ მოქმედებებს აზიის წყნარი ოკეანის რეგიონში.“²

გაეროს კლიმატის ცვლილების აღმასრულებელი მდივნის მოადგილემ ოვასი სარმადმა განაცხადა: „COP26-ით ხუთ თვეზე ნაკლებ დროში, გადამწყვეტი მომენტი გვიდგას. ამჟამად, მრავალი სახელმწიფო იმყოფება პარიზის შეთანხმების საფუძველზე კლიმატის მოქმედების ეროვნული გეგმების მიხედვით ახალი ან განახლებადი საკუთარი წვლილის მიღწევის პროცესში. მიმდინარე წელი გამოავლენს შევძლებთ თუ არა დავდგეთ გზაზე, რომელიც პასუხობს პარიზში დადგენილ მიზნებს.“

ამ ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი პარტნიორები ხელმძღვანელობდნენ დისკუსიებს თემებზე, რაც გადამწყვეტია მსოფლიოს კლიმატის ცვლილების საგანგებო მდგომარეობის საკითხზე. სახელდობრ, მსოფლიო ბანკმა წარმოადგინა ეკონომიკის ფართო მიდგომები მდგრადი, მწვანე აღდგენისათვის; გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) განმარტა, რომ კლიმატის რისკები და ამ საკითხების გადაწყვეტა ეხება სხვადასხვა სექტორებს; გაეროს გარემოს პროგრამამ (UNEP) ხელახლა გაიაზრა მომავალი და შეაფასა ქმედებები, ტექნოლოგიები და დაფინანსებები.

აზიის წყნარი ოკეანისა და სამხრეთ აზიაში COP26-ის რეგიონულმა ელჩმა, კენ ო' ფლაჰერტიმ განაცხადა: „კლიმატის მოქმედებები აზიის წყნარ ოკეანეში არის გასაღები გლობალური დათბობის 1.5C-მდე შესამცირებლად. ამ რეგიონის გარეთ, ქვეყნები უკვე შემხებლობაში არიან კლიმატის ცვლილებასთან და საჭიროებენ ადაპტაციას და სამომავლოდ, ყველაფერს გააკეთებენ, რაც საჭიროა ამ მიმართებით. APCW-მ შექმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობა კაპიტალის მფლობელებისათვის, რომ მოიცვან შესაძლებლობები და დანარჩენი გამოწვევები, რათა შეამცირონ კლიმატის ცვლილება მრავალ სფეროში.“³

ნიშანდობლივია აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანისთვის მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის, ვიქტორია კვაკვას განცხადება: „აზიის წყნარი ოკეანის კლიმატის კვირეულის განმავლობაში, ჩვენ გამოუმდებით გვესმოდა, რომ საკითხმა – ეკონომიკა დაბალი ნახშირორჟანგით, უნდა მოახდინოს ენერგიის, მიწის გადაცემის, ინტეგრირებული მდგრადობის, სოციალური ჩართულობისა და სიღარიბის შემცირების პრიორიტეტიზაცია. მსოფლიო ბანკში ჩვენ მიზნად ვისახავთ დავეხმაროთ ქვეყნებს, მოამზადონ და განახორციელონ კლიმატის ცვლილების შეჩერება და მიაღწიონ მწვანე, ხელსაყრელ და მოთხოვნილებების საპასუხო განვითარებას.“⁴

გაეროს გარემოს პროგრამის აზიისა და წყნარი ოკეანის განყოფილების დირექტორის, დეჩენ თსერინგის განცხადებით, „UNEP ცდილობს დაეხმაროს სახელმწიფოებს რეგიონში, რათა კლიმატთან დაკავშირებული ამბიცია გადაიყვანონ მოქმედებაში, რომელიც მოითმანს კონკრეტულ შედეგებს COP26-ზე და მივაღწევთ საერთო ძალისხმევას – პარიზის შეთანხმების მიზნებს.“

სესიებზე კიდევ მრავალი საყურადღებო განცხადება გაკეთდა, რაც წარმოაჩენს კონკრეტული მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კაპიტალის მფლობელთა დამოკიდებულებებს ოზონის ამოწურვის გამოწვევისადმი, რომელთაც ცხადია, სრულად ვერ ავსახავთ წინამდებარე პუბლიკაციაში. მოტანილი განცხადებების სიმრავლით გვინდა წარმოვაჩინოთ კლიმატის ცვლილების მთავარი გამოწვევი რეგიონიდან მკაფიო სიგნალების არსებობა თანამედროვე კლიმატის ცვლილების შემაკავებელი საერთაშორისო ნორმების საპასუხოდ. თუმცა, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ინფორმაციით – „2021 წლის 27 მაისის მდგომარეობით, არსებობს დაახლოებით, 40% შანსი, რომ ტემპერატურის წლიური მატება მიაღწევს 1.5°C სულ მცირე, მომავალ ხუთ წელიწადში. ეს მაჩვენებელი კიდევ იზრდება დროში.“⁶

ყოველივე ზემოაღნიშნული ხდება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიღებიდან 29 წლის შემდეგ და კიოტოს ოქმის მიღებიდან 24 წლის თავზე. ისმის კითხვა, რა დადგინდა და რა ვერ დადგინდა ამ ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც სტანდარტულ ნორმებს მოიცავს დეკარბონიზაციისათვის?

კლიმატის ცვლილების კონვენციის პრეამბულაში ვკითხულობთ: „აცნობიერებენ რა, რომ დედამიწის კლიმატის ცვლილება და მისი მავნე შედეგები კაცობრიობის საერთო საზრუნავია, შეშფოთებულები იმით, რომ ადამიანთა საქმიანობა სულ უფრო მეტად ზრდის სითბური აირების შემცველობას ატმოსფეროს კონცენტრაციაში, რაც ზრდის ბუნებრივი სითბური აირების მავნე ზემოქმედებას და თავის მხრივ, იწვევს დამატებით დათბობას დედამიწის ზედაპირზე და ატმოსფეროზე, ამით კი, მავნედ მოქმედებს ბუნებრივ ეკოსისტემებსა და ადამიანთა სახეობაზე...“⁶ დაადგინეს, რომ დაიცვან კლიმატის სისტემა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

პრეამბულაშივე იკვეთება მდგრადი განვითარების სულისკვეთება, რაც გულისხმობს ახლანდელი თაობების შესაძლებლობას თავიანთი მოთხოვნილებები ბუნებრივ რესურსებზე დაიკმაყოფილონ ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან მომავალი თაობების ასეთივე შესაძლებლობებს.⁷

განვიხილოთ კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მე-2 მუხლი – კონვენციის მიზანი და წარმოვაჩინოთ მისი კავშირი კიოტოს ოქმსა და რიოს დეკლარაციასთან. ის ასე იკითხება: „ამ კონვენციისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი ინსტრუმენტების საბოლოო მიზანია, რომელიც მხარეთა კონფერენციამ შეუძლია მიიღოს, კონვენციის შესაბამისი დებულებების შესაბამისად, მიაღწიოს სითბური აირების კონცენტრაციების სტაბილიზირებას ატმოსფეროში იმ დონემდე, რომელიც ხელს შეუშლის მავნე ანთროპოგენულ შეჭრას კლიმატის სისტემაში. ასეთი დონე შეიძლება მიღწეულ იქნას დროის მონაკვეთში, რომელიც

საშუალებას მისცემს ეკოსისტემებს ბუნებრივად ადაპტირდნენ კლიმატის ცვლილებასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროდუქტის უსაფრთხო წარმოება და ეკონომიკური განვითარება გაგრძელდეს მდგრადი ფორმით.⁴⁸

როგორც ვხედავთ, ეს მუხლი ესწრაფვის უკვე დამდგარ სავალალო შედეგთან ადაპტაციასა და გამკლავებას, რათა ადამიანთა საზოგადოებებმა განაგრძონ არსებობა, არ შეწყვიტონ წარმოება, რაც პროდუქციის შექმნასა და მდგრად უსაფრთხო განვითარებაში გამოიხატება. თუმცა, ძნელია დღევანდელი მდგომარეობით უსაფრთხო არსებობაზე ვისაუბროთ, რადგან სტიქიურ პროცესებს, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ დღემდე მსხვერპლი ახლავს.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციამ მხარეებს კონკრეტული შეზღუდვების შესრულება დაავალა, რეალურ გამოსავალს კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებისა, ადაპტაციის გარდა, იგი ვერ ასახავს. ამ კუთხით, უნდა შევხეოთ რიოს დეკლარაციის მე-7 პრინციპის პირველ ნაწილს: „სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ გლობალური პარტნიორობის სულისკვეთებით, დედამიწის ეკოსისტემების ჯანმრთელობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად, დასაცავად და აღსადგენად. გლობალური გარემოს დეგრადაციების თავიდან აცილების გამო, სახელმწიფოებს აქვთ საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობა...“

ამ მონაკვეთში ატმოსფერული ჰაერი მოხსენიებული არ არის და არც კლიმატის ცვლილება იკვეთება, როგორც რეგულირების ობიექტი, მაგრამ სიტყვები „გლობალური გარემო“ მოიცავს ატმოსფერული ჰაერის გარსსაც, რომელიც ერთიანი და მთლიანია და მთელს პლანეტას გარს აკრავს.

საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობა, როგორც ზოგადი ნორმა, არის მსოფლიოს ყველა სუვერენული სახელმწიფოსა და გარემოს საერთაშორისო სამართლის ყველა აქტორის, ფიზიკური პირების ჩათვლით, მთავარი საზრუნავი. რიოს ეს პრინციპი სრულადაა ასახული კლიმატის ცვლილების კონვენციის მე-3 მუხლის 1 ნაწილში, რომლის თანახმად: „მხარეებმა უნდა დაიცვან კლიმატის სისტემა კაცობრიობის ახლანდელი და მომავალი თაობების სასარგებლოდ, სამართლიანობის საფუძველზე და მათი საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობების შესატყვისად, თავიანთი უპირატესი უნარების მიხედვით. შესაბამისად, განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა იკისრონ ლიდერობა კლიმატის ცვლილებისა და მისი მავნე შედეგების აღმოფხვრისათვის...“

საერთო პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ გარემოს საერთაშორისო სამართლის ყველა აქტორი, პირველ ყოვლისა, კონვენციის მხარეები პასუხისმგებელნი არიან კლიმატის დაცვაზე, ხოლო დიფერენციალური პასუხისმგებლობა გამოიკვეთება იმ კონკრეტული ზიანის

მოცულობაში, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს მიზებით დგება. ასეთი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია უცხოელი ავტორების პუბლიკაციების მიმოხილვით.⁹

ეფექტიანი მოქმედებების ვალდებულება, რასაც კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია ადგენს, მხოლოდ პასუხისმგებლობის აღებითაა შესაძლებელი. თუმცა, ოზონის შრე იმდენად დეგრადირებულია, რომ სულ უფრო ოპტიმალურ შედეგს საერთაშორისო საზოგადოება დღეის მდგომარეობით, ვერ აღწევს და ეს კარგად ჩანს ზემოხსენებული სესიების მსვლელობისას გაკეთებულ განცხადებებში.

შესაძლოა არაიურისტ მკითხველს გაუჩნდეს კითხვა, რა როლი უნდა შეასრულოს ასეთმა განცხადებებმა უკვე დადგენილი ნორმების შესრულების კუთხით, თანაც ისინი მრავლადაა მიღებული. ჩვენი პასუხი იქნება – 1987 წელს ჰარლემ ბრუნტლანდის ასეთ განცხადებას მოჰყვა მდგრადი განვითარების კონცეფციის გაუღერება, რაც გარემოს საერთაშორისო სამართლის ამოსავალი პრინციპია.

კლიმატის ცვლილების კონვენციის მე-6 მუხლით დადგინდა განათლების, ტრეინინგებისა და საზოგადოების ინფორმირების წესი – „თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად, მე-4 მუხლის პარაგრაფი 1 (i)–ს შესაბამისად, მხარეებმა უნდა:

(a) ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ეროვნულ და სადაც საჭიროა, სუბრეგიონულ და რეგიონულ დონეებზე, თავიანთი ეროვნული კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, უპირატესი უფლებამოსილებით:

- (i) საგანმანათლებლო და საზოგადოების ინფორმირებულობის პროგრამების განვითარებასა და იმპლემენტაციას კლიმატის ცვლილებისა და მისი ზემოქმედების შესახებ;
- (ii) საზოგადოების წვდომით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და მის ზემოქმედებაზე;
- (iii) საზოგადოების მონაწილეობით კლიმატის ცვლილებისა და მისი ზემოქმედების კუთხით, ადეკვატური პასუხების განვითარებისთვის;
- (iv) სამეცნიერო, ტექნიკური და მენეჯმენტის პერსონალის ტრეინინგით.

(b) ითანამშრომლონ და ხელი შეუწყონ, საერთაშორისო დონეზე და სადაც საჭიროა, არსებული ორგანოების გამოყენებით:

- (i) კლიმატის ცვლილებასა და მის ზემოქმედებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო და საზოგადოების ინფორმირებულობისთვის მასალების გაცნობისა და გაცვლის კუთხით;

(ii) საგანმანათლებლო და ტრეინინგის პროგრამების განვითარებისა და იმპლემენტაციისათვის, ეროვნული ინსტიტუციების გაჯანსაღების ჩათვლით და პერსონალის გადამზადების კუთხით, რათა გაწვრთნან ექსპერტები ამ სფეროში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის.“

როგორც ვხედავთ ეს მუხლი ამომწურავი და გასაგებია. იგი სრულად პასუხობს გარემოსა და განვითარების შესახებ რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპის მოთხოვნას, რაც გამოხატულია შემდეგში:

„გარემოს საკითხები უკეთესად მოგვარდება შესაბამის დონეზე შემხებლობაში მყოფი ყველა მოქალაქის მონაწილეობით. ეროვნულ დონეზე თითოეულ ინდივიდს სათანადოდ მიუწვდება ხელი გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელსაც ფლობენ საჯარო უწყებები, მაგნე მასალებსა და საქმიანობებზე ინფორმაციის ჩათვლით, მათსავე გაერთიანებებში. ასევე, შეუძლიათ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და გააღრმავონ საზოგადოების ინფორმირებულობა და ჩართულობა ინფორმაციის ფართოდ ხელმისაწვდომობის გზით. გარანტირებული უნდა იქნას ეფექტიანი წვდომა სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესებზე დაცვისა და დაკმაყოფილების ჩათვლით.“

სიტყვები „შემხებლობაში მყოფი,“ ყველაზე მტკიცეული სწორედ კლიმატის ცვლილების გამოწვევასთან არის, რადგან ატმოსფერული ჰაერის გარსი ერთიანი და მთლიანია და პლანეტის ყველა წერტილში მყოფ ცოცხალ არსებას თანაბრად ეხება და აზიანებს.

ამავე კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილი ვალდებულება, კვლევა და სისტემატური დაკვირვება საერთო პასუხისმგებლობის ფარგლებში ხორციელდება მხარეების მიერ. კონვენციამ თავისი მე-7 მუხლის პ.2-ის შესაბამისად, შექმნა „მხარეთა კონფერენცია, როგორც უზენაესი ორგანო ამ კონვენციისა, რომელიც რეგულარულად შეამოწმებს ამ კონვენციის იმპლემენტაციის შესრულებას და სხვა, ამასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, რასაც მხარეთა კონფერენცია მიიღებს თავისი მანდატით – საჭირო გადაწყვეტილებებს, რათა ხელი შეუწყოს კონვენციის ეფექტიან იმპლემენტაციას.“

თავისი მიზნების მისაღწევად, მხარეთა კონფერენციას მთელი რიგი საქმიანობების წარმოება შეუძლია, რაც დეტალურადაა გაწერილი ამავე მუხლში. იგივე მუხლის მე-ნ პუნქტით დადგენილია, „გაერო, მისი სპეციალიზებული სააგენტოები და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, ისევე როგორც რომელიმე სახელმწიფო მისი წევრი ან დამკვირვებლები, რომლებიც არ არიან კონვენციის მხარეები, შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ მხარეთა კონფერენციის

სესიებზე, როგორც დამკვირვებლები. რომელიმე ორგანო ან სააგენტო, ეროვნული ან საერთაშორისო, სამთავრობო ან არასამთავრობო, რომელსაც აქვს კვალიფიკაცია კონვენციით მოცულ საკითხებზე და რომელმაც შეატყობინა სამდივნოს თავისი სურვილი, იყოს წარმოდგენილი მხარეთა კონფერენციის სესიაზე, როგორც დამკვირვებელი, შეიძლება იყოს ასეთი, თუ მხარეთა ერთი მესამედი არ არის წინააღმდეგი. დამკვირვებელთა დაშვება და მონაწილეობა შეიძლება იყოს პროცედურის ნორმების საგანი, რომლებიც მიღებულია მხარეთა კონფერენციის მიერ.“

როგორც ვხედავთ, „მხარეთა კონფერენცია“ გაეროს და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მხრიდან, მუდმივი დაკვირვების ქვეშ იმყოფება, რასაც მას გარკვეულ ნაგულისხმევ კომპეტენციასაც ანიჭებს თუმცა, თავად კონვენციაში ეს გაწერილი არ არის. კონვენცია სულ 26 მუხლისაგან შედგება და იგი სხვა საკითხებსაც მოიცავს, მათგან ძირითადი უკვე განვიხილეთ და დანარჩენები მათ გარშემო მოქმედებს, მაგრამ რადგან ზემოთ შევნიშნეთ, 1997 წლის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმსაც გვინდა შევხვით და მოკლედ დავახისიათოთ. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მან კი არ განავრცო კლიმატის ცვლილების კონვენცია, არამედ ახალი კონკრეტული საკითხები დაარეგულირა. ეს რეგულირებანი კი, კონვენციაში არ იყო. კიოტოს ოქმი უფრო მოცულობითი დოკუმენტია იგი 28 მუხლისა და ორი დანართისაგან შედგება. თავის დანართებში იგი ჩამოთვლის ნივთიერებებს, რომელთა ემისიები უნდა შემცირდეს და სახელმწიფოებს ავალეს რამდენი პროცენტით უნდა შეამცირონ ემისიები და რომელი საწყისი თარიღებით უნდა იხელმძღვანელონ. ამ მიმართებით, იგი თავის მე-2 მუხლში მოუწოდებს მე-2 დანართში ჩამოთვლილ მხარეებს იმოქმედონ მდგრადი განვითარების მისაღწევად. ეს მუხლი მოგვაგონებს კონვენციის მე-2 მუხლის მიზანს თუმცა, მისი მოქმედების სფერო კონკრეტული ნივთიერებების ემისიების შემცირების მოთხოვნაა, მთელი რიგი სახელმწიფოებისაგან.¹⁰ იმ ნივთიერებათა, სახელმწიფოთა და პროცენტული მაჩვენებლების გამო, რაც კიოტოს ოქმმა დაადგინა, მისი მიღება ობიექტურად საჭირო იყო თუმცა, მასში დადგენილი სტანდარტების დაუცველობის გარეშე, საერთაშორისო საზოგადოება ვერ მიაღწევს ტემპერატურის მატების პროცესის შეჩერებას.

კლიმატის ცვლილება იმდენად მტკივნეული და შეუქცევადი პროცესია, რომ რეალურად საერთაშორისო საზოგადოებებს მასთან ადაპტაციისა და მისი მართვის გამოსავალი რჩებათ. დეკარბონიზაციისათვის სადღეისოდ მოქმედი ნორმების სიმრავლის მიუხედავად, ზემოთ მოტანილი მიმოხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარემოს საერთაშორისო სამართლის, როგორც რბილი ისე მყარი ნორმები მოქმედებს სითბური ეფექტის შესაჩერებლად, მაგრამ ეს ნორმები ზედმიწევნით და განუხრელად დაცვას საჭიროებენ. გლაზგოს კონფერენციის შედეგებით, იქ წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა პირობა დადეს – 2030 წლისათვის მიაღწიონ მავნე ემისიების შემცირებას. მომავალი გვიჩვენებს ეს დაპირება როგორ შესრულდება.

შენიშვნები:

- ¹ www.regionalclimateweeks.org.
- ² დეტალურად იხ.: www.regionalclimateweeks.org.
- ³ იქვე.
- ⁴ იქვე.
- ⁵ იხ.: <https://unfccc.int/news/new-climate-predictions-increase-likelihood-of-temporarily-reaching-15-degc-in-next-5-years>
- ⁶ იხ.: https://unfccc.int/files/essential_background/background_publications_htmlpdf/application/pdf/conveng.pdf
- ⁷ ვრცლად იხ.: ჩინჩალაძე ნ., მდგრადი განვითარების კონცეფციის გაფართოებისათვის კოვიდ პანდემიის პირობებში, ჟურნ. ორბელიანი, #3, თბ., 2020.
- ⁸ იხ.: კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია
- ⁹ ვრცლად იხ.: Magraw D., Legal Treatment of Developing Countries: Differential Contextual and Absolute Norms, 1 Colorado Journal of International Environmental Law and Policy 69 1990; D. French Developing States and International Environmental Law: The Importance of Differentiated Responsibilities, International and Comparative Law Quarterly 2000; C.D. Stone Common But Differentiated Responsibilities in International Law, American Journal of International Law 2004; L. Rajamani Differential Treatment in International Environmental Law 2006.
- ¹⁰ ვრცლად იხ.: <https://unfccc.int/resource/docs/convkp/kpeng.pdf>.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩინჩალაძე ნ., მდგრადი განვითარების კონცეფციის გაფართოებისათვის ჟურნ. ორბელიანი, N3, თბ., 2020;
2. D. Magraw Legal Treatment of Developing Countries: Differential Contextual and Absolute Norms, Colorado Journal of International Environmental Law and Policy Vol.1(1); p.31 1990;
3. D. French Developing States and International Environmental Law: The Importance of Differentiated Responsibilities International and Comparative Law Quarterly 2000;
4. C.D. Stone Common But Differentiated Responsibilities in International Law American Journal of International Law Vol. 98 N2 p.276-301 2004;
5. L. Rajamani Differential Treatment in International Environmental Law Oxford 2006;
6. P. Sands J. Peel with A. Fabra R. Mackenzie Principles of International Environmental law third edition. Cambridge University Press 2012.
7. 1992 UN Framework Convention on Climate Change;
8. 1997 Kyoto Protocol to UN Framework Convention on Climate Change;
9. 1992 Declaration of Rio on Environment and Development.
10. Materials of WMO from <https://unfccc.int/news/new-climate-predictions-increase-likelihood-of-temporarily-reaching-15-degc-in-next-5-years>
11. Materials of APCW from www.regionalclimateweeks.org

INTERNATIONAL NORMS FOR THE PRESERVATION OF OZONE – GLASGOW OUTCOME

NAZIBROLA CHINCHALADZE

Doctor of Law

An article “International Rules for Ozone Protection – Glasgow Achievement” is dedicated to consideration of International rules against climate change, soft laws and hard laws. In particular key provisions of Framework Convention on Climate Change and short comparative review of Kyoto Protocol, as well as connection of principles of Declaration of Rio on Environment and Development to the provisions of Climate Change Convention. The article considers official declarations made on online sessions for decarbonization in July 2021 by Japanese Environmental Ministry Official and representatives of several international organizations. As the author suggests, that the scope of this oral declarations is in full compliance and relevance with established rules which aim to limit and control of economic activities, for the purpose of slowing down of global process of climate change. The main result of Glasgow conference is mentioned as an achievement. In the article publications of foreign and Georgian authors is used as necessary, international convention, Declaration and Protocol, as well as data of WMO and information material of UN about APCW sessions on COP 26. The present publication would be useful for lawyers and non lawyer readers and students of law faculties on Bachelor and Magistrates level of study.

გონიერი ხელშეკრულების თავსებადობა ხელშეკრულების დადების ტრადიციულ მოთხოვნებთან: ოფერტისა და აქცეპტის თავისებურებანი

მაგდა ლორთქიფანიძე

სამართლის მაგისტრი, ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლა

შესავალი

გონიერი ხელშეკრულება¹ არის კომპიუტერული კოდების ნაკრები, რომელიც „ავტომატურად ადგენს მთელ ხელშეკრულებას ან მის ნაწილს და ინახება ბლოკჩეინზე დაფუძნებულ პლატფორმაზე.“²

რთული სამართლებრივი საკითხები წარმოიქმნება, როდესაც ხელშეკრულება იდება კომპიუტერული პროგრამული უზრუნ-

ველყოფის მეშვეობით. ელექტრონული ხელშეკრულებები არ წარმოადგენს სიახლეს თუმცა, ხელოვნური ინტელექტისა და გონიერი ხელშეკრულებების ზრდა ნიშნავს, რომ ეს საკითხები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მაშასადამე, ისინი იმსახურებენ დეტალურ ანალიზს.³

ბლოკჩეინი ქმნის არა მხოლოდ სრულყოფილი ტრანზაქციის გარემოს, არამედ გამო-რიცხავს ბანკების, იურისტებისა და სასამართლოების საჭიროებას. ეს უკანასკნელი მალე შეიცვლება გონიერი ხელშეკრულებებით: მიუკერძოებელი და უტყუარი კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც ქმნის, ასრულებს და აღასრულებს შეთანხმებებს.⁴ თუმცა, სამო-მავლო რევოლუციების პროგნოზები უნდა გამოირჩეოდეს კომერციული ბაზრის მკაცრი რეალობისა და ბლოკჩეინის ტექნოლოგიების ტექნიკური შეზღუდვებისგან. ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიური გადაწყვეტა არის ინოვაციური, არ ნიშნავს, რომ ის კომერციულად სასარ-გებლოა ან იურიდიულად სიცოცხლისუნარიანი. უფრო დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ გონიერი ხელშეკრულებები ძნელად შეიძლება ჩაითვალოს ნახევრად მითიურ ტექ-ნოლოგიად, რომელიც ათავისუფლებს ხელშემკვრელ მხარეებს ტრადიციული იურიდიული და ფინანსური ინსტიტუტების ბორკილებისაგან. მეცნიერების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მათი ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებელი, პირველ ყოვლისა, მიმზიდველად გამოიყურება, განსაკუთრებით არაიურისტებისთვის, სიღრმისეული შესწავლა ავლენს მათ ბევრ ნაკლოვანებას.⁵

1. გონიერი ხელშეკრულების ცნება

ტერმინი „გონიერი ხელშეკრულება“ პირველად, 1994 წელს იქნა შემოთავაზებული ამერი-კელი მეცნიერის, ნიკ საბოს მიერ. გონიერი ხელშეკრულება არის თვითშესრულებადი ხელ-შეკრულება მყიდველსა და გამყიდველს შორის, სახელშეკრულებო პირობების დაწერილი კოდის საფუძველზე. კოდი და მასში შემავალი ხელშეკრულებები არსებობს განაწილებულ, დეცენტრალიზებულ ბლოკჩეინის ქსელში. კოდი აკონტროლებს შესრულებას და ტრანზაქ-ციები შეუქცევადია.⁶

გონიერი ხელშეკრულებები იძლევა სანდო ტრანზაქციებისა და შეთანხმებების განხორცი-ელების საშუალებას განსხვავებულ, ანონიმურ მხარეებს შორის, ცენტრალური ხელისუფ-ლების, სამართლებრივი სისტემის ან გარე აღსრულების მექანიზმის საჭიროების გარეშე.⁷ გონიერ ხელშეკრულებებს განასხვავებენ ელექტრონული ხელშეკრულებებისგან, რადგან ფაქტობრივი შეთანხმება ავტომატიზებულია და ასახულია კომპიუტერულ კოდში და არა

სიტყვებით. ვინაიდან გონიერი ხელშეკრულება არის ავტომატიზებული პროგრამა, ტრანზაქციის ინიცირებისა და ყველა პირობის დაკმაყოფილების შემდეგ, გონიერი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება შეუძლებელია მხარეთა მიერ.⁸

როგორც უკვე აღინიშნა, გონიერი ხელშეკრულებების განხილვისას, პირველი საკითხი, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, არის ტერმინის მნიშვნელობა. ცნება „გონიერი ხელშეკრულებები“ სინამდვილეში არასწორია, რადგან გონიერი ხელშეკრულებები არც გონიერია და ისინი არც ხელშეკრულებებია. აღნიშნული სახელწოდება კომპიუტერული კოდირებული ხელშეკრულების კონცეფციისთვის დაბნეულობას იწვევს. მეცნიერების მოსაზრებით, ტერმინის სწორი განმარტება იქნებოდა „ავტომატური ტრანზაქციის მენეჯერი“ ე. წ. ATM, მაგრამ ეს ტერმინი ჯერ კიდევ, 1967 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა, ჯონ შეფერდ-ბარონმა გამოიყენა.⁹

გონიერი ხელშეკრულებები წარმოშობს საინტერესო კითხვებს მათ იურიდიულ ბუნებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ გონიერი ხელშეკრულებები თვითშესრულებადია, რადგან როგორც კი ხელშეკრულება დაიდება და პირობა დაკმაყოფილდება, ის დაარქივდება ბლოკჩეინზე. გარდა ამისა, გონიერი ხელშეკრულება თვითაღსრულებადია, რადგან მხარეებს ერთმევათ დისკრეციის უფლება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.¹⁰

მომავალში, გონიერმა ხელშეკრულებებმა შეიძლება შეამციროს დაუყოვნებლივი ტრანზაქციის ხარჯები. თუმცა, კონცეფციას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი შესაბამისი ხარჯები მხარეებისთვის. აქედან გამომდინარე, მეცნიერების მოსაზრებით, მომავალში შესაძლებელი იქნება „ნახევრად გონიერი“ ხელშეკრულებების ხილვა, რომლებიც შესთავაზებს ავტომატურ შესრულებას თუმცა, „ხელშეკრულების შეწყვეტის ოფციით“, რომელიც წინასწარ შეთანხმებული და დაპროგრამებული პირობებით იქნება წარმოდგენილი.¹¹

2. გონიერი ხელშეკრულების ფორმირების კონცეფცია: ოფერტი და აქცეპტი

ხელშეკრულება ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებაა, რაც გულისხმობს, რომ ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, მაგრამ ყველა გარიგება ხელშეკრულება არაა, რადგან ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია სულ მცირე, ორი პირის ნების გამოვლენა. რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური სამართლებრივი ოჯახების ქვეყნებში ხელშეკრულებების დადებაში ორი ეტაპია: შეთავაზება (ოფერტი) ე. ი. წინადადება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყებად და მისი მიღება (აქცეპტი) ე. ი. თანხმობა ამ წინადადებაზე.¹²

2.1. ოფერტი გონიერ ხელშეკრულებებში

პრაქტიკაში, გონიერ ხელშეკრულებებში ოფერტს წარმოადგენს ვებგვერდი, რომელიც შეიცავს შეთავაზებას ხელშეკრულების დადების შესახებ, პროგრამის კოდის ბმულით, რომელიც ხელმოწერილია ოფერენტის პირადი გასაღებით და განთავსებულია განაწილებულ დავთარში. მაგალითად, გონიერი ხელშეკრულება ციფრული აქტივების თავდაპირველი შეთავაზებისთვის – ე. წ. ტოკენები შეიძლება შეიცავდეს შეთავაზებას აქტივის შესაძენად. გონიერი ხელშეკრულების დადების შეთავაზება, რომელიც შექმნილია, როგორც ვებგვერდის წვდომის შეზღუდვის გარეშე, ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც „საჯარო“, ე. ი. მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ (მაგალითად, იტალია, გერმანია, საფრანგეთი). ამ შემთხვევაში, ნებისმიერი პირი, რომელმაც შეასრულა საჭირო ქმედებები გონიერი ხელშეკრულების მიღების (აქცეპტის) მიზნით, უფლება ექნება ოფერენტისგან მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. მეწარმეებმა, რომლებიც იყენებენ ან გეგმავენ გონიერი ხელშეკრულების გამოყენებას, უნდა გაითვალისწინონ ეს და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ შეზღუდვები იმ ვებგვერდზე წვდომისას, რომელზეც ის არის განთავსებული. გონიერი ხელშეკრულების შეთავაზების (ოფერტის) მოქმედების ვადა ფიქსირდება ვებგვერდზე და როგორც წესი, ამის დადგენა არ არის რთული. თუ შეთავაზება (ოფერტი) ამოიწურება, გონიერი ხელშეკრულების პროგრამის კოდი აჩვენებს შეცდომას, რა დროსაც გონიერი ხელშეკრულება ვერ დაიდება.¹³

2.2. აქცეპტი გონიერ ხელშეკრულებებში

გონიერი ხელშეკრულების მიღება (აქცეპტი) უნდა განხორციელდეს შეთავაზების (ოფერტის) მსგავსი ფორმით ე. ი. ელექტრონული შეტყობინების სახით, რომელიც ხელმოწერილია მიმღების (აქცეპტანტის) პირადი გასაღებით. თუ აქცეპტანტი არ თანხმდება ოფერტის ზუსტ პირობებზე, ეს არ არის აქცეპტი, არამედ ახალი ოფერტი.¹⁴ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შეთავაზებას (ოფერტს) უნდა მოჰყვეს მიღება (აქცეპტი) ხელშეკრულების დასადაბად. ასეთ დროს, პრობლემას წარმოადგენს ბლოკჩეინის ტექნოლოგიის უცვლელობა. გონიერი ხელშეკრულების კოდი არ შეიძლება შეიცვალოს ბლოკჩეინში. შესაბამისად, არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მიიღონ ის (ან არ მიიღონ). თუ აქცეპტანტი იწყებს ხელშეკრულების შესრულებას, მისი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ოფერტის ნამდვილ მიღებად. საჭიროა აქცეპტანტის ცალსახა ქცევა, რომელიც აჩვენებს მკაფიო მიღებას. მაგალითად, ბლოკჩეინის

გარკვეული თანხის კონტროლის გადაცემა კოდისთვის შეიძლება ჩაითვალოს მიღებად (აქცეპტად).¹⁵

მიუხედავად გონიერი ხელშეკრულების აღნიშნული უპირატესობებისა, სახელშეკრულებო ვალდებულებების ავტომატიზებული შესრულების კუთხით, ძნელი წარმოსადგენია, რომ დადებული გონიერი ხელშეკრულებები არ გახდეს მხარეთა შორის უთანხმოებისა და დავის წყარო. მიუხედავად ამისა, უკვე ამ მომენტში შეიძლება ითქვას, რომ გონიერ ხელშეკრულებებს შეუძლია გამოიწვიოს ხელშეკრულებების დადების, ცვლილებების, შესრულებისა და შეწყვეტის პრაქტიკის შეცვლა და კიბერსივრცის მონაწილეთა ნების ავტონომიაზე დაფუძნებული თვითრეგულირება, რაც შეიძლება გახდეს მომავალი საკანონმდებლო ინიციატივების საფუძველი.¹⁶

3. გონიერი ხელშეკრულების ურთიერთმიმართება კლასიკურ სახელშეკრულებო სამართალთან

გონიერი ხელშეკრულებები წარმოადგენს სავალდებულოდ შესასრულებელი ხელშეკრულების ევოლუციას, რომელიც რეგულირდება პროგრამირების ენითა და ბლოკჩეინის ტექნოლოგიის პრინციპებით. ამ ევოლუციისა და მისი მუდმივად მზარდი შედეგების სამართლებრივი გაგების შემუშავებისას, გონიერი ხელშეკრულებები შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციულად გაგებული მბოჭავი ხელშეკრულების იდენტურად – იმით, რომ ის ძალიან მსგავსია თუმცა, ამავედროულად, ძალიან განსხვავებული.¹⁷ გონიერი ხელშეკრულებები, რომლებიც განლაგებულია ეთერიუმ ბლოკჩეინზე, დაწერილია Solidity პროგრამირების ენაზე. გონიერი ხელშეკრულებები შედგება ორი არსებითი ელემენტისგან: თვითშესრულებელი ფუნქცია და შენახვის მდგომარეობის ცვლადობა. ვინაიდან როგორც გონიერი ხელშეკრულება, ისე ტრადიციული ხელშეკრულება იზიარებს ერთსა და იმავე საბოლოო მიზანს, რაც არის ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნებაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება, გონიერი ხელშეკრულების ფუნდამენტური სტრუქტურა შედარებულია ტრადიციული ხელშეკრულების ფუნდამენტურ სტრუქტურასთან. შენახვის მდგომარეობის ცვლადი და თვითშესრულებული ფუნქციები იზიარებს საერთო მაქსიათებლებს სახელშეკრულებო განმარტებებსა და უფლება-მოვალეობებთან, რომლებიც მითითებულია ტრადიციულ წერილობით ხელშეკრულებაში.¹⁸

ტექნიკურად, გონიერი ხელშეკრულება არ არის ხელშეკრულება. ეს არის მექანიზმი, რომელიც ალასრულებს შეთანხმებებს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით და არა

კანონით. მიუხედავად ამისა, სახელწოდებიდან გამომდინარე, გონიერ ხელშეკრულებებს ხშირად პირდაპირ ადარებენ კლასიკურ ხელშეკრულებებს. ტექნიკური განსხვავებების გვერდის ავლით, გონიერი ხელშეკრულებები შეიძლება ითქვას, განსხვავდება ტრადიციული ხელშეკრულებისაგან რამდენიმე ნიშნით, მათ შორის:

- გონიერი ხელშეკრულება არსებობს ონლაინ რეჟიმში, მისი ფორმირებიდან შესრულებამდე;
- შესრულება ავტომატიზებულია და ხორციელდება კომპიუტერით, შესაბამისი კოდის დაცვით;
- ტრანზაქციები უცვლელად აღირიცხება ბლოკჩეინზე და მათი უკან დაბრუნება შეუძლებელია (თუ გონიერი ხელშეკრულების მიხედვით, შესრულება საჭიროებს გაუქმებას, უნდა დაიწეროს ახალი ხელშეკრულება, რომელიც ცვლის წინა ხელშეკრულების შედეგებს).¹⁹

გონიერი ხელშეკრულების შესრულება გაცილებით ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე ჩვეულებრივი ხელშეკრულების შესრულება. გონიერი ხელშეკრულების ავტომატიზებული ბუნება ნიშნავს, რომ ქმედებების შესრულება ბევრად უფრო საეჭვოა, ვიდრე ტრადიციული გზით დაპირებული ქმედებების. შესაბამისად, სამართლებრივი პრობლემები უფრო მეტად წარმოიქმნება გარიგების დადების შემდეგ. კერძოდ, ბათილ ხელშეკრულებებთან გამკლავება შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან გონიერი ხელშეკრულება შესრულების შემდეგ, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ შეიძლება გაუქმდეს. შესაბამისი ტრანზაქცია მუდმივად დარჩება გონიერი ხელშეკრულების ბლოკჩეინზე. ამრიგად, როგორც ჩანს, გონიერი ხელშეკრულებების სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, ფოკუსირებულია რესტიტუციის და არა აღსრულების საშუალებებზე.²⁰

გარდა სახელშეკრულებო დეფინიციებისა, ტრადიციული ხელშეკრულება ასევე, შეიცავს უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას. გონიერი ხელშეკრულება განსხვავდება იმით, რომ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობის ნაცვლად, შეიცავს „თუ/სხვა“ პირობით განცხადებების ერთობლიობას, რომელიც მოქმედებს „თუ ეს – მაშინ ის“ პრინციპით. როგორც თვითგანმახორციელებელი ფუნქციები, ისე უფლება-მოვალეობების ერთობლიობა შექმნილია იმისათვის, რომ მოითხოვოს სავარაუდო ან ორმხრივად შეთანხმებული საბოლოო შედეგი (იქნება ეს თანხების გადახდა თუ აქტივების გადაცემა). ტრადიციული ხელშეკრულებით მოაზრებული უფლებები და მოვალეობები ამას მიაღწევს ვალდებულებების ზუსტი ხასიათისა და მასთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრით. აგრეთვე, აღსრულებისა და გამოსწორების მექანიზმების გათვალისწინებული წესით, თუ მხარე არ შეასრულებს მოთხოვნილ ვალდებულებებს.²¹

იურისტებისთვის კიდევ ერთი საკვანძო საკითხი იქნება სამართლებრივი კომპონენტის (ე. ი. მხარეთა შეთანხმება) ტექნიკურ კომპონენტთან (ე. ი. კომპიუტერული კოდი, რომელიც პასუხისმგებელია შეთანხმების განხორციელებაზე, როგორც ლოგიკური „თუ-მაშინ“ განცხადებები) ურთიერთმიმართება. თუ ეს ორი კომპონენტი არ შეესაბამება, გონიერმა ხელშეკრულებამ უფრო მეტი სამართლებრივი პრობლემა შეიძლება წარმოქმნას.²²

საბოლოოდ, რამდენადაც გონიერი ხელშეკრულება შეიძლება ჰგავდეს ტრადიციული ხელშეკრულების სტრუქტურას, ის განსხვავდება ერთი საკვანძო ასპექტით – ნდობაზე დაფუძნებული შესრულებით. ტრადიციულ ხელშეკრულებაში უფლებები და მოვალეობები არსებითად დაფუძნებულია შესრულების დაპირებაზე. როგორც ასეთი, ტრადიციული ხელშეკრულების შესრულება თავისი ბუნებით, დამოკიდებულია იმაზე, რომ მხარეები ენდობიან ერთმანეთს ან მესამე პირს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. გონიერი ხელშეკრულების სტრუქტურაში საჭირო სახელშეკრულებო შესრულება არ არის დამოკიდებული მხარეთა ნდობაზე ერთმანეთის ან მესამე პირის მიმართ, არამედ დამოკიდებულია მხარეთა ნდობაზე თავად გონიერი ხელშეკრულების მიმართ, რომელიც არ არის დაფუძნებული შესრულების დაპირებაზე, არამედ პროგრამირებაზე, რომელიც შექმნილია კონკრეტული მიზნის მისაღწევად.²³

დასკვნა

რიგი ბანკები და სადაზღვევო კომპანიები უკვე იყენებენ გონიერ ხელშეკრულებებს პროფესიულ საქმიანობაში. მეცნიერთა მოსაზრებით, გონიერი ხელშეკრულებები ყოველდღიური ცხოვრებისა და რუტინის ნაწილი გახდება.

გონიერი ხელშეკრულებები ეჭვქვეშ არ აყენებს კლასიკური ხელშეკრულების ფორმირების ელემენტებს – ოფერტსა და აქცეპტს, რომელთა გამოყენება ტრადიციული ხელშეკრულებისგან განსხვავებით, შესაძლებელია პროგრამირების ენაზე. ამგვარად, კომპიუტერულმა პროგრამამ შეიძლება ადრესატამდე მიიტანოს ოფერტი, აქცეპტი ან გაფრთხილება, რომელსაც განახორციელებს ხელშემკვრელი მხარე.

გარდა ამისა, გონიერი ხელშეკრულების ტექნოლოგიას აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას ტრანზაქციის ხარჯების შემცირებით. მართალია, არსებული სამართლებრივი ჩარჩოები შეიძლება უშვებდეს გონიერი ხელშეკრულების გამოყენებას, ეს ყოველთვის არ გამოიწვევს სასურველ შედეგს. აქედან გამომდინარე, მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ პრაქტიკული გამოწვევების წინაშე, როდესაც ეცდებიან, დააკმაყოფილონ არსებული სამართლებრივი მოთხოვნები გონიერ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

შენიშვნები:

- ¹ აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში „Smart Contracts“ ნათარგმნია, როგორც „სმარტ კონტრაქტები“, „ჭკვიანი კონტრაქტები“ ან „გონიერი კონტრაქტები.“ წინამდებარე ნაშრომში არ იქნა გაზიარებული თარგმანის ზემოაღნიშნული ვერსიები და გამოყენებულია „გონიერი ხელშეკრულებები“, ბარბარიზმების თავიდან აცილებისა და ტერმინოლოგიური სიზუსტისათვის.
- ² Munoz A., Smart Contracts: What Are They and Will They Replace Traditional Contracts?, June 3, 2021, <https://www.romanolaw.com/2021/06/03/smart-contracts-what-are-they-and-will-they-replace-traditional-contracts/>, [15.08.2022].
- ³ Woebeking M. K., The Impact of Smart Contracts on Traditional Concepts of Contract Law, JIPITEC – Journal of Intellectual Property, Information Technology and E-Commerce Law, 10 (1) 2019, 112.
- ⁴ DiMatteo L. A., Cannarsa M., Poncibò C. (Eds.), The Cambridge Handbook of Smart Contracts, Blockchain Technology and Digital Platforms, Cambridge University Press, Cambridge, 2020, 5.
- ⁵ იქვე, 19.
- ⁶ Haverfield W., The Intersection of Blockchain and M&A: Smart Contracts in a Closing, January 27, 2020, <https://www.walterhav.com/the-intersection-of-blockchain-and-ma-smart-contracts-in-a-closing/>, [15.08.2022].
- ⁷ Finocchiaro G., Bompreszi C., A legal analysis of the use of blockchain technology for the formation of smart legal contracts, MediaLaws – Rivista di diritto dei media, 2/2020, 17.
- ⁸ Paech P., Law and Autonomous Systems Series: What is a Smart Contract, 09 Jul 2018, Oxford Business Law Blog, <https://www.law.ox.ac.uk/business-law-blog/blog/2018/07/law-and-autonomous-systems-series-what-smart-contract>, [15.08.2022].
- ⁹ Lipshaw J. M., The Persistence of “Dumb” Contracts, Stanford Journal of Blockchain Law & Policy, [Vol. 2.1 2019], 4.
- ¹⁰ თეგელაშვილი ს., სმარტ-კონტრაქტში გამოყენებული ბლოქჩეინ ტექნოლოგიის არსი და სამართლებრივი პრობლემები, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, Volume 8, Issue 1 (2022), 11.
- ¹¹ Mik E., Smart Contracts: Terminology, Technical Limitations and Real World Complexity, Law, Innovation and Technology Volume 9, 2017 – Issue 2, 2.
- ¹² გაბისონია ზ., „გონიერი კონტრაქტის“ (Smart Contract) სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020, 51.
- ¹³ Durovic M., Janssen A., The Formation of Smart Contracts and Beyond: Shaking the Fundamentals of Contract Law?, 10, <<https://www.researchgate.net/publication/327732779>>, [15.08.2022].
- ¹⁴ Duke A., What Does the CISG Have to Say About Smart Contracts? A Legal Analysis, Chicago Journal of International Law, Vol. 20, No. 1 (2019), 169.
- ¹⁵ Durovic M., Janssen A., The Formation of Blockchain-based Smart Contracts in the Light of Contract Law, European Review of Private Law 6-2019, 762.
- ¹⁶ იქვე, 763.
- ¹⁷ Munoz A., Smart Contracts: What Are They and Will They Replace Traditional Contracts?, June 3, 2021, <https://www.romanolaw.com/2021/06/03/smart-contracts-what-are-they-and-will-they-replace-traditional-contracts/>, [15.08.2022].
- ¹⁸ Smart Contracts vs Traditional Contracts: Same but Different, Webber Wentzel, 13 Mar 2019, <https://www.webberwentzel.com/News/Pages/smart-contracts-vs-traditional-contracts-same-but-different.aspx>, [15.08.2022].

- ¹⁹ Allen J., Hunn P. (Eds.), Smart Legal Contracts: Computable Law in Theory and Practice, Oxford University Press, Cambridge, 2022, 43.
- ²⁰ იქვე.
- ²¹ Mittu F., Smart Contracts are the Future: A walkthrough and demonstration of smart contracts, Nov 30, 202, <https://medium.com/visionary-hub/smart-contracts-are-the-future-962007fcb276>, [15.08.2022].
- ²² Levi S. D., Lipton A. B., An Introduction to Smart Contracts and Their Potential and Inherent Limitations, May 26, 2018, <https://corpgov.law.harvard.edu/2018/05/26/an-introduction-to-smart-contracts-and-their-potential-and-inherent-limitations/>, [15.08.2022].
- ²³ იქვე.



SMART CONTRACT COMPATIBILITY WITH TRADITIONAL CONTRACT REQUIREMENTS: FEATURES OF OFFER AND ACCEPTANCE

MAGDA LORTKIPANIDZE

LL.M.

Chicago-Kent College of Law

The concept of smart contracts entered the legal discourse only a few years ago, however, the issue has already given rise to strikingly different approaches. While some suggest that smart contracts can be fully integrated into existing contract law, others suggest that they will mark the end of contract law.

It should be noted that “smart contracts” are neither “contracts” in the traditional sense nor “smart” and therefore the term smart contract itself is incorrect.

The main goal of this paper is to analyze what is the relationship between a smart contract and the traditional requirements for forming a contract and what are the difficulties associated with drawing up a smart contract, in particular, the features of the offer and acceptance.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01